

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა
გზაჯვარედინზე

II

BLACK SEA REGION AT THE CROSSROADS OF
CIVILIZATIONS

ბათუმი | Batumi
2023

მთავარი რედაქტორი: როინ მალაყმაძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო)

რედაქტორები: ნიკოლაი დურა (კანონიკური სამართლის დოქტორი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი, რუმინეთი)

ოლეგ ჯიბაშვილი (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო)

Editor-in-Chief: Roin Malakmadze (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

Editors: Nicolae V. Dură (PhD in Canon Law, the Academy of Romanian Scientists, Ovidius University of Constanta, Romania)

Oleg Jibashvili (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, 2023 • Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, 2023

ISSN 2960-9208
E-ISSN 2960-9267

სარედაქციო კოლეგია: როინ მეტრეველი (აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველო), ნიკოლაი დურა (აკადემიკოსი, რუმინეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუმინეთი), ჯემალ ვარშალომიძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), მერაბ ჩუხუა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო), ვინსენტ კოპეჩეკი (ანთროპოლოგიის დოქტორი, ოსტრავას უნივერსიტეტი, ჩეხეთი), ნინო ინაიშვილი (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), როზეტა გუჯეჯიანი (ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), რადოსლავ კარასიევიჩ-სზიპიორსკი (ისტორიის დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ჯემალ კარალიძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), რამაზ ხალვაში (ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), ხათუნა დიასამიძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), სუდან ალთუნი (ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის (ყარსის) უნივერსიტეტი, თურქეთი), კალიბეკოვა მანანა (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვალიხანოვის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ყაზახეთი)

Editorial Board: Roin Metreveli (Academician, Georgian National Academy of Sciences, Georgia), Nicolai Dura (Academician, Romanian National Academy of Sciences, Romania), Jemal Varshalomidze (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Merab Chukhua (PhD in Philology, Arnold Chikobava Institute of Linguistics of Tbilisi State University, Georgia), Vincenc Kopeček (PhD in Anthropology, University of Ostrava, Czechia), Nino Inaishvili (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Rozeta Gujejani (PhD in History, History and Ethnology Institute of Tbilisi State University, Georgia), Radosław Karasiewicz-Szczypiorski (PhD in History, Warsaw University, Poland), Jemal Karalidze (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Ramaz Khalvashi (PhD in Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Khatuna Diasamidze (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Sudan Altun (PhD in Philology, Kars University, Turkey) Kalybekova Manana (PhD in History, Ch. Ch. Valikhanov Institute of History and Ethnology, Kazakhstan).

ავტორთა სტილი დაცულია და რედაქცია არ აგებს პასუხს მათ შეხედულებებზე

რეცენზენტები:

დავით ყოლბაია (ისტორიის დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი. პოლონეთი)
მერაბ ჩუხუა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო)
ლავრენტი ჯანიაშვილი (ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო)

Reviewers:

David Kolbaia (PhD in History, Head of the Department of Caucasian Studies at the Center for Eastern European Studies, Faculty of Oriental Studies, University of Warsaw, Poland)
Merab Chukhua (Doctor of Philological Sciences, Ar. Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi State University named after Iv. Javakhishvili, Georgia)
Lavrenti Janiashvili (PhD in History, Institute of History and Ethnology named after Iv. Javakhishvili, Tbilisi State University named after Iv. Javakhishvili, Georgia)

შესავალი

ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე შავიზღვისპირეთი, თავისი მოხერხებული გეო-სტრატეგიული მდებარეობით, უძველესი დროიდანვე იქცევა რეგიონული თუ მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ძალების ყურადღებას. ამ ვრცელ არეალში მოქცეული სხვადასხვა ქვეყანა, სწორედ შავი ზღვის ღია სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სივრცის წყალობით, ოდითგანვე ჩართული იყო მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში.

უძველესი წყაროები, მითები და ლეგენდები ნათლად წარმოაჩენს აღნიშნულ სივრცეში უძველესი ცივილიზაციებისა და ხალხების ურთიერთობის ფაქტებს. აქ ხვდებოდნენ და ურთიერთგავლენას განიცდიდნენ ძველქართული (კოლხური, იბერიულ-მესხური, სვანური) და წინარე ბერძნული (კრეტა-მინოსური, პელასგური), ძველბერძნული და ხეთური, ურარტული და ასურული, აგრეთვე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სტეპების მომთაბარული სამყაროები.

შავი ზღვის სივრცეში მიმდინარე კულტურათა შეხვედრების პროცესებში მონაწილეობას უფრო შორეული რეგიონებიც იღებდნენ: პირენეისა და აპენინის, ეგვიპტისა და პალესტინის, შუამდინარეთისა და ირანის, შუა აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის, ჩრდილოეთის პირქუში ტყეებისა და სამხრეთის ცხელი უდაბნოების წარმომადგენლები აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს. აქ გადიოდა „აბრეშუმის დიდი გზა“ და ერთმანეთთან აკავშირებდა მსოფლიოს შორეულ კუთხეებს.

დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ, რომელმაც თავისი პოლისებითა და ემპორიონებით მოფინა მთელი შავიზღვისპირეთი, ხელი შეუწყო ბერძნების დაახლოებას სხვადასხვა ადგილობრივ მოსახლეობასთან. დაჩქარდა კულტურათა ინტეგრაციის პროცესები, რამაც ელინისტურ ეპოქას დაუდო სათავე.

საინტერესოა, შავიზღვისპირეთის რეგიონში რომაულ პერიოდში განვითარებული მოვლენებიც, როცა ბერძნულ ცივილიზაციას ეტაპობრივად აპენინური პოლიტიკურ-კულტურული გავლენა ანაცვლებს. ჩანს ფუნდამენტური ცვლილებები სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. დაარსდა საზღვაო კორპორაციები, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვან საზღვაო-სამრწვევლო ქალაქებს შავიზღვისპირეთის ცენტრებთან აკავშირებდა. ბერძნული კოლონიზაციის პერიოდთან შედარებით, რომაულ ეპოქაში აკულტურირების პროცესები კიდევ უფრო დაჩქარდა.

უნდა ითქვას, ისიც, რომ ანტიკური ეპოქის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შავი ზღვა ძირითადად ასრულებდა არა გამთიშველ, არამედ გამაერთიანებელ როლს. ინტენსიური ეკონომიკური და კულტურული კომუნიკაციის პროცესი, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდიდან იღებს,

მგ.წ. I ს. დასაწყისიდან ახალ ფაზაში შევიდა. ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა მთელი პონტოსპირეთის ერთიან გეოპოლიტიკურ ერთეულად ფორმირების იდეას. იმ დროისათვის წამყვანი სახელმწიფოების ზეწოლით იწყება შავი ზღვის რეგიონის თვისობრივი ტრანსფორმაცია და ამ ვრცელი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაცია. შავიზღვისპირეთის ერთიან გეოპოლიტიკურ ერთეულად ფორმირების მცდელობა აქტუალური იყო მომდევნო პერიოდშიც, თითქმის მთელი გვიანანტიკური ხანის მანძილზე, როცა მთელ რეგიონში პოლიტიკურად რომის იმპერია დომინირებდა.

რომაული პერიოდის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და გამრავალფეროვნდა შავიზღვისპირეთის სივრცეში კულტურათაშორისი შეხვედრების, მათი თანაარსებობის თუ ურთიერთდაპირისპირების პროცესები. რეგიონში შემოდიოდა და არსებულ მდგომარეობაზე გავლენას ახდენდა გერმანული და სლავური, არაბული და თურქ-სელჩუკური, მონღოლურ-ნოღაური, რუსულ-მოსკოვიტური და დასავლეთ ევროპული მსხვილი კულტურულ-ეთნიკური თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაკადები. მათ გარდა, შედარებით მცირე დოზებით, შავიზღვისპირეთის კულტურათა ინტეგრაციის მუდმივ პროცესში თავისი წილი ცვლილებები შეჰქონდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლობას. პარალელურად, არსებობას აგრძელებდა და გარესამყაროსთან განუწყვეტლივ ურთიერთობაში ვითარდებოდა თუ ტრანსფორმირდებოდა ადგილობრივი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეთნო-კულტურული ერთობები.

შავიზღვისპირეთის ვრცელი რეგიონი, უძველესი დროიდან დღემდე, არსებობას აგრძელებს როგორც სხვადასხვა ცივილიზაციის შეხვედრის ადგილი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და განუწყვეტლივ ურთიერთქმედებდნენ როგორც ერთმანეთზე, ისე ადგილობრივ სამყაროზე. ეს იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორებით გამოწვეული ყოვლისმომცველი და მუდმივმოქმედი პროცესი. ამ პროცესმა განაპირობა შავიზღვისპირეთის ვრცელი არეალის თანამედროვე სახე, ის პოლიტიკური, რელიგიური თუ კულტურული სინამდვილე, რაც სადღეისოდ გვაქვს. რეგიონში არსებული ნებისმიერი ნიუანსი, საცხოვრებელი ნაგებობებით, ჩაცმულობითა და კერძებით დაწყებული, მსოფლმხედველობითი, ენობრივი და ანთროპოლოგიური თავისებურებებით დამთავრებული, ამ პროცესის შედეგია. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება.

თავისი ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, შავიზღვისპირეთის სივრცე, აქ მიმდინარე რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესებით, ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება დაინტერესების

საგანი სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნო-კონფესიური, კულტურული თუ პროფესიული ჯგუფის მხრიდან. ასეთმა ვითარებამ ბუნებრივად დასვა დღის წესრიგში ფართო ხასიათის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების საკითხი, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეძლებდა რეგიონის პრობლემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის შეხვედრისა და აზრთა ურთიერთგაზიარების საშუალება მიეცა. ასე დაიბადა ინტერდისციპლინარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“** – ჩატარების იდეა.

აღნიშნული საერთაშორისო კონფერენციის პირველი მოწვევა გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრის თანაორგანიზებით. ღონისძიებას ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში 13 ქვეყნის 200-ზე მეტმა მონაწილემ წარმოადგინა თავისი კვლევის შედეგები. მოხსენებათა თემატიკა, კონფერენციის ხასიათიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მათი ერთი ნაწილი წინამდებარე კრებულის საშუალებით იხილავს დღის სინათლეს. ვფიქრობთ, რომ კრებულს ინტერესით გაეცნობა სხვადასხვა დარგის მკვლევარი და თავისთვის საჭირო და სასარგებლო ბევრ ინფორმაციასაც მოიძიებს მასში.

ინტერდისციპლინარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“** – მოწვევა მომავალშიც გაგრძელდება და ეს წამოწყება კარგ ტრადიციად დამკვიდრდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. იგი ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ურთიერთდაახლოებასა და კულტურათაშორის დიალოგს.

მთავარი რედაქტორი

Preface

The Black Sea, located at the junction of Europe and Asia, with its convenient geo-strategic location, has attracted the attention of political and trade-economic entities of regional or world importance since ancient times. Various countries located in this vast area, through the open transport and communication space of the Black Sea, have been involved in world-historical processes since time immemorial.

Ancient sources, myths and legends clearly present the facts of the relationship between ancient civilizations and people in the Black Sea area. Ancient Georgian (Colchian, Iberian-Meskhetian, Svan) and ancient Greek (Crete-Minoan, Pelasgian), ancient Greek and Hittite, Urartian and Assyrian worlds met and were mutually influenced here, as well as the nomadic worlds of the northern Black Sea.

Even more distant regions took part in the processes of cultural meetings taking place in the Black Sea area: representatives of the Pyrenees and Apennines, Egypt and Palestine, Mediterranean and Iran, Central Asia, India and China, gloomy forests of the north and hot deserts of the south met here. The "Great Silk Road" passed here and connected the far regions of the world.

The Greek colonisation, which covered the entire Black Sea coast with its polises and emporiums, helped bring the Greeks closer to different local populations. The processes of integration of cultures accelerated, which gave rise to the Hellenistic era.

It is interesting to emphasize the events that developed in the Black Sea region during the Roman period when the Greek civilization was gradually replaced by the Roman political-cultural influence. Fundamental changes can be seen from the military and trade-economic point of view. Maritime corporations were established, which connected the important maritime cities of the Mediterranean with the centres of the Black Sea. Compared to the period of Greek colonization, acculturation processes accelerated even more in the Roman era.

It should also be pointed out that at different stages of the history of the ancient era, the Black Sea mainly played a unifying role, not a disconnection. The process of intensive economic and cultural contacts, which originates from the period of Greek colonization. At that time, the qualitative transformation of the Black Sea region and the political-economic integration of this vast region began under the pressure of the leading states. The attempt to form the Black Sea coast into a single geopolitical unit was also relevant in the next period, almost throughout the Late Antiquity period, when the entire region was politically dominated by the Roman Empire.

After the Roman period, the processes of intercultural meetings, their coexistence or mutual confrontation in the Black Sea area became even stronger and diversified.

German and Slavic, Arab and Seljuc Turks, Mongolian-Nogha, and Western European large cultural-ethnic or political-economic flows entered the region and influenced the existing situation. In addition to them, in relatively small doses, in the continuous process of integration of the cultures of the Black Sea coast, the representatives of almost all parts of the world made their share of changes. At the same time, the local ethnocultural entities, formed over centuries, continued to exist and developed or transformed in continuous relationships with the outside world.

The vast region of the Black Sea coast, from ancient times to the present day, continues to exist as a meeting place for various civilizations. The peculiarities of the North and the South, the West and the East met here and continuously interacted both with each other and with the local world. It was a comprehensive and permanent process caused by political, economic and cultural factors. This process determined the modern appearance of the vast area of the Black Sea coast, the political, religious and cultural reality that we have today. Any nuances in the region, starting with housing, clothing and food, ending with worldview, language and anthropological features, are the result of this process. This process is ongoing today and will continue in the future.

Due to its all-encompassing nature, the Black Sea region, with its complex political, economic and cultural processes, has always been, is and will continue to be a subject of interest from various political, economic, ethnic-confessional, cultural and professional groups. Such a situation naturally put on the agenda the issue of holding a wide-ranging international scientific event, which would at least partially provide an opportunity for researchers from various fields working on the problems of the region to meet and exchange ideas. This is how the idea of holding an interdisciplinary international scientific conference - "The Black Sea at the Crossroads of Civilizations" - was born.

The first invitation of the emphasized international conference was held at Batumi Shota Rustaveli State University with the co-organization of the Niko Berdzenishvili Institute and the Research Center for the Study of Three Monotheistic Religions and Canonical Law of the Constanta Ovidius University. The event was financially supported by the Ministry of Education, Culture and Sports of the Autonomous Republic of Ajara.

More than 200 participants from 13 countries presented their recent research results in the international scientific conference. The topics of the reports, depending on the field of the conference, were quite diverse. From our point of view, researchers in various fields will get to know the collection with interest and will find a lot of necessary and productive information in it.

The invitation to the interdisciplinary international scientific conference - "The Black Sea at the Crossroads of Civilizations" - will continue in the future and this

initiative will become a good tradition in the scientific life of Batumi Shota Rustaveli State University. It will promote mutual rapprochement of representatives of scientific circles of different countries and intercultural dialogue.

Chief Editor

სარჩევი / Contents

ისტორია / History

გოდერძი ბოლქვაძე / Goderdzi Bolkvadze

- სამცხის საათაბაგოს საეკლესიო განკერძოების პროცესში ბერძენი იერარქების როლი - აწყურის ეპარქია 13
The Role of Greek Hierarchs in the Process of Church Separation of the Samtskhe-Saatabago – The Atskuri Diocese

ემზარ კახიძე / Emzar Kakhidze

- ზოგიერთი ახალი მოსაზრება ოქროს საწმისის ფენომენის წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული თუ ეთნოლოგიური კვლევების შუქზე 32
Some New Considerations in the Light of Source, Historiographic and Ethnological Studies of The Golden Fleece Phenomenon

ავთანდილ ნიკოლეიშვილი / Avtandil Nikoleishvili

- ქართველებისა და ბასკების ეთნიკურ-ენობრივი ურთიერთმიმართების პრობლემა ესპანელ ავტორთა თვალთახედვით 48
The Problem of Ethnic-linguistic Relationship between Georgians and Basques from the Point of View of Spanish Authors

მიხეილ ქართველიშვილი / Mikheil Kartvelishvili

- ფრანგი მეცნიერის ცნობა საბჭოთა საქართველოში რელიგიური მდგომარეობის შესახებ 65
A Notice by French Scholar about the Religious Situation in Soviet Georgia

თინათინ ჯაბადარი / Tinatin Jabadari

- ქართველი საზოგადო მოღვაწეების ქველმოქმედების როლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში 75
Charity of Georgian Public Figures the Role of Spreader of literacy among Georgians in Community Activities

ეთნოლოგია / Ethnology

ლავრენტი ჯანიაშვილი / Lavrenti Janiashvili

- ტრადიციული საცხოვრებლის მოდიფიკაცია მესხური ოდის მაგალითზე 94
Modification of Traditional Housing on the Example of Meskhuri Oda

ენათმეცნიერება / Linguistics

თეა გიგიტაშვილი / Tea Gigitashvili

- ხუნძური ენის ფუნქციონირების საკითხები საქართველოში 112
The Avar Language Functioning in Georgia

ეკა დადიანი / Eka Dadiani

- ემე ნაცვალსახელი ფერეიდნულ დიალექტში (ფორმოზრივი და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი) 121

The Pronoun eme in the Fereydanian Dialect (Formal and Functional-semantic Analysis)

მარია თედორაძე / Marika Tedoradze

თეონა მაჭავარიანი / Teona Matchavariani

ბარობა/ბარზე თანდებული იმერხეულსა და ტაოურში

Baroba/Barze Posposition in Imerkhevian and Taoian Dialects

134

პოლიტოლოგია / Political Science

ვახტანგ მასაია / Maisaia

ალიკა გუჩუა / Alika Guchua

გალაქტიონ მასაია / Galaktion Maisaya

ნატოს როლი გეოეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის

საქმეში: რეგიონული დონე - შავიზღვისპირეთის

შემთხვევა / The NATO Role in Promotion of Geoeconomic

Security at Regional Level – The Black Sea Region Case-Study

145

The Role of Greek Hierarchs in the Process of Church Separation of the Samtskhe-Saatabago – The Atskuri Diocese

სამცხის საათაბაგოს საეკლესიო განკერძოების პროცესში ბერძენი იერარქების როლი - აწყურის ეპარქია¹

Goderdzi Bolkvadze

PhD student at Sokhumi State University

History teacher at Tbilisi Free School

e-mail: god.bolkvadze@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0008-2216-5099>

Abstract: The purpose of the research «The role of Greek hierarchs in the process of church separation of the Samtskhe-Saatabago – the Atskuri Diocese,» is to present the church separation process and the role of Greek hierarchs in Samtskhi Saatabago in the late Middle Ages on the example of the Aksuri Diocese. In the late Middle Ages, the Atabags of Samtskhi actively fought to gain independence from the unified Georgian state.

A struggle for church separation accompanied the struggle for political independence. Atabags of Samtskhe, led by the Archbishop of Atskuri, tried to withdraw Samtskhe from the subordination of the Catholic Church of Kartli.

The struggle for the independence of the Samtskhe Church was greatly damaging to the united Georgian ecclesiastical-state space. Greek clergymen, especially the Patriarch of Antioch Dorotheus III (Patriarch 1497-1523), were actively involved in separating Samtskhe-Saabago from the Catholic Church of Samtskhe.

Our interest in the issue, in addition to scientific research interests, was driven by one noteworthy fact in the May 2021 Patriarchate of Antioch. In particular, the Orthodox Patriarch of Antioch, John X (Patriarch since 2012), received an official

¹ „This research PHDF-22-1615 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)” / “კვლევა PHDF-22-1615 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით”

visit Aslan Bzhania, President of the so-called occupied Abkhazia (so-called President since 2020). The Patriarch of Antioch referred to Aslan Bzhania as President of Abkhazia. The official delegations of Syria and Abkhazia attended the meeting. At the meeting, the Patriarch of Antioch said – «We are ready to provide your country with the help you need, including Christian and ecclesiastical matters.» This statement and action of the Patriarch of Antioch derives from the geopolitical situation in the Caucasus and also reminds us of the threats that may be theoretically. Due to the historical experience, the so-called Abkhazian President Aslan Bzhania's official acceptance by the Patriarch of Antioch John X at the Patriarchate's residence is noteworthy.

The present study analyzes specific historical precedents regarding what drove the Patriarchs of Antioch to grossly invade the Catholic Church Kartli and what caused it. I think it is necessary to have scientific research and, in general, an academically reasonable response to all the ambitious claims that have historically been or may have been in perspective concerning the Church of Georgia from the Patriarchate of Antioch.

Key words: Catholicos, Atabeg, Samtskhe, Atskuri, Greeks, Antioch, diocese.

გოდერძი ბოლქვაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
თბილისის თავისუფალი სკოლის ისტორიის პედაგოგი
e-mail: god.bolkvadze@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0008-2216-5099>

აბსტრაქტი: კვლევის, „სამცხის საათაბაგოს საეკლესიო განკერძოების პროცესში ბერძენი იერარქების როლი - აწყურის ეპარქია“, მიზანია აწყურის ეპარქიის მაგალითზე წარმოაჩინოს გვიან შუა საუკუნეებში სამცხის საათაბაგოში მიმდინარე საეკლესიო განკერძოების პროცესი და ბერძენი იერარქების როლი. გვიან შუა საუკუნეებში სამცხის ათაბაგები აქტიურად იბრძოდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას თან ახლდა საეკლესიო გამოყოფისთვის ბრძოლა. ათაბაგები ცდილობდნენ სამცხე, აწყურის მთავარეპისკოპოსის მეთაურობით, გამოეყვანათ ქართლის კათოლიკოსის დაქვემდებარებიდან.

სამცხის ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დიდად დამაზიანებელი იყო ერთიანი ქართული საეკლესიო-სახელმწიფოებრივი სივრცისთვის. სამცხის საათაბაგოს ქართლის საკათოლიკოსოსგან გამოყოფის საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ და თავიანთი როლი შეასრულეს ბერძენმა სასულიერო პირებმა, განსაკუთრებით ანტიოქიის პატრიარქმა დოროთეოს III-მ (პატრიარქი 1497-1523 წ.წ.).

საკითხით ჩვენი დაინტერესება, გარდა სამეცნიერო-კვლევითი ინტერესებისა, განაპირობა 2021 წლის მაისში ანტიოქიის საპატრიარქოში მომხდარმა ერთმა საყურადღებო ფაქტმა. კერძოდ, ანტიოქიის მართლმადიდებელმა პატრიარქმა იოანე X-მ (პატრიარქი 2012 წლიდან), ოფიციალური ვიზიტით მიიღო ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი ასლან ბჟანია (ე.წ. პრეზიდენტი 2020 წლიდან). ანტიოქიის პატრიარქმა ასლან ბჟანია მოიხსენია აფხაზეთის პრეზიდენტად. შეხვედრას ესწრებოდნენ სირიისა და „აფხაზეთის ოფიციალური დელეგაციები“. შეხვედრაზე ანტიოქიის პატრიარქმა განაცხადა - „ჩვენ მზად ვართ თქვენი ქვეყანა უზრუნველვყოთ თქვენთვის საჭირო დახმარებით, მათ შორის ქრისტიანულ და საეკლესიო საკითხებში“. ანტიოქიის პატრიარქის ეს განცხადება და მოქმედება კავკასიაში შექმნილი გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარეობს და ასევე შეგვახსენებს საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება თეორიულად არსებობდეს. გამომდინარე ისტორიული გამოცდილებიდან, ანტიოქიის პატრიარქ იოანე X-ს მხრიდან ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ასლან ბჟანიას ოფიციალურად მიღება საპატრიარქო რეზიდენციაში საყურადღებოა. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული პრეცედენტების ანალიზს, თუ რით იყო განპირობებული ანტიოქიის პატრიარქების მხრიდან ქართლის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში უხეშად შემოჭრა და რა შედეგი მოიტანა მან. ვფიქრობ, აუცილებელია მეცნიერული კვლევა და, საზოგადოდ, აკადემიურად დასაბუთებული პასუხების გაცემა ყველა იმ ამბიციურ პრეტენზიაზე, რომლებიც ისტორიულად გააჩნდა ან, შესაძლოა, პერსპექტივაში გააჩნდეს ანტიოქიის საპატრიარქოს საქართველოს ეკლესიის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: კათოლიკოსი, ათაბაგი, სამცხე, აწყური, ბერძნები, ანტიოქია, ეპარქია.

შესავალი: XV საუკუნე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული და შეუქცევადი პროცესების ეპოქაა. ერთიანი ქართული სახელმწიფო დაშლილია სამეფო-სამთავროებად. მართალია, ოფიციალურად 1490 წელს დაიშალა ერთიანი საქართველო, მაგრამ ფეოდალური სეპარატიზმი

გაცილებით ადრე დაიწყო. სამცხის საათაბაგოსა და დანარჩენ საქართველოს შორის პირველი სერიოზული ბზარი ჯერ კიდევ სამცხის საათაბაგოს ხასინჯუდ გამოცხადების პერიოდიდან იწყება. სამეფო-სამთავროების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის მყარი ვერ იქნებოდა, თუ იარსებებდა ერთიანი საეკლესიო იურისდიქცია. მესხეთი ყოველთვის ქართლის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში იყო მოქცეული. ქართლის კათოლიკოსი იყო პირველიერარქი, რომელიც აკურთხებდა ეპისკოპოსებს მესხეთში არსებული საეპისკოპოსო კათედრებისთვის და ეს მხოლოდ მისი პრეროგატივა იყო. ქართლის კათოლიკოსებს, გარდა საეკლესიო ძალაუფლებისა, გააჩნდათ სოციალურ-ეკონომიკური გავლენებიც, რადგან ქართლის საკათოლიკოსო დიდძალ ქონებას ფლობდა, კერძოდ: ეკლესია-მონასტრებს, სოფლებს, თავადებს, გლეხებს. XVI საუკუნის დასაწყისის ერთი დოკუმენტი: „კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში“ გვიქმნის წარმოდგენას აღნიშნულის შესახებ (დოლიძე, 1970:242). სხვა ფაქტორებთან ერთად, ასევე გამომდინარე ზემოთ ხსენებული ეკონომიკური ინტერესიდან, ქართლის კათოლიკოსები იბრძოდნენ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისთვის (ლომსაძე, 1979: 33). სამცხის ათაბაგები ცდილობდნენ ქართლის საკათოლიკოსოსთვის ჩამოერთმიათ ეკლესია-მონასტრები და სხვა ქონება, რომელებიც, წესით, საკათოლიკოსოს საკუთრებას წარმოადგენდა. ათაბაგების ხელშეწყობით მაწყვერელი მღვდელმთავრები ერეოდნენ იმ ეკლესია-მონასტრების მართვა გამგებლობაში, რომლებიც წესით კათოლიკოსის განსაკარგავი იყო (დოლიძე, 1970: 184). ამ ყველაფერს ემატებოდა ბერძენი სასულიერო იერარქების ინტერესები სამცხის საათაბაგოს, როგორც ქრისტიანული სამთავროს, მიმართ, რაც გამოიხატებოდა შიდა საეკლესიო საქმეებში ჩარევაში.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: სტატიის მომზადებისას გამოვიყენეთ საეკლესიო-სამართლებრივი შინაარსის საბუთები, საისტორიო თხზულებები, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის II, III და IV ტომები; ქართლის ცხოვრების II და IV ტომი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; ი. დოლიძის მიერ შედგენილი ქართული სამართლის ძეგლების III ტომი; ს. კაკაბაძის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები - წიგნი I; თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი ქრონიკების II ტომი; კ.პ. ნიკოლოზ გულაბერისძის "საკითხავი სუეტის ცხოველისაი, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა". გამოცემული დ. ს. ს. პლატ. იოსელიანის ქვრივის ანნა ნიკოლ. იოსელიანის მიერ;

ასევე სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხება სამხრეთ საქართველოს ისტორიის საკითხებს: პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII ს.ს. ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით; პირთა

ანოტირებული ლექსიკონი. I ტომი; რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოცემული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები; ივანე ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად III ტომი; შ. მესხიას რედაქტორობით გამოცემული საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომი; მ. დუმბაძის რედაქტორობით გამოცემული საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომი; ქრ. შარაშიძის სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.); შ. ლომსაძის გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან ახალციხური ქრონიკები და ამავე ავტორის სამცხე-ჯავახეთი; ც. აბულაძის თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის; ვ. ბერიძის სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები; ნ. ბერძენიშვილის სამცხე საათაბაგო XVI საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი IV; ელდარ მამისთვალიშვილის საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტ. V; მ. სვანიძის საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს.; ასევე სტატიები თ. ქართველიშვილისა და თ. ქორიძის ქართლისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოთა ურთიერთობების საკითხებისთვის იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ეპოქაში; დეკანოზ ილია ჭილაძის სტატია საქართველოს ეკლესიაში სამღვდელთმთავრო ბისონისა და მიტრის დამკვიდრების ისტორიისათვის;

ასევე კვლევაში ძალზედ დაგვეხმარა უცხოენოვანი ლიტერატურა, კერძოდ: Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-Истрийского / пер. с сербского. М.: Изд-во «Отчий дом», 2001. Т. 2. და ИСТОРИЯ ПОМЕСТНЫХ ПРАВОСЛАВНЫХ ЦЕРКВЕЙ. В.С. Блохин. Екатеринбург Информационно-издательский отдел ЕДС. 2014.

მეთოდოლოგია: საკვლევ მეთოდოლოგიად გამოყენებულია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

დისკუსია/შედეგები: ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს იურისდიქციაში (და, ზოგადად, ეკლესიაში) არსებულ ეკლესია-მონასტრებში, ეპარქიებში, მეფისა და კათოლიკოსის მოხსენიების ვალდებულება არსებობდა. წირვა-ლოცვაზე საერო და საეკლესიო პირველი პირების მოხსენიება სამეფო და საკათოლიკოსო ხელისუფლებისადმი მორჩილების დასტურს წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში ქართლის საკათოლიკოსოში ეპისკოპოსები და მონასტრის წინამძღვრები საგანგებოდ შედგენილი ტექსტით, რომელიც ფიცის წიგნს წარმოადგენდა, უდასტურებდნენ კათოლიკოსს ერთგულებას. ფიცის წიგნი საჭიროებისამებრ სხვა დროსაც შეიძლება დაედოთ, თუ არსებობდა რაიმე გამოწვევა საეკლესიო ერთიანობის თვალსაზრისით. სამცხე საათაბაგოში მეფისა და კათოლიკოსის მოხსენიება დამოკიდებული იყო ათაბაგების პოლიტიკაზე. გვიან შუა საუკუნეებში, აღნიშნული დამკვიდრებული წესი და ტრადიცია, მიუღებელი

იყო სამცხის ათაბაგებისთვის, რადგან ჩრდილს აყენებდა და ხელს უშლიდა მათ დამოუკიდებლობას. მაწყვერელ მღვდელმთავრებს მეფე ამტკიცებდა და კათოლიკოსი აკურთხებდა (შარაშიძე, 1962: 29). ეპისკოპოსი, თავის მხრივ, ფიცის წიგნს აძლევდა კათოლიკოსს, რომ ერთგული იქნებოდა მისი და მეფისა. სამცხის ათაბაგები სწორედ ამ ერთგულების მოშლასა და სამცხის ეკლესიის ცალკე გამოყოფას ცდილობდნენ. ქართლის კათოლიკოსებისა და სეპარატისტულად განწყობილი ათაბაგების ინტერესები ერთმანეთს, ბუნებრივია, არ ემთხვეოდა და შესაბამისად, შეიძლება ითქვას, სამცხის ათაბაგებისთვის მცხეთისგან საეკლესიო თვალსაზრისით გამოყოფა ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ათაბაგებს სურდათ ჰქონოდათ დამოუკიდებელი სამთავრო და დამოუკიდებელი ეკლესია. შუა საუკუნეებში ეკლესიის, როგორც რელიგიურ-ფეოდალური ინსტიტუციის, ავტორიტეტი და გავლენები ადამიანებზე განუზომლად დიდი იყო. XV საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც გააქტიურდა სამცხის ეკლესიურად გამოყოფის საკითხი, ქართლის კათოლიკოსმა დავითმა (კათოლიკოსი 1443/47-1459 წ.წ.) მცისიერად აღკვეთა. საეკლესიო სასჯელის გამოყენება საკმარისი აღმოჩნდა პრობლემის აღმოსაფხვრელად. კათოლიკოსმა „უჯუარობით“ და „შეუნდობლობით“ დასაჯა ყველა, ვინც ურჩობა გამოავლინა. ქართლის კათოლიკოსი დავითი საეკლესიო სეპარატიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლია, მისი კათოლიკოსობის ჟამს შეეცადა ყვარყვარე II (ათაბაგი 1451-1498 წ.წ.) სამცხის საკათოლიკოსოსგან ჩამოშორებას. 1453 წლით დათარიღებული ანჩელ არქიმანდრიტ ქერობინ აბელისძის ფიცის წიგნიდან ვიგებთ, რომ კათოლიკოს დავითს დიდი თხოვნის შემდეგ სწორედ მაშინ უკურთხებია ანჩელი ეპისკოპოსი, როდესაც: „...მის ჟამისა შედეგად, ოდეს მაწყვერელი და სამცხისა ეპისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარის თავზედა...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 71). „საფარის თავზე“ კათოლიკოსის მიერ საეკლესიო კრების ჩატარებას ადასტურებს 1453-1459 წლებით დათარიღებული კუმურდოელ ეპისკოპოსის იოვანე ლასურისძის ერთგულების წიგნი დავით კათოლიკოსისადმი: „...მის ჟამისა შედეგად, ოდეს მაწყვერელი და სამცხისა ეპისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედადდა თქუენ დიდითა ხუაშნითა მაკურთხეთ...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 74). ორივე ფიცის წიგნი შინაარსობრივად ფაქტობრივად იდენტურია. ანჩელი არქიმანდრიტი ქერობინი და კუმურდოელი ეპისკოპოსი იოვანე კათოლიკოს დავითს პირობას აძლევენ: „...აწ, დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული, მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგისხენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ეპისკოპოზთა გუერდი[თ] ჟამი

არა ვწიროთ და არცა მათსა სამწყსოსა უწიროთ, სადამდის თქუენგან ახსნილობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუივიდეს“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 74). ეპისკოპოსები იქვე პირობას დებენ, რომ თუ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე შეეცდება მათ გადაბირებას, თუნდაც მაწყვერლობის შეთავაზებით, უარს ეტყვიან და მხოლოდ კათოლიკოსის ერთგულნი იქნებიან. „...თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 74). ფიცის წიგნები ცხადყოფს, რომ სამცხის საათაბაგოში ეპისკოპოსთა ნაწილი ერთგულია კათოლიკოსის. კათოლიკოსმა ათაბაგის პოლიტიკის საპასუხოდ, საეპისკოპოსო კათედრებზე, ერთგული კანდიდატები აკურთხა. ერთსულოვნების არარსებობის პირობებში ათაბაგი ვერ ახერხებს საეკლესიო დამოუკიდებლობის მიღწევას.

ბერძნულ საეკლესიო სივრცეში დაშვებულია მიტროპოლიტებისა და მთავარეპისკოპოსების მიერ ეპისკოპოსის ხელდასხმა. ქართულ საეკლესიო რეალობაში ეპისკოპოსების კურთხევა კათოლიკოსის ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენდა. საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული „წესისა და ჩვეულების“ თანახმად ეპისკოპოსის ხელდასხმა აუცილებლად სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უნდა აღსრულებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით ქართლის კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე (კათოლიკოსი 1149-1178 წ.წ.) წერს: „რამეთუ წესი და ჩუეულებაჲ ამის კათოლიკე ეკლესიისაჲ ესრეთ ყოფილ არს დასაბამითგან, რაჲთა კურთხევადნი ეპისკოპოსნი წინაშე სუეტისა ცხოველისა მოვიდოდნან და აღთქუმასა ჰყოფდნ მრავლისა სარწმუნოებისათჳს და ერთგულებისათჳს კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათჳს, ვიდრე სისხლთა დათხევადმდეჲა პატრიაქისათჳს და საღმრთოთა წესთა დაცვისათჳს, და ესრეთღა კურთხევაჲ ამას თავადსა საყდარსა შინა“ (იოსელიანი, 1908: 116-117). ეპისკოპოსების ფიცის წიგნები ცხადყოფს, რომ გვიან შუა საუკუნეებშიც, მღვდელმთავრები აუცილებლად სვეტიცხოველში კათოლიკოსის მიერ იკურთხებიან. სამცხის ათაბაგი და ეპისკოპოსობის მსურველი, რომელიც იზიარებდა საკათოლიკოსოსგან გამოყოფის აზრს, დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. კათოლიკოსი არ აკურთხებდა ისეთ ეპისკოპოსს რომლის ერთგულება საეკლესიო იქნებოდა. სწორედ ამიტომ, სამცხის ათაბაგებმა დაიწყეს ალტერნატიული გზის ძიება.

ჩვენ მიერ მოხმობილი ეპისკოპოსთა ფიცის წიგნებიდან თითქოს ჩანს, რომ სამცხის ეკლესიურად გამოყოფის პროცესში აქტორები მხოლოდ ყვარყვარე, მაწყვერელი და სამცხის სხვა ეპისკოპოსები არიან. საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანია 1420-1425 წლებით დათარიღებული აწყურის მთავარეპისკოპოს გერასიმეს ერთგულების წიგნი, რომელშიც მთავარეპისკოპოსი კათოლიკოს მიქაელს (კათოლიკოსი 1419-1426 წ.წ.)

პირობას აძლევს რომ: „...მეფეთა მლოცველნი ვიყ[უ]ნეთ და თქ[უ]ენნი | მამხსენებელნი ვიყ[უ]ნეთ. არცა პატრია[რ]ქი მოვიხსენოთ ანტიოქი[ი]სა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ..“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი II, 2013: 131-132). ასევე, საყურადღებოა, საფარისა და ვარძიის მონასტრების სამძობის პირობის წიგნი დავით კათოლიკოსისადმი. საბუთი 1453 წლის ახლო ხანებით თარიღდება. საფარისა და ვარძიის მონასტრების ფიცის წიგნიდან იკვეთება ბერძენი იერარქების ინტერესები და ქართლის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში შემოჭრის ფაქტები: „...[ესე წიგნი გკადრეთ თქუნენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მ(იე)რ ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა], მეუფესა პატ[რონ]სა დავითს, დაგიდევით] აღთქმა ... [ჩუნენ, საფარისა] და ვარძიისა ძმათა, მას ჟამსა, ოდეს მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტყუელი, და მცირითა რათმე სიტყვათა მიგვიზიდნა...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 69). როგორც დოკუმენტიდან ჩანს, კათოლიკოსს მყისიერად უმოქმედია, გაწყრომია საფარელ და ვარძიელ ბერებს. მონასტრების სამძობეი პირობას დებენ, რომ: „...არც მიტროპოლიტი (ბერძნისა) შემო[ვ]ქუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ; არცა უმცხეთოდ ჩუნენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს; არცა რამ ჯავახეთს და წალისყურს ვისაქმთ სამწყსობისა პირზედა. და ვიყუნეთ თქუნისა ბრძანებისა მორჩილნი. ასრე, რაგუარა ესე...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 69). აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს ბერძენი იერარქების, მათ შორის მიტროპოლიტის, აქტიური მოქმედება ქართლის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში.

საეკლესიო განკერძობების პროცესში სამცხის ათაბაგები სხვადასხვა გზით ახერხებდნენ ცალკეული ეპისკოპოსების მიმხრობასა და კათოლიკოსის წინააღმდეგ განწყობას, სხვადასხვა თანამდებობების შეთავაზებით (დოლიძე, 1970: 219) თუ ძალის დემონსტრირებით. ათაბაგი თუ მოისურვებდა ეპისკოპოსის სიკვდილით დასჯაც კი შეეძლო, მაგალითად, როდესაც 1486 წელს იაკუბ ყაენის შემოსევის დროს მაწყვერელი მღვდელმთავარი და აწყურის ციხის დამცველები ხელშეუხებლობის პირობით დანებდნენ. განრისხებულ ყვარყვარეს მაწყვერელის სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი და შემდგომ: „იძლია ბუნებითისა მოწყალებისაგან, არღარა სიკუდიდ დასაჯნა, ექსორია ყვნა“ (ქართლის ცხოვრება II ტ., 1959: 482-483). ათაბაგი იმდენადაა გაძლიერებული, რომ ეპისკოპოსის სიკვდილით დასჯა თუ გაძევება, თვითნებურად შეუძლია გადაწყვიტოს, ყოველგვარი საეკლესიო კრების თუ კათოლიკოსის ნებართვის გარეშე. ყვარყვარე ათაბაგმა მაწყვერელი ეპისკოპოსის გადაყენების შემდგომ: „მოიძიეს სხვა ეპისკოპოსი და ჰპოვეს საზღვართაგან პონტოსათა, ქალაქით ტრაპიზონელი, სახელით სვიმონ, რამეთუ მამინ საჭეთმპყრობლობდა საყდარსა ტბეთისასა. მას მიუბოძა უკანასკნელ მაწყვერლობა“ (ქართლის ცხოვრება II ტ., 1959: 483).

საინტერესო პრეცედენტია, როდესაც ბერძნული წარმოშობის ეპისკოპოსი, რომელიც მართავს ტბეთის ეპარქიას, ათაბაგს გადმოჰყავს აწყურის ეპისკოპოსად. ყვარყვარე II ძლიერი ფიგურაა, რომელმაც მოახერხე სამცხის პოლიტიკურად ჩამოცილება დანარჩენი საქართველოსგან. საეკლესიო თვალსაზრისითაც იმავეს ცდილობდა, თუმცა არ გამოუვიდა.

ის, რომ მაწყვერლად ახალ ეპისკოპოსს არ აკურთხებენ და კათედრაზე ათაბაგს ტბეთის ეპისკოპოსი გადმოჰყავს, განპირობებული უნდა ყოფილიყო ქართლის კათოლიკოსის ფაქტორით. კათოლიკოსი არ აკურთხებდა ყვარყვარე ათაბაგის სეპარატისტული პოლიტიკის გამზიარებელ პიროვნებას ეპისკოპოსად. აწყურის კათედრაზე ახალი ეპისკოპოსის თვითნებურად დანიშვნა ცხადყოფს ათაბაგის ძლევამოსილებას.

ეპისკოპოსის ეპარქიიდან ეპარქიაში გადაყვანის ტენდენცია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, თუნდაც ეპარქიების დაქვრივების გამო. ახალი ეპისკოპოსების კურთხევისთვის დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა იყო საჭირო. სწორედ მოცემულ რეალობაში იზრდება ანტიოქიის საპატრიარქოს მნიშვნელობა და როლი.

ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების უფლებრივი მდგომარეობა დამოკიდებული იყო ბიზანტიის იმპერიის სიმდიერეზე. განსაკუთრებით XI საუკუნიდან ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიის გავლენების შესუსტება პირდაპირ აისახა იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ სხვადასხვა უცხო რელიგიურ-სახელმწიფოებრივი გავლენის ქვეშ.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ეგვიპტის მამლუქთა სულთანმა აილო ანტიოქია და საპატრიარქო მეტად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, რადგან ეგვიპტელი მამლუქების რელიგიური პოლიტიკა მძიმე და ნაკლებად შემწყნარებლური იყო (Блохин, 2014: 128-129). ეგვიპტელი მამლუქების შემდეგ ოსმალეთის იმპერიის გაძლიერებისა და ტერიტორიული თვალსაზრისით გაფართოების პარალელურად, ბერძნული საპატრიარქოები სასულთნოს საზღვრებს შიგნით მოექცნენ, მათი მდგომარეობა თანდათან არასახარბიელო გახდა. ოსმალეთის იმპერიაში მიღეთის სისტემა არსებობდა, რომელიც გულისხმობდა მოსახლეობის რელიგიური ნიშნით დაყოფას. მიღეთს სათავეში სულიერი ლიდერი ედგა, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა და საშინაო საქმეებს თავად წყვეტდა. 1516 წლიდან სირია - ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაშია, შესაბამისად, ანტიოქიის საპატრიარქოც მოექცა მიღეთურ სისტემაში (Блохин, 2014: 205-206). ბერძნულმა საპატრიარქოებმა მნიშვნელოვნად დაკარგეს პრივილეგიები, შემოსავლები, მრევლი (ჯავახიშვილი, 1982: 455). შექმნილ ვითარებაში ბერძენი იერარქები კიდევ უფრო მეტად დაინტერესდნენ ქრისტიანული სამეფო-სამთავროებით, სადაც შესაძლებელი იყო

შემოწირულობების მიღება და მათი რთული ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ათაბაგ ყვარყვარე II-ის „პროექტი“, სამცხე გამოპყოფოდა ქართლის საკათოლიკოსოს, ვერ განხორციელდა, ქართლის კათოლიკოსმა მოახერხა სამცხის ეპარქიების თავის იურისდიქციაში შენარჩუნება.

1500-1503 წლებით დათარიღებულ კათოლიკოს ევაგრესადმი (კათოლიკოსი 1488-1492;1500/1503 წ.წ.) მიცემულ გერასიმე კუმურდოელის ერთგულების წიგნში ვკითხულობთ: „...მე, კუმურდოელ მთავარებისკოპოზმან გერასიმე, მას ჟამსა, ოდეს პატრონმან მზექაბუკ შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და ხელი მიბოძა და თქუნს წინაშე საკურთხევლად გამოგუგჳავენა და თქუნ შემიწყალეთ და მაკურთხეთ...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 12). ფიცის წიგნი ცხადყოფს ორ რამეს, სამცხეში რომელიმე კათედრაზე ახალი ეპისკოპოსის კანდიდატურას არჩევს ათაბაგი, თუმცა კანდიდატის ეპისკოპოსად ხელდასხმა კვლავ მცხეთაში ხდება. ასევე, საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ფიცის ფორმულა: „...აწ დღესითგან წალმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 12), მეფის მოხსენიება კვლავ ევალებათ სამცხის ეპისკოპოსებს. ქართლის მეფე კონსტანტინე II-სა (მეფე 1478-1505 წ.წ.) და სამცხის ათაბაგ მზექაბუკს (ათაბაგი 1500-1515 წ.წ.) შორის კარგ ურთიერთობას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „...ესე მზექაბუკ დაეზავა მეფესა კონსტანტინეს და პატივსცემდა და უსმენდა...“ (ქართლის ცხოვრება IV ტ., 1973: 710-711). ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად 1511 წელს მზექაბუკ ათაბაგს პროოსმალური საგარეო კურსი აქვს არჩეული, რაც იმ ეტაპზე მისი ძლევამოსილების გამყარების საფუძველს წარმოადგენდა: „ხოლო ესე მზექაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილებისა პირსა ზედა. ამით მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით“ (ქართლის ცხოვრება IV ტ., 1973: 711). მზექაბუკ ათაბაგი თავისი მმართველობის პირვენ ნახევარში თუ ინარჩუნებს დაბალანსებულ ურთიერთობას ქართლის მეფესთან, ეს დამოკიდებულება დიდხანს არ გრძელდება და მალევე იცვლება. ათაბაგი ააქტიურებს საგარეო პოლიტიკას, რაც ოსმალეთთან დაზავებაში გამოიხატა (მამისთვალიშვილი, 2021: 69).

გვიან შუა საუკუნეებში აწყურის საეპისკოპოსომ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მესხეთის საეპისკოპოსო კათედრათა შორის. მაწყვერელი მღვდელმთავარი უპირატესად ითვლებოდა მესხეთის სხვა ეპისკოპოსებთან შედარებით და შესაბამისად ათაბაგების საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აწყურის ეპარქიას განსაკუთრებული

მნიშვნელობა ჰქონდა. აწყურის საეპისკოპოსოს გაძლიერებას მიზანმიმართულად ცდილობდნენ ათაბაგები, რადგან მათი წარმოდგენით სწორედ მაწყვერელი მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო მესხეთში დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაური. საინტერესოა მზეჭაბუკ ათაბაგის აწყურის ღვთისმშობლისადმი შეწირულობის სიგელი.

ათაბაგი მაწყვერელ სვიმონს და მის შემდგომ მაწყვერლებს სწირავს ზარზმის მონასტერს: „...შემდგომითი-შემდგომად სხუათა საჭეთმპყრობელთა საყდრისა თქუენისათა, დიდი და დიდებული მონასტერი ზარზმა სრულად მისითა შესავლითა...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 36). ათაბაგი იქვე ამატებს: „...თქუენდა შემომიწირავს და მომიხსენებია აჭარულითა და გურიულითა მამულითა და სალუინითა და გამოსავლითა, რითაც წესითა აქამდის უმსახურებია...“.

შეწირულობის სიგელი შინაარსობრივ-იდეოლოგიურად დატვირთულია. ათაბაგი ხაზს უსვამს აწყურის კათედრის სამოციქულოობას: „...რამეთუ ვინათგან სახიერებით და მოწყალებით ინებე პირმშოსა ხატისა შენისა და მისა შენისა სახისა თუით ხელთაგ(ა)ნვე შენთა წმიდისა პირსა შენს ზედა-მიყრდნობით გამოსახულსა, ხელთა წმიდისა ანდრია მოციქულისათა აქა მოსუ(ე)ენება და წმიდასა ტამარსა შენსა აწყურს დამკუიდრება...“. ვფიქრობთ, მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ნარატივის გამეორება და ხაზგასმა, რომ აწყურის კათედრა ანდრია მოციქულის მიერაა დაარსებული და იქ არის დაბრძანებული ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი შემთხვევითი არ არის და წარმოადგენს იდეოლოგიურ ტექსტს. სამოციქულოობა ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ავტოკეფალური ეკლესიის დაარსებისთვის. ანტიოქიის პატრიარქი მიქაელი „მცნებაი სასჯულოიში“ ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო მოციქულთაწორის - წმ. ნინოს მიერ იყო მოქცეული, ხოლო დასავლეთ საქართველო წმ. ანდრიას მიერ: „... (იდრ)ე ნინო, ქართლ[ისა] დედამ(ა)ნ, მოაქცინა ქართლი, მისითა ს(ა)მზლ(უა)რთა აქათი - წ(მიდამა)ნ ან[დრია მოციქულ]მ(ა)ნ ნათლითა მიუაჩრდილებელითა გ(ა)ნ(ა)ნ(ა)თლნ[ა და განას] ურნელნა ყ(ოველ)ნი მორჩილნი სჯ(უ)ლის(ა)ნი...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, 2014: 192). სწორედ სამოციქულოობა მოჰყავს ანტიოქიის პატრიარქს აფხაზეთის საკათოლიკოსოს თვითმწყემსობის ერთ-ერთ საფუძველად. მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ დოკუმენტში სამოციქულოობის ხაზგასმა აწყურის ეპისკოპოსის აღმატებული პატივისა და ღირსების წარმოჩენის მცდელობაა.

დასავლეთ საქართველოში ისტორიულად არსებობდა აფხაზეთის საკათოლიკოსო. 1470-იან წლებში ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის (პატრიარქი 1454-1476 წ.წ.) მიერ გაცემული საბუთი გულისხმობდა არსებულ საკათოლიკოსო ტახტზე ცაიშელ-ბედიელ ეპისკოპოსის იოვაკიმეს კათოლიკოსად აღსაყდრებას და არსებული საკათოლიკოსოსთვის

თვითმწყემსობის კანონიერების დადასტურებას. პატრიარქი მოუწოდებს „მამათა და ძმათა“ დაემორჩილონ კათალიკოსის ლოცვა-კურთხევას. რაც შეეხება სამცხეს, აქ ახალი ადგილობრივი ეკლესიის დაარსება იყო საჭირო, რადგან სამცხის საათაბაგოს ტერიტორიაზე არასდროს უარსებია ავტოკეფალურ თუ ავტონომიურ ეკლესიას. საჭირო იყო „სამცხის ეკლესიის“ მეთაურისთვის შესაფერისი ტიტულის მოფიქრება და ასეთ ტიტულად, როგორც ჩანს, „მღვდელთმთავართ-მთავარი“ მიიჩნიეს. დოკუმენტი ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მხეჭაბუკ ათაბაგი მაწყვერელ მღვდელმთავარს იხსენიებს მღვდელმთავართ-მთავრის ტიტულით: „...ვიკადრეთ და შემოვსწირეთ დიდებულსა საყდარსა თქუენსა და ტაძრისა თქუენისა საჭეთმპყრობელსა, მღრდელთმთავართ მ[თავარსა] სუიმონ მაწყვერელსა და შემდგომითი-შემდგომად სხუათა საჭეთმპყრობელთა საყდრისა თქუენისათა...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 36). მხეჭაბუკ ათაბაგის მიერ გაცემულ საბუთს აქვს ქორონიკონი და 1508 წლით თარიღდება. შეწირულობის საბუთი ცხადყოფს რომ მხეჭაბუკ ათაბაგის მიზანმიმართული საეკლესიო პოლიტიკა, სამცხეში შექმნას დამოუკიდებელი ეკლესია, აქტიურ ფაზაშია 1508 წლისთვის.

„მღვდელმთავართ-მთავრის“ ტიტულით საბუთებში მხოლოდ კათალიკოსს მოიხსენიებდნენ (ქართლის კათალიკოსი „მღვდელმთავართმთავრის“ ტიტულით მოხსენიება ასევე დასტურდება შემდეგ საბუთებში: მცხეთ. საბ. #38 გიორგი მეფის სიგელში სვეტიცხოვლისადმი (1393 წ), მცხეთის საბ. #169 დაწერილი (თბილისის) ამირათ ამირა ლომი სუნღულისძისა სვეტიცხოვლისადმი (1398 წ.), #101 (ნუსხა #3ვ) დაწერილი ულუმპიასი სვეტიცხოვლისადმი (1399-1407 წ.წ.), მცხეთის გუჯარი #106 (ნუსხა. #სპE) დაწერილი ხიმშია ამილახორისა სვეტიცხოვლისადმი (1405 წ.), სიგელი (ხეც, Ad-1839) ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოვლისადმი (1419), 1427-1438 წლებით დათარიღებულ სერაპიონ მაწყვერელის კათალიკოს თეოდორესადმი მიცემულ ერთგულების წიგნი (ხეც, Ad-320)).

მაგალითად 1420-1425 წლებით დათარიღებულ გერასიმე მაწყვერელის ერთგულების წიგნი, ხეც, ფ. AD-522, კათალიკოს მიქაელისადმი: „...ესე წიგნი კადრე და მოგახსენე თქ(უ)ენ, წმიდასა და ქრისტეს მიერ კურთხეულსა მღრდელთმთავართა-მთავარსა ქართლისა ქათალიკოს[ს]ა მიქაელს, კადრეთ და მოგახსენეთ მას ჟამსა, ოდეს მცხეთას მოვე და მაკურთხეთ...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი II, 2013: 131). საინტერესოა 1428 წლით დათარიღებული, სეა, 1448-2243, სიგელი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოვლისადმი, რომელშიც ქართლის კათალიკოსი დავითი „მღვდელმთავართ-უმთავრესის“ ტიტულითაა მოხსენიებული: „და თქუენ, წმიდაო |მღდელთმთავართუმთავრესო ... ქართლისა კ(ათალიკო)ზ[ო]

დავით“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 149-152). ტიტული „მღვდელმთავართ-მთავარი“ ეკლესიის მეთაურისთვის შესაფერისი ტიტულია და სწორედ ამიტომაც გამოიყენა მზეჭაბუკ ათაბაგმა მაწყვერელი მღვდელმთავრის მიმართ, რომელსაც ანტიოქიის პატრიარქმა მისცა უფლება ქართლის კათოლიკოსისგან დამოუკიდებლად ეკურთხებინა ეპისკოპოსები და დაემწყემსა სამცხე (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 40-42). ეპისკოპოსის პატივს, გარდა ტიტულისა, ლიტურგიკული შესამოსელიც გამოხატავს. ბისონს და მიტრას კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიზამდით XIV-XV საუკუნეებიდან მხოლოდ პატრიარქები და გამორჩეული მღვდელმთავრები ატარებდნენ (ჭილაძე, 2019: 349). ბერძნული და რუსული ეკლესიების მსგავსად საქართველოშიც გავრცელდა ბისონისა და მიტრის ტარების ტრადიცია, რომლითაც თავდაპირველად, ექსკლუზიურად მხოლოდ კათოლიკოსები სარგებლობდნენ (ჭილაძე, 2019: 352). რაც შეეხება სხვა მღვდელმთავრების მიერ ბისონის და მიტრის ტარების უფლების მოპოვებას ეს დაჯილდოვებით ან თვითნებობით ხდებოდა. ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოსების გარდა ბისონისა და მიტრის ტარების უფლება უპირველესად მაწყვერელმა და ალავერდელმა მღვდელმთავრებმა მოიპოვეს (ჭილაძე, 2019: 352). XVI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული დოკუმენტით, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხა, სამცხის 13 მღვდელმთავარს შორის „მაწყვერელი გვირგვინ-ბისონიანი არს“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 193).

იკონოგრაფიულ-დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ: „საქართველოს პატრიარქები ბისონის ტარებას იწყებენ XVI საუკუნიდან, ხოლო მიტრისას - XVII საუკუნიდან. ზოგიერთი პრივილეგირებული მიტროპოლიტ-მთავარეპისკოპოსი ბისონსა და მიტრას ან მარტო ბისონს ღებულობს იმავე XVII საუკუნეში, ხოლო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ეკლესიის ყველა მღვდელმთავარი თანდათობით ღებულობს ჯერ ბისონის, ხოლო შემდგომ მიტრის ტარების უფლებას“ (ჭილაძე, 2019: 362). ვფიქრობ, რომ მაწყვერელ მღვდელმთავარს ესოდენ განსაკუთრებული და ექსკლუზიური პრივილეგია, როგორც ბისონისა და გვირგვინის ტარების პატივია, სწორედ XVI საუკუნის დასაწყისში უნდა მოეპოვებინა, როდესაც მზეჭაბუკ ათაბაგმა ანტიოქიის პატრიარქისგან მაწყვერელი მღვდელმთავრისთვის ეპისკოპოსების კურთხევის უფლების მინიჭება შეძლო. 1508 წლით თარიღებულ მზეჭაბუკ ათაბაგის შეწირულობის საბუთში მოხსენიებული „მღვდელმთავართ-მთავარი“ სვიმეონი ტბეთის ყოფილი ბერძენი ეპისკოპოსია, რომელსაც ყვარყვარემ მაწყვერლობა უბოძა (ქართლის ცხოვრება II ტ., 1959: 483). მაწყვერელი მღვდელმთავრისთვის „მღვდელმთავართ-მთავრის“ ტიტულის დამკვიდრება და მიტრა-ბისონის ტარების პრივილეგია თანადროული უნდა

იყოს. ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე მიტრას, ქართლის და აფხაზეთის კათოლიკოსების გარდა, მხოლოდ ალავერდელი და მაწყვერელი მღვდელმთავრები ატარებდნენ (ჭილაძე, 2019: 355), განპირობებული იყო სწორედ იმით, რომ ალავერდელი ცდილობდა კახეთში გამხდარიყო ეპისკოპოსების თავი, ხოლო მაწყვერელი სამცხეში. ვფიქრობ, სწორედ მზეჭაბუკის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს მაწყვერელი მთავარეპისკოპოსის მიერ ბისონისა და მიტრის ტარების უფლების მისაკუთრება.

II მსოფლიო საეკლესიო კრების II კანონის თანახმად, რომელიც ეხება ეკლესიის იერარქთა საქმიანობას და იურისდიქციის საკითხს, განჩინებულია: „ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არ აქვს უფლება გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა“. საეკლესიო კრებები მკაფიოდ განსაზღვრავენ და კრძალავენ ერთი ადგილობრივი ეკლესიის ჩარევას მეორის საქმეებში არცერთ ეკლესიას არ აქვს უფლება ავტოკეფალია მიანიჭოს სხვა ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციაში მყოფ რეგიონს (Милаш, 2001:247-248). მიუხედავად მსოფლიო კრებათა განჩინებებისა, გამომდინარე XVI საუკუნეში შექმნილი რელიგიურ-პოლიტიკური ვითარებიდან, ანტიოქიის პატრიარქისა და სამცხის ათაბაგის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ანტიოქიის პატრიარქი ცდილობს მატერიალური სარგებლის მიღებას, ათაბაგი კი საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებას (ჯავახიშვილი, 1982: 455). მზეჭაბუკმა მოისურვა ანტიოქიის პატრიარქის, დოროთეოს III-ის (პატრიარქი 1497-1523 წ.წ.) მეშვეობით განეხორციელებინა ის, რაც ვერცერთმა მისმა წინაპარმა ვერ შეძლო, კერძოდ, მაწყვერელი მღვდელმთავრისთვის თვითმწყემსობისა და ეპისკოპოსების კურთხევის უფლების მინიჭება. დოროთეოს III-მ გასცა საგანგებო სიგელი, რომლის ძალითაც მაწყველურ მღვდელმთავარს აძლევს უფლებას მცხეთისგან დამოუკიდებლად თავად აკურთხოს ეპისკოპოსები. ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოს III-ს საბუთში არ არის საუბარი რაიმე სახის ისტორიულ არგუმენტებზე, რომლებითაც შეეცდებოდა ანტიოქიის პატრიარქი გაემართლებინა თავისი ქმედება. როგორც ჩანს, განსხვავებით „მცნებაი სასჯულოის“ შემდგენელ ანტიოქიის პატრიარქ მიქაელისგან, დოროთეოს პატრიარქი დიდად არ გარჯილა რაიმე „ისტორიული საფუძვლების“ მოძებნისათვის (დოლიძე, 1970: 241). მან, როგორც „დიდისა ღმრთისა ქალაქისა ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა“ პატრიარქმა, შეასრულა მზეჭაბუკ ათაბაგის მოთხოვნა - „რომლისა ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდსა პატრონისა მზეჭაბუკის მიერ“ - და იმპერატიულად გამოსცა საგანგებო საბუთი, რომლის ძალითაც მაწყვერელ მღვდელმთავარს უფლება მიეცა ანტიოქიის პატრიარქისგან, რომ ქართლის კათოლიკოსის გვერდის ავლით თავად ეკურთხებინა ახალი ეპისკოპოსები

სამცხეში არსებული საეპისკოპოსო კათედრებისთვის: „...ეპისკოპოზნი მისგან ეკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა ჰმორჩილობდენ. და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმწყსებოდენ. და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყუნენ და მაწყევარნი მისნი წყეულ. და მისდა მიგუიციემიეს, მადლითა ღმრთისათა, ხელმწიფებაი შეკრვისა და განხსნისა. და რომელნი აკურთხნეს, კურთხეულ იყუნენ; და რომელნი შეკრნეს, შეკრულ იყუნენ, ამინ..“ (დოლიძე, 1970: 240-241). ამრიგად, მზეჭაბუკ ათაბაგმა თავის მიზანს მიაღწია, სამცხის საათაბაგო ეკლესიურად მოსწყდა ქართლის საკათოლიკოსოს.

ნიკეის I მსოფლიო კრების მე-4 კანონი განსაზღვრავს, რომ ეპისკოპოსის ხელდასხმა ან ხელდასხმის დამტკიცება „ყოველ სამთავროში მის მიტროპოლიტს მართებს“. ამავე კრების მე-6 კანონის თანახმად: „თუ ვინმე მიტროპოლიტის ნებართვის გარეშე იქნეს ეპისკოპოსად დადგინებული, ასეთი პირის მიმართ დიდმა კრებამ განაჩინა, რომ ეპისკოპოსად არ უნდა დარჩეს“. წმიდა მოციქულთა 34-ე კანონი განაჩინებს: „ყოველი ერის ეპისკოპოსები უნდა ცნობდნენ პირველს მათ შორის, აღიარებდნენ მას, როგორც თავს და თავიანთ ძალაუფლებაზე აღმატებული არაფერი მოიმოქმედონ მისი ნებართვის გარეშე“.

მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა თანახმად ქართლის კათოლიკოსი, როგორც ეკლესიის მეთაური, საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით მართალია (მოც. 34; I მსოფ. 4; II მსოფ. 2; III მსოფ. 8; IV მსოფ. 28; ტრულ. 36; ანტიოქ. 9,16,19; კართ.13), თუმცა გვიანი შუა საუკუნეები ის ეპოქაა, როდესაც კანონზე და დადგენილ წესებზე მალა ხშირ შემთხვევაში ვიწრო ფეოდალური ინტერესები დგას.

ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოსის მიერ გაცემული საბუთი უთარილოა. თედო ჟორდანიას 1500-1516 წლებით ათარიღებს, სარგის კაკაბაძე 1502-1515 წლებით, კორპუსში 1510-1515 წლებითაა დათარიღებული, რაც დაკავშირებულია მზეჭაბუკის ოსმალებთან დაზავებასა და ქართლის მეფესთან დაპირისპირებასთან (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 40).

მოცემულობა შეიცვალა მას შემდეგ რაც 1515 წელს მზეჭაბუგ ათაბაგი ჩამოშორდა სამთავროს მართვას და ბერად აღიკვეცა იაკობის სახელით. საათაბაგოში შიდა დაპირისპირების ფონზე ანტიოქიის პატრიარქის მიერ გაცემულმა საბუთმა აქტუალობა დაკარგა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში 1517-1520 წლებით დათარიღებულ ბასილ კათოლიკოსისადმი (კათოლიკოსი 1517-1528; 1529-1531 წ.წ.) გაცემულ, სამცხის ახალი ათაბაგის, მანუჩარის (ათაბაგი 1516-1518 წ.წ.) პირობის წიგნში ვკითხულობთ: „...როგორცა ძუელითგან და პაპისა და მამისა ჩუენისა ჟამშიგან მცხეთისა საყდრისა მამულნი ყოფილიყუნენ და ეპისკოპოზნი და მაწყუერელი თქუენგან საკურთხეველი ყოფილა, და სხუანი სამცხისა

ეფისკოპოზნი, ყოველნივე ისრე თქუენნი სამწყსონი იყუნენ და ისრე დაგამორჩილნეთ...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 40). შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მზეჭაბუკ ათაბაგის საეკლესიო განკერძოების პოლიტიკა სამცხეში მარცხით დასრულდა. ანტიოქიის პატრიარქის მიერ გაცემული საბუთი ფიქტიურ დოკუმენტად იქცა. სამცხის ეპარქიები კვლავ ქართლის კათოლიკოსის იურისდიქციაშია. ათაბაგი ქართლის კათოლიკოსს კვლავ უმტკიცებს იმ თავადებსა და მამულებს, რომლებიც ისტორიულად ეკუთვნოდა (აბულაძე, 1983: 11).

1535-1545 წლებში სამცხეს იმერეთის მეფე ბაგრატ III (მეფე 1510-1565 წ.წ.) განაგებს, მეფის საეკლესიო პოლიტიკა არ გულისხმობდა საეკლესიო განკერძოების წახალისებას (ლომსაძე, 2011: 33). მეფე ბაგრატ III და აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია (კათოლიკოსი 1519-1540-იან წ.წ.) ყოველ ღონეს ხმარობდნენ დასავლეთ საქართველოს ცენტრალიზებისათვის. აფხაზეთის კათოლიკოსმა მალაქიამ, მეფე ბაგრატ III-ის ბრძანებით, 1529 წელს ქუთაისის ეპარქია გაყო სამ ნაწილად. გელათის საეპისკოპოსოს შექმნის წიგნში მალაქია კათოლიკოსი კრულობით ნაწილში წერს: „...ვინცა მშლელ გამოჩნდეს, ანუ სხუათა ადგილთა პატრიარქნი, ანუ, აფხაზეთისა პატრიარქი, ანუ ქართლისა პატრიარქი...კრულ...“ (კაკაბაძე, 1921: 10-11). მალაქია კათოლიკოსის მიერ საბუთში საგანგებოდ „სხვათა ადგილთა პატრიარქების“ მოხსენიება მიუთითებს, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეებში ანტიოქია-იერუსალიმის თუ სხვა პატრიარქების ჩარევის მიმართ, მეფისა და კათოლიკოსის დამოკიდებულებაზე.

ბაგრატმა სამცხეში მნიშვნელოვან კათედრებზე იმერეთის სამეფოდან გადაყვანილი ეპისკოპოსები დასვა (ქართველიშვილი, ქორიძე, 2017: 609-610). იმერეთის მეფე ბაგრატის ინტერესში არ შედიოდა სამცხეში დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1543 წლით დათარიღებული ერთი საბუთი, რომელიც ეხება ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების გაყრას. როგორც დოკუმენტიდან საცნაური ხდება კრებას, რომელსაც საკითხი უნდა გადაეწყვიტა, ესწრება აწყურის ეპისკოპოსი ქრისტეფორეც: „...ძალითა და ბრძანებითა ღ(მრ)თისათა, დავსხედით ჩუენ, მეფეთ მეფე პატრონი ლუარსაბ, დაგვისხდეს გვერ[დ]თა ბატონი კათალიკოზი, ბარათაშვილი იოანე და ქსნის ერისთავი ბატონი შანშე და ამილახვარი ბატონი თაყა და დიასამიძე ბატონი ვარამ და მაწყუ[ქ]რელი ბატონი ქრისტეფორე და ფავლენისშვილი ბატონი დავით და ჯავახისშვილი ბატონი ჯავახ და სააკაძე ბატონი ივანე, ბარათაშვილის ბატონის ფარიშატის და გიორგის და ამათ მამათ მამულის გასაყოფლად...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, 2016: 171-172), როგორც ჩანს ბაგრატის დროს მაწყვერელ მღვდელმთავარსა და ქართლის კათოლიკოსს შორის საეკლესიო ერთიანობის პრობლემა განეიტრალებულია.

მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფე ბაგრატ III დაკარგავს სამცხეს, ოსმალეთი კიდევ უფრო ძლიერდება მესხეთში და XVI საუკუნის II ნახევარში კვლავ იცვლება საეკლესიო ვითარება. 1577 წლით დათარიღებულ ზარზმის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში მაწყვერელი მღვდელმთავარი მოხსენიებულია შემდეგი ფორმით: „მღვდელმთავართ-მთავრობასა ხურციძისა პატრონის მაწყვერელისა სერაპიონისსა“ (ბერიძე, 1970: 71). როგორც ჩანს მაწყვერელი მღვდელმთავარი თავს კვლავ სამცხეში არსებული საეპისკოპოსოების თავად მიიჩნევს. მაწყვერელი მღვდელმთავრის, სერაპიონის, ესოდენ განდიდება ქართლის კათოლიკოსის გავლენების შემცირების შედეგია.

XVI საუკუნის დასაწყისში მზეჭაბუკ ათაბაგის რადიკალური საეკლესიო პოლიტიკის შედეგად ანტიოქიის პატრიარქის მიერ გაცემული საბუთი პრეცედენტულია. ანტიოქიის საპატრიარქოს როლი ქართლის საკათოლიკოსოსგან სამცხის ეპარქიების გამოყოფის საქმეში არსებითია. სწორედ ანტიოქიის პატრიარქმა მისცა ლეგიტიმაცია მაწყვერელი მღვდელმთავრის თვითმწყემსობას - ეპისკოპოსების კათოლიკოსისგან დამოუკიდებლად კურთხევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1983: - აბულაძე ც., „თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
2. ბერიძე, 1970: - ბერიძე ვ., „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1970.
3. ბერძენიშვილი, 1973: - ბერძენიშვილი ნ., „სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნეში“, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, IV, თბილისი, 1973.
4. დოლიძე, 1970: - დოლიძე ი., „ქართული სამართლის ძეგლები“ III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1970.
5. დუმბაძე, 1973: - დუმბაძე მ., მთ. რედ., „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.
6. იოსელიანი, 1908: - იოსელიანი პლ., „საკითხავი სუეტის ცხოველისაი, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“. გამოცემული დ. ს. ს. პლატ. იოსელიანის ქვრივის ანნა ნიკოლ. იოსელიანის მიერ. მსწრაფლ-მბეჭდავი „მომბისა“, 1908.

7. კაკაბაძე, 1921: - კაკაბაძე სარგის, „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, წიგნი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1921.

8. ლომსაძე, 1979: - ლომსაძე შ., „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან ახალციხური ქრონიკები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

9. ლომსაძე, 2011: - ლომსაძე შ., „სამცხე-ჯავახეთი“, გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“, ახალციხე, 2011.

10. მამისთვალიშვილი, 2021: - მამისთვალიშვილი ელდარ, „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“, V, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გორი, 2021.

11. მესხია, 1973: - მესხია შ. (მთ. რედ.), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

12. მეტრეველი, 2000: - მეტრეველი როინ (რედ.), „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2000.

13. პირთა ანოტირებული., 1991 : - პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII ს.ს.-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, თბილისი, 1991.

14. სვანიძე, 1971: - სვანიძე მ., „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII ს.ს.)“, თბილისი, 1971.

15. სურგულაძე, 1991: - სურგულაძე მ., „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

16. ქართველიშვილი, ქორიძე, 2017: - ქართველიშვილი თ., ქორიძე თ., „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, IX, „ქართლისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოთა ურთიერთობების საკითხებისთვის იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ეპოქაში“, თბილისი, 2017.

17. ქართული ისტორიული .., 2013: - „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, II, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2013.

18. ქართული ისტორიული., 2014: - „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, III, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2014.

19. ქართული ისტორიული., 2016: - „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, IV, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2016.

20. ქრონიკები, 1897: - ჟორდანიას თ., ქრონიკები, II, თბილისი, 1897.

21. ქც, 1959: - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959.

22. ქც, 1973: - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

23. შარაშიძე, 1954: - შარაშიძე ქრ., „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები“, მსკი, ნაკვ. 30, თბილისი, 1954.

24. შარაშიძე, 1961: - შარაშიძე ქრ., „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.)“, გამომცემლობა „სსსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი, 1961.

25. ჭილაძე, 2019: - ჭილაძე ილია, „საქართველოს ეკლესიაში სამღვდელთმთავრო ბისონისა და მიტრის დამკვიდრების ისტორიისათვის“, კრ. „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, XI, თბილისი, 2019.

26. ჯავახიშვილი, 1982: - ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III ტ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

27. Блохин, 2014: - Блохин В.С., ИСТОРИЯ ПОМЕСТНЫХ ПРАВОСЛАВНЫХ ЦЕРКВЕЙ». Екатеринбург Информационно-издательский отдел ЕДС. 2014.

28. Милаш, 2001: - Милаш, «Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-Истрийского» / II, пер. с сербского, Изд-во «Отчий дом», Москва, 2001.

**Some New Considerations in the Light of Source,
Historiographic and Ethnological Studies of The Golden Fleece
Phenomenon**

**ზოგიერთი ახალი მოსაზრება ოქროს საწმისის ფენომენის
წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული თუ ეთნოლოგიური
კვლევების შუქზე**

Emzar Kakhidze

PhD in History, Professor at

Batumi Shota Rustaveli State University;

Tel: +995 599 13 79 69

e-mail: emzar.kakhidze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1102-983X>

Abstract: Georgia is considered one of the oldest centers of mining and processing of precious metals in the world. This is confirmed by the reports of Strabo, Marcus Ternetius Varon, Pliny the Elder, Appian, Eustathius of Thessalonica, etc. On the example of Svaneti, it is visible the ancient empirical knowledge in collecting of precious metals using sheepskin. Apparently, knowledge like those is widespread in the civilizations of both the Ancient Near East and the Aegean world. On this matter there are interesting the lines 420-434 of the Sumerian epic *Enmerkar and the Lord of Aratta* (ca. 21st century BC), which still remains obscure for researchers. Based on the context of the existing text, where only the presented words can be recovered from the damaged line: the king picked up an unknown object covered with hair - *munšub*. After twisting the *munšub*, he crushes the obtained material in a pestle like a plant. Here it becomes obvious that we are dealing with an unknown ritual of alchemy which is intertwined with the method of crushing metals. The next lines of the text tell us about the knowledge of obtaining certain *materials, admixtures, and chemical processes*.

Key words: The Golden Fleece in Ancient Eastern sources; Classical and Medieval authors; Ethnographic records preserved in Svaneti.

ემზარ კახიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ტელ: +995 599 13 79 69

ელ-ფოსტა: emzar.kakhidze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1102-983X>

აბსტრაქტი: საქართველო კეთილშობილი ლოთონების მოპოვების და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება მსოფლიოში. ამას ადასტურებს სტრაბონის, მარკუს ტერენციუს ვარონის, პლინიუს უფროსის, აპიანეს, ევსტათი თესალონიკელის და სხვათა ცნობები. საინტერესოა, რომ საწმისზე მსჯელობისას ანტიკური და შუასაუკუნეების ავტორები მაშინვე სვანებს ახსენებენ, რომლებიც მცირე და დიდ მდინარეებში ცხვრისტყავიანი დახვრეტილი ფიცრებით ოქროს აგროვებდნენ. სვანურ ხალხურ გადმოცემებშიც ხშირად გვხვდება ოქროვანი მდინარეების სახელები, იქ ძვირფასი ლითონების მოპოვების ხერხების აღწერები ან ეკლესიებში თუ ჭალებში განძების, ოქროს ნატეხების და სხვ. პოვნის ისტორიები. განძეულობისა და ჩანქერებისა თუ რგოლების თემა პოპულარულია ზედა მაჭახელშიც. აჭარაში განხორციელებული კვლევებით დგინდება, რომ ძველი მელითონეები მსხვილი წარმოების პარალელურად პატარა ზომის გობებსა და უსისტემოდ განლაგებულ წვრილ არხებში მთის ნაკადულებით ჩამორეცხილ ალუვიურ ქვიშრობებში შემავალ ოქროსა და სხვა სახის ფერადი ლითონებსაც აგროვებდნენ. დგინდება, რომ საწმისის ფენომენი ცივილიზირებულმა სამყარომ ანტიკურობამდე გაცილებით ადრე გაიცნო. ჯერ კიდევ ცნობილმა ხეთოლოგმა გრიგოლ გიორგაძემ მიაქცია ყურადღება ხეთების ძველი სამეფოს (ძვ.წ. 1650-1500 წწ) დროინდელ ტერმინ *kurša*-ს, რომელიც შუმეროგრამა უნდა იყოს და *kuš*-იდან - ტყავიდან (იხ. შუმერული მითის „ნანშე და ჩიტების“ 52-ე სტრიქონი) უნდა მომდინარეობდეს. აღმოსავლეთმცოდნე ნინო სამსონიამ დაადგინა, რომ ის *munšub* კომპოზიტის ლურსმულ ნიშანს ემთხვევა, რომელიც ჯერ კიდევ „ენმერქარი და არათას ბატონის“ (დაახლ. ძვ.წ. XXI ს) 423-ე სტრიქონში მოხსენიებულია როგორც „თმით დაფარული“ ხელსაწყო. მისი აზრით, შესაძლებელია, რომ *მუნშუბ* საწმისად მივიჩნიოთ, რომელიც ალქიმის რიტუალში გამოიყენება ოქროსთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ოქროს საწმისი ძველადმოსავლურ წყაროებში; ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორები; სვანეთში დაცული ეთნოგრაფიული ცნობები.

შესავალი: საქართველო კეთილშობილი ლოთონების მოპოვების და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება მსოფლიოში (იხ. ბოჭორიშვილი, 1946: 283-289; ზუხბაია, 1995: 6-8; კვიციანი, 2011: 19-27; ბოჭორიშვილი, 2011: 190-196; Максимов, 1988: 9 და სხვ.), რისი დასტურია ცნობები ოქროს მოპოვების ხერხებზე როგორც ანტიკურ და ბიზანტიელ, ისე

ევროპელ ავტორებთან, აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემები. ცალკე გამოსაყოფია ძველადმოსავლური წყაროები, სადაც, ოქროს საწმისი, მართალია ჩვენი ქვეყნის კონტექსტში არაა ნახსენები, მაგრამ ეს ფენომენი, რომ ბერძნებამდე გაცილებით ადრე უკვე ცნობილია, თვით ეს ფაქტი ძალზედ მნიშვნელოვანია.

მეთოდოლოგია: გამოვიყენეთ წყაროების კრიტიკული ანალიზის, მათი ურთიერთშედარებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერების მეთოდები. სტატის ტექსტზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებთ, აგრეთვე, სვანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალითა და ზედა მაქახელში პირადად შეგროვებული მონაცემებით, რომლის კრიტიკული ანალიზის შედეგად ძირითად ტექსტში, რომელშიც თავის მხრივ გამოყენებულია აღწერილობით-ნარატიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, წარმოვაჩინეთ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის როგორც ქრონოლოგიური, ისე გეოგრაფიული განგრძობითობა.

დისკუსია/შედეგები: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიკურ ლიტერატურაში უხვადაა ცნობები ოქროს საწმისისა და მის მოპოვების ტექნოლოგიებზე. სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ სვანეთის მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქროს ქვიშა, რომლებსაც ადგილობრივები დახვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით აგროვებენ (X, I, 19). მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ.წ. I ს) ხშირად ასახელებს ქრიზოროსას, ოქროს მომტან მდინარეს, მათ შორის თერმოდონტის ქვეყანაში² (I, 10). პლინიუს უფროსის თანახმად, „კოლხებთან მეფობდა სავლაკი, აიეტის შთამომავალი, ამბობენ, რომ სვანეთის ქალწულებრივი მიწიდან ამოიღო ბევრი ვერცხლი და ოქრო. გარდა ამისა მისი მიწა ცნობილია ოქროს საწმისებით“ (NH, XXXIII, 52). ახ.წ. II ს მწერალი აპიანე აღნიშნავს: „აქ მრავალ ნაკადულს ოქროს მქონე ქვიშა ჩამოაქვს, ადგილობრივი მოსახლეობა მათ რეცხავს და სქელმატყლიანი ცხვრის ტყავების მეშვეობით აგროვებს“ (Hist. Romana, I, 103). ახ.წ. XII ს მწერალი ევსტათი თესალონიკელი თავის კომენტარებში მოკლედ იმეორებს სტრაბონის ნაამბობს, თუმცა ოქროს შეგროვების ხერხზე საუბრისას მხოლოდ ცხვრის ტყავს ახსენებს (Eust. Thess. Comm. Hom. II., 1, 19)³.

ცნობილი გერმანელი სამთო მეტალურგი და გეოლოგი გეორგიუს აგრიკოლა 1546 წ გამოცემულ ნაშრომში: *De veteribus et novis metallum*

² აქ ხალიბების მიწა უნდა იგულისხმებოდეს.

³ სწორედ მასთანაა ნახსენები რომ ბერძ. Χάλκας, სპილენძი ეთნონიმ ხალიბის გენეტიკში ჩასმული ფორმიდან - ხალიბადანაა ნაწარმოები (1, 236) და რომ ალიბე ვერცხლის და რკინის სამშობლოა (2, 856).

აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი ძველი ავტორის თანახმად სპილენძის გამოჭედვა და რკინის აღმოჩენა ხალიბებს მიეწერება. აპიანეს და სტრაბონის თანახმად, პატარა და დიდ მდინარეებს ჩამოჰქონდათ ოქროს წვრილი ქვიშა და იქ მცხოვრებნი აგროვებდნენ მათ ტყავების მეშვეობით (Агрикола, 1979: 29, 33). ის ციტირებს მარკუს ტერნეციუს ვარონსაც, რომლის მიხედვით ლიდიასში, ტმოლუსის მთებიდან მოედინებოდა მდ.პაკტოლუსი (თანამ.სართჩაი), რომელსაც ქრიზოროა, ოქროს მომტანი დაარქვეს. ამ სახელის მდინარე ბითონიაში, თერმოდონტის ქვეყანაში და დეკაპოლისში, ისავრიაშიც იყო. კაპადოკიაში ოქროს ქვიშა მდ.თერმოდონტს (თანამ.თერმეჩაი) მოაქვს⁴. სვანები (მათ იბერიელებს ეძახდნენ) ოქროს მცირე და დიდ მდინარეებში დახვრეტილი ფიცრების, რომლის ქვეშ ცხვრის ტყავებს აფენდნენ, მეშვეობით აგროვებდნენ. იქვე ვკითხულობთ: „კოლხეთი ძალზედ მდიდარი იყო ვერცხლით. ალიბა, როგორც ამბობს ჰომეროსი, „ვერცხლის საბადო“ იყო. სტრაბონი თვლიდა, რომ ჰომეროსს ხალიბების ქვეყანა ჰქონდა მხედველობაში“ (Агрикола, 1979: 46).

XVII ს ავტორები: არქანჯელო ლამბერტი (1938: 189), იაკობ რაინგესი (Reineggs, 1796: 138) და ჟან ბატისტ ტავერნიე (1974: 45) კავკასიის მთებში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და სვანეთში ოქროს, ვერცხლის და სხვა ლითონის არსებობაზე მიუთითებდნენ. ჟაკ-ფრანსუა გამბას თქმით, ოქროს მოპოვება სოხუმის მიდამოებშიც ხდებოდა (1987: 85). ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე აღნიშნავდა, რომ ცხენისწყალის და აბამის ქვიშები ოქროს შემცველნი არიან (Dubois de Montpéreux, 1839: 18).

სვანურ ხალხურ გადმოცემებში ხშირად გვხვდება ოქროვანი მდინარეების სახელები, იქ ხშირია ძვირფასი ლითონების მოპოვების ხერხების აღწერები ან ეკლესიებში თუ ჭალებში განძების, ოქროს ნატეხების და სხვ. პოვნის ისტორიები. ოქროს თემა გვხვდება, აგრეთვე, სხვადასხვა თქმულებებში ამირანზე, დალიზე, ლეგენდარულ ქალაქ ნაკდერასა და სხვ. (იხ. ბოჭორიშვილი, 1946: 285-287; ბოჭორიშვილი, 2011: 194-195). XX ს 30-იან წწ დასაწყისში სამთო საქმის ცნობილმა სპეციალისტმა ბორის დეგენ-კოვალევსკიმ ჭუბერის თემში მხატვრულად დამუშავებული ერთი გადმოცემა მოისმინა, რომლის მიხედვითაც წარსულში იქ წიაღისეული მადნით გამდიდარებული ხალხი ცხოვრობდა. სპილენძსა და რკინასთან ერთად ისინი ოქროსაც მოიპოვებდნენ და შორეულ თუ მახლობელ მეზობლებს სხვა საქონელში უცვლიდნენ. საშიშროების დროს ჭუბერელები ოქროსა და ოქროს ნაკეთობებს, მათ შორის ვერძის ნატურალური ზომის გამოსახულებას, ეკლესიაში მალავდნენ (Деген-Ковалевский, 1935: 319-320). მას სვანეთშივე ჩაწერილი აქვს სხვა გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოს ლაჟყვარას მთაზე ქვის სალოცავი იდგა მიწისქვეშა საწყობით, რომელშიც

⁴ აქაც ხალიბების მიწა უნდა იგულისხმებოდეს.

ოქრო ინახებოდა, მასში ოქროს ჯაჭვით ოქროს ვერძი ყოფილა დაბმული (იხ. Иессен, 1935: 189). სვანეთში მართლაც არის ნაპოვნი ჩამოსხმული ოქროს ვერძები (გაბლიანი, 1930). ოქროსაგან გამოძერწილი ხარის ქანდაკება სვანეთიდან დღესაც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხარის ოქრომჭედლობის და, ზოგადად, მეტალურგიის განვითარების არქეოლოგიური მტკიცებულებები ბოლო დროს ფართოდ ჩაეშვა სამეცნიერო მიმოქცევაში (კვიციანი, 2011: 23-27; 2013: 45; 2016: 24).

განძეულობისა და ჩანქერებისა თუ გოლების თემა პოპულარულია ზედა მაჭახელშიც, რაც 2023 წ. 29-30 აგვისტოს სამეცნიერო მივლინებისას, ადგილობრივი მკვიდრისაგან, ნური მალაყმადისაგან პირადად მოვისმინეთ. ის საუბრობდა შანყაიას ჩანჩქერში თამარის მიერ გადამალულ განძზე, მარსკვლავის თუ საკისრიას გოლებზე და სხვ.

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ სამთამადნო საქმინაობის კვალდაკვალ ფერადი ლითონების მეტალურგია აყვანილ იქნა ინდუსტრიულ დონემდე. 2014-2022 წწ აღმოჩენებით სახეზეა ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული მეგალითური კულტურის უნიკალური სახეობა. დასავლეთ საქართველოსა და თანამედროვე ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ოდესღაც მოზინადრე მელითონეებს მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელის თითქმის ვერტიკალურად დაქანებულ კლდე-ფლატეებში სხვადასხვა სიფართისა და სიღრმის ხელოვნური არხ-ჩანჩქერები ამოუკვეთიათ, რითაც წყლის ნაკადის კონცეტრირება და დარტყმის ძალის მკვეთრი გაზრდა ხდებოდა. როგორც წესი, ყველა მათგანს შედარებით სწორ ადგილებში ნაკვეთი გოლ-რეზერვუარები მოსდევდა. სწორედ ამ რეზერვუარებში ფლოტაციის მიზნით განუთავსებიათ მალარობიდან გამოტანილი ფუჭმინარევიანი მადნის ნატეხები. ადრეული საფეხურისთვის ლითონსადნობ ღუმელებში ლღობის პროცესის დაჩქარების მიზნით ამგვარად გასუფთავებული მეტალების დაქუცმაცება სპეციალურად დამზადებულ ქვის სანაყ-გობებში ხდებოდა. მას შემდეგ რაც აღმოსავლურ სამყაროში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება პოლიმეტალებზე, ნოვატორმა მელითონეებმა კვლავაც წყლის ენერჯის გამოყენებით დანერგეს სრულიად ახალი მეთოდები. ადრინდელი კუსტარული ქვის გობების კვალდაკვალ ფლოტაციაქმნილი მეტალის ქურაში ჩამოსასხმელად მომზადების მიზნით აღმართეს ხის სვეტი, რომლის თავზე ჰორიზონტალურად მაგრდებოდა ქანდარისებრი მოძრავი ძელი. მის ერთ ბოლოზე წყალგაუმტარი ჭურჭელი, მეორეზე კი ქვის ურო იკიდებოდა. მუშაობის პროცესის დაწყებისას წყლის გარკვეულ ნაკადს საგანგებოდ გამოთლილი ხის ღარით მიუშვებდნენ ჭურჭლის პირისკენ. დოზირებული ნაკადით ნელნელა ივსებოდა, ქვემოთკენ ეშვებოდა, შესაბამისად ქვის ურო ზემოთკენ მიემართებოდა. ჭურჭელი გავსებისა და კრიტიკულ ზღვართან მიახლოებისთანავე იღვრებოდა, ქვის ურო კი მოწყვეტით ეხეთქებოდა ქვის

გობში ფლოტაციაქმნილ მადნის გოროხ-ნატეხებს⁵. ამგვარად შრომის ნაყოფიერება თითქმის ინდუსტრიულ დონემდე ავიდა (კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016: 26-29, კატ. 21-27; კახიძე, 2019ა: 90-117; 2019ბ: 5-43; 2019გ: 17-58; 2021: 25-37, ტაბ. III/1-3,5, XVI/1-8, XXXIV/6,7, LVI/3-5, LIII/5; Kakhidze, Kakhidze, Chkhatarashvili, 2023: 115-118).

მეტალურგია კოლხეთში იმდენად განვითარდა რომ შუაბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. III ათასწ. ბოლო - II ათასწ. პირველი ნახევარი) ანატოლიელი მეზობლების - ხათების, ანუ პროტოხეთების დაინტერესება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებული მონაპოვრები მახვილაურიდანაა. აქ აღმოჩნდა ხათური კერამიკით გადავსებული ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულით უძრავი კულტურული ფენა⁶, რაც იქ ხათური კოლონიის სავარაუდო არსებობის მტკიცებულება უნდა იყოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უნიკალური მოვლენაა ახლო აღმოსავლეთის და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო არქეოლოგიაში, ვინაიდან ხათური ექსპორტი ასე შორს სხვაგან ჯერ არსადაა დაფიქსირებული.

როგორც ჩანს, ახალი მეგაკულტურა დასავლეთი საქართველოს ყველა რეგიონს, ასევე სამხრეთ შავიზღვისპირეთს (მურღულ-ბორჩხაიდან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამდე განლაგებული ზღვისპირა და გორაკ-ბორცვოვანი ზოლი) მოიცავდა. უფრო მეტიც, წინასწარეული კვლევებიდან ირკვევა, რომ ამ მეგაკულტურის არეალში ექცევა აღმოსავლური ცივილიზაციების ისეთი უძველესი კერა, როგორც იყო ინდოეთი (კახიძე, 2021: 128-142, ტაბ. LXIII-LXIX). თვალთახედვაში არის სხვა რეგიონებიც (ესპანეთი, ავსტრია, კვიპროსი).

დავუბრუნდეთ ისევ ძვირფასი ლითონების მოპოვების საკითხს. ზემოთ განხილულ მეგალითურ ძეგლებზე ხშირად ჩნდება მინიატურული გობები და მათთან დაკავშირებული წვრილი არხები. იკვეთება პოლიმეტალების მეტალურგიის ისეთი კერებიც (ჭარნალის მურვანეთი, ძაბლავეთი), სადაც წამყვან ადგილს ამ სახის კონსტრუქციები იკავებენ. სავარაუდოდ, ძველი მელითონები ვრცელ ტერიტორიაზე მსხვილი ინდუსტრიის პარალელურად უსისტემოდ განლაგებულ მინიატურულ გობებსა და წვრილ არხებში ალუვიურ ქანების შემადგენლობაში შემავალ ოქროსა თუ სხვა სახის ფერადი

⁵ სარფის მეტალურგიული კერის ერთ-ერთ გობში სიგანეზე, in situ ბაზალტის ურო იდო.

⁶ ძირითადად, შედგებოდა წითელი წერნაქით დაფარული სამეთუნეო ნაკეთობებით, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იანი წწ გამოჩნდა. ერთეული ნატეხები ამავე საუკუნის 80-იან წწ სოფ.ქობულეთის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზეცაა (იხ. გოგიტიძე, 1978: ტაბ. LVIII; 1987: 9-10, ტაბ. VII; 2008: 143, 267, 297, ტაბ. 46, 75-76). ბოლო პერიოდში ამ ტიპის კერამიკის რიცხვი მკვეთრად გაიზარდა (კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016: 45-49, ტაბ. 51-59; კახიძე, სურმანიძე, 2019: 48, ტაბ. III/2, 12, 15, 21-22, IV/19). მახვილაურის მსგავსი პროტოხეთური კერამიკა მრავლადაა ანატოლიაში, პირველ რიგში ბოლაჯიოიში.

ლითონის წვრილ კრისტალებსაც აგროვებდნენ. ამ მიზნით უკვე ნახსენები არხ-ჩანჩქერები, გოლ-რეზერვუარები და კლდეში ნაკვეთი ქვის გობებიც გამოიყენებოდა⁷. მეტალურგებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩამდინარე წყლის ნაკადი ღრმა გოლ-გობებსა და გობებში კიდევ უფრო მეტ პოლიმეტალების მარაგს დაუტოვებდა და სწორედ ამიტომაც ქვის გობებს ზოგჯერ თვით კალაპოტშიც აშანდაკებდნენ⁸. ყურადღების გარეშე არ რჩებოდა შედარებით სწორი, მდორე დინებათა ადგილებიც, სადაც საგანგებოდ ეწყობოდა დიდი ზომის თხელი გოლები, მაგალითად ქობულეთის მუნიციპალიტეტში დეხვა-კინკიშას ხეობა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. აბასთუმანი და სხვ. (იხ. კახიძე, 2021: 81-91, ტაბ. XXV-XXXI; Kakhidze, 2021: 66-68; 2022: 467-470).

საინტერესოა, რომ სულ ახლახანს ჩვენმა ავსტრიელმა კოლეგებმა პორტატული აპარატების ლაზერული სხივების გამოყენებით ჰაინრიხ შლიმანის მიერ ტროაში (ე.წ. პრიამოსის განძი), ურის მდიდრულ სამარხებსა და კუნძულ ლემნოსზე აღმოჩენილი საუველირო ხელოვნების შედეგების ლაბორატორიული კვლევები ჩაატარეს. გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ ძეგლების ოქრო, სავარაუდოდ, საქართველოში, მდინარეთა ხეობების მთა-ფერდობებიდან ალუვიური ქანების ჩამორეცხვის შედეგადაა მოპოვებული (Numrich და სხვ., 2023: 10-13).

ექსპორტისთვის განკუთვნილი ბრინჯაოს ზოდები, რომელიც მჭიდრო კავშირშია ოქროს მოპოვებასთან, საზღვაო, სამდინარო თუ სახმელეთო გზებით ტრანსპორტირდებოდა როგორც ევროპაში, ისე ძველ აღმოსავლეთში. ამის დამადასტურებელია შუმერულ და ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ბლომად მიმოხნეული ძვირფასი ლითონების წარმოებასთან დაკავშირებული მითიურ-ალქიმიური თუ მეცნიერული ცოდნა-ჩვევები.

დგინდება, რომ საწმისის ფენომენი ცივილიზირებულმა სამყარომ ანტიკურობამდე გაცილებით ადრე გაიცნო. ამ საკითხზე მომუშავე გერმანელი ასირიოლოგისა და ხეთოლოგის ფოლკერტ ჰაასის ნაშრომს „მაგია და მითები ხეთების სახელმწიფოში“ (Haas, 1977) რეცენზია უძღვნა გამოჩენილმა ხეთოლოგმა გრიგოლ გიორგაძემ (1982: 210-216). განიხილავს რა

⁷ მთავარი დანიშნულებით გაზაფხულ-ზაფხულის შედარებით თბილ დღეებში კავდებოდა, დანარჩენ დროს კი მინიატურული გობებისა და წვრილი არხებისათვის მიკუთვნებული ფუნქციის მატარებელი ხდებოდა.

⁸ ქვის გობების დასაწყისში და მოპირდაპირე მხარეს წვრილი არხები იყო ჩაჭრილი. ნათელია, რომ წიაღისეულის შემცველი უფრო მძიმე მასები გოლში საიმედოდ იძირებოდა, ფუჭი ქანები კი ბოლო არხით გაედინებოდა.

თელიფინუს⁹ და ილუიანქას¹⁰ მითებს, გ. გიორგაძე ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ ოქროს საწმისის კულტი ხათებით დასახლებულ არეალში, ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში იყო გავრცელებული (1982: 212). ის ასევე აკრიტიკებს ფ.ჰაასს (1982: 215-216), რომლის მიხედვითაც წმინდა, სამეფოს მფარველი ცხვრის ტყავის იდეა ანატოლიურია და კოლხეთში ის მიღებულიდან გავრცელდა (Haas, 1977: 114 და შმდ.).

ქართველმა ხეთოლოგებმა ძველი სამეფოს (ძვ.წ. 1650-1500 წწ) დროინდელ *kus* - ტყავის აღმნიშვნელ დეტერმინატივით გამოსახულ ტერმინ *kursā*-საც მიაქციეს ყურადღება. ეს, სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ნივთი, თხის, ცხვრის ან ხარის ტყავისგან მზადდებოდა და მზის დისკოს სახით ოქროთი იყო შემკული. უფრო მეტიც, ის თავად იყო თაყვანისცემის ობიექტი, გვხვდება ღვთაების დეტერმინატივით, მას მსხვერპლს სწირავენ, უსრულებენ რიტუალს. *kursā*-ს ტაძარში ჩატარებული ასეთი კულტმსახურების შემცველი ტექსტი შეიცავს ხათურენოვან ფრაგმენტსაც, რაც მის პროტოხეთურ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს. არის ვარაუდი, რომ *kursā*-სთან დაკავშირებული განახლების სადღესასწაულო რიტუალი თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სცენებთან იჩენს მსგავსებას (დაწვ.იხ. ტატიშვილი, გელაშვილი, 2009: 13-15; ტატიშვილი, გორდეზიანი, 2011: 171-172; გელაშვილი, 2012: 12-47). ოქროს საწმისის ხეთურ იკონოგრაფიას პარალელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც ეძებნება¹¹.

ოქროს საწმისთან დაკავშირებული ხეთური ცნობების კვალდაკვალ, კიდევ ერთმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ ნინო სამსონიამ გაშიფრა შუმერულიც, სადაც, შესაძლოა, ასევე ნახსენები იყოს ოქროს საწმისი.

⁹ აქ საუბარია მუხაზე (ხეთ.ეია) და საკურთხეველზე ჩამოკიდებულ საწმისებზე, წმინდა მინდორზე ამოსულ ხესთან მჯდომ განაყოფიერების ურჩხულზე.

¹⁰ აქ განვითარებული ერთ-ერთი სიუჟეტის თანახმად, ურჩხულის, ილუიანქას მიერ დამარცხებული ამინდის ღვთაება დახმარებას ითხოვს. ქალღმერთი ინარა აწყობს ზეიმს და მოკვდავი ხუფასიას დახმარებით ამარცხებს ურჩხულს.

¹¹ ერთი ხეთური სარიტუალო ტექსტის ფრაგმენტიდან ვგებულობთ, რომ სადღესასწაულოდ “ძალ-კაცები” ცხვრებს რეკავენ *kursā*-ს ტაძარში, ხოლო სხვაგან იკვეთება საწმისის და ირმის კავშირი (იხ.გელაშვილი, 2012: 46-47). აჭარის ძვ.წ. VIII-VII სს დიუნურ დასახლების აღმოჩენებში ასევე დასტურდება მსგავსი მოტივები. ფიჭვნარში, რქისებრი სადგრების, ფალოსების და გველებით მოხატულ თიხის ფილებთან ერთად, ძაღლის თავის გამოსახულებიანი ტერაკოტა აღმოჩნდა, რომელიც ზღვის ღვთაება მესეფეების (ზღვის ადამიანები) კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული (კახიძე, მამულაძე, 2016: 25; ხალვაში, კახიძე, 2023: 179). ციხისძირის თვითმყოფადი გრაფიკით გრავირებული თიხის ჭურჭელი ირმის გამოსახულებით ცხოველთა ნაყოფიერების მფარველი ღვთაების სიმბოლოა (თავამიანი, 2002: 22-25; ხალვაში, კახიძე, 2023: 180).

II ადრედინასტიური ხანის (ძვ.წ. XXVIII-XXVI სს) რეალიების ამსახველ ეპოსში „ენმერქარი და არათას ბატონი“¹² ერთ ბუნდოვან პასაჟში (420-434-ე სტრიქონები) საუბარია ალქიმიის უცნობ რიტუალზე, რომელიც ოქროს საწმისს უნდა შეეხებოდეს: როდესაც მეფე ოქროს მტვერს ჩამობერტყავს - „მუნშუბ-ბეწვიდან“ (*munšub*) გადაგრებით, ნაყავს გობში ქვასანაყით, როგორც მცენარეს, ადუღებს და აცივებს, მასას ასხამს ყალიბში, ხსნის (გაჩეხავს) ყალიბს და ასხამს ზეთს (აპრიალებს). ნ. სამსონიას აზრით, აქ აშკარაა მსგავსება ენგურის ოქროს მოპოვებისა და დამუშავების წესთან. ზოგადად, არათას ციკლის ყველა ეპოსში ნახსენებია ოქროს მტვერი, რომელიც იქ უხვადაა. საბოლოოდ, როდესაც ენმერქარი არათას ქვეყანაზე ინანას დახმარებით იმარჯვებს, ურუქში ძვირფას ქვებთან და წიაღისეულთან ერთად ოსტატებიც გადმოყავს (დაწვ.იხ. Kakhidze, Samsonia, Kakhidze, 2023).

ტერმინი „ტყავი ოქროთი“ სხვა შუმერულ ტექსტშიც გვხვდება. მაგალითად, ძვ.წ. III ათასწლ. შუახანებში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი მითოლოგიური სიუჟეტის „ნანშე და ჩიტების“¹³ 52-ე სტრიქონში საუბარია ძვირფასი ქვებისგან დამზადებულ ჩიტებზე, რომლებიც ტყავი ოქროთია გაწყობილი. ნ. სამსონიამ მიაქცია ყურადღება რომ, ხეთური შუმეროგრამა *kuš* (ტყავი) ემთხვევა *munšub* კომპოზიტის ლურსმულ ნიშანს. აქედან დამომდინარე, შესაძლებელია, რომ ის ცხვრის ტყავად, საწმისად მივიჩნიოთ, რომელიც ოქროსთან კონტექსტშია და ალქიმიის რიტუალში გამოიყენებოდა (დაწვ.იხ. Kakhidze, Samsonia, Kakhidze, 2023).

საგულისხმოა, რომ მეტალურგიის ძველ ეტაპს და მასთან დაკავშირებულ ოქროს მოპოვების ტექნოლოგიები მდგრადობით და განგრძობითობით ხასიათდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ქართველური სამყაროს მიმართებაში ეს ნამდვილად ასე შეიძლება ითქვას. არქეოლოგიური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, უძველესი რკინის წარმოება ისევ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია დაწინაურებული (იხ. გპელიშვილი, 1964: 29-42; გპელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964: 62-93; ხახუტაიშვილი, 1964: 45-58; Хахутаишвили, 1987: 41-163; Khakhutaishvili, 2009: 19-94; კახიძე, მამულაძე, 2000: 53-92; Gilmour და სხვ., 2020: 18-32; Papuashvili, Khakhutaishvili, Kakhidze, 2021: 127-131).

ურარტულ ეპიგრაფიკაში რკინა მხოლოდ ერთხელ, სარდური II (დაახლ. ძვ.წ. 764-735 წწ) კულხაში ძვ.წ. VIII ს 40-იან წწ ლაშქრობასთან კავშირში მოიხსენიება (მელიქიშვილი, 1970: 387). დაახლ. ამავე პერიოდში შექმნილი „შესაქმეთა“, იგივე „დაბადების“ - ხუთწიგნეულის, ძველი ალექსის პირველ თავში (IV, 22) ნახსენებია ასურულ თაბალებთან და ბერძნულ ტიბარენებთან

¹² შემორჩენილია ნეოშუმერულ ასლებში (დაახლ. ძვ.წ. XXI ს).

¹³ ჩვენამდე მოღწეული 6 დაზიანებული დაფა ძველბაბილონური პერიოდით (ძვ.წ. XIX-XVI სს) თარიღდება.

გაიგივებული თუბალ-კაენი (იხ.Латышев, 1947: 11-12 და იქ მით.ლიტ.), რომელიც, „იყო კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა“¹⁴.

ძველბერძნული წერილობითი წყაროები მელითონეობაში პრიორიტეტს მაინც ხალიბების ქვეყანას ანიჭებს¹⁵. რკინა-ფოლადის დამზადების ხალიბური წესის შესახებ ყველაზე საინტერესო ცნობა ფსევდო-არისტოტელეს (ძვ.წ. IV ს) მოეპოვება. ის თავის ნაშრომში „საოცარ ხმათა შესახებ“ აღნიშნავს: „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისოური რკინის წარმოება. იგი, მონათხრობთა მიხედვით, მიიღება მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვიში-საგან. ამ ქვიშას, გადმოგვცემენ ერთნი, უბრალოდ რეცხავენ და ადნობენ, ხოლო მეორეთა მიხედვით, გარეცხვის შემდეგ დანალექს კიდევ რამდენჯერმე რეცხავენ და შემდეგ, უმატებენ რა ცეცხლგამძლე ქვას, რომელიც ბევრია ამ ქვეყანაში, ადნობენ; რკინის ეს სახეობა სხვებზე გაცილებით უკეთესია და არცერთ ქურაში რომ არ გამოიძნოს, სავარაუდოდ, ვერცხლისგან არაფრით იქნებოდა განსხვავებული. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს რკინა არ იქანგება, თუმცა მცირე რაოდენობით მოიპოვება (ΠΕΡΙ ΘΑΥΜΑΣΙΩΝ ΑΚΟΥΣΜΑΤΩΝ, 267, 48).

ხალიბთა განსახლების ტერიტორიაზე რკინის წარმოების კვალი გვიანდელ პერიოდშიც ნათლად ჩანდა. ფრანგ მხატვარსა და კერამიკოსს თეოფილე დეილორს ლაზისტანში 1869 წ მოგზაურობის დროს მთიანი ჭანეთიდან ზღვისპირეთისკენ, კერასუნტ-ტრიპოლისისკენ მიმავალ გზაზე,

¹⁴ საინტერესოა, რომ ძვ.წ. VI ს-ში მოღვაწე წინასწარმეტყველ ეზეკიელთან, ხუთწიგნეულის მე-40 თავში, თუბალი ყოველთვის მეშხებთან (ასურ.მუშქები, ბერძ.მოსხები) ერთადაა ნახსენები (XXVII, 13; XXXVIII, 2-3; XXXIX, 2). ცნობილი ანტიკოსი ვასილი ლატიშევი ფიქრობს, რომ აქ დაახლ. ძვ.წ. VIII ს ამბებია აღწერილი, როდესაც კიმერიელების ზეწოლის გამო ორივე ტომი იძულებული გახდა მცირე აზიის შიდა რაიონებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, კოლხეთისკენ გადანაცვლებულიყო (იხ.Латышев, 1947: 11-12, 22).

¹⁵ ესენოფონტე (ძვ.წ. V ს) „ანაბასისში“ მოიხსენიებს მოსინიკების ქვეშევრდომ ხალიბებს, რომლებიც თავს რკინის დამუშავებით ირჩენდნენ (V, 5, 1); ევრიპიდეს (ძვ.წ. V ს) ტრაგედია „ალკესტიდაში“ მითითებული აქვს „რკინა ხალიბთა ქვეყანაში“ (ΑΛΚΗΣΤΙΣ, 980), ხოლო მისი სქოლიასტი განმარტავს, რომ „ხალიბები ხალხია პონტოში, სადაც არის რკინის მადაროები“; სტრაბონიც (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს), რომელიც ხალიბებს ჰალიდონებთან და ქალდეელებთან აიგივებს, საუბრობს იქ რკინის საბადოებზე, თუმცა, მისი თქმით, უწინ იქ ვერცხლსაც მოიპოვებდნენ (XII, 3, 19-24). ძვ.წ. III ს მოღვაწე აპოლონიოს როდოსელი (II, 373-387, 1000-1008), ისევე როგორც მისი სქოლიასტი (*Comm. Apoll. Rhod.* I, 1323, II, 373, 1005) და ნიკიფორე ბლემიდი (ახ.წ. XIII ს) ხალიბი მეტალურგების მძიმე შრომას საკმაოდ მუქ ფერებში ხატავენ; ხალიბური რკინის ფხიანობასა და კარგ საწრობ თვისებებზე მიუთითებენ ზემოთ ხსენებული ფსევდო-არისტოტელე, ევდოქსე როდოსელი (ძვ.წ. III ს), ესქილეს (ძვ.წ. IV ს) და ლიკიფრონეს (ძვ.წ. IV- III სს) სქოლიასტები, ჰესიქიოს ალექსანდრიელი (ახ.წ. V ს), სტეფანე ბიზანტიელი (ახ.წ. VI ს), ევსტათი თესალონიკელი (ახ.წ. XII ს) და სხვ. (უფრო დაწვ. ამ ავტორებზე იხ. Латышев, 1947: 29-1009).

მდ.ხარშიტის ხეობაში, რომელსაც ტრიპოლი-ჩაისაც ეძახდნენ, სოფ. ყარაჩუქურთან უჩვენეს მრავალი უმოქმედო მადარო, სადაც, ისევე როგორც ახლომდებარე მთებში, რკინის მადნის ნამტვრევები და სამადნე უროები შეაგროვა (Deyrolle, 1871: 18-26). ამ რაიონში რკინის წარმოების ნაშთებზე სხვა გვიანდელი ავტორებიც მოგვითხრობენ¹⁶.

დასკვნა: სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, მთლიანად კავკასია ჯერ ნეოლითური რევოლუციის, შემდეგ კი ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გარდამავალ ეპოქაში ერთ-ერთ მოწინავე რეგიონს წარმოადგენდა. უახლოესი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ საერთაშორისო ბაზარზე ლითონზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის შესაბამისად მიღებულია საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის წყლის ენერჯის გამოყენებით ფლოტაციის, მეტალურგიულ ქურებში ლღობის, სითხედ ქვევის პროცესების ნოვაციური გზები, რომელიც ძვირფასი ლითონების მოპოვება-დამუშავებაშიც გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, უკვე მითოლოგიურად აღარ გვეჩვენება ძველადმოსავლურ და განსაკუთრებით ანტიკურ წყაროებში უხვად დაცული ცნობები ოქროს საწმისზე, რომელიც, როგორც წესი, ძველი კოლხეთის კონტექსტში განიხილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი, 1946: - ბოჭორიშვილი ლევან, ოქრომჭედლობა სვანეთში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII/5, რედაქტორი მუსხელიშვილი ნიკოლოზ, თბილისი, 1946, გვ. 283-289.
2. ბოჭორიშვილი, 2011: - ბოჭორიშვილი ლუბა, ოქრომჭედლობა სვანეთში // სვანეთის ისტორიის ფურცლები, რედაქტორი გუჯჯიანი როზეტა, გამომც. „მპს 2000“, თბილისი, 2011, გვ. 190-196.
3. გაბლიანი, 1930: - გაბლიანი ეგნატე, არქეოლოგიური გათხრები სვანეთში // ჟურნ. „დროშა“, № 19, 1930 (<http://www.saunje.ge/index.php?id=2001>).
4. გამბა, 1987: - გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში: მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-1824 წწ შვედელი გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში, ტ. 1, ფრანგ. თარგ. მზია მგალობლიშვილმა, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1987.
5. გიორგაძე, 1982: - გიორგაძე გრიგოლ, “საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები // თბილისის შრომის წითელი დროშის

¹⁶ იხ. <https://www.dogankent.bel.tr/tarihce>.

ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 227, თბილისი, 1982, გვ. 210-216.

6. გელაშვილი, 2012: - გელაშვილი ნინო, *kursá*-ს განახლების ხეთური სადღესასწაულო რიტუალი, ასიროლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.

7. გოგიტიძე, 1987: - გოგიტიძე სერგო, ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1984 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, რედაქტორი ხახუტაიშვილი დავით, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1987, გვ. 3-13.

8. გოგიტიძე, 2008: - გოგიტიძე სერგო, კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი), გამომც. „მოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008.

9. გმელიშვილი, 1964: - გმელიშვილი იოსებ, აჭარაში 1960-1961 წწ აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნობის გათხრების ძირითადი შედეგები // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, რედაქტორი ბერძენიშვილი ნიკო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 29-44.

10. გმელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964: - გმელიშვილი იოსებ, ხახუტაიშვილი დავით, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, რედაქტორი ბერძენიშვილი ნიკო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 59-96.

11. ზუხბაია, 1985: - ზუხბაია ვალერიან, ქართული ოქრო, გამომც. „საქართველო“, თბილისი, 1985.

12. თავამაიშვილი, 2002: - თავამაიშვილი გიორგი, რიტუალური ჭურჭლები ციხისძირიდან // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, რედაქტორი კახიძე ამირან, ბათუმი, 2002, გვ. 22-27.

13. კახიძე, 2019ა: - კახიძე ამირან, უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში // მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერია), 1, თბილისი, 2019, გვ. 90-117.

14. კახიძე, 2019ბ: - კახიძე ამირან, უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები (ბათუმი, 2018 წ 25-28 ივნისი)“ მასალები, რედაქტორები ტატიშვილი ირინე, კახიძე ამირან, ბათუმი, 2019, გვ. 5-43.

15. კახიძე, 2019გ: - კახიძე ამირან, საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა, უახლესი აღმოჩენები, 2014-2019 წწ) // ბათუმის

არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VIII, რედაქტორი კახიძე ამირან, ბათუმი, 2019, გვ. 17-58.

16. კახიძე, 2021: - კახიძე ამირან, ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი კულტურა (ნოვაციები, გავრცელების არეალი, ძირითადი მახასიათებლები, პერსპექტივები. ძვ.წ. V- II), გამომც. „სამშობლო“, ბათუმი, 2021.

17. კახიძე, მამულაძე, 2000: - კახიძე ამირან, მამულაძე შოთა „ჭოროხის აუზი - კოლხური კულტურის უძველესი კერა, გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2000.

18. კახიძე, მამულაძე, 2016: - კახიძე ამირან, მამულაძე შოთა, აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, გამომც. „სეზანი“, თბილისი, 2016.

19. კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016: - კახიძე ამირან, სურმანიძე ნარგიზ, ნაგერვაძე მალხაზ, აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის კატალოგი, გამომც. „კოლორი“, ბათუმი, 2016.

20. კახიძე, სურმანიძე, 2019: - კახიძე ამირან, სურმანიძე ნარგიზ, მახვილურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები (ბათუმი, 2018 წ 25-28 ივნისი)“ მასალები, რედაქტორები ტატიშვილი ირინე, კახიძე ამირან, ბათუმი, 2019, გვ. 44-55.

21. კვიციანი, 2011: - კვიციანი ზვიად, სვანეთი - ოქრომჭედლობის უძველესი კერა (არქეოლოგიური, გეოლოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები) // ივანე ჯავახიშვილის თბილისის სამელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, რედაქტორები დუნდუა თედო, ჩხარტიშვილი მარიამ, ბოშიშვილი ალექსანდრე, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 19-32.

22. კვიციანი, 2013: - კვიციანი ზვიად, საიუველირო (საოქრომჭედლო) საქმე ძველ სვანეთში // თსუ-ს დაარსებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული: „ინტერდისციპლინარული არქეოლოგია“, 2, თბილისი, 2013, გვ. 41-45.

23. კვიციანი, 2016: - კვიციანი ზვიად, ძველი ჭუბერი // სასწავლო და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (30 აგვისტო - 1 სექტემბერი, მესტია): „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ მასალები, თბილისი, 2016, გვ. 23-24.

24. ლამბერტი, 1938: - ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, გამომც. „ფედერაცია“, თბილისი, 1938.

25. მელიქიშვილი, 1970: - მელიქიშვილი გიორგი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, რედაქტორი მელიქიშვილი გიორგი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 358-391.

26. ტავერნიე, 1974: - ტავერნიე ჟან ბატისტ, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.

27. ტატიშვილი, გელაშვილი, 2009: - ტატიშვილი ირინე, გელაშვილი ნინო, კიდევ ერთხელ საწმისის კულტის შესახებ ხეთურ სამყაროში // ივანე ჯავახიშვილის თბილისის სამელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ეთნოლოგიის შრომები, IX, რედაქტორი კიკნაძე ვაჟა, თბილისი, 2009, გვ. 13-17.

28. ტატიშვილი, გორდეზიანი, 2011: - ტატიშვილი ირინე, გორდეზიანი ლევან, კიდევ ერთხელ ხეთურ-ქართული პარალელების შესახებ // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, რედაქტორები ტატიშვილი ირინე, ხვედელიძე მანანა, გორდეზიანი ლევან, გამომც. „ლოგოსი“, თბილისი, 2011, გვ. 167-180.

29. ხალვაში, კახიძე: - ხალვაში მერაბ, კახიძე ემზარი, 2024: - აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური დახასიათება უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნეამდე // აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, რედაქტორი მალაყმაძე როინ, გამომც. „ფავორიტი“, ბათუმი, 2024.

30. ხახუტაიშვილი, 1964: - ხახუტაიშვილი დავით, კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, რედაქტორი ბერძენიშვილი ნიკო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 45-58.

31. Deyrolle, 1875: - Deyrolle Théophile, Voyage dans le Lazistan et l'Arménie // Le Tour du Monde: Nouveau Journal des Voyages, ed. by Eduard Charton, vol. 29, pp. 1-32.

32. Dubois de Montpéreux, 1839: - Dubois de Montpéreux Frédéric, Voyage Autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, vol. I, Paris: Librairie de Gide, 1839 (http://apsnyteka.org/file/Dubua_de_Monpere_Voyage_autour_du_Caucase_I.pdf).

33. Gilmour, Cox, Erb-Satullo, Kakhutaishvili, Pollard, 2020: Gilmour Brian, Cox Marc, Erb-Satullo Nathaniel, Kakhutaishvili Nana, Pollard Mark, Ancient Colchis and the origins of iron: Interim results from recent field survey work in Guria, western Georgia // Wonders Lost and Found: A Celebration of the Archaeological Work of Professor Michael Vickers, edited by Nicholas Secunda, Archaeopress, Summertown, Oxford, 2020, pp.18-32.

34. Haas, 1977: - Haas Volkert, Magie und Mythen im Reich der Hethiter: Vegetationskulte und Pflanzenmagie, Merlin Verlag, Hamburg, 1977.

35. Kakhidze, 2021: - Kakhidze Amiran, Earliest bronze metallurgy on the territory of southwestern Georgia // *Caucasia Antiqua et Cristiana*, ed. by David Kolbaia, Warsaw, 2021, pp. 59-76.

36. Kakhidze, 2022: - Kakhidze Amiran, The earliest bronze metallurgy on the Georgian side of the south-eastern Black Sea littoral // *Connecting the Ancient West and East: Studies Presented to Prof. Gocha R. Tsetskhladze*, ed. by John Boardman, James Hargrave, Alexandru Avram, Alexander Podossinov, Leuven/Paris/Bristol, CT, 2022, pp. 463-490.

37. Kakhidze, Kakhidze, Chkhatarashvili, 2023: - Kakhidze Amiran, Kakhidze Emzar, Chkhatarashvili Guram, Newly discovered culture centers related to the non-ferrous metals in Eurasia // *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences Tbilisi*, vol. 17, no. 3, 2023, pp. 115-121.

38. Kakhidze, Samsonia, Kakhidze, 2023: - Kakhidze Amiran, Samsonia Nino, Kakhidze Emzar, Innovations in the history of metallurgy of precious metals: legendary Colchis – the cradle of the Golden Fleece // *Proceedings of the International Conference: Perception of Caucasus in Myths and Literature from Antiquity till Contemporaneity, 20-22 September, 2023, Tbilisi (ობიექტები)*.

39. Khakhutaishvili, 2009: - Khakhutaishvili David, *The manufacture of iron in ancient Colchis*, Archaeopress, Oxford, 2009.

40. Numrich, Schwall, Lockhoff, Nikolentzos, Konstantinidi Syvridi, Cultraro, Horejs, Pernicka, 2023: - Numrich Moritz, Schwall Christoph, Lockhoff Nicole, Nikolentzos Kostas, Konstantinidi-Syvridi Eleni, Cultraro Massimo, Horejs Barbara, Pernicka Ernst, Portable laser ablation sheds light on Early Bronze Age gold treasures in the old world: New insights from Troy, Poliochni, and related finds // *Journal of Archaeological Science*, vol. 149, Elsevier, 2023, pp. 1-13.

41. Papuashvili, Khakhutaishvili, Kakhidze, 2021: - Papuashvili Revaz, Khakhutaishvili Nana, Kakhidze Amiran, To the origins of iron production in Colchis (2nd half of the 2nd millennium BC - 1st half of the 1st millennium BC) // *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15/3, Tbilisi, 2021, pp. 127-132.

42. Агрикола, 1972: - Агрикола Георгий, О месторождениях и рудниках в старое и новое время, перевод с немецкого Л.В. Кургановой, вступительная статья, послесловие и общая редакция Михаила Максимова, издательство „Недра“, Москва, 1972.

43. Деген-Ковалевский, 1935: - Деген-Ковалевский Борис, Из истории древней металлургии Кавказа // *Известия Государственной академии истории материальной культуры*, 120, Москва/Ленинград, 1935, сс. 238-420.

44. Иессен, 1935: - Иессен Александр, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе // *Известия Государственной академии истории материальной культуры*, 120, Москва/Ленинград, 1935, сс. 7-237.

45. Латышев, 1947: - Латышев Василий, Известия древних писателей о Скифии и Кавказе // Вестник древней истории, 1-4, Москва, 1947, сс. 8-1028.

46. Максимов, 1988: - Максимов Михаил, Очерк о золоте, издательство „Недра“, Москва, 1988.

47. Хахутайшвили, 1987: - Хахутайшвили Давид, Производство железа в древней Колхиде, издательство «Мецниереба», Тбилиси, 1987.

The Problem of Ethnic-linguistic Relationship between Georgians and Basques from the Point of View of Spanish Authors

ქართველებისა და ბასკების ეთნიკურ-ენობრივი
ურთიერთმიმართების პრობლემა ესპანელ
ავტორთა თვალთახედვით

Avtandil Nikoleishvili

Doctor of Philological Sciences, Professor,
Head of Department of Georgian Philology at Kutaisi
Akaki Tsereteli State University

email: avtandil.nikoleishvili@gmail.com

Tel: +995 577 28 28 61;

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-3339-2778>

Abstract: The problem of ethnic and linguistic kinship of Georgians and Basques has been a subject of considerable interest since ancient times. Starting from the sixth century BC, Greek and Roman chroniclers have expressed very significant opinions regarding this problem. According to many of them, Iberians and Georgians living in the Pyrenees, or the Iberian Peninsula are ethnically and linguistically related people. As for the Georgian chroniclers and writers, the interest in the mentioned problem has been manifested in their thinking since the 8th-9th centuries. According to many of them, the Basque language has a lot in common with Georgian and Caucasian languages in terms of its structure and grammatical categories. The mentioned circumstance essentially determined the fact that the research of the mentioned problem became not only the subject of research of Georgian, Basque, and Spanish scientists, but also one of the main directions of the study of scholars of other nationalities. In this paper, several particularly interesting works are briefly analyzed from this point of view, the authors of which express very important opinions regarding the ethnic and linguistic kinship of Georgians and Spaniards, in particular Basques. These authors are Ruben Mendoza, Francisco López Seivané and Martina Mintegui Bilbao. They emphasize their ethnic and linguistic kinship based on the analysis of the linguistic and socio-ethnographic relationships of the mentioned peoples. As can be clearly seen from the thinking of the named authors, many representatives of Basque and Spanish scholars clearly support the ethnic and linguistic kinship of Georgians and Basques and actively try to find arguments confirming this.

Key Words: Georgians, Basques, Ruben Mendoza, Francisco López Seivane, Martina Mintegui Bilbao.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com

ტელ: +995 577 28 28 61

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-3339-2778>

აბსტრაქტი: ქართველებისა და ბასკების ეთნიკური და ენობრივი ნათესაობის პრობლემა უძველესი დროიდან იყო ქცეული საკმაოდ დიდი ინტერესის საგნად. კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნიდან დაწყებული ამ პრობლემასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ბერძენ და რომაელ მემატანეებს. არაერთი მათგანის აზრით, პირენეის ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე მცხოვრები იბერიელები და ქართველები ეთნიკურადაც და ენობრივადაც აშკარად მონათესავე ხალხებს წარმოადგენენ. რაც შეეხებათ ქართველ ქართველ მემატანეებსა და მწერლებს, აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესი მათ ნააზრევში VIII-IX საუკუნეებიდან ვლინდება. კერძოდ, არაერთი მათგანის აზრით, ბასკურ ენას თავისი სტრუქტურითა და გრამატიკულ კატეგორიათა მსგავსებით ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ და კავკასიურ ენებთან. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ხსენებული პრობლემის კვლევა არა მარტო ქართველ, ბასკ და ესპანელ მეცნიერთა კვლევის საგნად იქცა, არამედ სხვა ეროვნების სწავლულთა შესწავლის უმთავრეს მიმართულებადაც. წინამდებარე ნაშრომში მოკლედ არის გაანალიზებული ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო რამდენიმე ნაშრომი, რომელთა ავტორებიც საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ ქართველთა და ესპანელთა, კერძოდ კი ბასკთა, ეთნიკურ და ენობრივ ნათესაობასთან დაკავშირებით. ეს ავტორები არიან: რუბენ მენდოზა, ფრანცისკო ლოპეს სეივანე და მარტინა მინტეგი ბილბაო. ისინი ხსენებულ ხალხთა ენობრივ და ყოფით-ეთნოგრაფიულ ურთიერთმამართებათა გაანალიზების საფუძველზე ხაზგასმით აღნიშნავენ მათ ეთნიკურ და ენობრივ ნათესაობას. როგორც დასახელებულ ავტორთა ნააზრევიდანაც თვალნათლივ ჩანს, ბასკ და ესპანელ სწავლულთა არაერთი წარმომადგენელი აშკარად უჭერს მხარს ქართველებისა და ბასკების ეთნიკურ და ენობრივ ნათესაობას და აქტიურად ცდილობს ამის დამადასტურებელი არგუმენტების მოძიებას.

საკვანძო სიტყვები: ქართველები, ბასკები, რუბენ მენდოზა, ფრანცისკო ლოპეს სეივანე, მარტინა მინტეგი ბილბაო.

ქართველებისა და ბასკების ეთნიკური ნათესაობის პრობლემა უძველესი დროიდან იყო ქვეული საკმაოდ დიდი ინტერესის საგნად. კერძოდ, პირენეის ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერიელთა შესახებ პირველ წერილობით ცნობებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნიდან დაწყებული ვხვდებით ბერძენ და რომაელ მემატიანეთა ნაწერებში. იბერიის ნახევარკუნძულზე უძველესი დროიდან მცხოვრებ ხალხთა ენათაგან ბასკური ერთადერთია, რომელსაც თავისი შინაგანი ბუნებით ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ და კავკასიურ ენებთან. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ხსენებული პრობლემის კვლევა უკვე დიდი ხანია იქცა არაერთი მეცნიერის შესწავლის უმთავრეს მიმართულებად.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევს ყოველივე ზემოთქმულს აკადემიკოსი შოთა ძიმიგური: „რა თანამიმდევრობაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიელებს შორის, არიან თუ არა ერთმანეთის მონათესავე ქართველი და პირენეელი იბერები, თუ აქ სახელწოდებათა უბრალო თანხვედრაა, - ეს კითხვა აღედრათ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს: მწერლებს, მეცნიერებს, სახელმწიფო მოღვაწეებს... შემდგომს საუკუნეებში ამავე საგანზე თავისი შეხედულებები აქვთ გამოთქმული ძველ სომეხ და ქართველ მოღვაწეებსაც. ეს საკითხი მთელი სიმწვავეით დაისვა ახალ ევროპულ მეცნიერებაშიც.

ამრიგად, აზიისა და ევროპის იბერიელთა ისტორიული, ეთნოლოგიური და ლინგვისტიკური დამოკიდებულების კვლევა საერთაშორისო მეცნიერულ პრობლემათა წყებას განეკუთვნება“ (ძიმიგური, 1978: 69).

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც თავიდანვე გამოიკვეთა აზიელ და ევროპელ იბერიელებთან დაკავშირებით შექმნილ მატთანებსა და სამეცნიერო ნაშრომებში, მათი პირველსაცხოვრისის დადგენაა. აღნიშნული საკითხის გარკვევა იმთავითვე რომ იყო ქვეული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, ეს ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის - აპიანეს (ძვ. წ. II ს.) მიერ გამოთქმული თუნდაც ამ მოსაზრებითაც ნათლად ჩანს: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი (ამათ) ახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახელებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენაო“ (აპიანე, 1959: 159).

აპიანეს მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას რევაზ სირამემ, რომელმაც აღნიშნულ პრობლემას მეტად საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა სათაურით – „ესპანეთის იბერები“ ქართულ მწერლობაში,“ ასეთი განმარტებადელი

შეფასება მისცა: „როგორც ვხედავთ, შესაძლებელ თვალსაზრისთა არჩევანი ფართო ყოფილა: 1. პირველი მოსაზრებით, ესპანეთის იბერების წინაპრები ქართველები არიან. იგულისხმება, რომ ესპანეთში შემდგომ არიან გადასახლებულნი; 2. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი საპირისპირო აზრს გამოთქვამდა: იბერთა საერთო წინაპრები ესპანეთის იბერებია და „აზიის იბერები“ შემდეგ არიან აქეთკენ გადმოსახლებული; 3. სხვა ავტორები კიდევ ამათგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისის დასაბუთებას ცდილობენ: ეს ორი იბერია მხოლოდ და მხოლოდ თანამოსახელეა, მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობსო“ (სირამე, 1980: 17).

შოთა ძიმიგურის აზრით, „ქრონოლოგიურად პირველი ცნობა აზიიდან იბერების მიგრაციის თაობაზე ეკუთვნის ძველ რომაელ მწერალსა და მეცნიერს, პომპეუსის ელჩს ესპანეთში, რომის საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელს ვარონს (II-I საუკ. ძვ. წელთაღრ.), რომლის თხზულება, მართალია, არ შემონახულა, მაგრამ ცნობა დამოწმებულია რომაელი ნატურალისტის - პლინიუსის (I საუკ. ახ. წელთაღრ.) თხზულებაში. აი, რას ამბობს პლინიუსი:

„ვარონი ირწმუნება, რომ იბერები, სპარსელებიც, ფინიკიელებიც, კელტებიც და პუნიკებიც მთელ ესპანეთში განსახლდნენ“ (ძიმიგური, 1978: 70). ამავე მოსაზრების მომხრე იყვნენ აგრეთვე პრისციანი, პლინიუს დიდი, მაქსიმე აღმსარებელი და ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შემდგომ დროს მოღვაწე სხვა მემატიაელებიცა და მეცნიერებიც.

იყვნენ საპირისპირო მოსაზრების გამომთქმელნიც (მეგასტენე, ევსევი კესარიელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ატალიატე...), რომელთა მტკიცებითაც, სინამდვილეში საპირისპირო მოვლენასთან გვექონდა საქმე და აღმოსავლეთში მცხოვრები იბერიელები პირენეის ნახევარკუნძულიდან იყვნენ გადასახლებული.

როგორც ითქვა, მოსაზრება ქართველებისა და ბასკების ეთნიკური და ენობრივი ნათესაობის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით ტექსტებში პირველად VIII-IX საუკუნეებში ფიქსირდება. კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეულ ჯერ-ჯერობით პირველ წერილობით ცნობად უნდა მივიჩნიოთ წმიდა ბასილი კესარიელის (331-379 წწ.) ცნობილი ნაწარმოების - „ექუსთა დღეთაჲს“ ქართული თარგმანი, რომელიც სწორედ VIII-IX საუკუნეებში არის შესრულებული.

აი, რა წერია ხსენებულ თარგმანში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „არა იყო ზღუად, რომელ არს გარეგან ლადირად, და არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე, რომელსა ვერ მიჰკადრებენ მენავენი, რომელი-იგი გარე მოადგს მას ჭალაკსა ბრიტანიადსასა და ქართველთა მათ დასავლეთისათა, არამედ მაშინ დაეზადნეს და განევრცნეს“ (სირამე, 1980: 8).

რევაზ სირამის განმარტებით, დამოწმებული ფრაგმენტის აზრი ასეთია: „თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, ზღვა, რომელიც დღეს ლადირის

ზღვის ირგვლივ; არც ის შემადრწუნებელი უფსკრული იყო, რომელსაც მეზღვაურები უფროსიან ხოლმე, რომელიც ეკვრის ბრიტანეთის კუნძულსა და „დასავლეთის ქართველებს,“ არამედ შემდეგში წარმოიშვა და განივრცო.“

ქრონოლოგიურად ჩვენამდე მოღწეული მეორე ქართული წერილობითი წყარო, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, ათონის ივერთა მონასტრის ღვთისმსახურის - ექვთიმე მთაწმიდელის (955-1028 წწ.) მიერ ქართულად თარგმნილ იპოლიტე რომაელის თხზულებაში თავად მთარგმნელისგან ჩამატებული ის ეპიზოდია, სადაც ბიბლიური იაფეთის მრავალრიცხოვან შთამომავალთა იმ ჩამონათვალში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლდნენ, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები „**კელტ-ქართველნი დასავალისანიც**“ არიან ნახსენები (კეკელიძე, 1956: 172).

ქართველთა და ესპანელ იბერიელთა ნათესაობასთან დაკავშირებით არსებული ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, ადრინდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოშიც რომ ყოფილა ფართოდ გავრცელებული, ამას გიორგი მთაწმიდელის (1009-1065 წწ.) ცნობილი ნაწარმოების - „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრების“ (დაწერილია 1042-1044 წლებში) ის ეპიზოდიც ადასტურებს, რომელშიც აღნიშნულ საკითხზეცაა გამახვილებული ყურადღება.

მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ტექსტიდან: საბერძნეთში, ათონის მთაზე, აგებულ ივერთა მონასტერში ბერად დაყუდებულმა წმიდა იოანემ თორნიკე-ყოფილ იოანეს გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა, „აღიღოს ძე თვისი და რავდენიმე მოწაფენი და ივლტოდეს სპანიად,.... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 54).

მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად იოანემ თანმხლებ პირებთან ერთად საპორტო ქალაქ ავიდოსს მიაშურა, სადაც „სპანიისათა მიმავალი“ ნავის პოვნა სურდა. იქ იგი შეხვდა იმ პიროვნებას, რომელიც „მას ჟამსა მთავრობდა ავიდოსს“ და, როგორც „ფრიად საყვარელ“ მეგობარს, თავისი გულისთქმა გაანდო. ავიდოსის მმართველი მტკიცედ „წინააღუდგა“ იოანეს ამ გადაწყვეტილებას და თხოვა, თავისი განზრახვა მას ბერძენთა მეფისთვის შეეტყობინებინა და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში გამგზავრებულიყო ესპანეთში. მაგრამ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ვგებულობთ, ბერძენთა მეფემ და სამეფო კარის სხვა წარმომადგენლებმა იოანეს ამ განზრახვაზე ხელი ააღებინეს და „დიდითა პატივითა“ და „დიდითა ბოძითა განუტევეს... თვისსა მონასტერსა.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდან ჩანს, გიორგი მთაწმინდელმა თავისი ამ მონათხრობით მიზანმიმართულად მიაპყრო ყურადღება ქართველებისა და ბასკების ნათესაობის პრობლემას და ხაზგასმით აღნიშნა,

რომ შორეულ „სპანიაში“ მცხოვრები „არამცირედნი ერნი“ „ქართველთა ნათესავნი“ არიან. მიუხედავად იმისა, რომ იგი ესპანეთში მცხოვრებ ქართველთა ნათესავი ხალხის ეთნიკურ სახელს არ აკონკრეტებს, დღევანდელი მკითხველისათვის ყოველგვარი დამატებითი არგუმენტების გარეშე დაუეჭვებლად ცხადია, რომ მათში ბასკები იგულისხმებიან და არა რომელიმე სხვა ერის წარმომადგენლები.

გიორგი მთაწმიდელიდან მოყოლებული ტიმოთე გაბაშვილამდე (1703-1764 წწ.) აღნიშნულ საკითხს ქართველ ავტორთაგან აღარავინ შეხებია. თუმცა ხსენებული პრობლემა კვლავაც რომ რჩებოდა იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა ცხოველი ინტერესის საგნად, ამის შესახებ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც ხსენებული საუკუნის 70-იან წლებში ფაქტობრივად მთელი საქართველო მოიარა და ამ მოგზაურობის ამსახველ თავის წიგნში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთ რამ გვიამბო:

კახეთის მეფე თეიმურაზთან გამართულ ნადიმზე მიწვეული სტუმრისთვის გამომშვიდობების წინ მეფეს უკითხავს, როგორ ბრძანდება ჩემი ნათესავი ესპანეთის მეფეო და „ძვირფასი ქვებით მორთული თასით“ შეუსვამს მისი სადღეგრძელო. აი, რა კომენტარი გაუკეთებია შარდენს ამ ფაქტთან დაკავშირებით: „დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი (თეიმურაზი - ა. ნ.) ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან. კაპუცინებს ვკითხე, როგორ ესმის-მეთქი ეს ნათესაობა მთავარს. მათ მიპასუხეს, რომ კლიმენტი მერვემ თეიმურაზისადმი მიწერილ წერილებში იგი ფილიპე მეორის ნათესავად, ხოლო იბერიელები და ესპანელები ძმებად მოიხსენიანო. თეიმურაზი და მისი მემკვიდრეები ამაცობენ ამ ნათესაობით“ (შარდენი, 1975: 349).

რაც შეეხება ტიმოთე გაბაშვილს, ხსენებულ შეხედულებას იგი საღვთისმსახურებლო მიზნით პალესტინასა და საბერძნეთში მის მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტის - „მიმოსღვის“ ყველა ხელნაწერში იმეორებს, რის საფუძველზეც შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ჰიპოთეზა მის დროს საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. კერძოდ, ავტორის თქმით, ეს მოსაზრება მისთვის ცნობილ ბერძენ სწავლულს - ევგენიოსს გაუცვნია, ტიმოთეს შეფასებით, „დიდ ფილოსოფოსს, ევროპიას ძვირად სადმე პოვნისს ვინმეს შესაძარად მისსა.“

ტიმოთეს შეკითხვაზე: “ვითარ და რასათვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანიელთაა ქართველი?” ევგენიოსს ასეთი პასუხი გაუცია: „იგი უძველესისა ბრძნისა ვისმე მელეტეოზისა წიგნისაგან აღმოიკითხევა და გვეტყოდა, ვითარმედ ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად, და კვალად ჟამთა ოკრებასა ქართლისასა

ქართველნი მეფე და დიდებულნი წარსულან შპანიად, და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება” (გაბაშვილი, 1956: 50).

როგორც ტიმოთეს მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართველთა და ესპანელთა ნათესაობასთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვევით იგი საბერძნეთში წასვლამდეც ყოფილა დაინტერესებული. კერძოდ, აი, რას წერს მწერალი ამასთან დაკავშირებით: „აღმომეკითხა წერილთა შინა ჩემთა, ვითარმედ ბერძნულისაგან სპანთა ენათა ზედა ვსთარგმნეო, ქართველნი მთარგმნელნი წერენ (ქართულთა უწესენ შპანიად), ამისთვის ვკითხვედი ევგენიოს. ხოლო იგი განგვიმარტავდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი; და კვალად შპანიელნი წარსულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთარს სახელი ენაცვლებიან” (გაბაშვილი, 1956: 54).

ქართველებისა და ბასკების ეთნიკურ და ენობრივ სიახლოვეზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა საქართველოში ნაცხოვრები ბასკი მწერლის - მარტინა მინტეგი ბილბაოს შესახებაც უნდა ითქვას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მისი წიგნი - „ჩემი ბასკეთი,“ რომელიც მას მის პირვანდელ სამშობლოში - ბასკეთში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე აქვს დაწერილი.

როგორც მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია, ესპანეთში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო სამშობლოდან 1937 წელს, ათი წლის ასაკში, ყოფილ საბჭოთა კავშირს თავშეფარებულ მარტინას ესპანეთში სტუმრად გამგზავრების უფლება პირველად მხოლოდ 29 წლის შემდეგ, 1966 წელს, მისცეს ერთი თვით, მეორედ კი, ესპანეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვიდან გამომდინარე, მშობლიურ ბასკეთს იგი სამი წლის მერე ესტუმრა თვენახევრის განმავლობაში.

მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნისადმი ქართველ მკითხველთა მხრიდან გამოვლენილი მძაფრი ინტერესი არსებითად განაპირობა ფართოდ პოპულარულმა ჰიპოთეზამ ქართველთა და ბასკთა ეთნიკურ და ენობრივ ნათესაობასთან დაკავშირებით. თავისი ესპანური შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს „ჩემი ბასკეთის“ ავტორი, ბუნებრივია, არც ამ პრობლემას ტოვებს უყურადღებოდ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც გვაწვდის საგულისხმო ცნობებს.

მაგალითად, წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ მას ტელეფონით შეხმიანებია აკადემიკოსი აკაკი შანიძე და სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ უთხოვია მასთან შეხვედრა. აი, როგორ იხსენებს თავად მწერალი ამ შეხვედრის ამბავს: „პატივცემულ აკადემიკოსთან სამი საათი მაინც დაყვავით.

მან ჩემს წიგნს დადებით შეფასება მისცა. წიგნის თაროდან რამდენიმე ბასკური წიგნი გადმოიღო...

აკადემიკოსი გველაპარაკა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობისას, საშუალება რომ ჰქონოდა, სურდა ბასკური და ქართული ენების ურთიერთობის საკითხებზე ემუშავა. როდესაც ესპანელი ლტოლვილები 1937 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს, გადაწყვეტილი ჰქონია ერთი ბასკური ოჯახისთვის მასპინძლობა გაეწია, თავის სახლში დაეყენებინა, მათგან ბასკური ენა ესწავლა, მაგრამ მაშინ ეს ამბავი ვერ მოხერხდა“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 86).

როგორც მარტინა მინტეგის მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, იგი არა მარტო ზოგადად ემხრობოდა იმ თეორიას, რომ ბასკები და ქართველური ტომები ეთნიკურადაც და ენობრივაც მონათესავე ხალხებს წარმოადგენენ, არამედ თავადაც ცდილობდა არაერთი კონკრეტული არგუმენტიც მოეტანა ამის დასტურად. მისი მონათხრობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ბასკები ეროვნული თვალსაზრისით მრავალგზის ქცეულან დევნა-შევიწროების მსხვერპლად, მათ მაინც შეძლეს თავიანთი ეთნიკური და ენობრივი ინდივიდუალობის დაცვა და შენარჩუნება.

მაგალითად, თავის პირვანდელ სამშობლოში ხანგრძლივი დროით განშორების შემდეგ სტუმრად ჩასული მწერალი მწვავედ განიცდიდა იმ ფაქტს, რომ მას ბასკური ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა. მშობლიური ენის არცოდნას კი ბასკები ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ, რადგანაც სწორედ ეს ენა წარმოადგენს მათთვის ერთმანეთთან დამაკავშირებელ უმთავრეს ენობრივ საშუალებას. თავად მწერლის ხაზგასმით, მშობლიური ენისადმი მათი ამგვარი ერთგულების ნათელ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ერთადერთი საყვედური, რომელსაც მას ბასკეთში სტუმრად ყოფნის დროს დაუფარავად ეუბნებოდნენ ახლობლებიცა და იმხანად გაცნობილი თანამემამულეებიც, მის მიერ ბასკური ენის უცოდინარობასთან იყო დაკავშირებული.

აი, რას წერს თავად მარტინა ამასთან დაკავშირებით: „ბასკები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, აუცილებლად ბასკურად ლაპარაკობენ. როგორ სწყინდათ ახლად გაცნობილ მეგობრებს, როდესაც გაიგებდნენ, მე ეუსკერა (ბასკური - ა. ნ.) რომ არ ვიცოდი“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 53).

ბასკებსა და ქართველებს შორის არსებულ ეთნიკურ ნათესაობაზე საუბრის დროს მარტინა მინტეგი ბილბაო ამ ნათესაობის წარმომჩენ რამდენიმე ნიშან-თვისებასაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას. მაგალითად, მას ამ ნათესაობის სწორედ ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებად მიაჩნდა ის სიახლოვე, ბასკურ და ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის რომ შეინიშნება ცხადად და აშკარად. აი, რას წერს თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით: „შვიდკაცას გახსენებამ და ღვინომ

სიმღერის ხასიათზე დააყენა ინიაკი, სილვესტრე და ხოსე. სამხმიანი ბასკური სიმღერა წამოიწყეს. ბევრი რამ ნაცნობი მომესმა მათ სიმღერებში. განსაკუთრებით ერთი მათგანი ძალიან ჰგავდა გურულ სიმღერას:

სამნი ძმანი გურულები
მუშაობდნენ ყანასა...

ეგებ მომეჩვენა, არ ვიცი. ეს კია, ბასკური სიმღერაც სამხმოვანია“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 72).

ბასკთა და ქართველთა ეთნიკური ნათესაობის წარმომჩენ მხარედ მარტინა მინტეგი ბილბაო მათი გარეგნული იერსახის მსგავსებასაც მიიჩნევდა და აღნიშნავდა: „ბასკები გარეგნობით ძალიან ჰგვანან ქართველებს. მეც საქართველოში ქართველ ქალში ვერ მარჩევენ. ბასკი ფიცხი და მოუსვენარია, ხმამაღლა ლაპარაკობს. სათქმელი თუ ვერ გაგაგებინა, ხელების მოშველიებაც უყვარს. სტუმრისთვის არაფერს დაზოგავს. ბასკები გულადები არიან. ეს სამოქალაქო ომის დროსაც დაამტკიცეს, როდესაც მთელი ბასკეთი რესპუბლიკელთა მხარეზე იბრძოდა; ბასკმა არც შიში იცოდა, არც უკან იხევდა, სიმღერით იმარჯვებდა და სიმღერითვე კვდებოდა“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 73).

მართალია, ავტორის მიერ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების რომელიმე ხალხისთვის პრიორიტეტულად მიკუთვნება მეტად პირობითია, მაგრამ ქართველი და ბასკი ხალხების ისტორიული ყოფიდან გამომდინარე, მათი ეროვნული ინდივიდუალობის განმსაზღვრელ თვისებებად აღნიშნულ სახასიათო თვისებებზეა ხაზგასმად არა გვგონია რეალურ საფუძველს მოკლებული მსჯელობის ნაყოფს წარმოადგენდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-ბასკურ ეთნიკურ და ენობრივ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ პრობლემათა შესწავლა საქართველოში ტიმოთე გაბაშვილის შემდგომ პერიოდშიც იყო ქცეული ინტერესის საგნად, ქართველ მკვლევართა მიერ ამ მიმართულებით გამოვლენილმა ინტერესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან შეიძინა. კერძოდ, 1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან დაარსდა „ბასკური ენისა და კულტურის შესწავლის ხელშემწყობი საზოგადოება“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბასკური ენის სწავლებასაც ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ქართველ ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა ცალკეული წარმომადგენლები აქტიურად იკვლევენ ქართულ-ბასკურ და ბასკურ-კავკასიურ ენობრივ და ისტორიულ მიმართებათა პრობლემურ საკითხებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ-ბასკურ პრობლემასთან დაკავშირებით ქართველ სწავლულთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ამ პრობლემით დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის ადვილად ხელმისაწვდომია, მათ შესახებ მსჯელობას მეტად აღარ გავაგრძელებ და

ქვემოთ წარმოგიდგენთ ამასთან დაკავშირებით ესპანურ ინტერნეტსაიტებზე განთავსებული რამდენიმე ტექსტის თავისუფალ თარგმანსა და ანალიზს. მათ მოძიებასა და ქართულად თარგმნაში დამეხმარა მადრიდის (ესპანეთი) „კომილას პონტიფიკალის“ (Pontificia de Comillas) უნივერსიტეტის სტუდენტი სებასტიან (საბა) გილენ-ნიკოლეიშვილი.

ფრანცისკო ლოპეს სეივანე (Francisco López-Seivane) - მწერალი, ჟურნალისტი და მოგზაური. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მოგზაურობასთან დაკავშირებული თავისი შთაბეჭდილებები მან საინტერესოდ გვიამბო წიგნში - მომთაბარის ქრონიკები“. ავტორისეული მონათხრობისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში ქართულ-ბასკურ ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც უჭირავს საგულისხმო ადგილი. ამ ინტერესის გამოვლინებას წარმოადგენს ისიც, რომ იგი მონაწილეობას იღებდა რადიო Euskadi-ის (ბასკების ენის) გადაცემებში "La Casa de la Palabra" (სიტყვების სახლი) (<https://blogs.eitb.eus/rogeblasco/2012/04/29/Francisco-Iopez-seivane-de-la-montana-palentina-a-los-confines-del-globo>).

საქართველო - ბასკების აკვანი? : საქართველოში ჩემი მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი რამ იყო ჩვენი საერთო წინაპრების - იბერების აღმოჩენა. როგორც ომის შემდგომი დროის ყველა ესპანელს, ბავშვობაში მეც მასწავლეს, რომ პირენეის ნახევარკუნძულის პირველი დამსახლებლები იყვნენ კელტები და იბერები. კელტები ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ, იბერები კი სამხრეთიდან მოვიდოდნენ...

მათ, ვინც აქ მოდის ამ პრობლემის გასაცნობად, მე ვურჩევდი, რომ გადახედონ ჩემს წინა მატიანეს, სადაც მე ვახსენებ იბერიელების წარმომავლობას... ეს საკითხები მე უკვე გავაფართოვე ჩემს წიგნში „მომთაბარის ქრონიკები“ (2022 წ.). მაგრამ მკითხველთა ინტერესმა მიბიძგა, რომ აქაც გამემეორებინა. როგორც ჩანს, კელტები და იბერები ჩვენს ნახევარკუნძულზე აღმოსავლეთიდან მოვიდნენ, თუმცა ოფიციალურ ვერსიას იბერიელთა წარმოშობასთან დაკავშირებით ამჟამად ესპანეთში სძინავს ისტორიული განუსაზღვრელობის გაურკვეველობაში.

ამ პრობლემის გასარკვევად ვისარგებლე ჩემი ბოლოდროინდელი ყოფნით საქართველოში, მეორე იბერიაში... ჩემი გამოკვლევის შედეგები ღიად ტოვებს ბევრ კითხვას, რომლებიც სპეციალისტებმა რაც შეიძლება მალე უნდა განგვიმარტონ.

საქართველოს დიდი მდინარეა მტკვარი... როგორც ეს ხდება ყველა დიდ მდინარესთან, იგი იყო ცივილიზაციების აკვანი და რეგიონის ყველაზე შერეული მცხოვრებლების, განსაკუთრებით კი იბერიელების, დასახლების ადგილი (იბერი ნიშნავს მდინარეს). ბერძნები დღევანდელი საქართველოს

უმეტეს ნაწილს იბერიას (იბერთა ქვეყანას) უწოდებდნენ. ასევე უწოდებდნენ ჩვენს ნახევარკუნძულსაც...

საქართველოში საკმარისია ესპანელად მიგიჩნიონ, რომ ისე მოგესალმონ, როგორც შორეულ ბიძაშვილს.

და ეს არ არის ახალი ამბავი. ჯერ კიდევ XI საუკუნეში რელიგიურმა მწერალმა, ათონელმა ბერმა გიორგი მთაწმინდელმა ჩაიწერა ქართველი დიდებულების სურვილი დასავლეთ იბერიის ნახევარკუნძულზე წასვლისა იქ მცხოვრები ქართველების მოსანახულებლად...

აქ ყველა დარწმუნებულია, რომ ბასკები კავკასიური იბერიული ტომებიდან მოდიან. ისინი ენდოგამურად ცხოვრობენ თავიანთ მთებში და არც რომანიზებულნი არიან და არც სხვა ხალხებთან შერეულნი, რითაც ინარჩუნებენ თავიანთ ენას... მრავალი ცნობილი სპეციალისტის აზრით, აშკარად ჩანს, რომ ბასკი ხალხი შედგებოდა იბერიული ტომებისგან, რომლებიც აქ კავკასიის რეგიონიდან არიან მოსული და ნახევარკუნძულის ჩრდილოეთის მთებში დასახლებული. ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მახასიათებლები, რაც მათ განასხვავებს ნახევარკუნძულის დანარჩენი მცხოვრებლებისგან, უფრო მეტად განპირობებულია იმით, რომ ისინი ცხოვრობდნენ სხვა ხალხებთან შეურევლად.

ჩემს წინა მატეიანეში მე ავხსენი, რომ ნიკო მარი, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, მამით შოტლანდიელი, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში უჭერდა მხარს იმ მოსაზრებას, რომელიც დადასტურდა მრავალი ამჟამინდელი ესპანელი არქეოლოგის აღმოჩენებით იმასთან დაკავშირებით, რომ იბერებმა ესპანეთში შემოიტანეს ცოდნა და ტექნიკა, რამაც საშუალება მისცა აქ მცხოვრებ ხალხებს, ნეოლითის ხანაში ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით დაემკვიდრებინათ ლითონის დამუშავების კულტურა.

ამ მოსაზრებას იზიარებდა ბარსელონას უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ლაბორატორიის პროფესორი მიგელ ფუსტე (1919-1966 წწ.), ავტორი 1950-იან წლებში ურბიოლას გამოქვამულში (მდებარეობს ბასკეთის რეგიონში მდებარე პროვინცია ნავარაში) ნაპოვნ ადამიანთა ნაშთების ანალიზის საფუძველზე. იგი, როგორც ანთროპოლოგი, სპეციალიზებულია პრეისტორიული ადამიანის ნაშთების შესწავლაში, განსაკუთრებით კატალონიური ქვეყნებიდან (<https://www.encyclopedia.cat/gran-enciclopedia-catalana/miquel-fuste-i-ara>).

ამ ადამიანთა ჩონჩხები, რომლებიც შესანიშნავ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აღმოაჩინეს ნეოლითის ხანის სპილენძის მაღაროში, რისთვისაც მათ "მწვანე კაცებს" უწოდებდნენ იმის გამო, რომ ამ ადამიანთა ნაშთები სპილენძის მარილებით იყო დაფარული. სავარაუდოდ, ისინი მეწყრის მოვარდნის შედეგად დაიღუპნენ. პროფესორ ფუსტეს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ურბიოლას სამკვალეში იყო სულ მცირე ოცდათხუთმეტი

ადამიანის ნაშთები, რომელთა სამოცი პროცენტი არასრულწლოვანი იყო. მათი უმეტესობა ეკუთვნოდა ხმელთაშუა ზღვის მკვიდრთა ტიპს. ისინი მრავლად სახლობდნენ ებროს ხეობაში (მდებარეობს იბერიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით), დანარჩენი ნაწილი კი დასავლეთ პირენეის ტიპს მიეკუთვნებოდა.

მათთან ერთად ფუსტემ გამოყო მესამე ჯგუფიც სომხური ან კავკასიური ტიპის ადამიანებისა. ეს უკანასკნელი ალბათ შეესაბამებოდა ლითონის მამიებელთა მცირე პოპულაციას, რომელიც დამკვიდრდა მთელ ნახევარკუნძულზე ბრინჯაოს ხანის ბოლოს.

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ნეოლითის ხანის ეს იდუმალი მოგზაურები აღმოსავლეთიდან მოვიდნენ და ასევე გამოჩნდნენ ჩრდილოეთ ესპანეთის სხვა გამოქვაბულებშიც. მათი საქმიანობა თითქმის ყოველთვის იყო დაკავშირებული სპილენძის მოპოვებასთან. ასე რომ, ჩრდილოეთ ესპანეთში, განსაკუთრებით კი ბასკეთის ქვეყანაში, მეტალურგიულ მრეწველობასთან დაკავშირებული ბუმი შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა.

ფრანგი მეცნიერი ალექსანდრე ბოდრიმონი (1806-1880 წწ.) თავის მხრივ ამტკიცებს, რომ "დასავლეთის იბერები ემიგრაციაში წავიდნენ კავკასიიდან და თავიანთ ახალ ტერიტორიას იბერია დაარქვეს", ხოლო ფილიპონი, ამ საკითხის კიდევ ერთი აკრედიტებული მკვლევარი, უფრო შორს მიდის და ცდილობს დაამტკიცოს, რომ „იბერიელები აპენინებზე მისვლისას გაიყვნენ ორ დიდ ჯგუფად. ერთი მათგანი დამკვიდრდა იტალიის ნახევარკუნძულზე, მეორე კი გალიაში წავიდა (მოიცავდა საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ბელგიის, შვეიცარიის, ნიდერლანდებისა და გერმანიის ტერიტორიათა გარკვეულ ნაწილებს) და შეაღწია პირენეის ნახევარკუნძულის ორ ფერდობზე“.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა გრეტა ჩანტლაძემ მომცა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მინიშნება ბასკების წარმომავლობის შესასწავლად. იგი ამ უნივერსიტეტში მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბასკოლოგიის კათედრას.

როგორც ცოცხალ ქვიშაში, ისე შევდივარ ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო ამ მოვლენათა არსში. მირჩევნია, ფრთხილად გავზომო ჩემი ნაბიჯები და დავიმალო ცნობილი ქართველი ბასკოლოგის, პროფესორ ჩანტლაძის ავტორიტეტის ჩრდილში. მან მთელი თავისი ცხოვრება ბასკი ხალხის წარმოშობის შესწავლას მიუძღვნა. თავისი კვლევების შედეგად პროფესორმა გრეტა ჩანტლაძემ ბასკებისა და კავკასიელების დაკრძალვის რიტუალებს შორის ისეთი მსგავსება აღმოაჩინა, რომ ეთნოლოგიური სფეროს შესწავლა სრულად სცილდება მხოლოდ ტიპოლოგიურ რიტუალს. „როგორც ბასკეთში, ისე საქართველოში უძველესი ჩვეულებაა: როცა ვინმე კვდება, ღვინოს მიწაზე და საფლავზე ასხამენ. ასევე - ორივე ტრადიციაში ჩნდება ხე,

როგორც შუამავალი სხვა სამყაროსთან (ხეს რგავენ, როცა ვინმე იზადება და ჭრიან, როცა კვდება)“, - წერს იგი.

დიდმა გერმანელმა ენათმეცნიერმა ვილჰელმ ჰუმბოლდტმა (1767-1835 წწ.) დატოვა ფუნდამენტური ნაშრომები ბასკოლოგიაზე. იგი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამტკიცებდა, რომ იბერებმა (ბასკებმა) დატოვეს კავკასია, გადალახეს მცირე აზია და წავიდნენ ემიგრაციაში დასავლეთით.

ბასკ ისტორიკოსებს შორის ფართოდ არის მიღებული თეზისი ბასკთა კავკასიური წარმომავლობის შესახებ. როგორც ითქვა, გამოჩენილი მეცნიერი ნიკო მარი (1864-1934 წწ.), ავტორი თეორიისა იმის შესახებ, რომ კავკასიური, სემიტური და ბასკური ენები საერთო მარაგიდან მოდის, იბერებს და ბასკებს ძმურ ერებად თვლიდა. უფრო მეტიც, მან გაზედა დაეკონკრეტებინა ის მარშრუტი, რომლითაც ბასკი/იბერიელი ემიგრანტები გაემართნენ მტკვრის ხეობის გაყოლებით, მიჰყვნენ რიონს შავ ზღვამდე და შემდეგ გაემართნენ ამ ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთით, გადაკვეთეს აფხაზეთი, დატოვეს კავკასია და წავიდნენ პირენეის ნახევარკუნძულისკენ, სადაც მათზე უფრო ადრე უკვე იყო დამკვიდრებული ბევრი იბერიელი. სხვა ისტორიკოსები მიუთითებენ იმის შესაძლებლობაზეც, რომ ასევე არსებობდა მეორე მარშრუტიც, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე გადადიოდა.

ენგელსმა დაადგინა, რომ იბერები, წინამორბედებისგან განსხვავებით, თავიანთ მიცვალებულებს ზურგზე მწოლიარეს მარხავდნენ. სწორედ ასეთ მდგომარეობაში იპოვეს მათი მრავალი ჩონჩხი და თავის ქალები, რამაც შესაძლებელი გახადა ამ ადამიანთა სხეულის ფორმის აღდგენა. იბერები იყვნენ მოკლე აღნაგობისა, ჰქონდათ წაგრძელებული თავის ქალა, ვიწრო შუბლი, წარბებისა და ლოყების გამოკვეთილი ფორმა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბასკები ამ რასის ამჟამინდელი წარმომადგენლები არიან. ენგელსის აზრით, ნეოლითურ პერიოდში ისინი არა მხოლოდ ესპანეთში, არამედ საფრანგეთშიც, ინგლისშიცა და გერმანიაშიც სახლობდნენ.

როგორც დამოწმებული მოსაზრებებითაც ჩანს, არაერთი ცნობილი სპეციალისტის აზრით, ბასკები პირენეის ნახევარკუნძულზე მოსული არიან კავკასიის რეგიონიდან, სადაც დასახლებული უნდა ყოფილიყვნენ ამ ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე მთებში. თავიანთი ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მახასიათებლებით ეს ადამიანები განსხვავდებოდნენ ნახევარკუნძულის დანარჩენი მცხოვრებლებისგან, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ცხოვრობდნენ ენდოგამურად, სხვა ხალხებთან შერევის გარეშე.

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ის მოსაზრებაც, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის მქონე ერთ-ერთი ესპანური ორკესტრის დირიჟორმა რამონ ტორელიდომ, აღნიშნულ პრობლემასთან სრულიად დაუკავშირებელმა პიროვნებამ, მითხრა კავკასიის რესპუბლიკებში გამართული კონცერტებიდან დაბრუნების შემდეგ: „გაოცებული დავრჩი,

როცა იქაური ხალხური მუსიკა მოვისმინე. მას ისეთივე რიტმი ჰქონდა, როგორც ბასკურ სორციკოს (იგულისხმება ბასკების ტიპური ცეკვა)” (<https://www.elmundo.es/suplementos/cronica/2008/663/1214690404.html>.<https://abcblags.adc.es/cronicas-nomada/europa/viajar-georgia-origen-vascos.html>).

რუბენ მენდოზა (Ruben Mendoza) - დაიბადა 1980 წელს. 2003 წლიდან ეწევა აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას. **რას მალავს ისტორია - ბასკები და ქართველები:**

„დავუბრუნდეთ ისტორიას და შევეცადოთ, ვისაუბროთ იმაზე, რაც ვიცით ბასკებისა და ქართველების სიახლოვის მაჩვენებელ კულტურულ და ისტორიულ ფესვებზე. ბასკური არის ერთადერთი არაინდოევროპული ენა დასავლეთ ევროპაში. იგი არაა დაკავშირებული რომელიმე ცოცხალ ან მკვდარ ენასთან. თუმცა, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ მისი სიახლოვე სხვადასხვა ენასთან, მათ შორის ძველ იბერიულ, ეტრუსკულ და ბერბერულ ენებთან. მათგან ყველაზე მეტად შემოთავაზებული იყო მისი სიახლოვე კავკასიურ ენათა ქართველურ ოჯახთან, განსაკუთრებით ქართულთან.

ბერძენი და რომელი ისტორიკოსები თანამედროვე საქართველოს შესაბამის რეგიონს მოიხსენიებდნენ როგორც აღმოსავლეთ იბერიას, რომელიც გამოირჩეოდა დასავლეთ იბერიისგან, ანუ ესპანეთიდან და პორტუგალიიდან. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი კავკასიის იბერებს დასავლელ იბერიელებად მოიხსენიებდა. მრავალი მეცნიერის აზრით, ეს ფაქტი ხაზს უსვამს მათ ეთნიკურ და ენობრივ ნათესაობას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფილოლოგებმა კიდევ უფრო მეტი არგუმენტი შეიმუშავეს ბასკებსა და ქართველებს შორის, ბასკურ და კავკასიურ ენებს შორის კავშირის დასამტკიცებლად. რა თქმა უნდა, არის ტიპოლოგიური მსგავსება ბასკურსა და ქართულს შორის. მაგალითად, ორივე ერგატიული ენაა...

ტიპოლოგიური პარალელები კარგია, მაგრამ ერგატიულობა და მრავალპიროვნული აგლუტინაციური სიტყვიერი მორფოლოგია არ არის საკმარისი ბასკურ და ქართულ ენებს შორის შესაძლო ნათესაური ურთიერთობის დასამტკიცებლად. ეჭვი ჩნდება ლექსიკური დამთხვევების ციტირების დროსაც. დღევანდელი ბასკი ფილოლოგების აზრით, მსგავსების მაძიებელთა უმეტესობამ ბადეები ძალიან ფართოდ გაშალა... თუმცა გენეტიკური კავშირი ბასკურ და ქართველურ ჯგუფებს შორის დღემდე დაუდასტურებელია. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში პროტო-ბასკური ფორმები პროტოქართულ ფორმებთან არ არის შერწყმული; ამგვარად, ბევრი დამთხვევა ანაქრონულია...

მრავალი ენათმეცნიერი აღნიშნავს ბასკურ და ქართულ ენებს შორის უზარმაზარ ნათესაობას... თუმცა ეს ნათესაობა ჯერ არ არის მყარად დადასტურებული.

როგორც ვხედავთ, ორივე ქვეყნის ისტორია მართლაც გვთავაზობს საინტერესო მსგავსებას. რა მსგავსება შეიძლება გვქონდეს ჩვენ - ესპანელებს ქართველებთან? იმ უზარმაზარი მანძილის გათვალისწინებით, რომელიც ესპანეთსა და საქართველოს აშორებს ერთმანეთთან, ამის თქმა რთულია. 4000 კმ-ზე მეტი უნდა გავიაროთ, რომ ესპანეთის დედაქალაქი თბილისთან, საქართველოს დედაქალაქთან, სწორი ხაზით დავაკავშიროთ. ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობამ ნამდვილად არ იცოდა და არც დღეს იცის რუკაზე საქართველოს დაფიქსირება. იგივე შეიძლება ითქვას პირიქითაც.

თუმცა, ჩვენ გვაქვს რაღაც, რაც აერთიანებს ჩვენს წარსულს და ბევრ თეორიას ბადებს. ქართველებიც და ესპანელებიც იბერები არიან, ძველი იბერიის მკვიდრნი.

თუმცა ისე არ არის, რომ ქართველები საქართველოში დამკვიდრებამდე ჩვენს ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ... მიწა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არ არის ერთადერთი, რომელიც ცნობილი იყო როგორც იბერია. იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს საქართველო მდებარეობს, საუკუნეების წინ აშენდა იბერიის სამეფო. ჩვენი ნახევარკუნძულისგან განსასხვავებლად, იგი ცნობილია როგორც კავკასიური იბერია, ან აღმოსავლეთ იბერია.

სახელწოდება იბერიის წარმოშობის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. მათგან ყველაზე მეტად მიღებულია ის თვალსაზრისი, რომელიც მიუთითებს, რომ ეს სახელი მდინარე იბერს, ამჟამინდელ ებროს (უდიდესი მდინარე ესპანეთში) უკავშირდება.

ამ სახელწოდების ქართული წარმომავლობა ნაკლებად გასაგებია. იბერიის სამეფოს ეკავა დღევანდელი ქვეყნის (იგულისხმება საქართველო) აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო დასავლეთი იყო კოლხეთი, მითიური ადგილი, სადაც იასონი ოქროს საწმისის საძიებლად წავიდა. ზოგი ამბობს, რომ ეს სახელწოდება მიღებულია ერთ-ერთი ადგილობრივი ტომის სახელის - სასპერის ფონეტიკური ევოლუციის შედეგად. კერძოდ, ამ სახელწოდების ჩამოსაყალიბებლად გავლილი გზა ასეთი იქნებოდა: სასპერი > სპერი > ჰპერი > იბერი. სხვა ვარიანტის მიხედვით, იყო მდინარე, რომელსაც იბერს ეძახდნენ და სწორედ მას უკავშირდება ამ სახელწოდების წარმოშობა.

ასეთია ის თეორიები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ორი იბერიის წინაპრებს. უფრო კონკრეტულად, ამ თეორიათა მიხედვით, ბასკები იბერთა ნაკლებად შერეული შთამომავლები არიან.

რის საფუძველზე კეთდება ეს დასკვნა? მათი ფიზიკური მსგავსებისა და ქართულ და ბასკურ ენათა სიახლოვის შედეგად. ფაქტობრივად, საქართველოსა და ბასკეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩამონათვალში მნელია იმის დადგენა, რომელი მათგანი რომელი ქვეყნის ადგილს ეკუთვნის. მაგალითად: ორბეთი, ურბინა, ზიარი, არდოტი, ქისტაური, არტანა, ამარიტა,

უპაზანი... ასევე შეგვიძლია განვმარტოთ სახელწოდება იბერია. იგი უკავშირდება ბასკურ სიტყვას - "ibai", რაც ბასკურად მდინარეს ნიშნავს...

დღევანდელი საქართველოს მცხოვრებლები იყვნენ მინერალური წიაღისეულის ერთ-ერთი საუკეთესო დამმუშავებლები. შესაძლებელია მათი ნაწილი სწორედ ამიტომ გადასახლდა პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, რომელიც მდიდარი იყო მნიშვნელოვანი სამთო მინერალების რესურსებით. ბერძენმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა სტრაბონმა, მიუხედავად იმისა, რომ მას იბერიის ნახევარკუნძულზე ფეხი არასოდეს დაუდგამს, ამ რეგიონის შესწავლაც დაისახა მიზნად და მათი გეოგრაფიული სახელების დამთხვევასაც მიაქცია ყურადღება... თუმცა დარწმუნდა, რომ ამ ტერიტორიების მკვიდრ მოსახლეობას შორის არანაირი ეთნიკური და კულტურული ურთიერთობა არ არსებობდა.

რა უნდა ითქვას საბოლოოდ? რა აქვთ ისტორიულად ერთმანეთთან საერთო ბასკებსა და ქართველებს? უნდა ვაღიაროთ, რომ არ ვიცით. ამ პრობლემით დაინტერესებულთ აქვთ თავიანთი თეორიები და ბევრი მათგანი ხედავს მეტ-ნაკლებ კავშირს ორ ხალხს შორის. სიმართლე ისაა, რომ ქართველებსა და ბასკებს შორის ბოლო დროს მჭიდრო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ბილბაო და თბილისი დამძობილებული ქალაქებია, ხუან ხოსე იბარეტქსეს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა... დანარჩენი ისტორიაა (<https://www.cope.es/actualidad/sociedad/todo-tiene-un-por-que/noticias/por-que-los-espanoles-somos-primos-Ios-georgianos-20191002> 510743).

როგორც ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლებიდან და ესპანური ინტერნეტსაიტებიდან დამოწმებული მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, მათი ავტორების უმეტესობა არაორაზროვნად უჭერს მხარს ქართველებისა და ბასკების ეთნიკურ და ენობრივ ნათესაობას და აქტიურად ცდილობს ამის დამადასტურებელი არგუმენტების მოძიებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აპიანე, 1959: – აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბილისი, 1959.
2. გაბაშვილი, 1956: – გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956.
3. კეკელიძე, 1956: – კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1956.
4. მარტინა, 1972: – მარტინა მინტეგი ბილბაო, ჩემი ბასკეთი, თბილისი, 1972.
5. სირაძე, 1980: – სირაძე რ., წერილები, თბილისი, 1980.

6. შარდენი, 1975: – მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1975.
7. ძველი ქართული., 1967: – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1967.
8. ძიძიგური, 1978: – ძიძიგური შ., ბასკები და ქართველები, თბილისი
9. <https://blogs.eitb.eus/rogeblasco/2012/04/29/Francisco-Iopez-seivane-de-la-montana-palentina-a-los-confines-del-globo>
10. <https://www.encyclopedia.cat/gran-enciclopedia-catalana/miquel-fuste-i-ara>
11. <https://www.elmundo.es/suplementos/cronica/2008/663/1214690404.html>.
<https://abcblogs.adc.es/cronicas-nomada/europa/viajar-georgia-origen-vascos.html>
12. (<https://www.cope.es/actualidad/sociedad/todo-tiene-un-porque/noticias/por-que-los-espanoles-somos-primos-los-georgianos-20191002510743>).

A Notice by French Scholar about the Religious Situation in Soviet Georgia

ფრანგი მეცნიერის ცნობა საბჭოთა საქართველოში
რელიგიური მდგომარეობის შესახებ

Mikheil Kartvelishvili

PhD in History, Lecturer,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: mikheil.kartvelishvili@tsu.ge

Tel: +995 591 93 90 75

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-4029-8609>

Abstract: The contribution of the famous French orientalist Maurice Brière to the development of Kartological sciences is more or less known to scientists interested in these issues. In 1936, the mentioned person was in Georgia and wrote a report full of very interesting impressions. The mentioned text was translated from French into Georgian and brought into scientific circulation by the famous Georgian translator, doctor of philology, professor Tsisana Bibleishvili, when it was published in the pages of the second issue of "Kldekari" magazine in 1996, the famous Georgian scientist Tamaz Natroshvili had an interesting response to the mentioned publication.

If we do not take into account the mentioned review of Tamaz Natroshvili, the extremely interesting material described by Maurice Brière is not paid attention to in Georgian scientific reality as far as we know, but it provides very interesting information.

In this paper, we critically examine the information provided by Maurice Brière about the religious situation in Georgia against the background of the Soviet atheist policy, especially since he was particularly interested in these issues as a clergyman and attended religious celebrations.

Our paper also clarified some issues from Maurice Brière's biography. The impressions written by the mentioned author provide interesting information for studying the daily history of Soviet Georgia, therefore, it should be considered as an important source.

Key words: Maurice Brière, French Scholar, Georgia, Soviet Union, Religious Situation.

მიხეილ ქართველიშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

ელ-ფოსტა: mikheil.kartvelishvili@tsu.ge

ტელ.: +995 591 93 90 75

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-4029-8609>

აბსტრაქტი: ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე მორის ბრიერის წვლილი ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარებაში ამ საკითხებით დაინტერესებული მეცნიერებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. 1935 წელს აღნიშნული პიროვნება საქართველოში იმყოფებოდა და დაწერა ძალიან საინტერესო, შთაბეჭდილებებით აღსავსე ანგარიში. ანგარიშის ტექსტი ფრანგულიდან ქართულად თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ცისანა ბიბილეიშვილმა, როდესაც იგი 1996 წელს ჟურნალ „კლდეკარის“ მეორე ნომრის ფურცლებზე გამოაქვეყნა. აღნიშნულ პუბლიკაციაზე საინტერესო გამოხმაურება ჰქონდა ცნობილ ქართველ მეცნიერს თამაზ ნატროშვილს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ თამაზ ნატროშვილის რეცენზიას, მორის ბრიერის მიერ აღწერილ, უაღრესად საინტერესო მასალაზე ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული, არადა იგი ძალიან საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც სასულიერო პირი, მორის ბრიერი საგანგებოდ იყო დაინტერესებული აღნიშნული საკითხით და გამიზნულად დაესწრო რელიგიურ დღესასწაულებს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ, საბჭოთა ათეისტური პოლიტიკის ფონზე, კრიტიკულად განვიხილავთ მორის ბრიერის მიერ გადმოცემულ ინფორმაცია საქართველოში არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ.

ნაშრომში, ასევე, დაზუსტებულია ზოგიერთი საკითხი მორის ბრიერის ბიოგრაფიიდან. აღნიშნული ავტორის შთაბეჭდილებები და ანგარიში საინტერესო ინფორმაციებს იძლევა საბჭოთა საქართველოს ყოველდღიური ისტორიის შესასწავლადაც. აქედან გამომდინარე, იგი მნიშვნელოვან წყაროდ უნდა შეფასდეს.

საკვანძო სიტყვები: მორის ბრიერი, ფრანგი მეცნიერი, საქართველო, საბჭოთა კავშირი, რელიგიური მდგომარეობა.

შესავალი: მიუხედავად იმისა, რომ პოსტ-საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში აქტიურად დაიწყო საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის შესწავლა, გაანალიზდა მისი ცალკეული მნიშვნელოვანი ეტაპი და მახასიათებლები, სრულიად აშკარაა, რომ ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელებას საინტერესო პერსპექტივა აქვს. ეს განსაკუთრებით ეხება ახალი, მანამდე უცნობი წყაროების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას და მათ სათანადო, მეცნიერულ გააზრებას.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა საკმაოდ აგრესიულ ხასიათს ატარებს. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება მანამდე კაცობრიობის ისტორიაში სრულიად უპრეცედენტო ორგანიზაციის – მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობის არნახული მასშტაბებით გაშლა.

ამ პერიოდის რელიგიური მდგომარეობის შესასწავლად არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მდიდარია და იგი თავის თავში მოიცავს საარქივო დოკუმენტებს, პერიოდული პრესის მასალებს, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოცემულ ოფიციალურ დადგენილებებს, აგიტაცია-პროპაგანდისათვის განკუთვნილ მასალას, ეპოქის თანამედროვეთა მემუარებს. კიდევ ერთ საინტერესო მასალას წარმოადგენს იმ პიროვნებათა ჩანაწერები, მოგონებები და შთაბეჭდილებები, რომლებმაც იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში და თავიანთი ნაფიქრი თუ ნააზრევი მომავალ თაობებს შემოუნახეს. აღნიშნული ტიპის წყაროების განხილვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ:

ა) რა მიზანდასახულობით არის ესა თუ ის პირი ჩამოსული, რა იყო მისი გეგმები, მიზნები და ამოცანები.

ბ) უცხოელი დამკვირვებლის თვალთ დახახული ადგილობრივი რეალობა ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რადგან მასში გადმოცემულია ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც ადგილობრივმა შეიძლება არანაირი ყურადღება არ მიაქციოს, რადგან ის ყოველდღიურობის ჩვეულებრივ ელემენტად აღიქვას.

გ) სუბიექტურობის მომენტი, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ადამიანი, რამდენადაც ინფორმირებული არ უნდა იყოს ამა თუ იმ საკითხზე

და, შესაბამისად, ყურადღებას აქცევდეს სხვადასხვა მოვლენას, ამბავის მისეული ხედვა ყოველთვის სუბიექტურია, რადგან, შეიძლება მიზანმიმართულად, ან კიდევ თავისდაუნებურად, ყურადღება არ ან ვერ მიაქციოს სხვადასხვა მნიშვნელოვან მომენტს. თუმცა, ეს ერთგვარად ცალმხრივი ხედვა ყოველთვის გვაძლევს შესაძლებლობას, რომ კარგად დავინახოთ მთხრობელის მსოფლმხედველობა, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, რა საკითხების გადმოცემას ანიჭებს უპირატესობას და ა. შ.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ცნობილი ფრანგი სასულიერო პირისა და მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნის – მორის ბრიერის ანგარიში საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მეოცე საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ეს ანგარიში ფრანგულ ენაზე დაიწერა. ჩვენ ვსარგებლობთ ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის პროფესორ ცისანა ბიბილეიშვილის მიერ შესრულებული ქართულენოვანი თარგმანით, რომელიც ჟურნალ „კლდეკარში“ დაიბეჭდა. მას გამოეხმაურა ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი თამაზ ნატროშვილი (ნატროშვილი თ., „შარდენის ნაკვალევზე“, გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, 25 აპრილი – 2 მაისი, 1997, გვ. 5). სულ ეს არის. მისი ცნობები ნაკლებადაა ცნობილი და გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამდენად, მათი შემოტანა ქართულ სამეცნიერო სივრცეში მნიშვნელოვანია XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

გთავაზობთ მ. ბრიერის ანგარიშის საფუძველზე მომზადებულ ნაშრომს, რომელიც საკითხით დაინტერესებული ქართველი მკვლევარებისა და საზოგადოებისათვის არაერთ საინტერესო ფაქტსა და დასკვნას შეიცავს.

მეთოდოლოგია: წყაროების შინაარსის შესწავლა-გააზრებისას გამოვიყენეთ წყაროების კრიტიკული ანალიზის და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერების მეთოდები, რაც, შესაძლებლობის ფარგლებში, დაგვეხმარა საკვლევი პერიოდისა და საკითხების მეტ-ნაკლებად ობიექტური ისტორიული სურათის აღდგენაში. სტატიის ტექსტზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებთ, აგრეთვე, აღწერილობით-ნარატიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით.

დისკუსია/შედეგები: საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და მისი ასახვის თავისებურებები, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. გაანალიზებულია მთელი რიგი საინტერესო საკითხები და მოვლენები, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების მიზნები, ამოცანები და შედეგები. თუმცა, აღნიშნული იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ კომუნისტური მთავრობის ათეისტური პოლიტიკის შესწავლის თვალსაზრისით გასაკეთებელი არაფერი აღარ არის და ამ საკითხმა აქტუალობა ამოწურა. ეს ასე ნამდვილად არ არის. მეტიც, თანამედროვე ეტაპზე, ვფიქრობთ, საბჭოთა კვლევებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ, სადაც გამორჩეულ ადგილს სწორედ საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის გაანალიზება იმსახურებს, რადგან სრულიად აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში თითქმის არ არსებობს საკითხი, რომლის კომპლექსურად გააზრებისთვისაც აუცილებელი არ იყოს რელიგიური პოლიტიკის გაანალიზება (ქართველიშვილი, 2022: 1).

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი წყაროების გამოვლენას და მათ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას. ამ კუთხით გამორჩეულად საინტერესოდ მიგვაჩნია უცხოელი ავტორების (მეცნიერების, მოგზაურების, მწერლების, ჟურნალისტების) შთაბეჭდილებების გაცნობა, რადგან ისინი, როგორც მოვლენათა ე.წ. „გარე თვალთ დაშვებულებები“, ყურადღებას აქცევენ ბევრ მნიშვნელოვან დეტალს. ასეთი წყაროების კრიტიკულ ანალიზს დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ და განვიხილოთ ცნობილი ფრანგი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნისა და ბიბლიოლოგის მორის ბრიერის ცნობები საქართველოში რელიგიური მდგომარეობის შესახებ.

მორის ბრიერი საქართველოში 1936 წლის ზაფხულში ჩამოვიდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო მისიით. მან ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე თვე დაჰყო და დაწერა ძალიან საინტერესო შთაბეჭდილებები, სადაც მნიშვნელოვანი ცნობებია გადმოცემული იმდროინდელი საქართველოს შესახებ

მორის ბრიერის საქართველოში ჩამოსვლას გამოეხმაურა საბჭოთა საქართველოს მთავარი პერიოდული გამოცემა გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც წერდა: „საფრანგეთის განათლების სამინისტროს დავალებით ტფილისში ჩამოვიდა თანამედროვე ქართული ენის შესასწავლად პარიზის

ინსტიტუტის პროფესორი მორის ბრიერი, რომელმაც იცის ძველი ქართული ენა და ლექციებს კითხულობს მის შესახებ ცოცხალი აღმოსავლური ენების ნაციონალურ სკოლაში“ (პროფ. მორის ბრიერის ჩამოსვლა, 1935: 4).

მოგვიანებით, ფრანგი მეცნიერის საქართველოში ვიზიტს გაკვირით შეეხო აკადემიკოსი აკაკი შანიძე თავის სტატიაში, რომელიც თავისი არსით არის ნეკროლოგი და ახალგარდაცვალებული მორის ბრიერის მეცნიერულ-ქართველოლოგიური მუშაობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი წერს: „მორის ბრიერს მე პირადად ვიცნობდი, ის თბილისში გვეწვია 1935 წელს. ...ბრიერმა თბილისში შეიძინა მისთვის საჭირო წიგნები და წაიღო საფრანგეთში“ (შანიძე, 1960: 3).

მორის ბრიერის საქართველოში ვიზიტს და მისდამი დაწერილ აკაკი შანიძის აღნიშნულ პუბლიკაციას ეხება თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე ფრანგი მეცნიერი, ცნობილი სერიის *Patrologia Orientalis* რედაქტორი ფრანსუა გრაფინი, რომელმაც საგანგებო სტატია მიუძღვნა მორის ბრიერს. მასში, ასევე, დეტალურად არის დახასიათებული ახალგარდაცვალებული მეცნიერის მრავალმხრივი სამეცნიერო მუშაობა. საქართველოში მის ვიზიტთან დაკავშირებით იგი წერს, რომ ბრიერს შესაძლებლობა ჰქონდა განვეითარებინა თავისი ცოდნა ძველ და ახალ ქართულ ენებში, როდესაც საფრანგეთის ეროვნული განათლების სამინისტროს დაფინანსებით მან თბილისში სამი თვე გაატარა 1935 წლის ზაფხულში. მან, ასევე, შეძლო შეესწავლა უცნობი ხელნაწერები, ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მეცნიერებთან და მოიპოვა ევროპაში ხელმიუწვდომელი წიგნები (Graffin, 1960: 11).

ორიოდე სიტყვით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ მორის ბრიერის ბიოგრაფიას, რაც უფრო თვალნათლივ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის მის პიროვნებაზე

მორის ბრიერი დაიბადა 1881 წლის 1 სექტემბერს. სემინარიის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ორლენის სასულიერო სასწავლებელში. ბიბლიური ტექსტების უკეთ გააზრებისათვის სწავლობდა ძველ ენებს. შეისწავლა არაბული, ებრაული, ასირიული და სირიული ენები. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. დაჯილდოებულ იქნა სამი ორდენით. 1946 წლიდან ასწავლიდა პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში. 1926-1927 წლებში პარიზში ისმენდა აკადემიკოს ნიკო მარის ლექციებს ქართულ ენაში. 1931 წელს, ნიკო მართან თანაავტორობით, პარიზში გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელმაც დაინტერესებულ სპეციალისტებში მაღალი შეფასება

დაიძვრა. 1928-1939 წლებში ლექციებს კითხულობდა აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, 1940-1951 წლებში იყო პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე. აქტიურად თანამშრომლობდა პროფესორ რობერტ ბლეიკთან ქართული ბიბლიის ტექსტების შესწავლის საქმეში. სერიის *Patrologia Orientalis* ფარგლებში გამოცემული აქვს რამდენიმე ქართული ტექსტი. 1935 წლის ზაფხულში ქართული ენის უკეთ შესასწავლად სამი თვე გაატარა საქართველოში. გარდაიცვალა 1960 წელს, ვერნონში.¹⁷

რამდენიმე სიტყვით შევხვით მორის ბრიერის საქართველოში ვიზიტის ახლო ხანებში ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას. ეს დეტალურ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ რა რეალობასთან მოუწია შეჯახება ფრანგ მეცნიერსა და სასულიერო პირს.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ცენტრალურმა საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად გააქტიურა თავისი ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანამდე უპრეცედენტო ორგანიზაციის – მებრძოლ უღმერთოთა კავშირის დაარსებით გამოიხატა. მას ანალოგი არ გააჩნია კაცობრიობის ისტორიაში და უშუალოდ უკავშირდება სამთავრობო კურსს ყველა შესაძლებლობების გამოყენებით ებრძოლათ რელიგიურობის გამოვლენების ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა ყოფილიყო მაქსიმალურად დაუნდობელი ხასიათის. მებრძოლ უღმერთოთა კავშირი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიის, „კულტურული რევოლუციის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მიზანიც იყო ჩამოყალიბებულიყო ახალი შეგნების საბჭოთა ადამიანი – *Homo Sovieticus*-ი, რომელიც განმსჭვალული იქნებოდა ათეისტურ-ინტერნაციონალისტური აზროვნებით. მისთვის უცხო და მიუღებელი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალი. სწორედ აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის მოსახლეობაში გააქტიურდა ბრძოლა ისტორიული წარსულის წინააღმდეგ. იგი გამოცხადდა ფეოდალურ გადმონაშთად, რომელშიც ღირებული ბევრი არაფერი იყო და საჭირო იყო მისი გადაფასება-დავიწყება; მოსახლეობას უნდა ეწამა თანამედროვე ცხოვრების და ებრძოლა ნათელი მომავლისთვის (ქართველიშვილი, 2022: 66).

¹⁷ მორის ბრიერის ბიოგრაფია გადმოცემულია მისი ანგარიშის ქართულ ენაზე მთარგმნელის ცისანა ბიბლიეიშვილის, აკაკი შანიძისა და ფრანსუა გრაფინის ცნობების შეჯერებით.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ საკითხს, თუ რა მიზნით ჩამოვიდა მორის ბრიერი საქართველოში. ამის შესახებ იგი თავად საუბრობს თავის მოგონებებში, როდესაც წერს, რომ 1934-35 სასწავლო წელს მოისმინა აღმოსავლური ცოცხალი ენების სასწავლებლის გამგის ლექციები, რომელმაც ურჩია წასულიყო საქართველოში და შეესწავლა თანამედროვე ქართული ენა, რომელსაც ძველი ქართული უდევს საფუძვლად (ბრიერი, 1996: 128). ჩვენის მხრივ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანგ მეცნიერს დიდი სურვილი ექნებოდა გასცნობოდა მის დარგში არსებულ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურას და ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ სურვილს გაუჩენდა შეესწავლა თანამედროვე ქართული ენა.

ფრანგ მეცნიერს, რომელიც სასულიერო პირი გახლდათ, ძალიან საინტერესო დეტალი აქვს თავიდანვე გამჟღავნებული. კერძოდ, საქართველოში გამგზავრების წინა მოსამზადებელი საქმიანობის აღწერისას წერს, რომ სასულიერო სამოსი შეცვალა სამოქალაქოთი (ბრიერი, 1996: 129). ბუნებრივია, ამ, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალში ძალიან კარგად ვლინდება ის, რომ ამ შემთხვევაში სწორედ საბჭოთა ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულება უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც მინიმუმ არ მოიწონებდა და მაქსიმუმ შეიძლება წინააღმდეგეც წასულიყო თუ ე.წ. „კაპიტალისტური სამყაროს“ წარმომადგენელი სასულიერო პირის ტანსაცმელში იქნებოდა გამოწყობილი. მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში უკანა მხარეზე გადაიწვედა მისი ვიზიტის სამეცნიერო მიზნები.

მორის ბრიერის შთაბეჭდილებების მნიშვნელობის შეფასების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ცნობილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნესა და მწერალს თამაზ ნატროშვილს, რომელიც წერს: „ფრანგი მეცნიერის დაკვირვებული თვალი ყველაფერს ამჩნევს – კარგსაც და ავსაც. გულდასმით იწერს ცინცხალ შთაბეჭდილებებს დღიურში, რომელიც დღეს გვევლინება უნიკალურ დოკუმენტად, სამოცი წლის წინანდელი თბილისის ცხოვრებას რომ აცოცხლებს ჩვენს თვალწინ“ (ნატროშვილი, 1997: 5). ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ აღნიშნული ცნობები საინტერესოა არამარტო თბილისის, არამედ ყველა იმ ტერიტორიის შესასწავლად, რომლის შესახებაც ავტორი ინფორმაციას გვაწვდის.

მორის ბრიერის ჩანაწერი სხვადასხვა მონაკვეთებად არის დაყოფილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავს სახელწოდებით „საქართველოს რელიგია“, სადაც რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მეტად საინტერესო ცნობებია გადმოცემული.

ამ მონაკვეთი იწყება აღმსარებლობის თავისუფლებაზე საუბრით, სადაც ფრანგი მეცნიერი წერს, რომ „საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში თავისუფალი აღმსარებლობაა და მთავარი ესაა, სინამდვილეში რელიგიას ნაკლებად მისდევენ“ (ბრიერი, 1996: 136). სრულიად აშკარაა, რომ აქ ჩვენი ავტორი ირონიით საუბრობს აღმსარებლობის თავისუფლებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირში მხოლოდ ფორმალურად, „ქაღალდზე“ არსებობდა. ეს აზრი კიდევ უფრო გვიმტკიცდება, როდესაც მორის ბრიერი საუბრობს საქართველოში სასულიერო სასწავლებლის არ არსებობაზე, რის „შედეგადაც აღარც სასულიერო შევსებაა. ახლა იქ მხოლოდ ხანშიშესული მღვდლებია, რომლებიც თანდათანობით მიდიან და მათ ველარავინ შეცვლის. მაშ ვინ უნდა წარმართოს თავისუფალი მრწამსი?“ (ბრიერი, 1996: 138).

საბჭოთა ხელისუფლებისგან სასულიერო პირების კონტროლს ადასტურებს მორის ბრიერის ერთი ფრაზა – „როგორც მითხრეს, მთავრობის წარმომადგენელი უსმენს ხოლმე ქართველი მღვდლის ქადაგებებს“ (ბრიერი, 1996: 136). აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, საინტერესოა ფრანგი მეცნიერის ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო დაკვირვება, რომლის მიხედვითაც „ეკლესიის მსახურთათვის განკუთვნილ სახლებში ჩაასახლეს ადამიანები, რომლებსაც ხშირად ევალებათ თვალყური ადევნონ პატარა ოთახში გამოკეტილ მღვდლებს და მორწმუნეებს, რომლებიც ეკლესიაში სიარულს ბედავენ“ (ბრიერი, 1996: 138). ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაც საყოველთაოდ არის აღიარებული, კერძოდ, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა მაქსიმალურად ცდილობდა გაეკონტროლებინა სამღვდლოება და მრევლი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ფრანგი მეცნიერი ეხება, ეს არის ეკლესია-მონასტრების დაცლა. მაგალითად, ალავერდის შესახებ წერს – ეს „ცნობილი, დღეს კი ბერებისაგან დაცლილი მონასტერი“ (ბრიერი, 1996: 140), იგივე მდგომარეობა დახვდა ანანურშიც, სადაც „... ეკლესია საწყობადაა ქცეული, მღვდლები აღარ ჰყავთ“ (ბრიერი, 1996: 178)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორის ბრიერის ჩამოსვლის პერიოდი საბჭოთა კავშირში და, შესაბამისად, საქართველოში, დაკავშირებულია მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქმიანობის პერიოდთან, როდესაც ქვეყანაში აგრესიული ათეისტური პოლიტიკა ტარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი მეცნიერი უშუალოდ საბჭოთა პოლიტიკაზე თითქმის არაფერს არ საუბროს, მის მიერ ნაჩვენები სურათი საკმაოდ დეტალურად გვიხატავს მდგომარეობას.

რაც შეეხება ავტორის თავშეკავებას რადიკალური შეფასებებისგან, ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ხელჩასაჭიდი ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ მკვეთრი ანტისაბჭოთა პოზიციის დაფიქსირებისგან ფრანგი მეცნიერი თუნდაც იმიტომ შეიკავებდა თავს, რომ ამით საფრთხეში არ ჩაეგდო თავისი ქართველი კოლეგები, რომლებსაც საბჭოთა ტერორი ნამდვილად არ აცდებოდა მისი ანტიკომუნისტური პოზიციების ამკარად, გამოკვეთილად დაფიქსირების შემთხვევაში.

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფრანგი მეცნიერის – მორის ბრიერის წარმოდგენილი ცნობები საინტერესოდ გვიჩვენებს იმ რეალობას, რომელიც მან საქართველოში ნახა. მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რადგან იგი მოვლენებს აფასებს გარე დამკვირვებლის თვალით, რომლისათვისაც ქართული რეალობა თითქმის უცნობი იყო. ჩვენთვის ამ ეტაპზე მისი ცნობები მნიშვნელოვანი იყო საქართველოში არსებული რელიგიური მდგომარეობის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრიერი, 1996: – ბრიერი, მ., „მივლინება საქართველოში“, თარგმნა ც. ბიბლიეიშვილმა. „კლდეკარი“ (გორის სალიტერატურო ჟურნალი), №2, თბილისი, 1996.
2. ნატროშვილი, 1997: – ნატროშვილი, თ., „შარდენის ნაკვალევზე“, გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, 25 აპრილი - 2 მაისი, 1997.
3. პროფ. მორის ბრიერის ჩამოსვლა, 1935: – „პროფ. მორის ბრიერის ჩამოსვლა“, გაზეთი „კომუნისტი“, 18 აგვისტო, 1935.
4. შანიძე, 1960: – შანიძე, ა., „პროფესორი მორის ბრიერი“, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 6 მაისი, 1960.
5. ქართველიშვილი, 2022: – ქართველიშვილი, მ., „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში“, თბილისი, 2022.
6. Graffin, 1960: – Graffin, Fr., “Le Chanoine Maurice Brière”, Nouvelles de l'Institut catholique de Paris. №4 Avril – Mai, Paris, 1960.

**Charity of Georgian Public Figures
the Role of Spreader of literacy among Georgians
in Community Activities**

ქართველი საზოგადო მოღვაწეების ქველმოქმედების
როლი ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში

Tinatin jabadari

Master in History, Senior Specialist at Central
Archive of Recent History of National Archives of Georgia

e-mail: tinikojabadari@gmail.com

Tel: +995 577 130 325

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-1997-5683>

Abstract: During the tsarist reign, the Society for Spreading Literacy among Georgians was one of the institutions that served the national cause of the Georgian people, the development of their language and culture. In the 70s of the 19th centuries, in particular, the "Book-Knowledge Spreading Society" founded on May 15, 1879, later the K.S.K.G. Society began active activities throughout Georgia. It was an organization that has withstood the work of governments of three different views and directions for several decades. The public organization operated until 1927 and was engaged in great cultural and educational activities.

The activities of the organization founded on public foundations were mainly based on charity: charity evening concerts were often held in various parts of Georgia, cities and villages, where their founded Georgian primary schools (schools) existed, for the purpose of material support. Help came from permanent members of the society, both through membership fees and simultaneous financial assistance. Special mention should be made of the bequests given by our family members, which were determined by the transfer of movable and immovable property. The Foundation of the Literacy Society of Georgia preserved in the National Archives of Georgia and the personal funds of our public figures preserve very interesting material about Georgian charity, their support, and their support for the Georgian education system at the beginning of the last century.

In the topic, I present the selfless help and charity of our great Georgians Davit Sarajishvili, Yakob Gogebashvili, Niko Ghogoberidze, Grigol Dadiani, Giorgi

Zdanovich, Dimitri Nakashidze, Kita Abashidze preserved in the funds of the National Archive, to the community of spreading literacy among Georgians and their contributions to charity, their manuscripts, with scanned material of their wills and their photographs.

Key words: Literacy society among Georgians, charity, bequests, education, schools.

თინათინ ჯაბადარი

ისტორიის მაგისტრი, საქართველოს ეროვნული არქივის
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის
უფროსი სპეციალისტი

ელ-ფოსტა: tinikojabadari@gmail.com

ტელ: +995 577 130 325

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-1997-5683>

აბსტრაქტი: ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ცარიზმის დროს ერთ - ერთი დაწესებულება იყო, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ საქმეს, მისი ენისა და კულტურის განვითარების საქმეს ემსახურებოდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებში, კერძოდ 1879 წლის 15 მაისს დაარსებულმა "წიგნის-ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" შემდეგში ქ.შ.წ.კ.გ საზოგადოებამ მთელი საქართველოს მამულებით, აქტიური მოღვაწეობა დაიწყო. ეს იყო ორგანიზაცია, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, სამი სხვადასხვა შეხედულების და მიმართულების მთავრობის მოღვაწეობას გაუძლო. საზოგადოებრივი ორგანიზაცია 1927 წლამდე მოღვაწეობდა და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა.

საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსებული ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად ქველმოქმედებაზე იყო დამყარებული: საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მათი დაარსებული ქართული დაწესებულებები (სკოლები) არსებობდა, მატერიალური დახმარების მიზნით, ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო საღამო კონცერტები. დახმარება შემოდიოდა საზოგადოების მუდმივი წევრებისაგან, როგორც საწევრო გადასახადით, ასევე ერთდროულად გაწეული ფულადი დახმარებითაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების მიერ ანდერძით ბოძებული დახმარებები, რომლებიც

მოდრავი და უძრავი ქონების გადაცემით განისაზღვრებოდა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდსა და ჩვენი საზოგადო მოღვაწეების პირად ფონდებში დაცულია მეტად საინტერესო მასალა ქართული ქველმოქმედებისა, მათი დახმარებებისა, გასული საუკუნის დასაწყისში ქართული განათლების სისტემის მიმართ მათი გვერდში დგომისა.

თემაში წარმოვადგენ ეროვნული არქივის ფონდებში დაცული ჩვენი დიდი ქართველების დავით სარაჯიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ლოლობერიძის, გრიგოლ დადიანის, გიორგი ზდანოვიჩის, დიმიტრი ნაკაშიძის, კიტა აბაშიძის მიერ ქართველთა შორისა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გაწეული უანგარო დახმარებისა და ქველმოქმედებით გაწეულ ღვაწლს, მათი ნაანდერძები ქონებით საქართველოს ახალგაზრდობისათვის გაწეულ დახმარებას.

საკვანძო სიტყვები: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქველმოქმედება, ანდერძები, განათლება, სასწავლებლები.

შესავალი: ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართულ მოწინავე საზოგადოებაში მომწიფდა აზრი გლეხობისათვის პირველდაწყებითი განათლება მათთვის ხელმისაწვდომ, ქართულ ენაზე მიეღოთ და ამ მიზნით შესაფერისი ორგანიზაცია დაერსებინათ. XIX საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ 1879 წლის 15 მაისს დაარსებულმა "წიგნის - ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" შემდეგში "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", მთელი საქართველოს მამულებით, აქტიური მოღვაწეობა დაიწყო. საზოგადოებრივი ორგანიზაცია 1927 წლამდე, თითქმის ნახევარი საუკუნე არსებობდა და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა.

ახლად დაარსებულ საზოგადოებას ოფიციალურად "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ეწოდებოდა, მაგრამ მისი მიზნები და დანიშნულება მარტო წერა-კითხვის გავრცელებით არ განისაზღვრებოდა, მისი დანიშნულება გაცილებით ფართო ხასიათს ატარებდა, მათ ერთ-ერთ ანგარიშში ვკითხულობთ: "თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონებოდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც

კულტურული კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება"... საზოგადოების დანიშნულებაზე... მის დაარსებამდე ილია ჭავჭავაძე წერდა: "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განზრახვა და მოქმედება შორსა წვდება, თუ საზოგადოებამ მთლად აღასრულა ყველაფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა - განათლება სამშობლო ენაზე და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია...."(სეა, ცსა, ფ. 481, აღწერლობა, თბილისი, 1953, ფურც. 18).

საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსებული ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად საწევრო გადასახადებსა და ქველმოქმედებაზე იყო დამყარებული, საზოგადოების სასარგებლოდ თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები, წარმოდგენები, ლატარიები. განათლების სურვილით შეპყრობილი ქართული საზოგადოების მოწინავე და შეგნებული ნაწილი მცირე დანაზოგითაც კი, მათთვის მატერიალურ დახმარებას ცდილობდა. საზოგადოების ხელმოკლე მოღვაწეთათვის და ღარიბი ახალგაზრდობის მატერიალური დახმარების მიზნით შემოწირული თანხით ხდებოდა მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა, ერთდროული დახმარება როგორც ცალკეული პიროვნებების, ასევე მათი დაარსებული კულტურული დაწესებულებებისთვის. საზოგადოებას დიდძალ თანხას სწირავდნენ ცნობილი მეცენატები დავით სარაჯიშვილი და მმები ზუბალაშვილები, ყოველთვიური დახმარება შემოდიოდა საზოგადოების მუდმივი წევრების მხრიდანაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების მიერ ანდერძით ბოძებული დახმარებები, რომელებიც მოძრავი და უძრავი ქონების გადაცემით განისაზღვრებოდა.

მეთოდოლოგია: ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ საზოგადოებისა და ქართველი ახალგაზრდობისათვის გაწეული ამ დიდი დახმარებების შესახებ ნაკლებია ცნობილი. თემის მიზანი მათ მიერ გაწეული დიდი ქველმოქმედების გამომზეურებაა. თემაზე მუშაობის დროს ძირითადად გამოვიყენე საქართველოს ეროვნული არქივში დაცული საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი და ჩვენი საზოგადო მოღვაწეების პირადი ფონდები, სადაც დაცულია მეტად საინტერესო მასალა ქართული ქველმოქმედებისა, მათი დახმარებებისა, გასული საუკუნის დასაწყისში ქართული განათლების სისტემის მიმართ მათი გვერდში დგომისა.

თემაში საუბარი იქნება ჩვენი დიდი ქართველების ნიკო ლოლობერიძის, იაკობ გოგებაშვილის, კიტა აბაშიძის, გრიგოლ დადიანის, დიმიტრი ნაკაშიძის და დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოებისთვის გაწეული უანგარო დახმარებისა და ქველმოქმედების შესახებ, წარმოდგენილი იქნება ეროვნულ არქივში დაცულ ფონდებში მათი ხელნაწერებიდან, მათი ანდერძებიდან ამოღებული მასალა.

დისკუსია: ზემოთ ავლინებულ, რომ ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დაარსებისას ცნობილმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა საკმაოდ დიდი თანხა გაიღო საზოგადოების დაარსებისას, რასაც შემდეგშიც აგრძელებდა. ის ყოველთვის გვერდში ედგა განათლების მსურველ ქართველ ახალგაზრდებს, თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: "თუკი ოდესმე დაიწერება ქართველი ერის განათლებისა და საერთოდ მისი ცივილიზაციის ისტორია, იქ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ამაგი და სიკეთე უსათუოდ დაიკავებს პირველ ადგილს. ეს ასეც არის რადგან, როდესაც უხდებოდა მას ცხოვრება და მოღვაწეობა, საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ერს ნამდვილ ქომაგად გვევლინებოდა" (სეა, სუიცა, ფ. 1909, ან.2, საქ. N 2, ფურც. 34).

დავით სარაჯიშვილის მიერ გაწეული სიკეთე მისი ნამოწაფარების, მისი აღზრდილების მოგონებებით გაცოცხლდა, მის მიერ გაწეულ ქველმოქმედებაზე დაიწერა არჩილ სტეფანიშვილის მონოგრაფია დავით სარაჯიშვილი, მის შესახებ მოგონებებში წერდნენ მისი თანამედროვენი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, არტურ ლაისტი და სხვები.

მისი უახლოესი მეგობარი და ნათესავი ალ. სარაჯიშვილი აღნიშნავდა: "ჩვენ რომ მისი სიმდიდრის ზრდას თვალი რომ ვადევნოთ, გვეგონება თითქოს დავითს ანგარების მეტი არა ასულდგუმულებდა რაო, მაგრამ მოგების წყურვილთან ერთად დავითს თანდაყოლილი ჰქონდა სამშობლოს ტრფიალი და ეს გრძნობა იზრდებოდა მის გულში მით უფრო, რომ ქონება ემატებოდა... სამშობლოს ბედი მარად მისი საზრუნავი იყო... ჩვენი ძალა და ღონე ყოველთვის პირველად ჩვენს ეკონომიურ წარმატებას უნდა მოვახმაროთ - რადგან უამისოდ იგი მცირე რასმეს სულიერ კულტურასაც, რომელიც წარსულ საუკუნეებში შევიძინეთ, მკვიდრი საფუძველი არ ექნება, ისიც ჩაინთქმის და გაქრება ჩვენს ნივთიერ და სულიერ სიღატაკეში და ჩვენც ეკონომიურად სუსტნი, დავმარცხდებით არსებობის ბრძოლაში და ან გავწყდებით, ან გადავგვარდებით... თავისი ცხოვრების და მოღვაწეობის უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა თითქმის არც ერთი დიდი თუ პატარა საზოგადოებრივი წამოწყება, რომ მონაწილეობა არ მიეღოს დავით ზაქარიას ძეს და თავისი დიდი წვლილი არ შეეტანოს მასში." (ფ. 1909, ან. 2, ს. 2, ფურც. 35, 36).

მინდა შევეხო მის სიცოცხლეში გაკეთებულ ბოლო უდიდეს სიკეთეს, მის თანადგომას და ზრუნვას მომავალი თაობების აღზრდაში. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია ნიჭიერი ახალგაზრდების მიმართ, ის ყოფილა მათი სულიერი მამა, მასწავლებელი და დამრიგებელი. ის ისე მიიღებდა

ახალგაზრდებს, ისეთი გულითა და სულით გამოჰკითხავდა მათ ამბავს, თითქოს შორიდან შვილი ჩამოუვიდაო, იგი არ იშურებდა მათთვის სტიპენდიებს, ამ დახმარებით თითქოს ეუბნებოდა: "დახმარებას გაძლევ, ისწავლე და ქვეყანას გამოადექიო" (გ. 1909, ან. 2, ს. 2, ფურც. 56).

ცნობილია, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა სარაჯიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აშენების საქმეში, პირველად სწორედ მის ოჯახში აღიძრა საკითხი ქართული უნივერსიტეტის აგებისა. ელისაბედ ერისთავი მოგონებებში აღნიშნავდა: "ნიკო ცხვედაძემ წამოჭრა საკითხი ქართული სათავადაზნაურო სკოლის აგების შესახებ, თუმცა იქვე დაუმატებია: "ვინ იცის დათიკო იქნებ მოვიდეს დრო და ქართულ უნივერსიტეტს მოხმარდეს ეს შენობა"ო. დავით სარაჯიშვილი ყოველთვის გვერდში სდგომია ნიკო ცხვედაძეს, მისივე გადმოცემით პირველად 30 ათასი მანეთი შეუტანია გიმნაზიის ასაშენებლად, თან ასე უთქვამს: "აჰა ჯერ ეს იკმარე, ოღონდ ნურსად გამომაჟღავნებ" დაიწყე საქმე და რამდენიც დაჭირდება, მე აქა ვარო" (გ. 1909, ან.2, ს. 2, ფურც. 57).

აკაკი წერეთლის სიტყვით, სარაჯიშვილმა ქართველების სიყვარული სიყვარულითვე მოიპოვა "მაშინ, როდესაც დიდი გვარის შვილები, რომელთაც დიდძალი მამულები, ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილი დარჩათ და ამ წმინდა მიწას გულგრილად უგდებდნენ ხელში უცხოელებს, სარაჯიშვილი თავისი ოფლით, შრომით და ინტელიგენტურის გამჭირახობით მოპოვებულ ქონებას ქართველობას უნაწილებდა." (გ. 1909, ან. 2, ს. 2, ფურც. 57).

მისი ერთ-ერთი სტიპენდიანტი, სახალხო მხატვრი გრიგოლ მესხი იგონებდა, რომ სარაჯიშვილის ფირმას, დავით ზაქარიას ძის ინიციატივით ჩამოუყალიბებია ნიჭიერი ახალგაზრდების შემსწავლელი კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა ნიკო ცხვედაძე. მისი მიზანი ყოფილა ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათთვის სწავლა-განათლების საქმეში ხელშეწყობა. ეს კომიტეტი რუსეთსა და ევროპაში თავის ხარჯებით აგზავნიდა ახალგაზრდებს, უნიშნავდა გარკვეული რაოდენობის სტიპენდიას. სარაჯიშვილის სტიპენდიატები იყვნენ გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე და სხვები. (გ.1909, ან. 2, ს. 25, ფურც. 3). სიცოცხლის ბოლო წლებში თურმე ავადმყოფობობდა და ბერლინში დადიოდა სამკურნალოდ. როდესაც ოპერაციის გაკეთება გადაუწყვეტია, ბერლინში მიმავალი ქ. როსტოვში გაჩერებულა და თბილისში გამზადებული ანდერძი, მეუღლის ფარულად ნოტარიულად ნოტარიუს ვ.ი. ცვეტკოვის საშუალებით გაუფორმებია.

მისი გარდაცვალების შემდეგ გაზეთმა "თემმა" გამოაქვეყნა სარაჯიშვილის ანდერძი სათაურით: "შეგნება მოვალეობისა - შრომის ხალხის წინაშე, სამშობლოს წინაშე და მთელი ქალაქის მკვიდრთა წინაშე", რომლის მიხედვითაც მისი ქონება ასე გადანაწილდა:

1. საქართველოს წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეძლეოდა 300 ათასი მანეთი. აქედან მისი ნახევარი (150 ათასი მან.) უნდა მოხმარებოდა ეროვნული მუზეუმის აშენება-მოწყობას. მეორე ნახევარი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სტიპენდიებით რუსეთსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული საუკეთესო სტუდენტობისათვის. თანხა ხელუხლებლად უნდა ყოფილიყო ბანკში და იქიდან მიღებული შემოსავალი კვლავ სტუდენტებს უნდა მოხმარებოდათ.

2. მისი გარდაცვალების შემდეგ ყოველწლიური დახმარება უნდა გასწეოდა იმ სკოლებს, რომელთაც ის სიცოცხლეში უწევდა დახმარებას.

3. თბილისის პირველ გიმნაზიას უნდა გადასცემოდა 10 ათასი მანეთი, თბილისის სემინარიას 5 ათასი მანეთი.

4. კონიაკის ქარხნის მუშებს ეძლეოდათ 25 ათასი, ხოლო მოსამსახურე პერსონალს 100 ათასი მანეთი.

5. მისი სახლი მდებარე (ყოფილი სერგეევის) მაჩაბლის ქუჩაზე უნდა გადაცემულიყო ქალაქის თვითმმართველობის განკარგულებაში თავისი მოწყობილობით, რომელშიც უნდა განთავსებულიყო სამხატვრო გალერეა და შინამრეწველობისა და ხელოვნების გალერეა. ამ მიზნისათვის გამოყოფილი იყო ნახევარი მილიონი მანეთი (300 ათასად მანეთად შეფასებული იყო შენობა, ხოლო მისი მოწყობილობა 200 ათას მანეთად).

მათი (ცოლ - ქმრის) გარდაცვალების შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი საქარხნო-სავაჭრო დაწესებულებათა ქონების ლიკვიდაცია ექვსი წლის განმავლობაში და შემოსავალი უნდა განაწილებულიყო სამი საზოგადოების: წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო საეთნოგრაფიო და თბილისის დრამატულ საზოგადოებას შორის. მამასადემე ზემოთ აღნიშნულ 3 მილიონ მანეთს, ემატებოდა მთელი საქარხნო და სავაჭრო დაწესებულებების ქონება. ამ შემოსავლიდან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1919 წელს დამატებით გადაეცა 180 000 მანეთი.

ანდერძის თანახმად დავით სარაჯიშვილის მეუღლეს, ეკატერინეს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ანდერძის დროულად განხორციელებისა და თანხების დაუბრკოლებლად გაცემისათვის. ანდერძის აღმასრულებლად დასახელებული იყო მისი ნათესავი და მეგობარი, "მისი მარჯვენა მკლავი" მისი საქმეების სამირკველი, ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ნიკო ზებედეს ძე ცხვედაძე და ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი. (გ. 1909, ან. 2, საქ. N 2, ფურც. 69).

დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე მისმა მეუღლემ ეკატერინე ფორაქიშვილმა გააგრძელა. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: ისიც "ქართული მწიგნობრობის მოყვარე იყო და როგორც განათლებული პირი დიდი პატივისმცემელი...ის ქმართან ერთად სწევდა საერთო უღელს, რასაც დავით ზაქარიას ძე ემსახურებოდა, ეს მანდილოსანიც ფაქიზად ასრულებდა, ადიდებდა და პატივს სცემდა იმასვე. მან საკუთარი ინიციატივით, უპატრონა

და საკუთარი ხარჯით პანსიონატში მიაბარა ივანე მაჩაბლის ობლად დარჩენილი ვაჟი ნიკო (ნიკუშა) (ფ. 1909, ან. 2, ს. 2, ფურც. 75).

ეკატერინე სარაჯიშვილმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ 5 წელი იცოცხლა, 1916 წლის 5 აგვისტოს ჩრდილო კავკასიაში სამკურნალოდ წასული, თბილისისკენ მომავალი მლეთაში გარდაცვლილა. მისი ქონების უდიდესი ნაწილი, რომლის თანხა სამ მილიონამდე მანეთს შეადგენდა, თავის ერს უნდერმა. ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ქართველი საზოგადოების სწავლაში მოსახმარებელ ქონებაზე, რომელიც შემდეგნაირად განაწილდა:

1. 500 ათასი მანეთი ნაღდი და 90 ათასი მანეთი პროცენტისანი ქაღალდები, რომელიც მისი ძმის ვასილ ფორაქიშვილის გარდაცვალების შემდეგ გადაეცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას;
2. 50 ათასი მანეთი თბილისის პოლიტექნიკურ ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად;
3. 30 ათასი მანეთი კავკასის ღარიბ მოსწავლეთათვის, სწავლის ფულის გადასახდელად;
4. 50 ათასი ავლაზარში საპროფესიო სკოლის დასაარსებლად.

დავით სარაჯიშვილის დარჩა საუკეთესო ბიბლიოთეკა, 1911 წელს საოცარი სიზუსტით აღწერილი. ბიბლიოთეკა შედგებოდა 10 განყოფილებისაგან და მოიცავდა მხოლოდ რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე გამოცემულ 1129 წიგნს. (ფ. 1909, ან. 2, ს. 2, ფურც. 59). დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე ფორაქიშვილმა ეს ბიბლიოთეკა გააორკეცა და გაამდიდრა ქართული ლიტერატურის ხარჯზე. მათი გარდაცვალების შემდეგ ადამ ფორაქიშვილმა ბიბლიოთეკა 2309 წიგნით, თავისი უძვირფასესი კარადებით, 1918 წელს ქართულ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა. (ფ. 1909, ან. 2, ს.2, ფურც. 59).

საარქივო დოკუმენტებში ინახება, ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების, 1916 წლის სარაჯიშვილის სახელობის იმ სტიპენდიატთა სია, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ ღებულობდნენ სტიპენდიას:

1. ქრისტეფორე გრიგოლის ძე ამილახვარი - 300+100მან.;
2. გიორგი ვასილის ძე დალაქიშვილი - 300 მან.;
3. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ემხუარი - 300 მან.;
4. რაფიელ ბესარიონის ძე ნიჟარაძე - 300 მან.;
5. გაბრიელ გრიგოლის ძე ოქროპირიძე - 300 მან.;
6. იაკობ ისიდორეს ძე რამიშვილი - 300 მან.;
7. შალვა გერასიმეს ძე ქიქოძე - 300 მან.;
8. ვლადიმერ იოსების ძე ყანჩელი - 106 მან.;
9. ალექსი დიმიტრის ძე ციციშვილი - 400 მან.;
10. ნინო სოლომონის ასული ციციშვილი - 400 მან.;
11. ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილი - 300 მან.;
12. მამია არსენის ძე ხუხუნაიშვილი - 300 მან.;
13. რაისა რაფიელის ასული ჩიხრაძე - 300 მან.;
14. პავლე იესეს ძე ინგოროყვა - 25 მან. ზუბალაშვილი + 15 მან. სარაჯიშვილი;
15. დავით ჩადუნელი - 360 მან.;
16. ალექსანდრე შვანგირაძე - 360 მან.

წ.კ.გ. საზოგადოებამ სულ 1916 წლის 15 თებერვლამდე საქართველოს მომავლისათვის ნაანდერძევი ქონების განაღდებათ გახარჯა 179, 751 მან. 68 კაპ. (ფ. 481. ან.1, ს. 1269, ფურც. 6, 7). მისი სტიპენდიანტების სიაში იყვნენ მიხეილ სარაჯიშვილი - პროფესორი, ქიმიკოსი; კათოლიკოს - პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, გიგო ქურდიანი - ინჟინერი და ილია მიხეილის ძე მამაცაშვილი. (ფ. 481, ან.1, ს. 1269, ფურც. 5).

სარაჯიშვილი დახმარებას უწევდა თბილისის მახლობლად მის მფლობელობაში მყოფ სოფლებს, წოდორეთს, ძაღლიანთხევს, შინდაკვრას და ბევრეთს. მან გაუყვანა სოფელ დილომს სასმელი წყალი და მისი დახმარებით აიგო სასაფლაოსთან დამაკავშირებელი თაღოვანი ხიდი (ფ. 1909, ან.2, ს. 23, ფურც. 1, 6).

დ. სარაჯიშვილის ხელშეწყობითა და დახმარებით არყის, ღვინის და კონიაკის დარგში დახელოვნდა ცნობილი მეწარმე და ქველმოქმედი ივანე კვეზერელი-კოპაძე. 1905 წელს ბრიუსელსა და პარიზის გამოფენებზე მისი ნაწარმი ოქროს და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა. (ფ. 1909, ან. 2, ს. 21, ფურც. 2).

1914 წელს გაიყიდა სარაჯიშვილების ნაანდერძევი უძრავი ქონება: ქალაქ თბილისში ელისაბედის, აბასთუმნის, წყნეთის და ანდრეას ქუჩებზე მდებარე მიწები, შორაპნის მაზრაში მდებარე მიწა "ტევრი," სიღნაღის მაზრაში მდებარე მიწა "არამდარა," ალაზნის პირად ვაჩხნაძეებთან საზიარო მიწა; თბილისის მაზრაში წოდორეთსა და შინდაკვრავაში მდებარე მისი მიწები, რომლებიც ასევე ქართულ განათლებას მოხმარდა (ფ. 481. ან. 1, ს. 1269, ფურც. 1).

ზემოთ ჩამოთვლილ ნაანდერძევი ქონებაში არ არის მოხსენებული ქართული მედიცინისთვის, საქართველოს ეკლესიების რესტავრაციისთვის, ქართული სოფლებისთვის გაწეული უდიდესი დახმარება, რადგან თემა ეხება მეცენატის მიერ ქართულ სწავლა-განათლებისთვის დახარჯულ თანხებს. საუკუნეზე მეტი გავიდა ამ ანდერძიდან და ჯერ კიდევ გაკვირვებას იწვევს მისი გაწეული სიკეთე. გაზეთი "სახალხო ფურცელი" 1916 წელს (N 645) წერდა: " შეუმჩნევლად და წყნარად ქველმოქმედებდა განსვენებული და ბოლოს უხვად დააჯილდოვა თითქმის ყველა ქართულ - კულტურული საზოგადოება. სიუხვის გარდა ანდერძში მოჩანს აზრიანობა, ეს არ არის ჩვეულებრივი ანდერძი ჩვეულებრივი ქველმოქმედისა, მასში ჩანს ერთგვარი საკუთარი შეხედულება იმის შესახებ, თუ რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და ამიტომ რას უფრო ყურადღება უნდა მიექცეს, მაღლიერი საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს უხვ ქველმოქმედს, რომელმაც ესოდენ დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს კულტურას (ფ.1909, ან. 2, ს. 4, ფურც.. 9).

იაკობ გოგებაშვილი დავითის გარდაცვალების შემდეგ წერდა: "თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდედით შეიმოსა... მე ამჟამად არ ძალმიძს აღვწუსხო არც დიდი ამაგი განსვენებულისა და არც მისი უმაგალითო ქველმოქმედება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ

განსვენებულს მამისგან დარჩა მცირედი თანხა და მან ეს თანხა თავისი ცოდნით და მხნეობით მილიონებად გადააქცია... და ბოლოს, მთელი თავისი დიდი ქონება, შეძენილი პატიოსანი გზით და უმწიკვლო მოქმედებით, მან ქვეყანას დაუტოვა." (ფ.1909, ან. 2 ს. 2, ფურც. 24).

როცა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების ღვაწლზეა საუბარი, არ შეიძლება არ შევეხოთ ჩვენი დედა ენის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის ქველმოქმედებას ჩვენი ერისა და ახალგაზრდა თაობის წინაშე. ცნობილია, რომ გოგებაშვილი დაუღალავად იღწვოდა საქართველოში სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებასა და მის განვითარებაში. მთელი მისი ცხოვრება მიძღვნილი იყო ამ საქმიანობისაკენ. განსაკუთრებით გულშემატკვირობდა და არა ერთი დახმარება გაუწევია ქალაქ ბათუმის ახლად დაარსებული სკოლისათვისაც, მათ ეხმარებოდა როგორც წიგნებით ასევე თანხით. ერთერთი დოკუმენტის მიხედვით 1902 წელს მან ბათუმის სკოლას შესწირა 200 მანეთი (ფ. 481, ან.1, ს. 779, ფურც. 8,9).

გოგებაშვილს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი საქმიანობა, სამოციანი წლებიდან დაწყებული საქართველოში არ განხორციელებულა არც ერთი კულტურული ღონისძიება, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. გოგებაშვილმა დიდი როლი შეასრულა 1878 წელს თბილისის გუბერნიის "ღარიბ მოსწავლეთა შემწე თავად - აზნაურთა საზოგადოების" დაარსებაში. ამ საზოგადოების მეშვეობით 1879 წელს დაარსდა ქართული სასწავლებელი, რომელიც მალევე გიმნაზიად გადაკეთდა. როგორც მისი თანამედროვე საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე გარსევანიშვილი იგონებდა: "ბევრ გლეხის შვილს გაუღო მეცნიერების კარი, ჩაუნერგა მეცნიერების სიყვარული, იგი ქართველი ღარიბი მოწაფეების მფარველი და დამრიგებელი იყო, მეტად შემბრალებელი გული ჰქონდა, დახმარების ხელს უწყობდა როგორც მოსწავლეებს ასევე ხელმოკლე მასწავლებლებს (ი. გოგებაშვილი, 1989, ტ. 1 გვ. 14).

ი.გოგებაშვილი იყო ასევე "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსების ერთ - ერთი ინიციატორი, საზოგადოების წევრი, 1890 წლიდან კი მისი საპატიო წევრი. იმდენად დიდი იყო მისი ღვაწლი ქართული საზოგადოების წინაშე, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ გაზეთები წერდნენ: ამ დანაკარგით გამოწვეული მწუხარება ისევე ძლიერი და საგრძნობია, რაც ქვეყანამ განიცადა დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დროს" (ი. გოგებაშვილი, 1989, ტ. 1 გვ. 18).

ყურადღება მინდა გავამახვილო ქართველი ხალხისთვის დანატოვარ, მის ანდერძზე, რომლის აღმსურებელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო. ანდერძი შეადგინეს ათიოდე დღით ადრე

გარდაცვალებამდე და დადასტურებული იყო იმავე წლის 22 ნოემბერს. 1912 წლის 1 ივნისს დაიწერა პირველი ანდერძი, 1912 წლის 2 ივნისს, მის მიერვე მცირეოდენი ცვლილებით მეორე ეგზემპლარი. საერთო ჯამში გარდაცვალებამდე იაკობ გოგებაშვილმა საკუთარი ნებით წ.კ.გ.საზოგადოებას უანდერძა:

1. ვერაზე მდებარე ნაკვეთი ზომით 264 კვ საჟენის ფართობით.
2. ფული ქალაქდებით 6.600 მან. ღირებული ფასით, ნაღდი: 15,726 მან,84 კაპ;
3. საზოგადოებაზე დარჩენილი წიგნების ფული გარდაცვალების დღემდე, რომელიც შეადგენდა 4.505 მან. და 48კ;
4. 1.წიგნების ყოველწლიური შემოსავალიდან თანხა უნდა გადაეხადათ მის მშობლიურ სოფელ ვარიანში პირველდაწყებითი სკოლის დაარსებისთვის 2. ყოველწლიურად 120 მან უნდა გადაეხადათ: განათლებს საზოგადოების სკოლისთვის, ქართული საბავშვო ბაღისათვის, ჭრა - კერვის სკოლისათვის;
5. ანდერძით მოთხოვნილი იყო სახალხო განათლების გოგებაშვილის სახ. ფონდის ჩამოყალიბება, მისი თანხის 10,000 მანეთამდე გაზრდის შემთხვევაში, ნაწილი მოხმარებოდა ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდებს, გლეხებისა და სოფლის ღარიბ მასწავლებლებს, საზოგადოების გაუქმების შემთხვევაში სახელმძღვანელო წიგნების საკუთრებაზე და სახალხო განათლების ფონდზე პასუხისმგებლობას აიღებდა რომელიმე საპატიო საზოგადოება, რომელიც მის მემკვიდრეობას დანიშნულებისამებრ გამოიყენებდა. წლების განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისგან იზრდებოდა ფონდის შემოსავალი. 1917 წელს მისი დანატოვარი მიწის ნაკვეთიც გაიყიდა. (ფ.481, ან.1, ს. 1308, ფურც. 1,2).

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა შორის უდავოდ დიდი ადგილი უკავია ნიკოლოზ ლოღობერიძეს, ქართული სტამბის ერთ-ერთ ფუძემდებელს. გარდაცვალებამდე 1 წლით ადრე 1910 წლის 22 ივნისს შედგა მისი ანდერძი, დამტკიცება ორი წლის შემდეგ მოხდა. განსვენებულმა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას 45 000 მანეთი უანდერძა. ანდერძის აღმსრულებლად დასახელდნენ ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც სიცოცხლეშივე წარმართავდა მის ფინანსებს და ექვთიმე თაყაიშვილი.

ნაანდერძევი თანხიდან უნდა შექმნილიყო მისი სახელობის სამი ფონდი: სასტიპენდიო, ქართული წიგნების გამოსაცემი და სწავლა-განათლების გასავრცობად: ქუთაისის მაზრის გოჩა ჯიხაიშის სკოლისა და შორაპნის მაზრის რგანის სკოლისათვის. ფული უნდა განაწილებულიყო შემდეგი წესით: სასტიპენდიო 2000 მანეთი. ამ თანხით სარგებლობის უფლება ჰქონდათ საქართველოდან საზღვარგარეთ და რუსეთში წასულ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, განურჩევლად ეროვნებისა საზოგადოების გადაწყვეტილებით. სტიპენდიები დაენიშნათ დავით სვიმონის ძე ლოღობერიძეს, სვიმონ ივანეს ძე დიდიმამიშვილს, დავით გიორგის ძე ჩიქოვანს, ილია გიორგის ძე ტოროშელიძეს, დავით ნიკიტინს, ბარბარე

ვარდოსანიძეს, დავით ნაცვლიშვილს. თანხა ყველა სტუდენტზე გადაანგარიშებული იყო წლებისა და თვეების მიხედვით (ფ. 481, ან.1, ს. N 1327, ფურც.1-7). ნაანდერძევი თანხიდან უნდა გაცემულიყო აგრეთვე საპრემიო თანხები, რომელიც ავტორის წესების მიხედვით გაიცემოდა.

მისი ნაანდერძევი ქონებისაგან ჩვენთვის საინტერესოა "ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის" ნაანდერძევი თანხა - 45 000 მანეთი, რომელიც ძირითადად შედგებოდა ფასიანი ქაღალდებით.

1. თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები - 27.470 მანეთის;

2. პეტერბურგის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 42 % ობლიგაციები - 16.070 მანეთის;

3. ღვინისა და ვიტებსკის რკინიგზის ობლიგაციები - 4% - 1260 მანეთი;

1915 წლისთვის ნიკოლოზ ლოლობერიძის ნაანდერძევი თანხის რაოდენობა სარგებლით შეადგენდა - 52,613 მან. 08 კაპ. წლების შემდეგ მისი ანდერძის აღმსრულებლის მიერ საზოგადოებაში წარმოდგენილი თანხა განაწილდა:

1. სასტიპენდიო - 20.000 მან;

2. საპრემიო 11.306 მან და 54 კაპ;

3. წიგნების გამოსაცემად - 11.304 მან და 54 კაპ. თანაბრად განაწილდა სასტიპენდიო და საპრემიო თანხა.

4. განათლების გასავრცელებლად გოჩა-ჯიხაიშში და რგანში - 10.000 მანეთი. (ფ. 481, ან.1, ს. 1309, ფურც.32).

საინტერესო ანდერძი აქვს გრიგოლ ლევანის ძე დადიანს, რომელიც "წ.კ.გ.საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი წევრი იყო 1879 წლიდან. გრიგოლ დადიანი საკმაოდ განათლებული და პოეზიაზე შეყვარებული ადამიანი იყო. მას ეკუთვნის ისტორიული პოემა "რუხის ბრძოლა" (ცხოვრება დიდისა მეფის სოლომონისა), რომელიც 22 წლის ასაკში დაწერა. პოემაში აღწერილია 1780 წელს მეგრულ-იმერთა ერთობლივი ბრძოლა აფხაზთა და კავკასიელ მთიელ მომხდურთა წინააღმდეგ. მისი დაწერილი პოემა დავით ჩუბინიშვილმა თავისი "ქართული ქრესტომატიის" 1863 წლის გამოცემაში შეიტანა. გ.დადიანი პერიოდულად აქვეყნებდა ლექსებს "იოანე გეგეჭკორის", "კოლხიდელის" "მეგრელის" ფსევდონიმით. მის კალამს ეკუთვნის პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ლექსები, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში "ცისკარი", "ივერია" და სხვა.

1898 წლის 13 დეკემბერს გ. დადინმა ლეჩხუმის მაზრის სოფელ ლეხერაში საკმაოდ მოზრდილი ანდერძი შეადგინა. ჩვენთვის საინტერესო ამ ანდერძიდან ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებისათვის ნაანდერძევი ქონება. ყურადღება მისაქცევია მის მიერ დატოვებული თანხიდან პრემიის მიღების და სარგებლობის წესი, რომელიც რვა პარაგრაფისგან შედგებოდა და შეიცავდა შემდეგ მოთხოვნებს:

1. "სამარადისო პრემიას შეადგენს სარგებელი სამი ათასი მანეთისა, რომელსაც მე ვსწირავ ქ. შ.წ.კ.გ. საზოგადოებას, იმ პირობით, რომ ეს ფული დარჩეს საუკუნოდ ხელუხლებლად და ინახებოდეს ან სახელმწიფო ბანკში ან რომელიმე სარგებლიან სახელმწიფოსგან უზრუნველყოფილ ქალაქებში.
2. პრემია გაიცემოდა სამ წელში ერთხელ მასზე, ვინც წარმოადგენდა საუკეთესო ისტორიულ თხზულებას საქართველოს წარსულზე, საუკეთესო ფილოლოგიურ კვლევას. საკონკურსო თხზულება აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე. საპრემიო თანხა შეადგენდა 400 მანეთს და არ იყოფოდა, თანხა მხოლოდ ერთ პიროვნებაზე გაიცემოდა."

(ფ.481, ან. 1, ს. 830, ფურც.1, 16).

გიორგი ზდანოვიჩი (ფსევდონიმი მაიაშვილი) 1902 წლიდან გიორგი ზდანოვიჩი იყო "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ნამდვილი წევრი, ხოლო 1912 წლიდან ქუთაისის განყოფილების მუდმივი წევრი და გამგეობის თავმჯდომარე. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებაში შესვლისას მან ერთიანად გადაიხადა საწევრო 100 მანეთი. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული საქვეყნოდ განთქმულ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან. ზდანოვიჩი იყო მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანოს ყრილობის დაარსების ინიციატორი და ამ საქმის ორგანიზატორი. 1896-1917 წლებში ყრილობის უცვლელი ხელმძღვანელი. დაინტერესებული იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებით, რაც ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნული განვითარების ქვაკუთხედად მიაჩნდა.

საინტერესოა გიორგი ზდანოვიჩის ანდერძის ტექსტი, რომელიც 1913 წლის 13 იანვარს შედგა. აღნიშნულის მიხედვით ზდანოვიჩი მთლიან თავის უძრავ - მოძრავ ქონებას, ფასიან ქალაქებსა და ნაღდ ფულს გასესხებულს და ადგილზე არსებულს, უტოვებდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას: მასში შედიოდა ქუთაისში მდებარე 8 ოთახიანი სახლი, უმდიდრესი ბიბლიოთეკა 2500 - მდე ძვირფას ყდებში ჩასმული წიგნებით, გასესხებული თანხა დაბრუნების შემდეგ და ტყვარჩელის ქვის მადნის მისი წილი შემოსავალი. ანდერძის შემსრულებლად დასახელებული იყო ისიდორე კვიციანიძე, რომელიც განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულით აღწერდა მის ბიბლიოთეკას: "ვცემ რა პატივს უდროოდ ტრაგიკულად გარდაცვლილ საზოგადო მოღვაწეს, საზოგადოებისათვის მის დანატოვარ კულტურულ საგანძურსაც ფრთხილად და გულის მოდგინედ ჩავიბარებ და მოვუვლი..." (ფ. 481, ან. 1, ს. 1832, ფურც. 32). გიორგი ზდანოვიჩის სახლი გაიყიდა 140 ათას მანეთად გაიყიდა, მასში არსებული ქონება, სულ 221 დასახელების ნივთი კი - 139 226 მანეთად ტყვარჩელის ქვანახშირის მადნის ჟდანოვიჩისეულ წილის ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების სასარგებლოდ მიღებაზე მეწილეებთან მოლაპარაკების პროპცესი 1921 წელსაც მიმდინარეობდა. (ფ. 481, ან.1, ს. 1753, ფურც. 5-6).

გიორგი ზდანოვიჩთან დაახლოვებული პირი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, „საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ქუთაისის საზოგადოება „სინათლეს“ თავმჯდომარე, პუბლიცისტი, ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრი, ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარე, შემდეგ კი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კიტა აბაშიძე, რომელსაც ცხოვრების ასეთივე ტრაგიკული დასასრული ჰქონდა.

ჯანმრთელობის გაუარესების გამო 47 წლის ასაკში კიტა აბაშიძემ თბილისის ნოტარიუსის გიორგი მაჭავარიანის დახმარებით შეადგინა ანდერძი, რომლითაც თავისი ლიტერატურული ნაწარმოებები უანდერძებდა ქ.შ.წ.გ.საზოგადოებას. ანდერძით ნაწარაუდვე იყო მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა გადასცემოდა ქართულ უნივერსიტეტს, იმ შემთხვევაში თუ მისი გარდაცვალების შემდეგ სამ წელში გაიხსნებოდა, მაგრამ თუ უნივერსიტეტის გახსნა დააგვიანდებოდა, ის მთლიანად გადაეცემოდა ქუთაისის საზოგადოება "სინათლეს". ცნობილია, რომ კიტა აბაშიძის ეს დიდი ბიბლიოთეკა გადაეცა ადრესატს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რაც ქართული უნივერსიტეტისთვის ეს ერთ-ერთი პირველი დიდი მონაპოვარი იყო....(ფ. 481, ან. 1, ს. 1829, ფურც. 2).

ყურადღებას იპყრობს ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე ნაკაშიძის ძმის - დიმიტრი გიორგის ძე ნაკაშიძის ანდერძი. თავადი დიმიტრი ნაკაშიძე 1889 წლიდან "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო, 1876 წლის 28 მაისს და 1894 წლის 14 მაისს მონაწილეობდა ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის სათავადაზნაურო არჩევნებში. 1900 წლის 7 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში მის მიერ შედგენილი იყო ანდერძი, რომელიც ყურადღებას იპყრობს მისი ქონების საზოგადოებისთვის განაწილების თავისებურებით, კერძოდ: "ცოტაოდენი ფული, რაც ჩემი სიკვდილის შემდეგ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში დარჩება ჩემგან შენახული, როგორც თავნი, ისე მისი სარგებელი, აგრეთვე საწევრო ფული ჩემი ხსენებულს საზოგადოებაში შეტანილი, მისის დივიდენტით, მიანდერძებია "ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის", იმ პირობით, რომ ეს ჩემი ნაანდერძევი მან ხელუხლებელ თავნად აქციოს და რასაც წლიურად სარგებელს აიღებს ამ თავნით, მოახმაროს სამადლოდ და ჩემდა სამახსოვროდ გურიანთის სასოფლო სასწავლებელს გადაეცეს, რომელიც ამ ჟამად გურიაში, ციხის სასოფლო საზოგადოებაში არსებობს." ეს ნაანდერძევი თანხა შეადგენდა 2400 მანეთი, თუმცა 1914 წელს დიმიტრი ნაკაშიძის შთამომავალმა, მის სასახლეში სოფელ ვაშნარში მცხოვრებმა თეოლინე ნაკაშიძემ მოითხოვა ანდერძის გადამისამართება ვაშნარის სკოლისათვის,

რადგან იმ დროს სკოლა საშინელ დღეში ყოფილა. (ფ. 481, ან.1, ს. 777, ფურც. 6,21).

დასკვნა: აქ დავამთავრე ჩვენი დიდი წინაპრების ქველმოქმედებაზე საუბარს, თუმცა ეს იმდენად დიდი თემაა, არ ეყოფა ორი მოხსენებაც. დამეთანხმებით ქველმოქმედება ყოველთვის დიდად ფასობდა და ფასობს საზოგადოებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი თავდადება იმ დროს, როცა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი სრულიად გაუნათლებელი იყო, ქვეყანას წყალივით სჭირდებოდა განათლებული და ახალი ცხოვრებისთვის მომზადებული ახალგაზრდები. სწორედ ამ დროს გაიღო ქვეყნის შეგნებულმა ნაწილმა წლობით ნაგროვები ქონება და სრულიად უსასყიდლოდ გადაეცა განათლების ამ დიდ ფონდს. მათი პატრიოტული საქმეები მუდამ იქნება ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს კაცს თავისი ერი, თავისი სამშობლო, როგორ უნდა შესტკიოდეს გული, ქვეყნის აყვავების, ხალხის ბედნიერი და უკეთესი მომავლისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:


1. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი – სცა: ფ. 481, ან. 1. საქმეები NN 777, 779, 830, 1269, 1308, 1309, 1327, 1753, 1829, 1832; ფ. 2079, ან. 1, საქმე N 1.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი: ფ. 1909, ან. 2, საქმეები: NN 2, 4, 21, 23, 25.
3. გოგებაშვილი, 1989: – ი. გოგებაშვილი, "რჩეული თხზულებები" , თბილისი, 1989.
4. საქართველოს სახელმწიფო არქივები, 1953: – ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ფონდის აღწერილობა), თბილისი, 1953.



დავით სარაჯიშვილი



ეკატერინე ფორაქიშვილი სარაჯიშვილი



ნიკოლოზ ლოლობერიძე





გრიგოლ დადიანი

Handwritten document in Georgian script, dated 1880, mentioning names like 'მეფის' (The King's) and 'სამთავროს' (The Court). It appears to be a petition or a report regarding land or administrative matters.

Handwritten document with a table of numbers and dates. The header includes 'საბაო მამო' (Sabao Mamoo) and 'თბილისი, 28 - დეკემბერი 1912'. The table lists various items and their corresponding values or dates.

№	აღწერილობა	ფასი
13.	ქაღალდის... (Khadaldis...)	14 ანა - 1 კაპ.
14.	ქაღალდის... (Khadaldis...)	725 - 11 - 0 - 0 - 0
15.	ქაღალდის... (Khadaldis...)	725 - 10 - 0 - 0 - 0
16.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
17.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
18.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
19.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
20.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
21.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
22.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
23.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
24.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
25.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
26.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
27.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
28.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
29.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0
30.	ქაღალდის... (Khadaldis...)	724 - 1 - 0 - 0 - 0

სულს 472 - 25 კაპ.



ՏՁԶԵՄԻՆ

91

Երևան-յոսանական թանգարանի մասնաճյուղի մասին
գրքի մասին Արևիկա ամսագրի 23/1 1921 թ.

Բովանդակ: 3. Երևանի, Երևանի, Երևանի, Երևանի, Երևանի,
Գ. Երևանի, Երևանի, Երևանի,
ՄԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ Բ. ՄԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

Հանձնարարություն

Բովանդակ

Երևանի համալսարանի ճարտարագիտության թանգարանի
գրքի մասին

Երևանի համալսարանի ճարտարագիտության
թանգարանի գրքի մասին

ՄԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ Բ. ՄԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
Երևանի համալսարանի ճարտարագիտության
թանգարանի գրքի մասին

Երևանի համալսարանի ճարտարագիտության
թանգարանի գրքի մասին

ՄԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ Բ. ՄԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

Երևանի համալսարանի ճարտարագիտության
թանգարանի գրքի մասին



Modification of Traditional Housing on the Example of Meskhuri Oda

ტრადიციული საცხოვრებლის მოდიფიკაცია მესხური
ოდის მაგალითზე

Lavrenti Janiashvili

Doctor of historical sciences, Chief scientific
researcher at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Tel: +995 593 34 87 88

e-mail: lavrenti.janiashvili@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-2053-8911>

Abstract: The traditional dwelling of Samtskhe-Javakheti, the darbazi house with a "swallow dome roof, was prevalent in eastern Georgia and adjacent regions. These dwellings, typically concentrated in densely populated settlements, constituted a complex comprising both residential and agricultural structures under a unified roof. Regional variations of the darbazi house have emerged due to ecological, geographical, and socio-economic differences across Georgia. The scholarly discourse delineates three primary local variants: Kartlian, Tsalka/Trialetian, and Meskhetian (in Samtskhe-Javakheti).

In southern Georgia (Samtskhe-Javakheti), as well as in Trialeti and other locales, the segmentation of darbazi houses by adding new sections marks the initial phase in transitioning from the swallow dome-type to modern housing. This transition necessitated structural alterations, particularly by replacing the hearth – which held paramount and sacral significance in traditional housing – with stoves and fireplaces. These structural modifications also influenced the interior of the room. In some cases, complex outbuildings appeared (fireplace-bakery-stove). Due to the construction of a special chimney, the zenith window (erdo) lost its smoke ventilation role. The threat of enemy invasion and the defensive purpose of dugouts are a thing of the past. Dramatic changes, which, among other things, manifested themselves in the dissolution of the traditional social unit, the family community, led to a disruption of the social function of darbazi-type buildings.

The transition to above-ground housing witnessed significant shifts, including the introduction of stone walls, windows for interior illumination, and the gradual

replacement of domes and zenith windows with chimney roofs. This evolution led to the separation of agricultural structures from residential areas, with walls assuming a supportive role for the roof.

Despite these transformations, dugout dwellings persisted in Samtske-Javakheti, even during the Soviet era, caused by certain factors such as ecology, climate, and agricultural conditions. Similar buildings are still preserved in Javakheti, although they are mainly utilized for economic and tourism (museum, exotic) purposes today; these structures present a fusion of old and new lifestyles. For example, electricity is used for lighting, the rooms have modern attributes: internet, plasma TV, refrigerator, etc.

Key words: Samtskhe-Javakheti; Dugouts; Hearth; Fireplace Modification; Modern Household appliances.

ლავრენტი ჯანიაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ტელ: +995 593 34 87 88

ელ-ფოსტა: lavrenti.janiashvili@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-2053-8911>

აბსტრაქტი: მესხური ტრადიციული საცხოვრებელი, ერდოიან-გვირგვინიან დარბაზული ნაგებობაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებში. ამ ტიპის საცხოვრებლები ძირითადად ძლიერად შეჯგუფებულ დასახლებებში გვხვდება და ერთ ჭერქვეშ მოთავსებულ ადამიანთა საცხოვრისს და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსს წარმოადგენს. საქართველოში ეკოგეოგრაფიული გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულობის გამო ჩამოყალიბდა ლოკალური ვარიანტები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ერთი საერთო ძირიდან აღმოცენებული სამი მოდიფიცირებული სახეობა: ქართლური, წალკური//თრიალეთური, და მესხური (სამცხე-ჯავახეთში).

სამხრეთ საქართველოში (სამცხე-ჯავახეთში), ისევე როგორც თრიალეთსა და სხვაგან, ერდოიან-გვირგვინიანიდან თანამედროვე საცხოვრებლზე გადასვლის პირველ საფეხურად მისი სეგმენტაციაა (ახალი განყოფილებების

დამატება) უნდა მივიჩნიოთ.. ახალ ოთახებში საცხოვრებლის ცენტრალური და საკრალური ფუნქციის ფუნქციის მქონე კერიის ადგილი ფურენემ და ბუხარმა დაიჭირა, რამაც მშენებლობაში კონსტრუქციული ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვია და გავლენა მოახდინა ოთახის ინტერიერზე. ცალკეულ შემთხვევებში გაჩნდა კომპლექსური ტიპის (ბუხარი-თონე-ფურნე) საყოფაცხოვრებო ნაგებობა. საგანგებო საკვამურის მოწყობამ, ერდოს კვამლის გამტარის ფუნქცია დაუკარგა. წარსულს ჩაბარდა მტრის შემოსევების საფრთხე და მიწური ნაგებობების თავდაცვითი დანიშნულებაც. კარდინალურმა ცვლილებებმა, რაც, სხვათა შორის, ტრადიციული სოციალური ერთეულის, საოჯახო თემის, დაშლაში გამოიხატა, ერდოიან-გვირგვინიან ნაგებობებს სოციალური ფუნქცია დაუკარგა. დაიწყეს მიწისზედა სახლების მშენებლობა. რომელთაც თავდაპირველად შენარჩუნებული ჰქონდათ მიწური გადახურვა გვირგვინისა და ერდოს გარეშე. გაჩნდა ქვითკირის კედლები და ფანჯრები ინტერიერის გასანათებლად. თანდათანობით გვირგვინი და ერდო საკვამურიანი სახურავით შეიცვალა, სახურავის მზიდის ფუნქცია კედლებმა იკისრეს, ადამიანთა საცხოვრებელს გამოეყო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. ზემოხსენებულის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში მიწური საცხოვრებელი ნაგებობები საბჭოთა პერიოდშიც იყო შემორჩენილი, რასაც გარკვეული ფაქტორები (ეკოლოგია, კლიმატი, სამეურნეო პირობები და ა.შ) განაპირობებდა. ჯავახეთში ამგვარი შენობები ჯერ კიდევ გვხვდება, თუმცა ძირითადად, სამეურნეო და ტურისტული (სამუზეუმო/ეგზოტიკური) დანიშნულებით იყენებენ. ამგვარ საცხოვრისში შეხამებულია ძველი და თანამედროვე ყოფის კომპონენტები. მაგ., გასანათებლად იყენებენ ელექტრობას, ოთახებში გვხვდება დღევანდელი სათავის დამახასიათებელი ატრიბუტები: ინტერნეტი, პლაზმური ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-ჯავახეთი; მიწურბანიანი საცხოვრისი; კერა; ბუხარი; მოდიფიკაცია; თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

შესავალი: საცხოვრისის განახლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ, თანამედროვე პირობებში, მრავალფეროვანი

სამშენებლო მასალის, საინჟინრო-არქიტექტურული ცოდნის, კვალიფიციური მუშახელის და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობა განაპირობებს ტრადიციული საბინადრო გარემოს სწრაფი ტემპებით ტრანსფორმაციას. თუმცა, უნდა ითქვას რომ, გარკვეულ ტიპოლოგიურ ერთგვაროვნებას რეგიონები მაინც ინარჩუნებენ, რადგან მშენებელი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ და ბუნებრივ პირობებზე მორგებულ ტრადიციულ სამშენებლო კულტურას. როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავდა: „ამა თუ იმ ხალხში გამომუშავებული და ხმარებაში მიღებული საცხოვრებელი ბინის ესა თუ ის სახე როდია შემთხვევითი გარემოების შედეგი ან აღმშენებლობის კაპრიზული გემოვნების ნაყოფი. საცხოვრებელი ბინის ტიპები, როგორც მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებიც, ემორჩილებიან თავიანთი განვითარების გზაზე იმავე საემანსიპაციო პროცესს, რომელსაც ადამიანი თავისი ბრძოლის გზაზე ქმნის, ბუნების ექსტენსიური და ინტენსიური ბატონობის წინააღმდეგ“ (ჩიტაია, 2001: 137).

მე-20 საუკუნეში, საბჭოთა წყობილების დროს განხორციელებული რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური ცვლილებები აისახა სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობებზე. ერთი მხრივ მიმდინარეობდა ტრადიციულ ნაგებობათა მოდიფიკაცია-რეინოვაცია, ხოლო მეორე მხრივ, თვისობრივად სრულიად ახალი კონსტრუქციული მოდელების დამკვიდრება. ამგვარი ვითარება მეტად თვალსაჩინოა სამხრეთ საქართველოში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში, სადაც ტრადიციული ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობები ყოფაში 70-80-იან წლებამდე დარჩა. ამ საცხოვრებელთა დიდ ნაწილს, მართალია, ფუნქცია შეეცვალა და სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მოდერნიზებული ფორმით აგრძელებდა ძველი დანიშნულებით არსებობას. საბჭოთა პერიოდში ამ მიმართებით კვლევა ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, რასაც ვერ ვიტყვით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილ ვითარებაზე, როდესაც ობიექტური მიზეზების გამო საველე-ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება ძალიან გაჭირდა. იმავდროულად ბინათმშენებლობაში სრულიად ახალი ტენდენციები დამკვიდრდა, კარდინალურად შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მოიხსანა კერძო მშენებლობაზე მანამდე არსებული გარკვეული შეზღუდვები, გაიზარდა სამშენებლო მასალებზე და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე წვდომა,

შესაძლებელი გახდა თანამედროვე არქიტექტურისა და დიზაინის მიღწევების გამოყენება. ცხადია სამეცნიერო თალსაზრისით მეტად საინტერესოა, რა ფუმქციური და არქიტექტურული ტრანსფორმირება განიცადა ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობებმა სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მცდელობას მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ამ საკითხის შესახებ.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: სამხრეთ კავკასიაში დასახლების ფორმებისა და ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლის და ტიპოლოგიის სისტემური კვლევის პრობლემა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში დასვა ქართული ეთნოლოგიის ფუძემდებელმა გ. ჩიტაიამ (ჩიტაია, 1926; ჩიტაია, 1947; ჩიტაია, 1953). ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა 1935 წელს ი. ჯავახიშვილის გეგმით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებულმა ეთნოგრაფიულმა ესპედიციებმა, რომლებშიც ოცზე მეტი მკვლევარი მონაწილეობდა. მასშტაბური საველე მუშაობის შედეგად დაფიქსირებულ კომპლესურ მასალაში გარკვეული წილი უჭირავს ადმშენებლობას (საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები). ამ დროს მოპოვებული მასალა, რომელიც შეეხება ქართულ ტრადიციულ ნაგებობებს, მათ სპეციფიკას და ნაირგვარობას, გამოქვეყნდა 1976 წელს (ჯავახიშვილი, 1976). მოგვიანებით ტრადიციული ნაგებობების შესწავლას არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა. ალ. რობაქიძემ, ჩამოაყალიბა საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები (რობაქიძე, 1975; რობაქიძე, 1986). ქართული ტრადიციული არქიტექტურის შესახებ მეტად საყურადღებო მონოგრაფია გამოაქვეყნა ლ. სუმბაძემ (სუმბაძე, 1984). ამიერკავკასიის დარბაზული ნაგებობები საფუძვლიანად შეისწავლა თ. ჩიქოვანმა. ნაშრომში „ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორიიდან“ (ჩიქოვანი, 1967), სადაც განხილულია ქართული დარბაზი, სომხური ტრადიციული საცხოვრებელი „გლხატუნი“ და აზერბაიჯანული „ყარადამი“, შედარებულია მათი კონსტრუქციული ელემენტები და ფუნქციონალური მხარეები. თ. ჩიქოვანმა გაანალიზა ქართული ერდოიან-გვირგვინიანი სახლის ევოლუციის თავისებურებები, რითაც პასუხი გაეცა იმ მეცნიერთა დებულებებს, რომლებიც ამ ტიპის ნაგებობათა ქართულ გარემოში წარმოშობა-განვითარების იგნორირებას ცდილობდნენ. მესხეთის ტრადიციული საცხოვრებლების შესწავლას ხსენებულმა ავტორის კიდევ

რამდენიმე გამოკვლევა ეხება (ჩიქოვანი, 1979; ჩიქოვანი, 1982; ჩიქოვანი 1960; ჩიქოვანი, 1962).

მეთოდები: წინამდებარე სტატია დაფუძნებულია კომპლექსურ, ისტორიულ და ეთნოლოგიურ მეთოდოლოგიაზე. გამოყენებულია საველე-ეთნოგრაფიული მასალის შეკრების ტრადიციული, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი (სოციალური და მატერიალური ყოფის ინტენსიური აღწერა-შესწავლა კომპლექსში, სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით). საველე ეთნოგრაფიული მასალა მოპოვებულია 1991-2023 წლებში. ყოფისა და კულტურის ელემენტები შესწავლილია, როგორც ვერტიკალურ (ისტორიულ) ისე ჰორიზონტალურ ჭრილში. ისტორიული პროცესების ანალიზი დაფუძნებულია შედარებით ისტორიულ მეთოდზე.

მსჯელობა: მკვლევრები ერდოიან-გვირგვინიან ნაგებობების წარმოშობის ოთხ ძირითად კერას გამოყოფენ და მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კავკასიის გარდა, განსხვავებული ვარიაციებით სცხოვრებლის ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო მთელს აზიაში, არამედ ეგეოსის სამაყროში, ძველ რომში, დღევანდელი ბულგარეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე და ა.შ (Сумбадзе, 1984: 3, 304-). სამხრეთ კავკასიაში დარბაზული სტრუქტურის საფეხუროვანი ხის გვირგვინიან-გუმბათიანი ნაგებობები სათავეს იღებს მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში, ჩ. წ.აღ-მდე მე-3 ათასწლეულის დასაწყისში (Сумбадзе, 1984: 311). დღევანდელი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე აღწერილია ტიპოლოგიური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მსგავსი ქართული დარბაზი, სომხური გლხატუნი და აზერბაიჯანული ყარადამი (; Лисициан, 1925; ჩიქოვანი, 1967 და ა.შ.).

გ. ჩიტაია წერდა, რომ ტრადიციული საცხოვრებლების შესწავლაში, ეკოგეოგრაფიულ გარემოსთან („ქვეყნის ბუნებრივი არე (milieu), რომელიც ადამიანის მიერ ბუნების წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზია“) ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს საკვლევი ერთობის კულტურულ მდგომარეობას (ჩიტაია, 1926: 137), ან, როგორც უწოდებენ, სამეურნეო კულტურულ ტიპს (სკტ). ქართული ეთნოგრაფიული სკოლა სკტ-ს საკმაოდ ფართო ცნებად მიიჩნევდა და საქართველოს განიხილავდა ერთიანი სკტ-ად, რომელიც მოიცავდა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ ვარიაციებს. ამგვარი ლოკალური ნიშნებით საქართველოში სამ რეგიონს: აღ. საქართველოს ბარს, დასავლეთ საქართველოს დაბლობს და საქართველოს მთიანეთს გამოყოფენ (რობაქიძე 1986: 7).

საცხოვრებელი გარემოს ცვლილებებს ძირითად იმპულსს აძლევდა ადამიანის მარადიული მისწრაფება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და კომფორტის ელემენტების შემოტანისაკენ. ბუნებრივია, ამ პროცესის ინტენსივობას მეტწილად სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნოკულტურული ფაქტორები განსაზღვრავდა. ამ მხრივ ხელსაყრელი პირობები სამხრეთ საქართველოში მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან შეიქმნა, როდესაც სამცხე-ჯავახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და სხვა ქართულ ადმინისტრაციულ დანაყოფებთან გაერთიანდა. მუდმივი ომიანობის საფრთხის მოხსნამ, ეთნოდემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების კარდინალურმა ცვლილებებმა შექმნა საცხოვრებლის მშენებლობაში ახალი ტენდენციების გაჩენისათვის ხელსაყრელი ვითარება.

სამცხე-ჯავახეთის სოფლების უმეტესობა ოდნავ შეფერდებულ ადგილებზე, მდინარეთა ხეობებშია გაშენებული. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლების ფორმა შეესაბამისება ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, რელიეფს და ტრადიციულ კულტურულ-სამეურნეო ყოფას. მესხეთის პირობებში სოფელი, ძირითადად მონოგენურ, შეკრულ ერთეულს წარმოადგენდა, სადაც ნათესაური გაერთიანებები, უბნები, ერთმანეთის ახლოს განლაგებულ და ვიწრო შუკებით გამოყოფილი კვარტლების წყებას ქმნიდა. უბნურ-კვარტლური დასახლება ძირითადად ჰორიზონტალურად იყო განფენილი, თუმცა ზოგჯერ ტერასული სახეც ჰქონდა, ისე რომ ერთი სახლის ბანი მეორის ეზო იყო (ჩიქოვანი, 1967: 51). სიმბიოზური, მიწათმოქმედება-მესაქონლეობით წარმოდგენილი მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური საცხოვრებელი და სამეურნეო, დარბაზული ტიპის ნაგებობები. დასახლებული პუნქტები ერთმანეთთან საიდუმლო ხვრელებით დაკავშირებული შენობებისაგან შედგებოდა, ეზოების უქონლობისა და ნაგებობების მაქსიმალური სიმჭიდროვის გამო ასეთი დასახლება მომხდურისათვის თითქმის შეუძენველი იყო. სოფელს მტრის თვალისაგან იფარავდა ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მოშორებით მდებარეობდა. მთხრობელთა გადმოცემით მიწურბანიანი და სანახევროდ მიწაში ჩაფლული სოფლები ნაკლებად ზარალდებოდა მტრის თავდასხმის შემთხვევაში. საამისო მაგალითად ადგილობრივი მაცხოვრებლები სოფ. ჭაჭარაქის მაგალითს იშველიებენ. ამ სოფლის მოსახლეობას მე-20 საუკუნის დასწყისში მიწურბანიანი სახლები ე.წ. „კრიშიანი“ სახლებით შეუცვლიათ და 1918 წელს მესხეთში განვითარებული დრამატული მოვლენების დროს ყველაზე მეტადაც დაზარალებულან, თურქებს მათი სახლები მთლიანად გადაუწვავთ.

მატერიალური კულტურის სფეროში ცვლილებებს, პირველ რიგში, განაპირობებს ნასესხობის გზით ახალი ელემენტების შემოტანა, რაც,

ინტერკულტურული კონტაქტების სიხშირეს უკავშირდებოდა და ამრიგად კორელაციაშია მასობრივ მიგრაციებთან. ამ მხრივ აღასანიშნავია 1830-იან წლებში ოსმალეთში გასახლებული მუსლიმების (ძირითადად წარმომავლობით ქართველების) ჩანაცვლება არზრუმის ვილაიეთიდან შემოყვანილი სომხებით და 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მუსლიმი მოსახლეობის ადგილას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (მეტწილად ზემო იმერეთიდან) ჩამოყვანილი კოლმეურნეების ჩასახლება. უნდა ითქვას, რომ სომხების ჩამოსახლებას მესხური ნაგებობების გარეგნულ სახეზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით ერთი საუკუნის მანძილზე ტრადიციული საცხოვრებლის ინტერიერმა და დგამ-ავეჯმა ყველა ეთნოკონფესიურ ჯგუფში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. 1944 წელს განხორციელებული დეპორტაცია დაემთხვა სრულიად ახალ ტენდენციას. მიმდინარეობდა მიწური, გვირგვინიან-ერდოიანი ნაგებობების მასობრივი ჩანაცვლება მიწისზედა, კაპიტალური ნაგებობებით, რომლებიც საცხოვრებლის კარდინალურად განსხვავებულ ტიპს მიეკუთვნებიან. ამ პროცესზე, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა ახლადდამკვიდრებულთა სამშენებლო ტრადიციებმაც ითამაშა.

როგორც ითქვა, გვირგვინიან-ერდოიანი დარბაზული ტიპის ნაგებობები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებშიც და, მათ შორის, სომხურ დასახლებებშიც. ამიტომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებულ სომხებს დაცარიელებულ სოფლებში ნაცნობი საცხოვრებელი გარემო დახვდათ. მესხური საცხოვრებლის მსგავსად მათი ტრადიციული ნაგებობებიც ერთ ჭერქვეშ მოთავსებულ ადამიანთა საცხოვრისს და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა. ქართული და სომხური გვირგვინიანი-ერდოიანი ნაგებობების განხილვა გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ ტიპის შენობების ფორმათა ვარიაციების და თავისებურებების შესახებ ამიტომ ამ საკითხს შედარებით ვრცლად განვიხილავ.

ს. ლისიციანის თანახმად რუსულ კულტურასთან საკმაოდ ინტენსიური შეხების მიუხედავად სომხური შენობა –ნაგებობები საოცარი არქიტექტურული და კონსტრუქციული ერთფეროვნებით ხასიათდებოდა (Лисициан, 1927: 109). ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ნაგებობების ფორმის, სამშენებლო მასალის, სახურავის მოწყობილობისა და კერიის ადგილსამყოფელის მიხედვით ორი ტიპის ტრადიციულ ნაგებობას ე.წ. „გლსატუნს“ გამოყოფენ. ლისიციანისეული ტიპოლოგიით პირველი ტიპის საცხოვრებელი გავრცელებული იყო სომხეთის ტყით მდიდარ რაიონებში ლორე, ტავუში, მთიანი ყარაბახი, ზანგეზური, ვანის ტბის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპირო, მუშის დაბლობი, ხოლო მეორე ტიპი – ტყით შედარებით ღარიბ რაიონებში, როგორცაა - სომხეთი, ტურენბერანი, ახმინკი,

შირაქი, არაგაწონი, ჯავახეთი (Лисициан, 1925: 103-104) (ს. ლისიციანი ლორეს სომხეთის ისტორილ პროვინციად მიიჩნევს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო საკითხია; ქართული ტოპონიმი ჯავახეთი კი სომეხ ავტორებთან გვხვდება ფორმით – „ჯავახვი“ – ლ.ჯ.). ამ ტიპის საცხოვრებლის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ითვლება სამეურნეო ფუნქციის მქონე ნაგებობათა საცხოვრებლის გარეთ განლაგება და კერა//ტენდირის არქონა. ლისიციანის აღწერით ყარადაში შედგებოდა სრახისა და ერთი კვადრატული ერდოიან-გვირგვინიანი ოთახისაგან. ოთახის შუაგულში მოთავსებული იყო ჩაღრმავებული ადგილი ცეცხლისათვის, რომელსაც ქვისაგან ნათალი სკამები ჰქონდა შემოწყობილი. ტენდირის არქონას ს. ლისიციანი იმით ხსნიდა, რომ ეს რეგიონი მდიდარია ტყეებით (ტენდირში საწვავად ძირითადად წივა – გამხმარი ნაკელი გამოიყენება) (Лисициан, 1925: 104). სხვა ავტორების ცნობით ამ საცხოვრებელ ნაგებობაში ერთ ჭერქვეშ შეიძლება სამეურნეო ნაგებობებიც იყოს: ღია დერეფანი (სრახ, ერესებეც, აივან), საცხოზი (ჰაცატუნ), საკუჭნაო (მარან), ბოსელი (გომ) და ზოგჯერ ქალაქური ტიპის სასტუმრო ოთახი (სენიაკ ოთახ) (Марутян, 1989: 72).

მთავარ საცხოვრებელ განყოფილებაში კედლის კუთხეებთან აღმართულია ხის სვეტები, რომლებიც ქვის საფუძველს ეყრდნობიან. სვეტებზე კედლების პარალელურად გადებულია ორი ძელი, მათზე ცენტრის სიახლოვეს პერპენდიკულარულად მაგრდება შედარებით მცირე ზომის ორი პარალელური ძელი, ასე შეიკვრება კვადრატი, რომელიც გვირგვინის პირველ საფეხურს წარმოადგენს. ამ კვადრატს ეყრდნობა უფრო მცირე ზომის კვადრატი. ასე თანდათან დაპატარავებული კვადრატების საშუალებით იქმნება გვირგვინი, რომელიც სინათლისა და კვამლის გამტარი ერდიკით მთავრდება. ამ ტიპის ნაგებობებში საცხოვრებელი ოთახი, როგორც წესი, ერთდროულად წარმოადგენდა სასადილოს, სამინებელს, სამზარეულოსა და ნაწილობრივ საკუჭნაოს (Марутян, 1989: 72).

მეორე ტიპის ტრადიციული სომხური საცხოვრებელი უფრო წააგავს საქართველოში გავრცელებულ საცხოვრებელ ნაგებობებს. მათ ახასიათებდათ თითქმის ყველა სამეურნეო განყოფილების ერთ ჭერქვეშ განთავსება: მთავარი სამეურნეო-საცხოვრებელი განყოფილების (ტუნ, ტან ტუნ) გარდა, შენობაში შედის – საკუჭნაო (კოხ, კილარ), ბოსელი (გომ, თავლა), ბოსელთან არსებული ოთახი (გომი ოდა), დახურული დერეფანი (ბაკ, შვაკ) და ზოგჯერ ქალაქური ტიპის სასტუმრო ოთახი, ამ ტიპის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი იყო უფრო რთული გვირგვინისებური გადახურვა, რომელიც ხშირად მრავალკუთხა 8, 16 და 32 კუთხიანი ელემენტისაგანაც შედგებოდა. ასეთი გადახურვის მქონე სახლები, „ჰაზარშენ ტუნები“ სომხეთში ძალიან პოპულარული იყო. მათში ცალკე იყო გამოყოფილი ტენდერტუნი – ოთახი ტენდერისათვის, რასაც ამ ტიპის ნაგებობებისათვის ძირითად ნიშნად მიიჩნევენ. უფრო არქაულად შეიძლება ჩაითვალოს

ნაგებობის შუაგულში მოთავსებული ტენდერიანი ვარიანტი, რომელმაც მოგვიანებით ცალკე ადგილი დაიკავა და თაღით გამოეყო საცხოვრებელ განყოფილებას. „გომი ოთახ“ და „გომი თავლა“ რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ - ერთადაა მოქცეული. ამ განყოფილების უმეტესი ნაწილი თავლას ანუ გომს ეჭირა, იგი წარმოადგენდა ბოსელს, რომელსაც ფასადის მხრიდან ნაკელის გადასაყრელად სანათურს უტოვებდნენ (Марутян, 1989: 74). „გომი ოთახ“ (დანიშნულებით მესხურ თაკარებიან ოდა-საჯალაბოს (ახვრის ოდას) და თრიალეთურ-ლაზურის რიგის მიწურბანიან ოდას შეესაბამებოდა. თ. ჩიქოვანის თანახმად სომხეთის სინამდვილეში „გომი ოთახი“ გასული XIX ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მომიჯნავე კოგოვიტის პროვინციებიდან გადმოსახლებულთა შორის იყო გავრცელებული, ხოლო ლორე-ბამბაკის ადგილობრივ მოსახლეობას ამგვარი სათავსო საერთოდ არ გააჩნდა. ტრადიციულ სომხურ ნაგებობებში ზოგჯერ გვირგვინი ეყრდნობოდა არა მარტო ხის ბოძებს, არამედ კედლებსაც, უფრო მეტიც ხშირად ტუფის ქვისაგან ნაგები სახლის გვირგვინი პირდაპირ კედლებზე იყო დადებული (ასეთი სახლები სეისმურად მეტად საშიშია - ლ.ჯ.). კერია//ტონირი ხშირად მარტო ტორანტუნში იყო, სხვა ოთახებში ცეცხლს არ ანთებდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა ოჯახის უფროსის საცხოვრებლად განკუთვნილი ოთახი, რომელიც შედარებით მდიდრულად იყო მოწყობილი და „ბუხარიკი“, პატარა ოთხკუთხა ფორმის ბუხარი ჰქონდა. ოჯახის ძირითადი ნაწილი ტორანტუნში ცხოვრობდა.

1990-იან წლებში სოფ. ნაოხრევში (ცხოვრობენ სომეხი კათოლიკეები - ლ.ჯ.) ვნახე შედარებით კარგად შემონახული მიწური შენობა, რომელშიც მარტოხელა სომეხი მამაკაცი ცხოვრობდა. ეს სახლი, ან როგორც მას ადგილობრივი სომეხები უწოდებენ „გოლიატუნი“ (მიწის სახლი - ლ. ჯ.), წარმოადგენს გვიქმნის როგორც იყო ამ რეგიონის მარტივი ტიპის ტრადიციული ნაგებობა. იგი აგებულია ქვისა და ალიზისაგან, გადახურვა მიწურბანიანია, შედგება კარაპანის, დერეფნისა და სამი განყოფილებისაგან. საცხოვრებელის შესასვლელში მოთავსებულია ღია აივანი - „კარაპანი“, რომელიც სამუშაო და საყოფაცხოვრებო იარაღების საწყობად გამოიყენება. ზაფხულობით ოჯახი სწორედ აქ ატარებდა დროს. კარაპანიდან ხის მძიმე, უბრალო კარით შევდივართ ბნელსა და ვიწრო დერეფანში, რომელიც ნაგებობის ცალკეულ განყოფილებებს ერთმანეთთან აკავშირებს. შვოვის მარცხნივ იმყოფება „ტანდერტუნი“ (თონის სახლი), დაახლოებით 20 კვ. მეტრის ფართობის სოხანიანი ოთახი. ეს ოთახი ორი განყოფილებისაგან შედგება - ერთი შედარებით მაღლაა (40-50 სმ-ით) განლაგებული. ამ განყოფილებაში ორი განსხვავებული ზომის თონეა (ტუნდირი=თუნდირი) ჩადგმული. ტუნდირი თიხის უძირო ცილინდრული ფორმის ჭურჭელს (ქართული თონის მსგავსი). ტედერტუნის დაბალ განყოფილებაში დგას ხის გრძელი ტახტი. წინათ მასზე ოჯახის ახალგაზრდა წევრები იძინებდნენ.

ტენდერტუნს საკუთარი გვირგვინი აქვს, რომელიც ხის ბომბეზუა დაყრდნობილი და ხუთი საფეხურისაგან შედგება. ამ სათავსოში ინახებოდა მარცვლეულისათვის განკუთვნილი ხის დიდი ჭურჭელი „ამბარ-ი“. დერეფნის ბოლოში საკმაოდ მოზრდილი ბნელი საქონლის სამყოფელი (ბოსელი) იყო. მას სინათლე ზემოთ მოთავსებული პატარა ერდოდან მიეწოდებოდა. დერეფნის მარჯვნივ, გომის მოსაზღვრედ, მოთავსებულია საცხოვრებელი ოთახი. ესაა ყველაზე კეთილმოწყობილი განყოფილება, რომელიც ოჯახის უფროსის სამყოფელად ითვლებოდა. აქვე იყო გრძელი ხის ტახტი ოჯახის უფროსის ცოლისა და შვილიშვილებისათვის, კედლის კარადა ხის კარებით ჭურჭლისა და თეთრეულისათვის. სინათლე და ჰაერი ოდაში გვირგვინის ბოლოში დატანებული ერდოდან შემოდის. გვირგვინი ოთხკუთხაა, ხუთსაფეხურიანი ერდო მცირე ზომის, 30-40 სმ-იან, ჭრილს წარმოადგენს, რომელსაც წვიმიან ამინდში პატარა ფიცარს აფარებდნენ, რათა საცხოვრებელში წყალი არ ჩამოსვლოდათ. უნდა აღინიშნოს, რომ, ცალკეული უმნიშვნელო ელემენტების გამოკლებით, აქ აღწერილი გოლიატუნის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიური განყოფილების 2023 წლის ეთნოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობისას ჯავახეთის სოფლებში (სარო, აფნია, გოგაშენი და ჭობარეთი) ნანახი მესხური ოდებისაგან და გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული ჯავახური საცხოვრებლის ანალოგიურია. აი როგორი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი თენოშვილის დარბაზი: „სამხრეთის კედელს აღმ. კუნჭულთან შესასვლელი აქვს კარი. სათონეში თონე მოუშლიათ და გაუკეთებიათ ფურნე . დარბაზში შესავალ დერეფანში, ახორში და სხვა (სათავსოში) არის შესავალი კარები. **ახორი** ასეთივე **ქვა-ღორღებითა** და ხეტყის მასალითაა ნაშენები, როგორც დარბაზი... **ახორში** უბიათ საქონელი და ცალ გვერდზე **ოდათ** იყენებენ ზამთარში თავიანთ საცხოვრებლად, რადგან ზამთრის სიცივეში საქონელთან ახლოს თბილათ იქნებიან.“ (ჯავახიშვილი, 1976: 255-256)

თ. ჩიქოვანმა დაადგინა სომხური გლხატუნისა და ქართული ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის განმასხვავებელი რიგი ელემენტები. გლხატუნის წარმოადგენდა დახშულ (ქართულთან შედარებით) ნაგებობას; ქართულისაგან განსხვავებით ყოველთვის ოთხკედლიანი იყო სახლის ფასადის მხარეს მოთავსებული კარაპანი (სომხ. სრახ); ყარადამის წინ აგებულ მეტწილად, წინიდან ღია და უკედლო ჩარდახს, როგორც წესი, ერთ კედელში ღუმელი ჰქონდა დატანებული; მაღალმთიან სომხეთში ამ მხარეში გავრცელებული ერდოიან-გვირგვინიან კომპლექსში ყველა ოთახის კარი სრახში გამოდიოდა; ტუნის გადახურვა მთიან სომხეთში ძირითადად საკედლე სვეტებს ეყრდნობოდა და წახნაგოვან გვირგვინს წარმოადგენდა, ყარაბაღში კი ოთხკუთხოვანი წყობა ჰქონდა და ოთხ დედაბომბზე იყო

დაყრდნობილი; სომხური კერა (თუნირი), თიხის პატარა, ქვევრისებური მოყვანილობის ჭურჭელი, ცენტრიდან ოდნავ განზე იყო გაწეული და მიწაში ჩაფლული, რაც მას წვიმისაგან იცავდა (ქართული ჩვეულებრივ ცენტრში იყო მოთავსებული – ლ.ჯ.); სომხური ჰაცატუნი ერთდროულად საკუჭნაო, პურის საცხობი და ზოგჯერ სასადილოც იყო, რომელსაც უმეტესად ქვისაგან ნაგები გუმბათოვანი გადახურვა ჰქონდა ბოლოში დატანებული ერთი; საქართველოში ფართოდ გავრცელებული ერთიან-გვირგვინიანი ოთახის ფართობი სრულიად არ იყო დამოკიდებული დედაბოძების ან საერთოდ ბოძების რაოდენობაზე, მაშინ როდესაც სომხურში რაც მეტი იყო ბოძების რიცხვი მით უფრო იზრდებოდა ფართობი (ჩიქოვანი, 1967: 89). ამდენად, ცხადია, ცალკეული განსხვავებების მიუხედავად ყველა ზემოაღწერილი ნაგებობა კონსტრუქციული თაღსაზრისით ერთ ტიპს მიეკუთვნება, ხოლო ეს განსახვავებები სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ლოკალურ ეკოსამეურნეო და ეთნოკულტურულ გარემოში ადაპტირების შედეგს წარმოადგენს. რაც შეეხება, სამცხე-ჯავახეთში 1830-იან წლებში ჩამოსახლებული სომხებს, რომლებიც ოსმალეთში გადასახლებული მუსლიმების მიწურ სახლებს დაეპატრონენ, ისინი მათთვის ჩვეულ პირობებში აღმოჩნდნენ და პირველ ხანებში ამ შენობების მნიშვნელოვანი ტრანსფორმირების საჭიროება არც ჰქონიათ.

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიაში გატარებულმა საგლეხო რეფორმამ, სამხრეთ კავკასიაში სასოფლო ყოფის მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციას მისცა ბიძგი.. თანდათანობით იშლებოდა საოჯახო თემი, გლეხების ნაწილიმა ეკონომიკურად დაწინაურება შეძლო. ამასთანავე წარსულს ჩაბარდა მტრის შემოსევების საფრთხე და მოიშალა მიწური ნაგებობების თავდაცვითი დანიშნულება. ახალ ვითარებას ნაკლებად შეესაბამებოდა დარბაზული სახლი, რომელმაც მართალია არქიტექტურული თვალსაზრისით მაღალმხატვრულ სრულყოფილებას მიაღწა, მაგრამ კომფორტისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით საკმაოდ ჩამორჩენილი იყო და განვითარების შეზღუდული პერსპექტივა გააჩნდა. მაგ.. შეიძლებოდა კერიის და ერდოს შეცვლა ბუხრით და ფასადის კედელზე სარკმლის გაჭრით, მაგრამ თანამედროვე საყოფაცხოვრებო მოთხოვნებისათვის მისი მორგება მაინც ვერ ხერხდებოდა. ამ ტიპის სახლები ნახევრად მიწაში იყვნენ ჩაფლული, კედლებს საგანგებო იზოლაცია არ ჰქონდა და როგორც წესი ნესტიანი იყო; თხელი მიწატკეპნილი სახურავი კი არცთუ ეფექტურია უხვი ნალექის პირობებში; მიწური იატაკი ზამთარში ცივი იყო და სისუფთავის დაცვაც საკმაოდ ძნელდებოდა; ზაფხულობით, რომ არ ამტვერებულიყო იძულებული იყვნენ იატაკი მოერწყათ და სხვ. ძველი საცხოვრებლის სტრუქტურის მოშლა და ახალი ტიპის სახლების მშენებლობაზე გადასვლა ამასთანავე უკავშირდებოდა დიდი ოჯახის (საოჯახო თემის) კრიზისს და საზოგადოების ფორმაციულ ტრანსფორმაციას (Сумбадзе, 1984: 334).

განვითარების პროცესში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები ინტერიერის ცვლილებას განაპირობებდა და ყოველ პერიოდს საცხოვრებელში შეჰქონდა გარკვეული კორექტივები. ინტერიერში აუცილებლად არსებობდა სამეურნეო და საოჯახო საქმიანობის ფუნქციონალური ზონები: სამეურნეო, ძილის, საჭმლის დამზადების და კვების, დასვენების, საქმიანობის, ბავშვების ადგილსამყოფელი, ღვთისმსახურების ადგილი და ა.შ (დავითაშვილი, 1986: 84-85).

მესხურ ოდაში საერთო სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით გამოწვეული ცვლილებების პირველ საფეხურად მიჩნეულია სეგმენტაცია (დამატებითი განყოფილებების მიშენება). შემდეგ დაიწყო მიწისზედა (ბანიანი) სახლების მშენებლობა. რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ მიწური გადახურვა გვირგვინისა და ერდოს გარეშე. გაჩნდა ქვითკირის კედლები, სარკმელი ინტერიერის გასანათებლად; გვირგვინი და ერდო საკვამურიანი სახურავით შეიცვალა; სახურავის მზიდის ფუნქცია კედლებმა იკისრეს, ადამიანთა საცხოვრებელს გამოეყო სამეურნეო დანიშნულების შენობები; ახალ ოთახებში გათბობის საშუალებად იყენებდნენ ბუხარს, რომელიც კერიას (შუა კერას//შუაცეცხლს) ანაცვლებდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში მესხურ დარბაზებში მცხოვრებთ ჯერ კიდევ ახსოვდათ, დაახლოებით 60-70 წლის წინათ, როგორ ჩანაცვლა კერია ბუხარმა (ჯავახიშვილი, 1976., 249-250).. ზოგიერთ საცხოვრებელში თავდაპირველად კერაც დაუტოვებიათ და ახლადგაკეთებული ბუხარი და შუაკერა თანაარსებობდა (ჯავახიშვილი, 1976., 249-250). მოგვიანებით დაიწყო საჭმლის მოსამზადებლად თონის ან ფურნის გაკეთება. ამრიგად, საცხოვრებლის ცენტრალური და საკრალური ფუნქციის მქონე კერიის ადგილი ფურენემ და ბუხარმა დაიჭირა. ზოგ ოდაში კომპლექსური ბუხარი-ფურნე-თონეც მოაწყვეს, რომელთაგან კვამლი საგანგებო საკვამურით გადიოდა. შესაბამისად ერდომ კვამლის გამტარის ფუნქცია დაკარგა. ამიერიდან იგი მესხურ დარბაზში მხოლოდ სინათლის წყაროს წარმოადგენდა, რის გამოც შესაძლებელი გახდა მისი ჩამკეტი მოძრავი სარქვლების უძრავი მინით ჩანაცვლება. უფრო გვიან ზოგ ოდებში ერდოს ეს ფუნქცია სარკმელმა იკისრა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან მუსლიმთა დეპორტაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სხვა რაიონებიდან (ძირითადად იმერეთიდან და ბორჯომის ხეობიდან) ჩამოსახლა ხალხი. ჩამოსახლებულები ძირითადად ადგილობრივ მუსლიმთა ნასახლარებზე დამკვიდრდნენ. საცხოვრებელი, რომელიც მათ დახვდათ, შეესაბამებოდა ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსა და ყოფილი მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მაგრამ რადიკალურად განსხვავდებოდა ახალმოსულთა ყოფილ ადგილებში არსებული ვითარებისაგან. ამის გამო, ჩამოსახლებულთა ერთ ნაწილს, ძირითადად ბორჯომის ხეობიდან მოსულებს, თავიანთი საცხოვრებელი ხის ნაგებობები

თან ჩამოუტანიათ. მართალია ეს ყველამ ვერ შეძლო, მაგრამ დეპორტირებულთა შენობები საცხოვრებლად მათაც დაიწუნეს და „მესხური ოდების“ ნაცვლად ახალი სახლები ააგეს. დასავლეთ საქართველოდან შემოტანილმა სამშენებლო კულტურამ გავლენა იქონია ადგილობრივთა შეხედულებებზე და დააჩქარა ტრადიციული ნაგებობების ჩანაცვლების პროცესი. რუსეთიდან ტრანსპორტირებულმა იაფმა ხე-ტყემ და ხელმისაწვდომმა მასალამ (ქვა, ცემენტი, აგური, ბლოკი კრამიტი, შიფერი და ა.შ) ხალხურ ბინათმშენებლობაში ახალი პერსპექტივა გააჩინა. თანდათანობით მიწურ სახლებში ცხოვრება მეტად არაპრესტიჟული გახდა და ვისაც მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა თანამედროვე სახლებს აგებდა. სოფელ საროს მკვიდრი ხანდაზმული ქალი ამბობს: „მე მეხატრებოდა, რო იმ წლებში ასეთი სახლი გვქონდა და ამ ჩემ შვილებს, რომ მოჰყავდათ კურსელები, ზუგდიდიდან იყვნენ, ბევრი კიდევ სხვა მხრებიდან იყვნენ, ისინი გიჟდებოდნენ, მე კიდევ მრცხვენოდა და ჩემ შვილებ ვეჩხუბებოდი: რა იყო რო არ მოიყვანო ამ სახლებში. რო შემოვიდოდი შვილო, მუთაქას ვეძახით, ასულან გოგო-ბიჭები მოსწავლეები და მოკალათებულან, უხარიათ, სურათებს იღებენ. მე კიდევ მრცხვენოდა, რო ასეთ სახლებში რატო უნდა ვიყო მეთქი. მაგრამ ახლა ჩემი ოდა (ამას ქვია მესხური ოდა და მესხური დარბაზი – მთხრ.) წადგა წინ...“

მოსახლეობის ნაწილს, ვისაც ახალი სახლების აგება არ შეეძლო, ცვლილებები შეჰქონდა ინტერიერსა და დგამ-ავეჯში. ძველებურ ოდებში უწინ ტახტებიც არ ჰქონიათ მიწურ იატაკზე „ჭილობს“ იგებდნენ და ისე ჯდებოდნენ ან წევბოდნენ. დღესასწაულის დროს კი „ფიჩვებსა“ და ფარდაგებს აგებდნენ. სტუმრებს სკამის ნაცვლად „ხეების წანაჭრ როგობზე“ სვამდნენ (ჯავახიშვილი, 1976: 250). მოგვიანებით მესხეთში ფართოდ გავრცელდა ხის ფიცრული ტახტები (საქვი/სექვი). რომელზეც ღამით იძინებდნენ; საქვის ბოლოში მოწყობილი ჰქონდათ ლოგინის შესანახი კარადები „მუსანდარები.“ მესხურ ოდებში საქვები დღემდეა შემორჩენილი. საქვი/სექვი გურიასა და იმერეთში მცხოვრები რეპატრირებული მუსლიმი მესხების თანამედროვე სახლებში დღემდე აუცილებელი ატრიბუტია და ახლაც შეგიძლიათ შეიგრძნოთ მკვლევრის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში ხატოვნად აღწერილი ყოფა: „ძალიან კარგ შთაბეჭდილებას იღებს იქ შემსვლელი სტუმარი, მეტადრე როდესაც ბუხარში ცეცხლი ანთია და ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ქვაბში საჭმელი ჩუხჩუხობს. იმ დროს სტუმარი საქვის თავში ბალიშზე მიყრდნობილი ცალმხრით გადასცქერის ბუხარს, მეორე მხრით საქვზე მჯდომარე დარბაისელ სახლის უფროსს, თეთრწვერას, რომელიც დიდი სიამოვნებით და დიდი ცნობისმოყვარეობით ესაუბრება უცხო კუთხიდან მოსულ უცხო სტუმარს, რათა გაიგოს მისი ვინაობა და მოგზაურობის მიზანი“ (ჯავახიშვილი, 1976: 257).

მესხური ოდის ტრანსფორმაციის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ასპანიძეების დარბაზი (სოფ. სარო). როდესაც ოჯახიდან ერთი ძმა გამოეყო, ძველი ოდა გატიხრეს და ძმებმა ერთ სახლში გააგრძელეს ცხოვრება. მოგვიანებით ორივე ძმამ ახალი სახლი ააშენა ოდა კი ერთ-ერთის საკუთრებაში დარჩა. საყოფაცხოვრებო პირობების ცვლილების კვალობაზე იცვლებოდა საცხოვერებელის შიდა სივრცე და მოწყობილობა. ჯერ ბუხარი ჩაანაცვლა თუნუქის ღუმელმა; შემდეგ როდესაც თხევადი გაზი შემოვიდა ოდაში გაზქურაც გაჩნდა; მართალია ძველებური საქვი და მუსანდარა შეინარჩუნეს, მაგრამ ავეჯი და დგამ-ჭურჭელი ძირითადად თანამედროვეთი შეცვალეს. ასე რომ, ოდაში რბილი სავარძელი, საწოლები და სკამებიც შეიძლება ნახოთ. ასპანიძეების დარბაზში არის პლაზმური ტელევიზორი, მაცივარი და თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნივთი (იხ სურათი). ცვლილებები განიცადა სახლის გარეგანმა იერსახემაც. წვიმის დროს მიწური სახურავიდან წყალი ჟონავდა, ამიტომ ბანი შიფრით გადაუხურეს, ხოლო სახლის ფასადი ფიცრით შექედეს. საინტერესოა, რომ ოდის პატრონებს ძალიან უყვართ იქ ყოფნა, მართალია ეზოში ახალი სახლიც დგას, მაგრამ მოხუცი ცოლ-ქმარი დიდ დროს მაინც ოდაში ატარებს.



სოფელ ჭობარეთში ჩვენი ეთნოგრაფიული ესპედიცია სტუმრობდა ალუდა ჯვარიძის მესხურ ოდას („მზიანეთი“), რომელშიც რესტორანია განთავსებული. მასპინძელს მოწყობილი აქვს ეთნოგრაფიული მუზეუმი;

ეზოში ტერასაზე გაშენებულია მესხური ჯიშის ვაზი; სამზარეულოში ამზადებენ ტრადიციულ მესხურ კერძებს (ჩეჩილი ყველი, აპოხტის და ყველის ხინკალი, ტენილი ყველი და ა.შ); ფურნეში აცხობენ მესხურ ქაძებს და ქადა-ხაჭაპურებს; სტუმრებს საშუალებას აძლევენ თავად მიიღონ მონაწილეობა ტრადიციული მესხური კერძების მომზადებაში.

შედეგები: ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი მიეკუთვნება ნაგებობების ტიპს, რომლის სამხრეთ კავკასიური ვარიანტი ჩამოყალიბდა მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში და მისი ხანგრძლივი გენეზისის შედეგად ჩამოყალიბებული ლოკალური ვარიანტი, მესხური ოდის სახით, სამცხე-ჯავახეთში დღემდე შემორჩენილი;

1. სამცხე-ჯავახეთში მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ოსმალეთიდან ჩამოსახლებული სომხების საცხოვრებელი მესხური ოდის ანალოგიური იყო, ამ მიგრაციის შედეგად ადგილობრივ ოდებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია;

2. ტრადიციული ნაგებობების მოდიფიკაცია უკავშირდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს;

3. საბჭოთა და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში მომხდარმა კატაკლიზმებმა ახალი სამშენებლო კულტურის დამკვიდრება გამოიწვია და მთლიანად გამოდევნა ყოფაში მესხურმა ოდის საცხოვრებლად გამოყენება.

დასკვნა: საუკუნენახევრის მანძილზე ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობებმა გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა, მაგრამ თანამედროვე საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს არ შეემატება და იქ თითქმის აღარავინ ცხოვრობს. მართალია არქიტექტურული თვალსაზრისით ერდოიან-გვირგვინიანმა საცხოვრებელმა მაღალმხატვრულ სრულყოფილებას მიაღწია, მაგრამ დღევანდელ პირობებში კომფორტისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით საკმაოდ ჩამორჩენილია და განვითარების შეზღუდული პერსპექტივა გააჩნია. სამცხე-ჯავახეთის სოფლებში შედარებით კარგ მდგომარეობაშია რამდენიმე მესხური ოდა, რომელთაც სამუზეუმო ან ბიზნესდანიშნულება აქვთ. ძირითადად კი, ძველებურ შენობებს პირუტყვის და წვრილფეხის დასახინაველად ან ჭირნახულის შესანახად იყენებენ. ამრიგად, მესხური ოდების უმეტესობა ღვთისანაზარადაა მიტოვებული და თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფარგლებში სახელმწიფომ არ მიაქცია ყურადღება, დანგრევისთვისაა განწირული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითაშვილი, 1986: – დავითაშვილი გ., ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერი, საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული ატლასი მასალები (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობები), თბ. 1986.

2. რობაქიძე, 1986: – რობაქიძე ა., ქართველი ხალხის ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპი (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი), საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული ატლასი მასალები, თბ., 1986.

3. ჩიტაია, 1953: – ჩიტაია, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VI, თბილისი, 1953.

4. ჩიტაია, 1926: – ჩიტაია, „გლეხის სახლი ქვაბლიანში“, მიმომხილველი / საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო. ტფილისი, №1, 1926.

5. ჩიტაია, 1947: – ჩიტაია, ანალები, I, ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი, 1947.

6. ჩიქოვანი, 1960: – ჩიქოვანი თ., ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბ., 1960 ჩიქოვანი, 1962: – ჩიქოვანი თ., „მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი“. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების მოამბე, თბ., 1962.

7. ჩიქოვანი, 1967: – ჩიქოვანი თ., ა/კ ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967.

8. ჩიქოვანი, 1979: – ჩიქოვანი თ., „მესხეთი“, თბ., 1979.

9. ჩიქოვანი, 1982: – ჩიქოვანი თ., „ჯავახეთი“, თბ., 1982.

10. ჯავახიშვილი, 1976: – ჯავახიშვილი ივ., „აღმშენებლობა და ავეჯი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის“, აკად. ი ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, I, რედ. ვ. ჯაფარიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ. 1976.

11. Лисициан, 1927: – Лисициан С., Из материалов по изучению жилищъ Армении. //Известия КИАИ. Ереван, 1927, т. 4.

12. Лисициан, 1927: – Лисициан С., К изучению Арменского крестьянского жилища (Карабахский карадам). //Известия КИАИ. Ереван, 1925, т. 3.

13.Марутян, 1989: Марутян А.Т., Интерьер армянского народного жилища (вторая половина XIX- начало XX в.) // Армянская этнография и фольклор, Ереван, № 17, 1989.

14.Робакидзе, 1975: – Робакидзе А.И., Традиционные формы поселений в Аджарии, ОЭА, Тб., 1982; Робакидзе А.И., Предисловие «Кавказский этнографический сборник», т. 5, Тб., 1975.

15.Сумбадзе, 1984 – Сумбадзе Л. Э., Архитектура грузинской народного жилища: «дарбази», Тб., 1984.

The Avar Language Functioning in Georgia

ხუნძური ენის ფუნქციონირების საკითხები საქართველოში

Tea Gigitashvili

PhD student at Institute of Caucasology of Ivane

Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge

Tel: 577 97 32 09

ORCID: <https://orcid.org/0009-0001-5607-0396>

Abstract: The Avar language belongs to the Ibero-Caucasian family of languages. The Georgians call the Avar speakers “Khundzis”. The Avars are one of the most numerous ethnic groups among the Dagestanis, (There are about 1 million in the world).

Their settlement in Georgia began in the second half of the 19th century. The Avars in Georgia mostly live in the Kakheti region, in the villages of Tivi, Saruso and Chantliskure (Kvareli district). According to the general census of 2014, their total number in Georgia is 954 people.

The Avar language is classified in UNESCO's Atlas of Threatened Languages (which aims to determine the status of endangered languages and monitor their performance) as a language in critical danger of extinction.

In the article, I present a number of factors that affect the functioning and vitality of the Avar language. In October 2023, I conducted a sociolinguistic survey in Kakheti, in the villages of Kvareli municipality, where Avars live compactly.

To analyze the results of the research, I used the factors determining the functioning of languages developed by UNESCO, namely: socio-linguistic situation, ethno-demographic situation, peculiarities of population education and others.

Based on the analysis of the available statistical data, I tried to present the level of vitality of the Avar language in Georgia, to highlight the causes of the problems and the existence of programs supporting the functioning of the language.

Key words: The Avar language; An Endangered Language; Language Status; A minority language; Family Language.

თეა გიგიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის
ინსტიტუტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge
ტელ: 577 97 32 09
ORCID: <https://orcid.org/0009-0001-5607-0396>

აბსტრაქტი: ხუნძური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა დადესტნური ჯგუფის **ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ** ქვეჯგუფში შედის. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მოლაპარაკე ეს ეთნიკური ჯგუფი დადესტნის ხალხებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია, მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 1 მილიონამდე არიან.

თანამედროვე ხუნძების დასახლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. საქართველოში მცხოვრები ხუნძების აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის სოფლებში – **თივში, ჩანტლისყურესა და სარუსოში** ცხოვრობს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მათი საერთო რაოდენობა საქართველოში 954 ადამიანია.

ხუნძური ენა კლასიფიცირებულია იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასში (რომლის მიზანია განსაზღვროს საფრთხეში მყოფი ენების სტატუსი და დააკვირდეს მათ ფუნქციონირებას), როგორც აშკარა გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენა.

სტატიაში წარმოვადგენ რიგ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ხუნძური ენის ფუნქციონირებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

2023 წლის ოქტომბერში ვაწარმოე სოციოლინგვისტური გამოკითხვა კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ხუნძები (ავარები). კვლევის შედეგების გასაანალიზებლად გამოვიყენე იუნესკოს მიერ შემუშავებული ენათა ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფაქტორები, კერძოდ: სოციალურ-ენობრივი მდგომარეობა, ეთნოდემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის განათლების თავისებურებები და სხვა.

არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევეცადე, წარმომედგინა ხუნძური ენის ვიტალურობა/სიცოცხლისუნარიანობის დონე საქართველოში, გამომეკვეთა პრობლემათა მიზეზები და ენის ფუნქციონირების მხარდამჭერი პროგრამების არსებობა.

საკვანძო სიტყვები: ხუნძური ენა; საფრთხეში მყოფი ენა; ენის სტატუსი; ეთნიკური უმცირესობის ენა; საოჯახო ენა.

შესავალი: ხუნძური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის **ხუნძურ-დიდოურ** ანუ **ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ** ქვეჯგუფში შედის. მას ბევრი დიალექტი აქვს, მრავალი საზოგადოება და სოფელი თავის დიალექტზე ლაპარაკობს. მეზობელი სოფლების კილოთქმებიც კი ხშირად ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხუნძური ენის დიალექტებია: **ხუნძახური, ანწუხური, ჭარული, ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული.** ცალკეულ დიალექტსა და დიალექტურ ჯგუფებს შორის შეინიშნება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური განსხვავება.

რუსულად ამ ენას „**Аварский язык**“ (ავარიული, ავარიელთა ენა) ეწოდება. აქაც ხუნძახის სანახები – **ავარია** – გვაქვს ამოსავალი. რუსულის მეშვეობით ეს ტერმინი უცხო ენებშიც დამკვიდრდა.

ხუნძურ ენას თავიანთ ენაზე ეწოდება „**მაჭარულ მაწო**“ – მთის ენა, **მაჭარულ** – ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა „**მეჭერ**“ სიტყვისა, „**მაწო**“ – ენა.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ხუნძების გარდა ხუნძურ ენას ტრადიციულად ხმარობდნენ საერთო-საურთიერთო ენად (**lingua franco**) ანდიურ და დიდოურ ენა-კილოებზე მოლაპარაკე ხალხი, აქ ხუნძურ ენას ბავშვობიდანვე სწავლობდნენ. საურთიერთო ენის ფუნქცია ამჟამად რუსულ ენას აქვს შეთავსებული ჩრდილო კავკასიელ ხალხებს შორის.

ხუნძურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ერთგვარი **კოინე** – „სტუმრის ენა“. ფილოლოგიურ ლიტერატურაში საერთო ენას „**ბოლმაწს**“ – „**ლაშქრობის ენას**“, „**მოლაშქრის ენას**“ უწოდებენ. „**ბოლმაწის**“ შემუშავება ერთიანმა სამართლებრივმა სისტემამ და პოლიტიკურმა კონსოლიდაციამაც განაპირობა (ჩიქობავა., 1962 : 6-7).

3. უსლარი ხუნძური ენის შესახებ აღნიშნავდა: „ავარიის ხანთა პოლიტიკის შედეგად და უფრო გვიან მიურიდიზმის ხელმძღვანელთა გავლენით გავრცელდა **ხუნძახური**, რომელიც იქცა საერთო ენად დაწესებულებებსა და ყველა იმათ შორის, ვინც მარტოოდენ საოჯახო საქმიანობას არ სჯერდება. ენაში ერთგვარობის დამკვიდრებას ხელს უწყობდა ლაშქრის განუწყვეტელი შეკრება“ (Услар, 1889 : 5-6).

საქართველოში ხუნძებით (ავარებით) დასახლებული სოფლებია – **თივი** (2014 წლის აღწერით სულ 327 ადამიანი, ხუნძები – 68.8%, ქართველები – 30.0%), **ჩანტლისყურე** (2014 წლის აღწერით სულ 455 ადამიანი, ხუნძები – 88.1%, ქართველები – 7.5%) და **სარუსო** (2014 წლის აღწერით სულ 350 ადამიანი, ხუნძები – 94.0%, ქართველები – 6.0%), რომლებიც კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

ხუნძური ენის **ანწუხურ** დიალექტზე საუბრობენ სოფელ **თივში**. საკუთარ თავს ანწუხელები უწოდებენ „**ამცოუკა**-ს“, ხოლო მშობლიურ მეტყველებას

„ამცოუჯაზულ მაწო“ - „ანწუხელთა ენა“. კახეთის მკვიდრ ხუნძებს ეუცხოებათ სახელწოდებები „ხუნძი“, „ხუნძური“, ვინაიდან მათში მოიაზრებენ „ხუნძახელსა“ და „ხუნძახურს“. ქართულად საუბრისას საკუთარ თავს მეზობელი ქართველებით უწოდებენ **ლეკს**, ხოლო მშობლიურ ენას – **ლეკურს** ან **ავარულს** (აზმაიფარაშვილი, 2010 : 6).

დაღესტნის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ხუნძურ ენას სხვა ეროვნულ ენებთან ერთად აქვს „**სახელმწიფო ენის**“ სტატუსი. რესპუბლიკის სხვადასხვა ოლქში, სადაც ხუნძური ენის მატარებელთა კომპაქტური დასახლებებია, საუბრობენ მშობლიურ ენაზე. **ავარულ (ხუნძურ)** ენას გამოიყენებენ საკუთრივ **ავარები (ხუნძები)**, ანდიელები, არჩიბები, ახვახები, ბოთლიხები, ღოდოზერიელები, ჭამალელები, ბაგვალელები, ტინდიელები, კარატაელები, ხვარშიელები, ჰინუხები, ჰუნზიბები და ბეჭიტელები. ამ ეთნოსებისთვის ხუნძური ენის ცოდნა და გამოყენება არის კულტურული იდენტობის საფუძველი ხუნძებთან (Атаев, 2023 : 3).

რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ხუნძები თავისუფლად ფლობენ რუსულ ენას. თურქეთში და აზერბაიჯანში მაცხოვრებელი ხუნძებისთვის შესაბამისად მშობლიურ ენად ითვლება თურქული და აზერბაიჯანული. საქართველოში მცხოვრები ხუნძი მოსახლეობა ფლობს მშობლიურ ენას, ქართულ ენასა და რუსულს.

მეთოდები: სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. კვლევით ექსპედიციაში ვიმყოფებოდი 2023 წლის ოქტომბერში ხუნძი ეთნოსით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში. საველე სოციოლინგვისტური კვლევების საწარმოებლად გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ანალიზი, რომელიც თავისთავად ეფუძნებოდა ანკეტირებისა და კითხვარების შევსებას. ასევე ვიწერდი ინტერვიუებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვაგროვებდი ფოტომასალას.

კვლევის შედეგები რომ უფრო ნათელი და ზუსტი ყოფილიყო, გამოკითხულთა უმეტესობა სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფიდან შევარჩიე: საჯარო და არასაჯარო სამსახურებში დასაქმებულები, დროებით უმუშევრები, სტუდენტები, მოზარდები 14-18 წლამდე, შუახნის ასაკის ადამიანები, პენსიონერები და სხვ.

მსჯელობა/შედეგები: XX საუკუნის ბოლოს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, აქტიურად დაიწყო როგორც სახელმწიფო ენის შენარჩუნებისა და გაძლიერების პროცესი, ისე ეთნიკური უმცირესობების ენებზე ზრუნვა. მცირე ეთნოსების ენებზე ზრუნვა განსაკუთრებით გაძლიერდა XXI საუკუნეში. ამ მხრივ საქართველომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა კომპაქტურად და არაკომპაქტურად

დასახლებული ეთნოსების ენების შესანარჩუნებლად. სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების პირობებში უმცირესობათა ენების მხარდაჭერა ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ეთნიკურად და ენობრივად მრავალფეროვანი ქვეყანაა, სახელმწიფო ენის ფუნქციონირება განიხილება სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით. საქართველოს სახელმწიფოსათვის თანაბარმნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების შენარჩუნება სახელმწიფო ენის შეუფერხებლად ფუნქციონირებასთან ერთად, რაც ამ ენათა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით, დოკუმენტირებითა და კვლევების მხარდაჭერით მიიღწევა (საქ. პარლამენტის..., 2022: 4 -5).

ზემოხსენებულ სერვისებს შორის განსაკუთრებით პრიორიტეტულია განათლების მიმართულება, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, დიდი ნაწილი მიმართულია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე.

მცირე ეთნოსის წარმომადგენელ ხუნძებს, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ფუფუნება არ აქვთ. ეს საკითხი ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული: ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისი სახელმძღვანელოების არქონა, საკადრო დეფიციტი, მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი და ხშირად მათი მხრიდან დაბალი ინიციატივა...

მართალია, ხუნძები კომპაქტურად არიან განსახლებულნი, მაგრამ ამჟამად სწავლება ქართულად მიმდინარეობს კახეთის ხუნძურ სოფლებში. 2015 წლიდან ხუნძური ენა ისწავლება სამივე საჯარო სკოლაში – თივში, სარუსოსა და ჩანტლისყურეში, კვირაში სამი საათი.

ეთნიკური უმცირესობის ენა, ზოგადად, ნაკლები სოციალური ფუნქციის მატარებელია უმრავლესობის ენასთან შედარებით. ის არ გამოიყენება ურთიერთობის ისეთ პრესტიჟულ სფეროებში, როგორცაა: სახელმწიფო მმართველობა, საერთაშორისო საქმიანობა, მეცნიერება, უმაღლესი განათლება და ა. შ. უმეტესად, უმცირესობის ენის გამოყენება შემოიფარგლება მის მატარებელთა ძირითადი მასის საცხოვრებელი ადმინისტრაციული ტერიტორიებით, ან ზოგჯერ საოჯახო ენის სტატუსით.

უმეტეს შემთხვევაში ხუნძურ ენას აქვს **საოჯახო ენის სტატუსი** და ყველა დანარჩენ შემთხვევაში ქართული ენა დომინანტობს: სწავლა-განათლების, ტელე-რადიო მაუწყებლობის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალურ საქმისწარმოებასა თუ სამართალწარმოებაში.

თანამედროვე მსოფლიო ტენდენციურია გლობალიზაციისაკენ. ეს საუკეთესო საშუალებაა კულტურათა დაახლოებისა და საერთო ჰუმანური პრინციპების შემუშავებისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, იქმნება საფრთხე

საკუთარი ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა. ამ ვითარებაში ენა განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდება, რადგან სწორედ ენის საშუალებით ხდება ეთნოსების წარსულისა და ტრადიციების შენარჩუნება (ბარამიძე, 2013: 78-79).

ეთნოსების თვითაღქმა ხშირად შენარჩუნებულია ენის საფუძველზე. ისეთ მცირერიცხოვანი ეთნოსის ენებს, როგორც ხუნძური ენაა, გლობალიზაციის პირობებში არსებობისათვის „ბრძოლა“ უხდება.

იუნესკოს „მსოფლიოს საფრთხეში მყოფ ენათა ატლასში“ საქართველოში გავრცელებული რამდენიმე ენაა კლასიფიცირებული, როგორც ამკარად ან სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფ ენად, მათ შორისაა ხუნძური ენა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მიზანია ამ ენათა შენარჩუნებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება და წინმსწრები ნაბიჯების გადადგმა.

იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასი მიზნად ისახავს, რომ მსოფლიოს გააცნოს ენების არსებობისათვის შექმნილი საფრთხე და დაანახოს ენობრივი მრავალფეროვნების დაცვის საჭიროება. მისი მიზანია განსაზღვროს საფრთხეში მყოფი ენების სტატუსი და დააკვირდეს მათ ფუნქციონირებას. ატლასის 2009 წლის გამოცემის მიხედვით, აღრიცხულია 2 500 ენა, ამათგან 230 ენა მკვდარია 1950 წლის შემდეგ.

ამ გამოცემაში წარმოდგენილია იუნესკოს ენათა სიცოცხლისუნარიანობისა და საფრთხის ასახვის ჩარჩოები, რომელიც ცხრა ფაქტორის საფუძველზე ადგენს ენათა ვიტალურობის/სიცოცხლისუნარიანობის დონეებს, ეს ფაქტორებია:

1. ენაზე მოლაპარაკეთა სრული რაოდენობა;
2. ენაზე მოლაპარაკეთა პროპორციულობა მოსახლეობის სრულ რაოდენობასთან;
3. ენის შესწავლისა და წიგნიერებისათვის საჭირო მასალების ხელმისაწვდომობა;
4. ახალ დარგებსა და მედიაზე ენის რეაგირება;
5. ენის დოკუმენტირების ტიპი და ხარისხი;
6. მთავრობისა და დაწესებულებათა ენობრივი დამოკიდებულება, მათ შორის ოფიციალური სტატუსი და გამოყენება;
7. საზოგადოების წევრთა დამოკიდებულება საკუთარი ენისადმი;
8. ცოცხალ ენებზე მოლაპარაკე რეგიონებში მიმდინარე ტენდენციები;
9. თაობათა შორის ენის გადაცემა.

ენათა ფუნქციონირების განსაზღვრელი ჩარჩო/ფაქტორების გათვალისწინებით ვაწარმოე სოციოლინგვისტური კვლევის ანალიზი, რომელიც მოვიპოვე კახეთის ხუნძი ეთნოსით დასახლებულ თემში 2023 წლის საველე ექსპედიციის დროს.

დასკვნები: სოციოლინგვისტური კვლევის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად აისახება ხუნძური ენის არსებობაზე, ასევე აჩქარებს ამ ენის რედუცირებისა და გაქრობის პროცესს.

იუნესკოს ენათა სიცოცხლისუნარიანობისა და საფრთხის ასახვის ჩარჩოებისა თუ ფაქტორების გათვალისწინებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თაობათა შორის ენის გადაცემა, რისი მიზეზებიც გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სოციალურ პროცესებში უნდა ვეძებოთ. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემოგრაფიულ ცვლილებებს, რამაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას სახელმწიფო ენასაც. „საფრთხეები“ მხოლოდ მცირერიცხოვანი ეთნოსების ენებს არ ეხება. შეიძლება სამწერლობო, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ენაც დადგეს ამა თუ იმ საფრთხის წინაშე ისტორიის გარკვეულ ეტაპზე.

თაობათა შორის ენის გადაცემის ფაქტორი დარღვეულია ხუნძური ენის შემთხვევაში. ჩემ მიერ გამოკითხულთა ანკეტების/კითხვარების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- 60 წელს გადაცილებულთა 99 % თავისუფლად ფლობს მშობლიურ ენას.
- 60-50 წლის ასაკის მქონე ხუნძების 80% საშუალო დონეზე ფლობს მშობლიურ ენას.
- 50-30 წლის ასაკის მქონე პირთა 50% საშუალო დონეზე ფლობს მშობლიურ ენას.
- 20 წლის და უმცროსი ასაკის მქონე პირთა 90% ცუდად ფლობს მშობლიურ ენას, მაშინ, როდესაც გამართულად საუბრობენ ქართულ ენაზე.

ენების სიცოცხლისუნარიანობას დიდწილად განსაზღვრავს დემოგრაფიული მაჩვენებელი. რაც უფრო მრავალრიცხოვანია ესა თუ ის ეთნოსი, ენების სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტიც უფრო მაღალია.

როგორია საქართველოში ხუნძი მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა? 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 მილიონ 713 804 კაცი შეადგინა, რაც წინა აღწერის მონაცემებზე (რომელიც 2002 წელს ჩატარდა) 15%-ით ნაკლებია. მათ შორის სულ 954 ხუნძი იყო აღრიცხული. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 1996 ხუნძი ცხოვრობს (1989 წელს – 4230 ცხოვრობდა) (ეთნოსები..., 2008: 153).

ამკარაა, რომ ხუნძური ენის მატარებელთა რიცხვი საგრძნობლად მცირეა სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული არაერთი ღონისძიებისა, ხუნძური ენის შენარჩუნება ამ მხრივაც რთულდება, რადგან მისი დემოგრაფიული სტატისტიკა საგანგაშოა.

დემოგრაფიული ცვლილებების შესწავლას მივყავართ დასკვნამდე, რომ ენის სიცოცხლისუნარიანობა დაკავშირებულია დემოგრაფიული ცვლილების რაოდენობასთან. დემოგრაფიული მაჩვენებლის კლება იწვევს ამ ენის მატარებელთა კლებასაც.

ჩემ მიერ ჩატარებული 2023 წლის სოციოლინგვისტური კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თაობათა შორის გადაცემის ფაქტორი ყველაზე ცუდად მოქმედებს ხუნძური ენის ვიტალურობის მაჩვენებელზე.

სისტემატურად ხდება ხუნძი მოსახლეობის გადინება რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ახალ საცხოვრებელ გარემოში ისინი სახლდებიან დისპერსიულად. მიგრირებულებს ყოველდღიურად უხდებათ იმ ენების გამოყენება, სადაც იწყებენ ახალ ცხოვრებას. მშობლიურ ენას აქვს მხოლოდ საოჯახო ენის სტატუსი, (ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერეულ ოჯახებს არ ქმნიან).

გამოკვლევამ აჩვენა მშობლიური ენისადმი დაბალი ინტერესი (დაბალი ესტიმაციური შეფასება).

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ხუნძურ ენას არაპრესტიჟულად მიიჩნევენ მოსახლეობის ნაწილი. მათი აზრით, ცოდნის დაუფლების, განათლებისა და კარიერისკენ მიმავალ გზაზე მშობლიური ენა ნაკლებად გამოადგებათ, რაც განაპირობებს ახალგაზრდა თაობის ნაკლებ ინტერესს მშობლიური ენისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ **თივის, სარუსოსა და ჩანტლისყურის** საჯარო სკოლებში 2015 წლიდან ისწავლება მშობლიური ენა დაწყებით კლასებში, გვაქვს სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებებისა და სხვა დამხმარე მასალების დეფიციტი. ასევე დგას კვალიფიციური კადრების პრობლემაც.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხუნძური ენის გადასარჩენად საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი:

- ენის პოპულარიზაცია;
- სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე რესურსების მომზადება ენის შემსწავლელთათვის;
- ენის ფუნქციონირების არეალის გაფართოება;
- ტელე/რადიო გადაცემების მომზადება;
- ჟურნალ-გაზეთებისა და ლიტერატურის გამოცემა სამიზნე ენაზე;
- მშობლიური ენის ფლობისადმი ინტერესი და მოტივაცია;
- მშობლიური ენის პრესტიჟულობის საკითხის გაძლიერება;

- საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა და დაფინანსება.

ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ხმამაღალი განაცხადით, (რომელიც შეისწავლის იბერიულ-კავკასიური ენების ყველა ჯგუფს, ასევე ამ ენებთან დაკავშირებულ სხვა ენებს, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებს ან მის გარეთაა): ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კავკასიაში მიმდინარეობს იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხებისა და ენების მიზანმიმართული გენოციდის პოლიტიკა. ამ ჯგუფის თითქმის ყველა ენის ფუნქციონირებას ემუქრება საფრთხე.

მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ ეთნიკური უმცირესობების ენების შესანარჩუნებლად ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები, მაგრამ საქართველოში ხუნძური ენას რედუცირების პროცესი თითქმის შეუქცევადი ხდება, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული: დემოგრაფიული, ეთნოკულტურული, მიგრაციული და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. აზმაიფარაშვილი, 2010: – აზმაიფარაშვილი ლევან, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, თბილისი, 2010.

2. ბარამიძე, 2008: – ბარამიძე ცირა, კავკასია დროისა და სივრცის გასაყარზე, თბილისი, 2016.

3. ეთნოსები საქართველოში, 2008: – საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.

4. საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022: – ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა, თბილისი, 2022.

5. ჩიქობავა, 2008: – ჩიქობავა არნოლდ, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

6. ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962: – ჩიქობავა არნოლდ, ცერცვაძე ილია, ხუნძური ენა, თბილისი, 1962.

7. ჩიქობავა, 1965: – ჩიქობავა არნოლდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.

8. ექსპედიციის მასალა: – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტის, თეა გიგიტაშვილის, მიერ 2022-2023 წლებში მოწყობილი ექსპედიციის ფარგლებში მოპოვებული სოციოლინგვისტური მასალა.

9. Атаев, 2023: – Атаев Борис, Языки и Диалекты Дагестана, Махачкала, 2023.

10. Услар, 1889: – Услар Петр, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык, Тифлис, 1889.

The Pronoun *eme* in the Fereydanian Dialect (Formal and Functional-semantic Analysis)

ემე ნაცვალსახელი ფერეიდნულ დიალექტში
(ფორმოზრივი და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი)

Eka Dadiani

PhD in Philology, Associate Professor, Akaki Tsereteli State
University, Head of the Scientific-Research
Center of Kartvelology named after Professor Tariel Putkaradze
e-mail: eka.dadiani@atsu.edu.ge

Tel: 598 10 14 72

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-8231-5552>

Abstract: The Fereydani dialect was formed on the basis of the speech of the Georgians who emigrated to Iran in the XVII century. Fereydanian has still preserved the main systemic and structural features of the Georgian language in a foreign linguistic and cultural environment. The development of the dialect is primarily determined by the internal rules of the Georgian language, although at the same time, the influence of the Persian language is also noticeable.

In general, dialectical speech is characterized by a variety of fillers. In this regard, the data of the dialect isolated from the Georgian environment and its comparison with other dialects of the Georgian language are particularly interesting.

The presented article discusses the formal and functional-semantic characteristics of the pronoun **eme** (filler); The new dialectal material recorded by us in Fereydan, as well as the published Fereydanian speech samples, are analyzed.

In the Fereydani dialect, the pronoun **eme** is quite common as a filler, which differs from the personal pronouns both in form and function.

1. The pronoun **eme** comes in various case forms (*eme, emem, emes, emit...*); The plural is produced with the suffix **-eb** (*emebi, emebma, emebs...*). Affixes can be added (*emechi, emeze...*).

2. The pronoun **eme** is often found in combination with the verb **kna** (to do). The verb usually changes according to person, number, and tense. With the forms of the I series **eme** is in dative (**emes-vikt, emes-ikmen**), and in the II and III series - in the nominative (**eme-vkna: eme-giknia**).

In terms of the use of the pronoun **eme**, the Fereydani dialect shows similarities with different dialects of the Georgian language (Imerkhebian, Taoian, Livanian, Adjarian, Kakhetian...), which is an indicator of the common Georgian regularities in the Fereydanian dialect.

Keywords: Fereydani dialect of the Georgian language; Georgian dialect vocabulary; **eme** pronoun; Fillers in the Fereydanian dialect.

ეკა დადიანი

ფილოლოგიის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოციირებული პროფესორი,

პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ელ-ფოსტა: eka.dadiani@atsu.edu.ge

ტელ.: 598 10 14 72

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-8231-5552>

აბსტრაქტი: ფერეიდნული დიალექტი ირანში XVII საუკუნეში გადასახლებული ქართველების მეტყველების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ფერეიდნულმა უცხო ენობრივ-კულტურულ გარემოში დღემდე შეინარჩუნა ქართული ენის ძირითადი სისტემური და სტრუქტურული მახასიათებლები. დიალექტის განვითარებას უმთავრესად ქართული ენის შინაგანი კანონები განსაზღვრავს, თუმცა, ამავე დროს, შესამჩნევია სპარსული ენის გავლენაც. ზოგადად, დიალექტური მეტყველება ფილერების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქართული გარემოსგან იზოლირებულ დიალექტის მონაცემები და მისი შედარება ქართული ენის სხვა კილოებთან.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია **ემე** ნაცვალსახელის (ფილერის) ფორმობრივი და ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები;

გაანალიზებულია ჩვენ მიერ ფერეიდანში ჩაწერილი ახალი დიალექტური მასალა, ასევე, გამოქვეყნებული ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები.

ფერეიდნულში ფილერის ფუნქციით საკმაოდ გავრცელებულია **ემე** ნაცვალსახელი, რომელიც პირის ნაცვალსახელებისაგან სხვაობს როგორც ფორმით, ისე ფუნქციით.

1. ემე ნაცვალსახელი დასტურდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (ემე, ემემ, ემეს...); მრავლობით რიცხვს –**ებ** სუფიქსით აწარმოებს (ემები, ემებმა, ემებს...). დაერთვის თანდებულები (ემეჩი, ემეზე...).

2. ემე ნაცვალსახელი ხშირად გვხვდება **ქნა** ზმნასთან კომბინაციაში. ზმნა ჩვეულებრივ იცვლება პირის, რიცხვისა და მწკრივის მიხედვით. **ემე** I სერიის ფორმებთან მიცემით ბრუნვაში დგას (**ემეს-ვიქო, ემეს-იქმენ**), II და III სერიებში კი – სახელობითში (**ემე-ვექნა: ემე-გიქნია**).

ფერეიდნული დიალექტი **ემე** ნაცვალსახელის გამოყენების თვალსაზრისით ავლენს მსგავსებას ქართული ენის სხვადასხვა კილოებთან (იმერხეული, ტაოური, ლივანური, აჭარული, კახური...), რაც ფერეიდნულში არსებული საერთოქართული კანონზომიერებების მაჩვენებელია.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი; ქართული დიალექტური ლექსიკა; **ემე** ნაცვალსახელი; ფილერები ფერეიდნულ დიალექტში.

შესავალი: ფერეიდნული ერთ-ერთი გამორჩეული დიალექტია. ქართული ენის სხვა კილოებისაგან მას განასხვავებს ენობრივ-კულტურული გარემო, სადაც ქართველები XVII საუკუნიდან ცხოვრობენ. ოთხი საუკუნის წინ უცხო ქვეყანაში, სრულიად განსხვავებული სისტემისა და სტრუქტურის მქონე ენობრივ ველში მოხვედრილი ქართველები არა მხოლოდ ფიზიკურად გადარჩნენ, არამედ ქართული იდენტობის განმსაზღვრელი უმთავრესი საყრდენი – ქართული ენაც შეინარჩუნეს, მათი მეტყველება კი დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ფერეიდნულს ქართული ენის სხვა კილოებთან ბევრი საერთო ნიშანი აქვს, მაგრამ ამავე დროს განსხვავებული, სპეციფიკური ენობრივი ფაქტებიც შეიძინა, რაც არსებულ სიტუაციაში სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია.

მიუხედავად სპარსულ ენასთან მრავალსაუკუნოვანი, მჭიდრო ურთიერთობისა, ფერეიდნული დიალექტის განვითარებას

მნიშვნელოვანწილად ქართული ენის შინაგანი, იმანენტური კანონები წარმართავს.

ფილერები, პაუზის შემავსებლები, ზეპირი მეტყველების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მისი გამოყენების სიხშირეს მეტწილად განაპირობებს ენის / დიალექტის ფლობის დაბალი დონე (ენობრივი კომპეტენცია), რასაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ფაქტორი (გარემო, განათლება,...) განსაზღვრავს.

სტატიაში განხილულია **ემე** ნაცვალსახელის (ფილერის) ფორმაწარმოების თავისებურებები, ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები, პოზიცია.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: კვლევა ძირითადად ეყრდნობა 2023 წლის ივნისში აწსუ-ს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ფერეიდანში განხორციელებული დიალექტოლოგიური ექსპედიციის პერიოდში ჩვენ მიერ ჩაწერილ დიალექტურ მასალას. გამოვიყენეთ, ასევე, სხვადასხვა მკვლევრის მიერ (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, მ. თოდუა, დ. ჩხუბიანიშვილი, თ. უთურგაძე, ჯ. გიუნაშვილი, გ. ცოცანიძე, მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე...) ჩაწერილი ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები, რომლებიც განთავსებულია ქართულ დიალექტურ კორპუსში (<http://corpora.co/#/corpus>). დიალექტური მასალასთან ერთად დავამუშავეთ ფერეიდნული დიალექტის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. შეიძლება ითქვას, რომ ფილერები ქართულ მეტყველებაში ნაკლებად არის შესწავლილი. ფერეიდნულისთვის დამახასიათებელი ფილერების შესახებ ზოგადი მსჯელობა წარმოდგენილია 2020 წელს მ. ბერიძისა და ლ. ბაკურაძის ავტორობით გამოქვეყნებულ კაპიტალურ შრომაში „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“. წიგნის ავტორები განიხილავენ საანალიზო დიალექტში გამოყენებულ სხვადასხვა სახის ფილერებს, მათ შორის ნაცვალსახელებს. საილუსტრაციო ნიმუშებში წარმოდგენილია **ემე** ნაცვალსახელი-ფილერი (ბერიძე., 2020: 669-670). შესაბამისი ფაქტები დასტურდება გამოქვეყნებულ ფერეიდნულ ტესტებში (<http://corpora.co/#/corpus>).

ფერეიდნული დიალექტის მონაცემები განხილულია ქართული ენის სხვა დიალექტებთან (ინგილოური, იმერხეული, ტაოური...) მიმართებით.

მეთოდოლოგია: საკვლევ თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი: ა) ტექსტზე მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს დიალექტური ტექსტების დამუშავებას: შესაბამისი ენობრივი ფაქტების გამოვლენას, აღნუსხვას და სისტემატიზაციას; ბ) აღწერითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ფერეიდნული მეტყველების ამსახველ ტექსტებში (გამოქვეყნებულ და ჩვენ მიერ ჩაწერილ ახალ მასალაში) აღვწერეთ ფილერის დანიშნულებით **ემე** ნაცვალსახელის გამოვლენის შემთხვევები, პოზიცია,

ფორმოზრივი ვარიანტები, ფუნქციურ-სემანტიკური ასპექტები; გ) შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდებით წარმოვარჩინეთ ფერეიდნული დიალექტის მიმართება ქართული ენის სხვადასხვა კილოებთან, შესაბამისად, გამოიკვეთა ფერეიდნული დიალექტის თავისებურებები; დ) ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით გავანალიზეთ ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში არსებული საერთოქართული ენობრივი კანონზომიერებები.

მსჯელობა/შედეგები: ზოგადად, დიალექტური მეტყველება ფილერების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული გარემოსგან შორს მყოფი დიალექტის – ფერეიდნულის მონაცემები და მისი შედარება ქართული ენის სხვა კილოებთან.

ფერეიდნულში ფილერის დანიშნულებით საკმაოდ გავრცელებულია **ემე** ნაცვალსახელი. როცა მთქმელს საუბრისას საჭირო სიტყვა ავიწყდება, პაუზის შევსების მიზნით იყენებს აღნიშნულ ნაცვალსახელს, რითაც მეტყველების ნაკადის უწყვეტობას ერთგვარად ინარჩუნებს. შდრ. **ემე** – მოუგონებლობის ნაწილაკი (ჩხუბიანიშვილი, 2012: 105).

ემე ნაცვალსახელი როგორც ფორმით, ისე ფუნქცია-დანიშნულებით განსხვავდება III პირის ნაცვალსახელებისაგან.

ფერეიდნულში მესამე პირს აღნიშნავს შემდეგი ნაცვალსახელები: **ეს / ესა / ესე, ეგ / ეგა / ეგე, ის / ისა / ისი, ას / ანს / ანსი**. მათგან **ე** თავკიდურზომონიანი ფორმები I-II პირებთან, ხოლო **ი, ა** ხმოვნიანი ფორმები III პირთან სიახლოვეს გამოხატავს. **ემე** ნაცვალსახელთან ფორმოზრივი მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა **ეს** ნაცვალსახელი.

ფერეიდნულში **ემე** და **ეს** ნაცვალსახელების ფორმაცვალების წესი განსხვავებულია.

ემე ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ემე	ემეები/ემეები
მოთ.	ემემ	ემეებმა/ემეებმა
მიც.	ემეს	ემეებს/ემეებს
ნათ.	ემეს(ი)	ემეების/ემეების
მოქ.	ემეით/ემეთ(ი)	ემეებით/ემებით
ვით.	ემედ	ემეებად/ემეებად
წოდ.	ემე	–

შდრ. **ეს** ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმები: მხ. რ.: **ეს/ესა/ესე, ემან/ემამ/ემენ, ემას, ემის, ემით(ა), ემად**; მრ. რ.: **ესენი, ემათ; ესები, ესებმა, ესებს(ა), ესებით...** (ბერიძე..., 2020: 425-441).

ემე და **ეს** ნაცვალსახელების ბრუნება მკვეთრად განსხვავებულია. მხოლოდობითში **ემე**, როგორც წესი, არ იკვეცება (ემეს(ი), ემე[ი]). შდრ.: **ეს** ნაცვალსახელის ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმები (ემ-ის, ემ-ით). სხვაგვარი სურათი ჩანს მრავლობითში. **ემე** ნაცვალსახელი მრავლობითს ჩვეულებრივ **-ებ** სუფიქსით აწარმოებს: **ემეები/ემები, ემეებმა/ემებმა...** პარალელური ფორმები ფონეტიკური ცვლილებით (იდენტურ ხმოვანთა შერწყმით) მიიღება: **ეე > ე**. შდრ. **ეს** ნაცვალსახელი მრავლობითს ორგვარად აწარმოებს: **-ნ/-თ** სუფიქსებით (**ესენი, ემათ...**) და **-ებ** ფორმანტიტ (**ესები, ესებმა, ესებს...**). ებიან მრავლობითში ერთფუძიანი წარმოება გვაქვს: ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია **ეს** ფუძე, რომელსაც **-ებ** სუფიქსი დაერთვის. ამ შემთხვევაში **ემე** და **ეს** ნაცვალსახელების ებიანი მრავლობითის ფორმათა გამიჯვნა ფუძის მიხედვით ადვილია.

ეს და **ემე** ნაცვალსახელების მრავლობითის ფორმები მსგავსებას სხვა შემთხვევაში გვიჩვენებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფერეიდნელთა მეტყველებაში მესამე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის საწარმოებლად, გარდა ზემოთ დასახელებული ორგვარი წესისა, გვხვდება მესამე მოდელიც, რომელიც აგრეთვე **-ებ** სუფიქსით იწარმოება, თუმცა განხილული ებიანი მრავლობითის ფორმისაგან განსხვავდება ორფუძიანი პარადიგმით: სახელობითში საყრდენად გამოიყენება **ეს(ე)** ფუძე (**ესები/ესეები**), დანარჩენ ბრუნვებში კი ენაცვლება **ემ**. შესაბამისად მიიღება შემდეგი ფორმები: **ემ-ებ-მა** (/ემეებმა), **ემ-ებ-ს** (/ემეებს)... ასევე იწარმოება **ის, ანს** ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები: **იმ-ებ-მა** (/იმეებმა), **იმ-ებ-ს** (/იმეებს)... **ამ-ებ-მა** (/ამეებმა), **ამ-ებ-ს** (/ამეებს)...

პირის ნაცვალსახელთა ფორმებში (**ემეებმა, ემეებს...**) წარმოდგენილი **ეე** ხმოვანთმიმდევრობა შეიძლება ორგვარად აიხსნას: 1. **ემა** ფუძის ბოლოკიდური ა ხმოვანი **-ებ** სუფიქსისეული **ე** ხმოვნის გავლენით, ასიმინაციის საფუძველზე, შეიცვალა **ე-დ**: **ემა-ებ-მა > ემეებმა**; 2. **ემეებმა** მიღებულია **ესეებმა** ფორმის ანალოგიით (**-ებ** სუფიქსი დაერთვის სრულ ფუძეს: **ესე-ებ-ი**).

როგორც ვხედავთ, **ეს(ე)** ნაცვალსახელის **-ებ**იანი მრავლობითის ფორმები სუპლექტური წარმოებისას, გარდა სახელობითისა, გარეგნულად ემთხვევა **ემე** ნაცვალსახელის შესაბამის ფორმებს. ფორმით იდენტური ნაცვალსახელების გარჩევა, მათი განსხვავებული ფუნქციურ-სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებით, კონტექსტით არის შესაძლებელი.

ფერეიდნულში **ემ** (**იმ, ამ**) ფუძის შემცველ მესამე პირის ნაცვალსახელთა ებიანი მრავლობითის ფორმები არცთუ იშვიათია. საილუსტრაციო ნიმუშები: **არნ. ჩიქობავა, 2010 (1927): იმეებმაც** თქიანყე რო ნულარ გოლონებთო (200); როგორ გინდა ვქნათო, [ქეთ (=აქიდან) ჯარი გავგზავნოთ თუ ისეები

ქერეღიდან არიან, **ქიმეებს** მუუწეროთყე, რო წავიდენ (200); ახლა კი რაცღა რო მოუკლავყე, **ქიმეებს** დაანაწილებენ (231).

მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, 2020: იმეზმაღა პარსული კარგად იციან, ამ ძელეზმა (478); გულჩი რაც რო მაქო, მე **იმეებს** ვეუზნები და ვეტყვიყეო (376); თაი **იმეეფს** ეს ქუდი ჩადვარდესყე ჳელსაყე. ჳელსაყე რო ჩადვარდეს, ეხღა ემ დრო ორი, **ემეზმა** დაწვენ და **ამეეზმა** შააჯგენ (628); ანს ბატკნებიც, რო იონჯათი დოოსუქებიყე, **იმეზსაც** გაჳყიდიან და ცხორსა, და ის ბატკნები, რო დედაღნია, **ემეზსაც** შაინახვენ სახლჩი (433).

ექსპედიციის მასაღა, 2023: ამეზმა ქი შახრიტეს და წაიდეს (თორელი); **ამეზმა** ქართული არ იცოდიან (ახჩა); **ამეზით** ყალიჩა გა ქკრინჭითყე (ჩულრუთი).

მსგავსი წარმოების ფორმები ცნობიღია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში (მარტიროსოვი, 1964: 316-317).

განვიხილოთ **ემე** ნაცვალსახელის (ფილერის) რეალიზაციის შემთხვევები ვერეიდნული მეტყველების მიხედვით.

ემე ნაცვალსახელი კონსტრუქციაში უკავშირდება როგორც სახელებს, ასევე ზმნებს. განსხვავებულად აწარმოებს მხოლობითსა და მრავლობითს.

I. მხოლობითში **ემე** ნაცვალსახელი იბრუნვის, გაფორმებულია შესაბამისი ფორმანტებით:

ა) **სახელობით** ბრუნვაში წარმოდგენიღია **ემე** ფორმით. დასტურდება სხვადასხვა პოზიციაში:

1. **ემე**-ს მოსდევს ზმნა, შემდეგ კი – ფილერის შესაბამისი, ნაგულისხმები სიტყვა. მაგალითები:

ესეც მელიქმაჳმადის **ემე** გუამზისყე, ამბავი (მარტყოფი); **ემე** ამოიღითყე, კარაქი ამოიღითყე; ამ ჩემ მამამთიღმა თქო, რო არაო, **ემე** არ უნდა ჩაიცვაო, თური ლაბასიო (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

2. **ემე** ნაცვალსახელს მოსდევს ნაგულისხმები სიტყვა, შემდეგ კი – ზმნა:

აღა, **ემე**, კარი არ დეგეცეს; **ემე**, ყალიჩა მოქსოვითყე; დილოზას **ემე**. მარჯაკალი მოგია, რო გაგათხოვო (ჩულრუთი); მაჯმაზე დააწყვიანყე ხორბალი და ქერი და **ემე**, სარკე და ბაღა (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023).

3. შედარებით იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ზმნა უსწრებს **ემე** ნაცვალსახელს და მის შესაბამის სიტყვას. მაგალითად:

მამასთან ჳმას არ უუწევს **ემე**, გოგოცა (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023).

4. ზოგჯერ კონსტრუქციაში ფილერი და ზმნა წარმოდგენიღია, ხოლო ფილერის შესაბამისი სიტყვა არ ჩანს; მთქმელი მას არ ასახელებს, ის კონტექსტით ადვილად იგულისხმება. მაგალითად:

სახში რო მოიღითყე, ერთი ბევრი **ემე** დაიბურიანყე, რო არ შაცივდესყე; წაიდეთ, ეს **ემე** ვნახოთ (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

ბ) **მოთხორობითში** საანალიზო ნაცვალსახელი **ემემ** ფორმით იხმარება, რომელიც შეიძლება გავრცობიღ იქნეს ა ხმოვნით:

ამ თავის დებმა და **ემემ** იცოდეს, იმის მამათილმა; ცურავსა **ემე**, კუდითა ეგრე მეეპირქავა ეს ქობი, დეეღორა, რო **ემემ** არ შაჭამოს, ყმაწილ-ყმოწილმა; ერთ **ემემა**, რა არი ანსი, ცუანამ მოიდა; **ემემალა**, მასალან, ბაიტებმა გაიდენ (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

გ) **მიცემითში ემე** ნაცვალსახელი -ს სუფიქსითაა გაფორმებული და იმავე პოზიციებში გვხვდება, როგორც სახელობითში. ჩვეულებრივ, მიემართება სახელს, რომელიც ფრაზაში მეტწილად წარმოდგენილია:

ემესა ვგლეჯევიდი, პიტნასა (ჩულრუთი); ამაღამ **ემეს** წაილიან, ინას, ინას წაილიანყე; წულო თაის **ემესაცაო**, ცოლსაო (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023); გაიდა და რო გაქცილდა ემ **ემესა**, ხალღსა, მოიდა'დ, ეს საბელი გაჭრა დანაქთა და გაიქცა (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 372).

ფილერის შესაბამისი სიტყვა ფრაზაში არ ჩანს (ის კონტექსტით იგულისხმება):

დუკრიან **ემეს**, წაილიანყე, წოულონ ინაზღამ, ინაღამ დაიდვას (მარტყოფი); ამ **ემეს** აიზიდავს ზემოთ, აიკულების (თორელი. ექსპედ. მას., 2023).

ემე ნაცვალსახელს დაერთვის თანდებულები. ხშირად გვხვდება **-ში** (/ჩი/-ჩინა/-ჩიგა) თანდებულიანი ფორმა, შედარებით იშვიათია **-ზე**, **-თან**, **-ყე** თანდებულდართული ფორმები. საილუსტრაციო ნიმუშები:

თოლიან კაციაო, დიახ **ემეჩი** მოგიყვანსო, თოლჩი მოგიყვანსო; თქო, რო წადიო **ემეჩი**, სანდულსა; მოსულან ანქა, ქენ **ემეჩი**, გურჯისტანსა (ჩულრუთი); წაილო **ემეჩიო**, წისქილჩი; წადი ანქ, **ემეჩინა**, რუსთაველი ქუჩა, ექა გაცვალე, მამიტა (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023); წავლენ, წავლენ **ემეში** პატარძლის სახში (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, 1998, დაშქესანა); უნდოდისყე, რო ცხორი და ბირტყისლა რო გადდესყელა, **ემეში**, გარეთა რო ძოოდენ (ქდვ; ჩამწერი: მ. ბერიძე, 2009, ამირაზადი).

გამუა, ემ **ემეზე** გოლწევის, მიწაზე (ჩულრუთი); წაიდა **ემესთან**, ლელთანო (მარტყოფი); ამ კაცმა თქო, რო საიდღან მოსულხართო? ქარსი-თქო და უთხარ, რო **ემესაყე**, ჩულრუთსაყენა (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

ზოგჯერ ფილერით ნაგულისმხმევი სიტყვა არ ჩანს ფრაზაში:

ემე, **ემე** არ იყო, რო ყმაწილი ჩასონ **ემეჩიგა** და ფეკი აიდვას (ჩულრუთი); პურს აკრევდა **ემეჩიო** და თქო, პური მაიტანეოდა; ჩონ დედების **ემეზე** ოქრო-მოქრო, ესები არ ყოფილა (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023).

დ) ნათესაობითში **ემესი/ემეს** ფორმით გვხვდება:

სიმამრი **ემესი**, რევაზის სიმამრი, დიდ მუცელი აქ და წაიდე იქა და მიხე (ქდვ; ჩამწერი: მ. ბერიძე, 2009, ისპაჰანი); ჩონ უნდ ამაღამ ექ გზა მოვნახოთ, გაიდეთო და **ემეს** ჯელჩი კი არ მოქდეთ – ტერისაო (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, 1976, გურჯაანი).

ე) **ემე** ნაცვალსახელი მოქმედებითში **ემეით** / **ემეით** / **ემეთ** ვარიანტებით იხმარება:

ოთუ, ოთუ. ეს **ემექით** გაცხელდების, ელეთრიქითა (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023); იმაშინ ხიშტით ერთ **ემექითა**, ქუაქით აქტანიტ-ყე (თოდუა, 1975: 29); ემ თაის შუას ბატა ეგე გაუხსნით, ჩაქყრით თაის და დაუდეფთ **ემექით** რა არის თაის სახელი? (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, 1998, ფერიედანი); მოიტან და ემას **ემექითა** წივაქითა და ფაღარითა ავანთებავ (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, თ. უთურგაიძე, ჯ. გიუნაშვილი, 1998, ვაშლოვანი); ახალი **ემექით** ემექით ემებო, საძებვარით, დურბინით (ქდვ; ჩამწერი: მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, 2012, მარტყოფი).

შეგვხვდა -**დან** თანდებულიანი ფორმა:

დუყრითყე **ემე**, კინას **ემეიდან**, და შუა და შუაც უქცივითყე (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023).

ვ) **ემე** ნაცვალსახელის ვითარებითის ფორმა იშვიათად ფიქსირდება:

ეს ტრედი ეს დღე და ღამე აქო აქო გოოყლეფიაყეო, ბრინჯებზე ძეო და **ემედ** იჭერდაო, შაჰედად იჭერდაო (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, თ. უთურგაიძე, ჯ. გიუნაშვილი, 1998, ვაშლოვანი).

ზ) **ემე წოდებითში** მიმართვის ფორმას წარმოადგენს (ჩვეულებრივ, უნიშნოდ იხმარება):

იტყისყე, რო, **ემე**, ბიცოლა, გითხარო კაკალი მინდა (მარტყოფი); დიდიდამა თქო, რო **ემე**, ნორუზო, აბა მოდი აქო (ჩუღრუთი. ექსპედ. მას., 2023).

არის შემთხვევები, როცა **ემე** ნაცვალსახელი-ფილერი არა კონკრეტულ სიტყვას, არამედ მთელ ფრაზას შეესატყვისება. მაგალითად:

ლაბასი და ესეებიღა წაილიანყე და **ემე**, დაიბანის და მოიდისყე (მარტყოფი); თქო, რო **ემე**, წაველთ ანქაო, ჩონ მოზობელიანთასაო და **ემე**, ამამ თოლჩი მაიყვანაო; არ არი, რო ეხლა ერთი ქორწილი **ემე**, რო ნახოთ (ჩუღრუთი. ექსპედ. მას., 2023).

ემე ნაცვალსახელი (ფილერი) დასტურდება ქართული ენის რიგ კილოებში: ტაოურში, იმერხეულში (დადიანი, 2013; 2015), ინგილოურში: ე ყბი(თ) ოქროევ, **ემე**, ვარდევ ჩმოსცვდა (აბაშვილი, 2009: 177), მესხურში, ზემოაჭარულში, თუშურში (დლონტი, 1984).

შდრ. ქართულ ზეპირ მეტყველებასა და დიალექტებში უმთავრესად **ის(ა)/იგი** გამოიყენება როგორც პირის/ჩვენებითი ნაცვალსახელის, ასევე ფილერის ფუნქციით).

II. ემე ნაცვალსახელი მრავლობითს ფერიედნულში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად -**ებ** სუფიქსით აწარმოებს. გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, დაირთავს თანდებულებს.

სახელობითში ჩვეულებრივ -**ი** სუფიქსი დაერთვის: დედაკაცია, ჩონ ძმეებია, **ემეებია**, მიდიან და მოდიან (ახჩა); ცუნა არი ბაიტა, დაფანტული **ემეები**; იმაშინ ეგეთ **ემეები** არ იყო; **ემე** აცხელებდა, ცხორის თავის **ემეები** და ფურის **ემეები** (ჩუღრუთი); თაის **ემეები** გორდოყუყარაყე (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023).

ემეები გერდები ემეეტანაყე (ქდვ; ჩამწერი: მ. ბერიძე, 2012, ნაჯაფაბადი); **ემები** გოქ, სომოხქალუნები, იქ ჩავასხამთ და ვედრას შეუდგამთ ძირზეგა (ქდვ; ჩამწერები: დ. ჩხუბიანიშვილი, თ. უთურგაძე, ჯ. გიუნაშვილი, 1976, გურჯაანი).

ემე ნაცვალსახელი არცთუ იშვიათად მრავლობითის ნაცვლად მხოლობითში დგას, შესაბამისი სახელი კი მრავლობითშია:

ჩონლა წაიდითყე ხევჩიგა, ეს **ემე**, წინდები გავრეცხითყე (ჩულრუთი); **ემე**, ბენდები კინასი იყო, რო იმითა უქცივითყე, და შომოვყართყე; ეს **ემე**, შექმას რამეები, ბევრ რამე წაილიანყე (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023).

მოთხრობითი: ერთხელ რო **ემებმა**, თურქებმა, დაალონიანყე, ჩონ წადიდითყე და მევეშელითყე სომხეფსა; იმაში რო **ემებმა** მოადეს, ამ აჭყანებმა რო შამოდდეს სოფელჩი, ექ იყო, რო ქართველებმა, – რო ჩონ პაპებმა იბნეს (ქდვ; ჩამწერები: მ. თოდუა, მ. მაჭავარიანი, 1976, ფერეიდანი).

მიცემითი: **ემეფსა**, სალევს აკეთეფსა (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023); ჩემ ოჯახი, ელ ექ არი, ჩონაც ეგ **ემეებჩი** მარტოი ვართ (ქდვ; ჩამწერი: მ. ბერიძე, 2009, ისპაჰანი); ეხლა ეგე მუჭაჩი **ემეებჩიგა ემეებჩიგა**, ჳელჩი ეჭირა, თქო, რო: **ემე**'რიო, შირაზი იფო შორს არიო თუ ბაღდადიო? (ქდვ; ჩამწერი: გ. ცოცანიძე, 2008, თეირანი).

ნათესაობითი: ეს აყრის, კარგად აყრის, კარგად აყრის და თავის **ემეების** მოსხილვებია, ნუხუდოს ტოლებია (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 416).

სახლის ემე დაწერილები, საწერები და მამულებისა **ემეებისა** რო შამამიყრია, თა ათთი მამამდინ დაწერილი გოქ, რო მინ მის ბიჭია... (ქდვ; ჩამწერი: მ. ბერიძე, 2012, ნაჯაფაბადი).

მოქმედებითი: ნამგლითა, და ეხლაც ხო ამ **ემებითაღა**, რა დაიძახიან, მანქანით, მანქანებითღა, ო, მანქანებითა (ვაშლოვანი. ექსპედ. მას., 2023).

ჩონ დიახ ემ, ემაგებზე მასალან, ემე გოქ, მასალან, **ემებით** ყმაწილებს გავამთელავტყე ჩონთი (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, 1998, დაშქესანა); კაცები მოდიან მეჩეთჩი ჳამენ, მერე დედაკაცები **ემებით** დიგებით საჭმელს მიაქვენ (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, 1998, დაშქესანა).

ფერეიდნულის მსგავსად იწარმოება **ემე** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები იმერხეულში, ინგილოურში (ემები, ემებმა...), ტაოურში ნართანიანი მრავლობითის ფორმები გვაქვს (ემენი, ემეთ) (დადიანი, 2013; 2015). **ემენი** ფორმა დასტურდება მესხურში (ღლონტი, 1984). შდრ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შეტანილია **ემენი** – სიტყვის მოუგონებლობის ზრახვა (ორბელიანი, 1991).

ქართული ენის სხვა დიალექტებში მრავლობითში გამოიყენება: **ისინი/იგენი** (იმათ/იგენმა/იმგენმა, იმათ/იგენს/იმგენს...) (დადიანი, 2020: 54-60).

III. ფერეიდნულში ემე ნაცვალსახელი არცთუ იშვიათად ზმნასთან კომბინაციაში გვხვდება. **ემე** ნაცვალსახელთან წარმოდგენილია **ქნა** ზმნა, რომელიც იცვლება პირის, რიცხვისა და მწკრივის მიხედვით. ფილერი

ნაცვალსახელის ბრუნვას, როგორც წესი, ზმნის ფორმა განსაზღვრავს. I სერიის ფორმებთან **ემე** ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში დგას, II-III სერიის ფორმებთან კი – სახელობითში.

1. I სერიის ფორმებთან **ემე** მიცემითის **-ს** სუფიქსითაა წარმოდგენილი. საილუსტრაციო ნიმუშები:

აწმყო-მყოფადი: ენა არ დაიმიწყოს, არ დაიკარგოს, იმისთი იმას **ემესვიქთ** (ვაშლოვანი); ნუ **ემესიქ**, ერთხელ არ გიკბინოსო (ჩულრუთი); ეგრე წამწამი რო **ემესიქს**, ფრინავს, იმასაც იმახიან, რამე მოგდისო, სადმე საჩუქარი მოგდისო (მარტყოფი); ერთი ჯოხი გააკეთეფსა და ემ ჯოხზე **ემესიქს** (ჩულრუთი); ყურები თუ გაფუჭდალაო, ვეღარ **ემესიქსო** (ჩულრუთი); ტალახით **ემესიქმენ**, გააკეთებენ (ვაშლოვანი. ექსპედ. მას., 2023).

დოქტორთან იფო ელა ცოტად **ემეს ვიქთყე** ელექაქრი (ქდვ; ჩამწერი: დ. ჩხუბიანიშვილი, 1998, დაშქესანა); ერთ-ორი მილიმეტრი რო თავს ამაქყოფს, **ემეს იქმენ** იმას, იმ ხორბალით გააკეთებენ, აწიკა (ქდვ; ჩამწერები: მ. ბერიძე, რ. რამიშვილი, ლ. ბაკურაძე, 2009, ამირაბადი).

2. II სერიის ფორმებთან **ემე** ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში დგას:

წყვეტილი: ემექენო, მაიტაო (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

რაქთენ დღე-ღამე წყაროზე დადგა და იტირა, **ემე ქნა** და აიყარაღა (ქდვ; ჩამწერები: დ. ჩხუბიანიშვილი, თ. უთურგაძე, ჯ. გიუნაშვილი, 1972, გურჯაანი).

II კავშირებითი: მინდა მოიდე შენთან, **ემევექნა**, გითხოვოო; ირანამ **ემექნას**, კედელზე მიაკრას (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

ხოლმეობითი: ჩონ **ემეები** რო მოიტანითყე, **ემევექნით**, ჩონთი, მასალა, პირიტყი, ესებიცა ყმანდის ელექა; მინაც რო მალე მოიდისლა, იმ ალაგზე **ემექნის**, იმამ წაიდისყე (ვაშლოვანი); მოიდის ყორანი და ეს ყმაწილი **ემექნისყე**, გააფუჭისყე; ანს წინდები **ემექნისყელა**, წაილითყელა ჩონ, გავრეცხითყე; მინდორჩი **ემექნიანყე**, მასალან, პირიტყ ამოვიანყე, იონჯა მოთიბიანყე, ყანა მოთიბიანყე და მინდორჩი იყვიანყე (ჩულრუთი); როგორ **ემექნიანყე**, როგორ გაკრიჭიანყე, თავის **ემე** როგორ იყო? (ვაშლოვანი. ექსპედ. მას., 2023).

3. III სერიაშიც **ემე** ნაცვალსახელი სახელობითში დგას.

III კავშირებითი: აბა მოდი აქაო, რა არი ეს **ემეგიქნიაო** (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

ემე იხმარება **შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად:**

ეს **ემე** იყო, ნეჯიფი, ნეფემ წაიყმანისყე (მარტყოფი); შენ **ემე** ხარ, ცუნანა ხარო; ცარიალ **ემე-რი**, მიწას რანგი; ეს ფურების **ემე-რი**; **ემე-რიო**, აბონე დღე აყეო (ჩულრუთი. ექსპედ. მას., 2023).

ემე ნაცვალსახელთან ერთად სხვა სახის (ლექსიკური, ფონეტიკური...) ფილერებიც შეიძლება შეგვხვდეს:

რა ვიცი, ქენ ალაღია, **ემე**, **რას ეტყითყე**, ალაღიას ყორები მოიდიანყე; წივა არ ვიცი, **თქენ რას ეტყით**, **ემე**-რი, **რა ჰქიან**, პირიტყის **ემე**; თქო, რო **ემე**-რიო, **რა ქიან**, უთხრაღა ჩემ აღას, ეგრენი არიო; ცხორი მოვწელითყე, **ემები**, **რა ქიან**, ფურები გავრეკითყე, ბიჭებმაცღა ფურები, **მასალან** (ჩულრუთი); ერთ სხო **ემე**-რი, მაზრას **რაქიან**, მაზრა, მაზრასა ქიან ჩაჩასკედი; **მასალან**, ერთ სამ-ოთხი წელია, რო ქემა **ემეს** აღარ ვცნავთ, ყანას, **ემეფს** (მარტყოფი. ექსპედ. მას., 2023). ფილერების მრავალფეროვნება და გამოყენების სიხშირე ფერეიდნულში ბუნებრივია იქ არსებული ენობრივი ვითარებიდან გამომდინარე.

დასკვნა: განხილული მასალიდან ჩანს, რომ ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში ფილერის ფუნქცია-დანიშნულებით აქტიურად გამოიყენება **ემე** ნაცვალსახელი. ის კონსტრუქციაში უკავშირდება როგორც სახელებს, ასევე ზმნებს. გვხვდება სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით. **ემე** ნაცვალსახელი განსხვავდება მესამე პირის ნაცვალსახელებისგან როგორც ფუნქცია-სემანტიკის, ისე ფორმის თვალსაზრისით. მრავლობითს, როგორც წესი, -ებ სუფიქსით აწარმოებს. **ემე** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები ემთხვევა **ეს** ნაცვალსახელის ებიანი მრავლობითის სუპლექტური წარმოების ფორმებს (გარდა სახელობითისა). მათი გამიჯვნა კონტექსტითაა შესაძლებელი. **ემე** ნაცვალსახელის გამოყენების მხრივ ფერეიდნული დიალექტი მსგავსებას ავლენს ქართული ენის სხვადასხვა კილოებთან, რაც ფერეიდნულში არსებული საერთოქართული კანონზომიერებების მაჩვენებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშვილი, 2009: – აბაშვილი ვასილ, „ქართული ენის ინგილოური დიალექტი“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2009.
2. ბერიძე, ბაკურაძე, 2020: – ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2020.
3. დადიანი, 2013: – დადიანი ე., „ემე ნაცვალსახელი იმერხეულსა და ტაოურში“, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, (გვ. 18-20), 2013.
4. დადიანი, 2015: – დადიანი ე., „III პირის (ჩვენებით) ნაცვალსახელთა წარმოების თავისებურებები ტაოურში“, ილია ჭავჭავაძის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნ. „წელიწდეული“, VII, გამომც. „ქუთაისი“, ქუთაისი, (გვ. 107-114), 2015.
5. დადიანი, 2020: – დადიანი ე., „ნაცვალსახელი-ფილერები ქვემოიმერულში (ოკრიბული მეტყველების მიხედვით)“, XL რესპუბლიკური

დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, (გვ. 54-61), 2020.

6. ექსპედ. მას., 2023: – ფერეიდანში 2023 წელს დიალექტოლოგიური ექსპედიციის პერიოდში ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აწსუ-ს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში), 2023.

7. თოდუა, 1975: – თოდუა მ., „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, II, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, (ფერეიდნული ტექსტები – გვ. 29-111), 1975.

8. მარტიროსოვი, 1964: – მარტიროსოვი ა., „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964.

9. ორბელიანი, 1991: – ორბელიანი ს., „ლექსიკონი ქართული“, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1991.

10. ფუტკარაძე, 1993: – ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული“, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993.

11. ქედვ: – ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/#/corpus>. 22.07.2023.

12. ლლონტი, 1984: – ლლონტი ა., „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1984.

13. ჩიქობავა, 2010 (1927): – ჩიქობავა ა., „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №7, ტფილისი, 1927. წიგნი: არნ. ჩიქობავა, შრომები, I, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, (გვ. 180-239), 2010.

14. ჩხუბიანიშვილი, 2012: – ჩხუბიანიშვილი დ., „საენათმეცნიერო წერილები“, თსუ გამომც., თბილისი, 2012.

Baroba/Barze Posposition in Imerkhebian and Taoian Dialects

**ბარობა/ბარზე თანდებული
იმერხეულსა და ტაოურში**

Marika Tedoradze

Akaki Tseretely State University.
Assistant-Professor, PhD in Philology
e-mail: maritedoradze@gmail.com

Tel: +995 577 66 86 03

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-8310-7488>

Teona Matchavariani

PhD Student at Akaki Tseretely State University
e-mail: tmachavariani6@gmail.com

Tel: +995 551 08 16 90

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-7253-2709>

Abstract: The Imerkhebian and Taoian dialects existing outside of Georgia have been separated from their motherland for centuries and are intensively influenced by the Turkish language. The relationship between the Turkish and Georgian people with different languages and traditions was also reflected in their speech. The influence of Turkish can be seen at all linguistic levels: in phonetics, morphology, vocabulary...

The article discusses the formal-semantic analysis of the adposition **baroba/barze** in relation to other dialects of the Georgian language.

According to the Explanatory Dictionary of the Georgian Language, **baroba – mis barobaze** - for him, for his share; (visime) **barobit-** verb prefix, for (someone's) sake, for (someone). Word forms with **baroba** in the function of adpositions are quite common in Imerkhebian and Taoian. It is added to the genitive case form, mostly to pronouns and nouns. In most cases, the element **-s** as the case marker, is cut off. It is used in different forms: in **Imerkhebian**, the variations of **barobai, barze, barobaza** are confirmed, while in **Taouian** - the variations of **barze, baaze** are verified.

Cf.: Data from the Georgian language dialects: **bara, baraze, barobaze** (Meshketian), **baradan** (Ingilo), **balaze** (Fereydanian), **barobaze, barobit** (Imeretian), **baroba, barobai** (Adjarian).

The semantics of the analyzed adposition in Imerkhebian and Taoian is diverse; By means of it, the aim, purpose, reason, etc. is expressed; In different contexts, they correspond to the prepositional forms - **tvīs**, **-gamo**, **-ze**, **shesakheb** (about) and the content expressed by the words **miznit** (for the purpose), **amitom** (since).

As a result of the analysis of Imerkhebian and Taoian material, interesting facts about the use of the preposition **baroba** were revealed, both from the point of view of its form and function-semantics.

Key words: Georgian Language; Taoian dialects; Imerkhebian dialects; Posposition.

მარიკა თედორაძე

ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ტელ.: +995 577 66 86 03

ელ. ფოსტა: maritedoradze@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-8310-7488>

თეონა მაჭავარიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ელ. ფოსტა: tmachavariani6@gmail.com

ტელ.: +995 551 08 16 90

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-7253-2709>

აბსტრაქტი: საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული იმერხეული და ტაოური დიალექტები მრავალი საუკუნეა მოწყვეტილია დედასამშობლოს და ინტენსიურად განიცდიან თურქული ენის ზეგავლენას. სხვადასხვა ენის, ტრადიციების მქონე თურქი და ქართველი ხალხის ურთიერთობამ ასახვა ჰპოვა მათ მეტყველებაზეც. თურქულის გავლენა ყველა ენობრივ დონეზე შეიმჩნევა: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში...

სტატიაში განხილულია **ბარობა/ბარზე** თანდებულის ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზი ქართული ენის სხვა კილოებთან მიმართებით.

ქეგლ-ის მიხედვით: **ბარობა - მის ბარობაზე** - მისთვის, მის წილად; (ვისიმე) **ბარობით** -ზმნს. (ვისიმე) მიზეზით, (ვისიმე) გამო. **ბარობა** სიტყვაფორმა თანდებულის ფუნქციით საკმაოდ გავრცელებულია იმერხეულსა და ტაოურში. დაერთვის ნათესაობით ბრუნვის ფორმას, მეტწილად

ნაცვალსახელებსა და არსებით სახელებს. ბრუნვისნიშნისეული -ს ელემენტი უმრავლეს შემთხვევაში მოკვეცილია. იხმარება სხვადასხვა ფორმით: **იმერხელში** დასტურდება **ბარობაჲ, ბარზე, ბარობაზე** ვარიანტები, ხოლო **ტაოურში ბარზე, ბააზე** სახესხვაობები ფიქსირდება.

შდრ.: ქართული ენის კილოების მონაცემები: **ბარა, ბარაზე, ბარობაზე** (მესხური), **ბარადან** (ინგილოური), **ბალაზე** (ფერეიდნული), **ბარობაზე, ბარობით** (იმერული), **ბარობა, ბარობაჲ** (აჭარული).

საანალიზო თანდებულის სემანტიკა იმერხელსა და ტაოურში მრავალფეროვანია; მისი საშუალებით აღინიშნება მიზანი, დანიშნულება, მიზეზი... სხვადასხვა კონტექსტში შეესაბამება -**თვის, -გამო, -ზე, შესახებ** თანდებულის ფორმებსა და **მიზნით, ამიტომ** სიტყვებით გადმოცემულ შინაარსს.

იმერხელი და ტაოური მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა **ბარობა** თანდებულის გამოყენების საინტერესო ფაქტები როგორც ფორმოზრივი, ისე ფუნქცია-სემანტიკის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა; იმერხელი დიალექტი; ტაოური დიალექტი; თანდებული.

შესავალი / წყაროების, ლიტერატურის მიმოხილვა: იმერხელი და ტაოური დიალექტები მრავალი საუკუნეა უცხოენობრივ გარემოში ვითარდებიან და ინტენსიურად განიცდიან თურქული ენის გავლენას. ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, იმერხეველ და ტაოელ ქართველთა მეტყველებაში საკმაოდ კარგადაა დაცული ქართული ენობრივი სისტემა.

სტატიაში წარმოვადგენთ **ბარობა/ბარზე** თანდებულის ფორმოზრივ-სემანტიკურ ანალიზს; განვიხილავთ მისი რეალიზების შემთხვევებს, სიხშირეს, სემანტიკურ ნიუანსებს, ფონეტიკურ ვარიანტებს იმერხელსა და ტაოურში; წარმოვაჩინთ მსგავსება-განსხვავებას სხვა კილოებთან მიმართებით.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ აწსუ-ს ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული დიალექტური მასალა, რომელიც ჩაწერილია იმერხევსა და ტაოში 2006-2022 წლებში; აგრეთვე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ტაოური და იმერხელი ტექსტები (ნ. მარი, შ. ფუტკარაძე, მ. ფაღავა...). დიალექტურ მასალასთან ერთად დავამუშავეთ თანდებულთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.

მეთოდოლოგია: სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. კერძოდ, აღწერითი მეთოდის საშუალებით აღვწერეთ იმერხეულსა და ტაოურ დიალექტებში დადასტურებული **ბარობა/ბარზე** თანდებულის გამოყენების შემთხვევები; შედარება-შეპირისპირებითი მეთოდით წარმოვაჩინეთ მსგავსება-განსხვავება ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით; ანალიზისა და სინთეზის მეთოდით შევისწავლეთ აღნიშნული თანდებულის ფორმობრივი და სემანტიკური ნიუანსები.

მსჯელობა/შედეგები:

I. ბარობა/ბარზე თანდებულის ფორმობრივი ანალიზი

იმერხეულში საანალიზო თანდებული გვხვდება შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **ბარობაი/ა, ბარობალაა, ბარზე, ბარობაზე**; ხოლო **ტაოურში ბარზე, ბააზე** სახესხვაობები ფიქსირდება. მოვიყვანთ შესაბამის ნიმუშებს:

იმერხეულში:

ბარობაი: ზოგიც იმ **ბარობაი** ვერ იბურვენ, აანი; იქიდამ ხორც ვერ ზიდვენ აქა, იმი **ბარობაი** უშველიან აქედამ თურქები იმათ; ჩენც არ უდინგლავთ იმათ. იმი **ბარობაი** ვერა ვართ, იშთა (ექსპედ. მას.).

ბარობაი: ტყეს ჭრიან იქა, ტყი **ბარობაი** დგებიან (შ. ფუტკ.)¹⁸; ბაბამ კაცი მოკლა და იმი **ბარობაი** დეიკარქა (ფუტკარამე, 2016: 644).

ბარზე: დღისით ბილა ეყრებიან ხალხსა. იმი **ბარზე** ის კაცი ისე დაასაჯათა დათვმა (შ. ფუტკ.); ღარჭი ჩელი მყავდა და იმი **ბარზე** ვერ წაველ ბურსას (ფუტკარამე, 2016: 644).

ბარობაზე: ჩუენ და მანატბიელები ჩამოუდექით ერთმანეთ წყლი **ბარობაზე** (შ. ფუტკ.).

ბარობალაა: არ გავდივართ, არ გამოვდივართ, წაკიდული ვართ, ალაგი, მულთი **ბარობალაა**; სხვა აბანჯი კაცმა ალთუნები ქონდა, ალთუნები **ბარობალაა** მოყლარჭა (ექსპედ. მას.).

იმერხეულში, ექსპედიციის მასალებში, დაფიქსირდა **ბარობალაა** ფორმა, რომელიც გამოქვეყნებულ ტექსტებში არ ჩანს. **ბარობაი/ა/ბარზე/ბარობაზე** ვარიანტები მეტ-ნაკლებად გვხვდება შ. ფუტკარამისა და მ. ფალავას... მიერ ჩაწერილ ტექსტებში; ნ. მარის ტექსტებში კი აღნიშნული თანდებული არ იძებნება.

ტაოურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ბარზე, ბააზე** სახესხვაობები გამოიყენება. გამოქვეყნებულ ტაოურ ტექსტებში **ბარზე** ვარიანტი გვხვდება, ქართველოლოგიის ცენტრის მასალაში კი ძირითადად **ბააზე** ფორმით არის დაფიქსირებული.

¹⁸ შუშანა ფუტკარამის მიერ ჩაწერილი ნიმუშების ნაწილი დამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (ქვევ: <http://corpora.co/#/texts>).

საილუსტრაციო ნიმუშები:

ბარზე: ჩვენებურა ხვათოფ და მე მივხდი და იმ **ბარზე** გიმძირვარ (ფალავა..., 2020: 1016); დევსეკარი – იმაზე უკან, იმ **ბარზე** უკან აღარ არი რამ (იქვე: 1015); ერთი ძველი წინდა მისდევს, იმ **ბარზე** გევიცინეო (იქვე: 916).

ბააზე: ჰემ ტალებ მევტანდით. პაწაა-პაწაა **ბააზე** ხანჩი მოთორითა; რა საქმე ქონდა. მე მითხარ ქი, ნა წომოვდეო, იმ **ბააზე** მე ფელ არ ვქენე; ახლა თაი მენტება. იმ **ბააზე** ფექ ვე მიქნია; ახნი არიან-და, იმ **ბააზე** (ექსპედ. მას.).

ბააზე მიღებულია **ბარზე** ფორმისგან **რ** სონორის დაკარგვით, რის საკომპენსაციოდაც **ა** ხმოვანი დაგრძელდა და მივიღეთ **ბააზე**. ზოგადად, ტაოურში ხშირია **რ** თანხმოვნის დაკარგვისა და მის საკომპენსაციოდ ხმოვნის დაგრძელების ფაქტები. მაგ.: ისე **დააბის** (<დარბის) მარტო, არ მუშაოფს ქი; დეკაცებიც **გააბიან** (<გარბიან) სხვა კაცებჩი (ექსპედ. მას.).

შდრ.: საანალიზო თანდებული ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმითა და სემანტიკური ნიუანსით გამოიყენება: **ბარაზე**, **ბარობაზე** (მესხური), **ბარადან** (ინგილოური), **ბარობაზე**, **ბარობით** (იმერული), **ბარობა**, **ბარობაჲ** (აჭარული), **ბალაზე** (ფერეიდნული)¹⁹. ტაოურში, ფერეიდნულში, მესხურსა და იმერულში ჭარბობს **-ზე** თანდებულდართული ფორმები. აქედან **ბალაზე** ვარიანტი მხოლოდ ფერეიდნულში ფიქსირდება. აღნიშნული ფორმა მიღებულია **რალ** სონორთა მონაცვლეობით. **ი/ა** დართული ვარიანტები უმთავრესად იმერხეულისა და აჭარულისთვის არის დამახასიათებელი. იმერულში, მესხურსა და აჭარულში კი ჭარბობს **-ობა** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, რომელიც სხვადასხვა დაბოლოებით არის წარმოდგენილი: მხოლოდ **-ობა სუფიქსიანი**: (ბარ-ობა), **ი/ა** ხმოვანდართული (ბარ-ობა-ი/ა), **მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით** (ბარ-ობ-ით), **-ზე თანდებულის** დართვით (ბარ-ობა-ზე). ინგილოურში დასტურდება **ბარადან** ფორმა (-დან თანდებულიანი ვარიანტი), რომელიც სხვა კილოებში არ აღინიშნება.

იმერხეულსა და ტაოურში, ისევე როგორც სხვა კილოებში, **ბარობა** თანდებული ხშირად იხმარება ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მესამე პირის ნაცვალსახელებთან.

მოვიყვანთ შესაბამის ნიმუშებს:

იმერხეული:

იმ: ისე მითხრეს და ყინა დევჩვი და იმ **ბარობაჲ** თუ არა არ შევღებავ; იმ **ბარობაჲ** ექვსი თანე სოფელი ასე გადაკიდეს წყარსიმელმა და დიობანმა (ექსპედ. მას.).

იმი: იშთა ბაღვებითვინ, ანი ჭყინტლი მოვტეხოთო, იმი **ბარობაჲ**; იმი **ბარობაჲ** ჩეენც არ ემევიჯებით ანი (ექსპედ. მას.).

¹⁹ ფერეიდნული დიალექტის ნიმუშები მოგვაწოდა ფერეიდნელმა ქართველმა საიდ მულიანმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

იმის: იმის ბარობად არ-ნა წეიკინკლო (ექსპედ. მას.).

ტაოური:

იმ: მაღალია აქოურობად, **იმ ბააზე** არ მოა აქა და იქ მაღუზა მოა; ბოდნა ყურბეთში არიან. ბოდნა იქაურობაში არიან. **იმ ბააზე** ალა მოლამის; იმნიეთი ვიხვაათე, გეყოფიენ, **იმ ბააზე** (ექსპედ. მას.).

ხოჯიყანა – ჯამე წინიდამ არი და **იმ ბარზე** (ფალავა..., 2020: 756); ბერიჰყანა – ფორეა და **იმ ბარზე**, ძველ ინსნებ დურქმევიან და ა' ვიცი (იქვე: 1017); ჩვენებურა ხვა'ათობ და **იმ ბარზე** გიმძირვარ (იქვე: 688).

იმი: ამა ბერექეთ ბევრი ფარა ჩიმივიდეს ხელშიო, **იმი ბააზე**; ხელი გულზე ბევრი ფარა ჩიმივდეს, **იმი ბააზე** (ექსპედ. მას.); გახევილი, მიყოლია მარტო და **იმი ბარზე** ვიცინიო (ფალავა..., 2020: 955).

მის: ასე ყიაზე მუუსვა, ხელი ამოუსვი ქვევიდან ზეით. ღენჭ წადებია ფხად, არ გულმჟღავნებია, **მის ბარზე** უთქმიან (ფალავა..., 2020: 631).

იმათ: წყალი, ა **იმათ ბააზე** იწაკიდებდეს, ახლა არავინ არ წაკიდობენ (ექსპედ. მას.)...

საანალიზო თანდებული შედარებით იშვიათად გამოიყენება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან.

იმერხეული:

ჩემ: ჩემ ბარობად დასახლდა, უბური იყო; ფუხრული იყვენ (ფალავა..., 2022: 374).

ჩვენ: ბოდნა ჩამსვლელი აქ ჩვენ ბარობად მივა (ექსპედ. მას.).

შენ: შენ ბარობაი გემექვა ქალი (ფუტკარაძე, 2016: 644).

ტაოური:

ჩემ: შე ჩემ ბააზე რამ გითქვია, ტყული იყო თუ მართალი (ექსპედ. მას.).

შენ: შენ ბარზე რამ გეგონე, ტყულია თუ მართალიო (ფალავა..., 2020: 912).

საინტერესოა, რომ საანალიზო თანდებული უმრავლეს შემთხვევაში ი თავკიდურხმოვნან ნაცვალსახელთანაა წარმოდგენილი (**იმ/იმი/იმის/იმათ**); იმერხეველთა მეტყველებაში დაფიქსირდა ა ხმოვნან ფორმასთან:

მოზვებმა გედეიარეს-მეთქი და **ამი ბარობად** თლა მისი გავხდი და შემემინდა (ექსპედ. მას.).

ბარზე/ბააზე შეგვხვდა რა ნაცვალსახელთან:

რა: ჩენ ორმოსდაათი წელწადია აქა ვართა და **რა ბააზე** აქეან, ა ვიცი; რაზე ხარ ავათ, რაზე? – რა ვიცი, **რა ბააზე** ვარ (ექსპედ. მას.); წუართი – ესეც გურჯი სახელი რამ არი, ისე გაგონილი ვართ ჩუნა, **რა ბარზე** არ ვიცი (ფალავა..., 2020: 1008).

გარდა ნაცვალსახელებისა, დასტურდება სახელებთანაც, რომელთაც უმეტესად ნათესაობითის ნიშნისეული ს თანხმოვანი დაკარგული აქვთ.

იმერხეულში:

წაკიდება ილღა ქი იქნება, **ჰუდუდი ბარობა**; ახალი გზა ამ **ტყეები ბარობა** გააკეთენ (ექსპედ. მას.); ზამთარში ვერ გამოვდივართ გარეთა **დიდი თოვლი ბარობა** (ფუტკარამე, 2016: 644).

ტაოურში:

შეშა ისე თათა ვიქმოდით **ზამთრი ბააზე**; ასე დაგრეხილ გომოარჩევთ **შეში ბააზე**; კილდეზე დაკოკომდა და ასე იჯება, ჰა ასე **წყალი ბააზე** (ექსპედ. მას.); დეკაციც იმის უკან წასულა **ტარალი გომოდები ბარზე**. ერთმანეთი დააშიყებიან, ერთპირა ყოფილან (ფალავა..., 2020: 641).

იშვიათად სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ზათენ **ლენჭებ ბარზე** ჩველით ყეზაში (ფალავა..., 2020: 1016).

განხილული თანდებულის დართვისას სახელებთან ზოგჯერ სრულად ნარჩუნდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი:

იმერხეულში:

ამერიკის **ბარობა** დეგეჩხუბენით რუსეთს (ექსპედ. მას.).

ტაოურში:

ჰო, ო, ო, **მეზობელის ბააზე** არ-ნა იხვაათო (ექსპედ. მას.).

II. ბარობა/ბარზე თანდებულის სემანტიკური ანალიზი

საანალიზო თანდებული ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს: ქეგლ-ის განმარტებით: **ბარობა** (ბარობისა) **მის (ჩემს) ბარობაზე** მისთვის (ჩემთვის), მის (ჩემს) წილად. უკანასკნელი წიწილაც-კი არ დაუტოვეს მის ბარობაზე დედა-ჩემს (შ. დად.) მაგის მეტი არავინ დადის ჩემს ბარობაზე, არც მას ჰყავს ვინმე ჩემს მეტი, ობოლია (რ. გვეტ.). **ვისიმე ბარობით** ზმნს. (ვისიმე) მიზეზით, (ვისიმე) გამო. ჩემი ელენე იმან მომიკლა, **იმის ბარობით** დამისნეულდაო (აკაკი). [იერემიას] **ბარობით** ექვსი თვე ვეგდე ფოთის სატუსალოში (გ. წერეთ.) (ქეგლ, 1950: 982).

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში **ბარობა** თანდებული შემდეგნაირად არის განმარტებული: „-**ბარობა** – თანდებული-მორფემოიდი; დასტურდება აჭარულში, უპირატესად გვხვდება ნაცვალსახელებთან; ფუნქციურად იგივეა, რაც: ა) -თვის: **შენ-ბარობა** თავს შავაკლავ „შენთვის თავს შევაკლავ“; ბ) „მაგიერ, მაგივრად“: **ჩემ-ბარობა** ამ ბადვს შენ-და ათხეო ყური „ჩემ მაგივრად ამ ბავშვს შენ უნდა მიხედო“” (ჯორბენამე..., 1988: 57).

აჭარულში **ბარობა** თანდებულის არსებობას ადასტურებს შ. ნიჟარამეც. მეცნიერი აღნიშნავს, რომ გულობა, **ბარობა** გამოიყენება -თვის თანდებულის პარალელურად ამავე თანდებულის ფუნქციის გამოსახატად. ზოგჯერ **ჩემბარობა** კონტექსტში „**ჩემ მაგიერ**“ შინაარსის გადმოსაცემად. მაგ.: **ჩემბარობა** შენ ნუ წუხდები; **ჩემბარობა** (ჩემ მაგიერ) შენ უნდა შეიდეგა თავზე (ნიჟარამე, 1961: 81).

საანალიზო თანდებულის შესახებ მსჯელობს შ. ფუტკარაძე „ჩვენებურების ქართულში“. იმერხეული ტექსტების ანალიზის საფუძველზე მეცნიერი მიუთითებს, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან საკმაოდ ხშირად „თვის“, „გამო“, „მაგივრად“ თანდებულის ფუნქციით გამოდის „გულობაი“, „ბარობაი“, „ბარზე“ – სიტყვები (ფუტკარაძე, 2016: 81).

ტაოურთან მიმართებით მ. ფალავა აღნიშნავს, რომ **იმიტომ, იმის გამო მიზეზის ზმნიზედების** მაგივრად გამოიყენება **იმ ბარზე**: მე მივხვდი და **იმ ბარზე** გიმძირვარ; ხოჯიყანა – ჯამე წინილამ არი და **იმ ბარზე** (ფალავა..., 2020: 756).

ბარობა თანდებული დაფიქსირებულია მესხურ და ინგილოურ ლექსიკონებშიც:

მესხური: **ბარა**: **ბარაზე**, **ბარობაზე** – თაობაზე, შესახებ, გამო: საცინარი საქმის **ბარაზე** უთქვია (ქდვ: <https://www.ice.ge/liv/liv/mesxuri.php#>).

ინგილოური: **ბარადან** -თვის, გამო: მაგი **ბარადან** მე გოილანზდ (როსტიაშვილი, 1978; ქდვ: <https://www.ice.ge/liv/liv/ingilour.php>).

აღსანიშნავია, რომ **ბარობა** თანდებული გამოიყენება იმერულშიც „-გამო, -თვის“ თანდებულთა მნიშვნელობით, თუმცა ამის შესახებ არაფერია ნათქვამი სამეცნიერო შრომებში. შესაბამისი ნიმუშები გვხვდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცულ 1993-1998 წლებში ჩაწერილ იმერულ ტექსტებში.

ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში **ბარობა** (**ბარობაი/ბარობაი/ბარობალაი/ბარზე/ ბარობაზე /ბააზე**) თანდებულის საშუალებით აღინიშნება მიზანი, დანიშნულება, მიზეზი... სხვადასხვა კონტექსტში შეესაბამება -თვის, -გამო, -ზე, შესახებ თანდებულიან ფორმებსა და მიზნით, იმიტომ სიტყვებით (ზმნიზედებით) გადმოცემულ შინაარსს.

უმთავრესად ცვლის -თვის და -გამო თანდებულებს. მაგალითად:

იმერხეული:

-თვის (**გულისთვის**): ისე წაველ, საქმი **ბარობაი** წაველით; ესკერში წაველ, მაშინ ამოვდა ახალი გზა, **იმ ბარობაი** გააკეთენ (ექსპედ. მას.).

-გამო / **გამომდინარე**: ჩვენც არ უდინგლავთ იმათ, **იმი ბარობაი** ვერა ვართ იშთა; **თავდაბურულობი ბარობაი** სკოლაში ვერ მიდიოდენ; ესა ახლა იმსოდ ზმა გეყოლვის, რო შემოდგება, მითვინ წეიკიდებიან და **იმი ბარობაი** წაკიდობა ახლავს; ღორები აღარ გვიშვებენ, დათვები და **იმი ბარობაი** ველარ დიგვითესია (ექსპედ. მას.); **შენ ბარობაი** გემექცა ქალი... (ფუტკარაძე, 2016: 644); ერთი ჩემი ბებერა არი, კა არ არი, ავათ არი, **იმ ბარზე**... (ფალავა..., 2020: 1078).

იმიტომ: აქედან რუზგარი... ეს-ნა მოვშქრა, ამა კაკალიც კადა, იშთა, კაკალიც კადა, ო და **იმ ბარობაი**; ლაზიენთი აჯარადან მოსულან ჩვენი დედეა, ჰო, დიდი დედეა ქი ამოსულა, იშთა ლაზიენთ გვეტყვიან ჩვენ **იმ ბარობა** (ექსპედ. მას.).

ტაოური:

-თვის (/გულისთვის): ენწინ თივა მოვთიბე, ყაბა თივა, **ფურებ ბააზე**; ესენი სარებ უქნიან, შეხედე, **ლებუო ბააზე**; ბოდნა ყურბეთში ვიყავ მეა, ფარა მოგები **ბააზე** ყურბეთში ვიყავ (ექსპედ. მას.); ერთი ქალი სალამოზე **წყალი ბარზე** მისულა (ფაღავა..., 2020: 1088).

-გამო: უკან **ყოფნი ბააზე** უკანჭალობა უთქვიან; აქოურობად მაღალია და, **იმ ბააზე** არ იჯონლება აქა; მოშლილ, ხელით დაფშვნი, დახრესავ ხო, **იმ ბააზე** ქვია, **იმ ბარზე** (ექსპედ. მას.); ძროხები წევლენ თაში - გელი არ ჩამოვდეს, დათვი არ ჩუმოვდეს, ყოლაფერი, **იმ ბარზე** დავჰკლავთ (ფაღავა..., 2020: 1039).

შესახებ: შე **ჩემ ბააზე**, შე **ჩემ ბააზე** რამ გითქვია, ტყუილ იყო თუ მართალი; ჰო, ო, ო, **მეზობელი ბააზე** არ-ნა იხვაათო; აქ **სიგარა გაგდები ბააზე** დოხთორ უთხარით, მეგეფეროსო, ისე წეროფს (ექსპედ. მას.).

იმიტომ: ნახოხი ტყევნარშია და **იმ ბააზე** ნახოხია; ი ბელქი ემე-რია, **იმ ბააზე** ზროხა იტყვი, ძანი, ზროხა დიდ ეტყვიან, პირტყვი დიდი არ არი ქი (ექსპედ. მას.); ენ წინ მილეთი ყოფილა, ბასლეთები ყოფილა, მილეთის სახლი (=სახელი) – ბასლეთები; **იმ ბარზე** ემეა, სოფელების სახლები და უკანაჲ კარი (ფაღავა..., 2020: 721); ჩვენი სოფელი პეტრაჲ, იმათი სოფელი – დიდი. იმი **ბარზე** – დიდი ხევეგი (იქვე: 1037).

დასკვნა: გაანალიზებული მასალიდან გამოჩნდა, რომ **ბარობა/ბარზე** თანდებული იმერხველთა და ტაოელთა მეტყველებაში ფორმოზრივად და სემანტიკურად მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. გვხვდება როგორც სხვა კილოების მსგავსი, ასევე განსხვავებული ფაქტები. იმერხელში **ბარობაი/ი, ბარობალაჲ, ბარზე, ბარობაზე** ვარიანტები დასტურდება, **ტაოურში** კი – **ბარზე/ბააზე** ფორმები. **ბააზე** (<ბარზე) სახესხვაობა გამოქვეყნებულ ტექსტებში არ დასტურდება. საანალიზო თანდებული ძირითადად დაერთვის ნათესაობით ბრუნვაში მდგარ სახელებს, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -ს თანხმოვანი მოკვეცილი აქვთ.

ბარობა/ბარზე ხშირად **-თვის, -გამო/გამომდინარე, იმიტომ** სიტყვაფორმათა მნიშვნელობას გამოხატავს. სხვა დიალექტებისაგან (აჭარული, ინგილოური, ფერეიდნული, იმერული) განსხვავებით, ტაოურში **ბარზე/ბააზე** გამოვლინდა **შესახებ/ზე** თანდებულის მნიშვნელობითაც.

ზოგადად იმერხველ და ტაოელ ქართველთა მეტყველებაში **ბარობა/ბარზე** თანდებულის სტრუქტურა და წარმოების წესი ქართული კილოების მსგავსია. გამოვლენილი სპეციფიკური ფაქტები საკუთრივ დიალექტური მოვლენაა და ზოგად კანონზომიერებს შეესაბამება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ნიჟარაძე 1961: – ნიჟარაძე შოთა, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ). სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1961.

2. როსტიაშვილი 1978: – როსტიაშვილი ნათელა, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978. ქდვ: <https://www.ice.ge/liv/liv/ingilour.php>).

3. ფაღავა... 2020: – ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, ჩოხარაძე მალხაზ, შიოშვილი თინა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკიძე ზაზა, მგელაძე ნუგზარ, ჩხვიმიანი ჯიმშერ, კარალიძე ჯემალ, ტაო (მონოგრაფია). გამომც. „მერიდიანი“, ბათუმი, 2020.

4. ფაღავა... 2022: – ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). გამომც. „მერიდიანი“, ბათუმი, 2022.

5. ფუტყარაძე 2016: – ფუტყარაძე შუმანა, ჩვენებურების ქართული. წიგნი მეორე, გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2016.

6. ქეგლ 1950: – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.

7. ჯორბენაძე... 1988: – ჯორბენაძე ბესარიონ, კობაიძე მანანა, ბერიძე მარინე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1988.

8. იმერული მასალა: – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 1993-1998 წლებში იმერეთის სოფლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა.

9. ექსპედიციის მასალა: – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2007-2022 წლებში იმერხევსა და ტაოში მოწყობილი დიალექტური ექსპედიციების ფარგლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა.

10. ქდვ: – ქართული დიალექტური კორპუსი <https://www.ice.ge/liv/liv/mesxuri.php#> დამოწმება: 12.07.2023.

11. ქვეკ: – ქართული ენის ეროვნული კორპუსი <http://corpora.co/#/texts>
დამოწმება: 07.05-13.05.2023.

**The NATO Role in Promotion of Geoeconomic Security at Regional
Level – The Black Sea Region Case-Study**

ნატოს როლი გეოეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის საქმეში:
რეგიონული დონე - შავიზღვისპირეთის შემთხვევა

Vakhtang Maisaia

Professor, Caucasus International University (CIU)

Ph.D. in Political Science, Georgia; Expert of

Georgian National Academy of Sciences

Tel: +995 599 40 22 52

e-mail: vakhtang.maisaia@ciu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-003-3674-3570>

Alika Guchua

PhD, Associate Professor at Caucasus International

University - Tbilisi, Head of the Strategic Studies Institute

for Research CBRN Threats and Risks

e-mail: alika_guchua@ciu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0347-9574>

Galaktion Maisaya

PhD student of Political Science of

Caucasus International University.

e-mail: galaktion.maisaia@ciu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-6851-0790>

Abstract: having considered current changes in the system of contemporary international security where geopolitical indicators have shifted in favour to geoeconomic ones, factor of geoeconomic security and geoeconomic phenomenon as such increased steadily. Namely the geoeconomic security became omnipotent for such state as is Georgia which is under occupation from by the Russian Federation and the occupation is hampering process of fully realization of Georgia’s national interests at any level. Mainly due to the fact that Georgia is striving to achieve NATO membership and Russia considers the one as violation of its so-called “vital zone of influence”. The Russo-NATO confrontation area has already become the Black Sea Area. Even the NATO declared the area as geostartegically and geoeconomically vital space and even introduced special jargon “the Black Sea Security Dimension”. One

of the aspects of the dimension consisted of geoeconomic security as the NATO seeks to achieve its strategic interests in aegis of the zone not only by political-military means but also political, economic and diplomatic means.

Key words: *geoeconomic security, international security, Georgia, "Black Sea Security Dimension", NATO, Russia.*

ვახტანგ მაისაია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი
ტელ: +995 599 40 22 52

ელ-ფოსტა: vakhtang.maisaia@ciu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-003-3674-3570>

ალიკა გუჩუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქიმიური, ბიოლოგიური,
რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხეების სტრატეგიული
კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: alika.guchua@ciu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0347-9574>

გალაქტიონ მაისაია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
ელ-ფოსტა: galaktion.maisaia@ciu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-6851-0790>

აბსტრაქტი: მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში შეიცვალა გეოპოლიტიკური კოორდინატთა ელემენტები და მან მიიღო უფრო დინამიური, მობილური, მაგრამ ნაკლებად პროგნოზირებული ტენდენცია. გეოეკონომიკის და გეოეკონომიკური უსაფრთხოების განხილვისას კარგად წარმოჩინდება, აღნიშნული ფენომენის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში, ეროვნული უსაფრთხოების საკითხების გადაჭრაში და გეოპოლიტიკური მიზნების წარმატებით მიღწევაში. განსაკუთრებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, რომელსაც უამრავი გამოწვევების წინაშეა, როგორც პოლიტიკური, ისე

ეკონომიკური თვალსაზრისით, სწორი პოლიტიკის განსაზღვრა და მისი იმპლემენტირება. ქვეყანა, რომელიც ოკუპირებულია მტრულად განწყობილი მსოფლიოში ერთერთი ძლიერი სახელმწიფოს მიერ, და ამავე დროს გაცხადებული აქვს ამავე ქვეყნის მოწინააღმდეგის (ნატოს) კურსი, რთულ და რიგ საკითხებში, გამოუვალ სირთულეების წინაშეა. ამიტომაც რუსეთ-ნატოს დაპირისპირება უკეთ წარმოჩინდება შავი ზღვის გეოპოლიტიკური სივრცის ფარგლებში, რომლებიც ორივე აქტორისთვის წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან და სასიცოცხლო არეალი. ამ კუთხით, მაშინ როდესაც შავიზღვისპირეთს, ნატოს კლასიფიკაციის მას უკვე მიენიჭა ე.წ. „შავი ზღვის უსაფრთხოების“ განზომილების სტატუსი, ასეთ დაპირისპირების კონტურები ატარებს უკვე გეოეკონომიკური უსაფრთხოების სახეს. ნატო ცდილობს, რომ თავისი აქტიური ღონისძიებების, მათ შორის პოლიტიკური და დიპლომატიური და არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის, მეშვეობით მიაღწიოს შავიზღვისპირეთში სტაბილურობის პირობებს.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო უსაფრთხოება, ნატო, გეოეკონომიკური უსაფრთხოება, შავიზღვისპირეთი, ეროვნული უსაფრთხოება, სასიცოცხლო არეალი.*

შესავალი: გეოეკონომიკა, როგორც ცალკე მეცნიერება XX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და ადამიანსა და სივრცეს შორის ურთიერთქმედებას შეისწავლის. გეოეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბება გლობალური ეკონომიკური პრობლემების წარმოშობას უკავშირდება. თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა ხელისუფლებასთან ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანა ეკონომიკურ სფეროში. პრობლემები, რომლებიც საუკუნობით იარაღის ძალით წყდებოდა, ბოლოს და ბოლოს ფინანსებისა და ინფორმაციის საფუძველზე წყდება. ეკონომიკურმა ომებმა ბევრად შეცვალა ჩვეულებრივი საბრძოლო ომები (ბახტაძე, ვეშაპიძე, ზუბიაშვილი, 2021:5). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გეოეკონომიკური უსართხოების ტერმინის შეჯერებული დეფინიცია, ჩვენ შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ - ესაა ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება. სხვათა მოსაზრებით, არსებობს ამ ორი მიმართულების საწინააღმდეგო კავშირი: მოქნილი გეოპოლიტიკური მექანიზმებით ხდება გეოეკონომიკური მიზნების მიღწევა. საერთო ჯამში, გეოეკონომიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საერთაშორისო ეკონომიკის, გეოპოლიტიკის და სტრატეგიის ურთიერთკავშირი. ტერმინის მრავალმხრივი გამოყენება დაკავშირებულია ორ ფაქტორთან: ჩინეთის აღზევებამ, რომელიც სულ უფრო ფართოდ იყენებს ეკონომიკურ

ინსტრუმენტებს პოლიტიკური ძალაუფლების განსამტკიცებლად, და მეორე – სახელმწიფო კაპიტალის და სახელწიფო საწარმოების აღორძინება ნიშნავს სახელწიფოს აქვს დიდი ეკონომიკური რესურსი და გლობალური სავაჭრო კავშირების და ფინანსური ბაზრების ღრმა ინტეგრაციამ გეოეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება უფრო აქტუალური გახდა. XX საუკუნის დასაწყისში, აშშ-ს ენერჯეტიკის უმეტესი ნაწილის წარმოება ხდებოდა დიდი ორთქლის ქვებში, რომლებიც იკვებებოდნენ წიაღისეულით, განსაკუთრებით ქვანახშირით. ელექტროენერჯის წარმოების ალტერნატიული წყარო შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კინეტიკური ენერჯია და ჰაერის ცირკულაციისგან. დედამიწაზე არსებული სითბო ასევე განიხილება ელექტროენერჯის (გეოთერმული ენერჯია) წარმოების წყაროდ, როგორც განახლებადი ენერჯის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ რიგი თეორიების მიხედვით ადგილობრივი გეოთერმული ენერჯია დროთა განმავლობაში დაქვეითდება, მისი სითბოს სიმრავლისა და მასშტაბების გათვალისწინებით, გეოთერმული ენერჯია შეიძლება ჩაითვალოს "განახლებადად" (Renewable Power Pathways, 2020: 54).

გეოეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ საწვავის და ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება აშშ-ს ეკონომიკის დიდ სექტორს შეადგენდა. ენერჯია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა აშშ-ს ეკონომიკის (ისევე როგორც ყველა მძლავრი ინდუსტრიის მქონე ქვეყნების) პრაქტიკულად ყველა სექტორისთვის. მაგალითად, 1997 წელს, შეერთებულ შტატებში ინდუსტრიული ელექტროენერჯის ხარჯებმა 214 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ეკონომიკის სტრუქტურა მკვეთრად შეიცვალა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში იმის გათვალისწინებით, რომ მძიმე ინდუსტრიაზე დაფუძნებული ეკონომიკა, ჩაანაცვლა ინფორმაციასა და მომსახურებაზე დამოკიდებულმა ეკონომიკამ (თუმცა ინდუსტრიული წილი, ჯერ კიდევ აღემატება), ენერჯის, განსაკუთრებით ელექტროენერჯის როლი კვლავ მნიშვნელოვანია რჩება. ხელმისაწვდომი, ეკოლოგიურად სუფთა (მწვანე ენერჯია) ენერჯის არსებობას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხში. ფაქტობრივად, მზარდი ინფორმაციის, მომსახურების და სხვა მსუბუქი ინდუსტრიული სექტორების ფონზე, აღნიშნული სექტორები, ისევე როგორც ზოგიერთი სამრეწველო სექტორი, ელექტრიფიკაციის (ეკონომიკაში, მაგალითად, ფოლადის ინდუსტრიის) გათვალისწინებით, ეკონომიკა ხდება უფრო ელექტროენერჯიულად ინტენსიური, ვიდრე წარსულში. ახლა უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხს. აქედან გამომდინარე, ბევრ ეკონომიკურ სექტორში გადამწყვეტი გახდა ენერჯის დაბალი ღირებულება და ელექტროენერჯის საკმაოდ საიმედო მომარაგება. სახელმწიფოები, ექსპერტები და სამრეწველო

დარგის ვარაუდობენ, რომ მზის ენერჯია და ქარი იქნება მომავლის ენერჯია, მაგრამ სანამ ველოდებით, თუ როგორ ტრანსფორმირდება აწმყოს ენერჯია ტექნოლოგიების საშუალებით, მანამდე დამოკიდებული ვართ ტრადიციულად ენერჯიის მიღებაზე, რომელიც გულისხმობს საწვავის მიწისქვეშა ქანებიდან მიღებას, რომლებიც ცნობილი არიან როგორც ფიქალი (Shale Revolution, 2019).

აშშ-ს ენერჯიის დამოუკიდებლობის ისტორიაში, 2016 წლის 29 სექტემბერი მნიშვნელოვანი დღე იყო. OPEC ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ფიქალის ინდუსტრიის შემცირების სტრატეგიის შემუშავებას, რათა მაქსიმალურად შეემცირებინა ფასები ბაზარზე, რომ ფიქალის ინდუსტრია დარჩენილიყო მოგების გარეშე. ფიქალის რევოლუციამ გამოიწვია აშშ-ში წარმოებული პროდუქციის გაზრდა, ასე რომ, მალევე საუდის არაბეთმა და რუსეთმა დაასკვნა, რომ საბაზრო წილის მუდმივი დაკარგვა უნდა შეჩერებულიყო (America's Path, 2019) შედარებით იაფი ფიქალი - გაზი დაეხმარა აშშ-ს შეამციროს ნახშირის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს ყველაზე დამაბინძურებელ წიაღისეულ საწვავს, თითქმის 40%-ით 2008 წლის შემდეგ. მსგავსი პოლიტიკით ჩინეთმა თხევადი ბუნებრივი აირის შესყიდვების გაზრდით შეამცირა მისი ენერჯეტიკის დამოკიდებულება ქვანახშირის მიმართ. ბევრი ექსპერტი გაკვირვებული იყო იმით, რომ ჰორიზონტალური ბურღვა და ჰიდრაულიკური მოტეხილობა თითქმის ექსკლუზიურად მხოლოდ ამერიკაში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ფოროვანი საწვავის ნავთობი და გაზი გვხვდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, აშშ-ს ფიქალის რევოლუციას უფრო მეტი სჭირდებოდა, ვიდრე უბრალოდ გეოლოგია. აშშ-ს უკვე გააჩნია მძლავრი ენერჯეტიკული ინდუსტრია, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე სამუშაო ძალა და საშუალო დონის ინფრასტრუქტურის ქსელი, რომლის ხელმისაწვდომობის კაპიტალი მოდის მსოფლიოს უმსხვილეს საფინანსო ბაზრებზე. ბოლო ათწლეულისთვის დამახასიათებელი იყო აშშ-ს ნავთობისა და გაზის წარმადობის გაზრდა (57%-ით მოიმატება), რაც მეტწილად პერმის აუზის ბუნებრივი რესურსების სიუხვითაა გამოწვეული, რომელიც ტეხასეთიდან ახალ მექსიკამდეა გადაჭიმული და მარტო ეს ტუმბო უფრო მეტ ნავთობს აწარმოებს, ვიდრე OPEC-ის ქვეყნების უმეტესობა. ამ გარემოებამ უბიძგა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ქვეყანას წიაღისეული საწვავის ექსპორტის გაზრდისკენ, რომელიც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იყო. აშშ-ს ნედლი ნავთობის ექსპორტი 2019 წლის პირველ ნახევარში საშუალოდ 2.9 მილიონ ბარელს შეადგენდა დღეში, რომელიც თითქმის 1 მილიონით მეტია ვიდრე 2018 წლის პირველ ნახევარში წარმოებული ნავთობისა. აშშ-ს ახალმა დომინანტობამ განაპირობა OPEC-ის ფასების შემცირება. ეს ქმნის ძლიერ დიპლომატიურ იარაღს, რაც აშშ-ს საშუალებას აძლევს დააწესოს აგრესიული

სანქციები ნავთობის გატანასთან დაკავშირებით ირანიდან და ვენესუელადან, საიდანაც ნედლი ნავთობი მუდმივად გაედინება.

აღნიშნულ გარემოებას გააჩნია გეოეკონომიკური განზომილება და უკავშირდება ისეთი პრობლემას, რომელიც მოიცავს გლობალური და რეგიონული სატრანზიტო კომუნიკაციური არხების და სისტემების გადაკეტვა და მათი გამოყენება როგორც პოლიტიკური სახის იარაღი.

საილუსტრაციოდ ასევე მნიშვნელოვანია მეორე მაგალითი, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია. მოგვეხსენება, თუ რა დაძაბული ვითარებაა ირანში, კერძოდ **ჰორმუზის სრუტესთან** დაკავშირებით. მიზეზების დასადგენად უპრიანია ზედმიწევნით შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ რა არის ჰორმუზის სრუტე? რა მოხდება თუ ჩაიკეტება? რატომ წარმოადგენს მისი ჩაკეტვა ასეთ დიდ საშიშროებას? მსოფლიოში ძნელად მოიპოვება იმაზე მნიშვნელოვანი ადგილი ნავთობის მიწოდებისთვის ვიდრე ეს არის ჰორმუზის სრუტე. ის სპარსეთის ყურიდან მსოფლიოს ოკეანეებში ნავთობის გადატანის ერთადერთი გზაა (Isidore, 2019: 1) ჰორმუზის სრუტე არის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ნავთობ კორიდორი - არაბეთის ყურესა და ომანის ყურეს შორის. 39 კმ-ის სრუტე არის ერთადერთი გზა ღია ოკეანისკენ. გლობალური ნავთობპროდუქტების წარმოების ერთი მეექვსედით და მსოფლიოს თხევადის გაზის მესამედის მარაგით მისი მნიშვნელობა უდაოდ დიდია. იგი მდებარეობს ორანსა და ომანს შორის, აკავშირებს შემდეგ ქვეყნებს: ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები, საზღვრის გასასვლელებს არაბეთის ზღვასთან და მის ფარგლებს გარეთ (Why Hormuz is important, 2019) ნავთობის რაოდენობა, რომელიც არხზე გადის, შეუფასებელია მსოფიო ეკონომიკისთვის. დაახლოებით 80% ნედლეულის, რომელიც გაედინება სრუტით, განკუთვნილია აზიის ბაზრებისთვის. ენერჯის ანალიტიკური ფირმის Vortexa-ს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად 2018 წლის განმავლობაში დაახლოებით 22.5 მილიონი ბარელი ნავთობი გავიდა ჰორმუზის სრუტეზე. ეს იყო ნავთობის გლობალური ყოველდღიური წარმოების დაახლოებით 24% და ნავთობის თითქმის 30% მოძრაობს მსოფლიოს ოკეანეებში ჰორმუზის სრუტის გავლით. საერთო ჯამში, ჰორმუზის სრუტეზე გამავალი ნავთობის რაოდენობა დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე აშშ-ს ნავთობპროდუქციის მთლიანი წარმოება (Isidore, 2019: 3). ჰორმუზის სრუტის გავლით ნავთობისა და გაზის ექსპორტის შესაძლო შეფერხება მნიშვნელოვან უარყოფით გლობალურ ეკონომიკურ გავლენას გამოიწვევს, რის გამოც ირანი ასიმეტრიული ომის საფრთხის წინაშე დადგება (Lahabi, 2019). სრუტის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ისტორია მოგვითხრობს, რომ იგი დიდი ხანია საერთაშორისო დაძაბულობის რეგიონალური მნიშვნელობის წერტილი იყო თეირანსა და დასავლეთს შორის, რომელიც ბოლო პერიოდში მზარდი და აქტუალური ხდება. ერთ-

ერთი ბოლო ესკალაციის დროს ირანის ხელისუფლებამ დაიპყრო ბრიტანულ დროშიანი „სტენა იმპერო“ ნავთობის ტანკერი და ირწმუნებოდა, რომ იგი "არღვევს საერთაშორისო საზღვაო წესებს" (Suyin, 2019). ირანის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ჰოიდამ ერთ დროს ჰორმუზის სრუტეს უწოდა "ჩვენი ჯეკულარული ვენა" (Suyin, 2019).

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: მოცემულ თემატიკასთან მიმართებაში საინტერესო მონაცემებს და მიდგომებს წარმოაჩენენ ქართველი მკვლევარები - გიორგი კვინიკაძე (*„გეოეკონომიკის საფუძვლები“; პირველი და მეორე ნაწილი, თსუ, თბილისი, 2017*), გურამ ჯოლია (*„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“; ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015*) და ბესიკ ალადაშვილი (*„ეკონომიკური უსაფრთხოება - თეორია, მეთოდოლოგია და პრაქტიკა“; საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი, 2011*). მათ ნაშრომებში შესწავლილია თანამედროვე გეოეკონომიკური პროცესების დინამიკა და მათ კორელაცია საერთაშორისო უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებთან. ავტორებმა პირველად საკვლევ ობიექტად წარმოადგინეს გეოეკონომიკური უსაფრთხოების აქტორი - სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება. მე-20 საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობდა რადიკალური ტრანსფორმაციული პროცესები. ამ პერიოდში გამოიკვეთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალური ასპექტები და განხილულია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონტურები. მსოფლიო გამოცდილებით განსაზღვრულია როგორი სახის ეკონომიკური განვითარების მოდელები არსებობს და განხილულია როგორი სახის კონგლომერატებით ყალიბდება ისინი. ერთ-ერთი ასეთ მოდელს წარმოადგენ იმპორტზემცველი წარმოების განვითარება, შედარებით ნაკლებზემცველია. ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ ფენომენს, რომელსაც ეწოდება ეკონომიკური უსაფრთხოება. საქართველოში დაფიქსირებული ეკონომიკური უსაფრთხოების არსის განმარტება და მისი ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრება. მასში კარგად არის ჩამოყალიბებული ეკონომიკური უსაფრთხოების და მასთან დაკავშირებული გლობალური, რეგიონული და ლოკალური გეოეკონომიკური პროცესების გაცნობიერების უნარი. მკაფიოდ მოახდინოს გაცნობიერება იმ გარემოების, თუ რა პარამეტრებით ხორციელდება ომის თაობებს შორის განსხვავებათა დაფიქსირება.

ამას გარდა, საინტერესოს უცხოელი მკვლევარების ხედვა გეოეკონომიკური უსაფრთხოების მოდელის შესახებ. თომას ტროის და უილიამ კასებიერის (*„Violent Systems: Defeating Terrorists, Insurgents and Other Non-State Adversaries“; INSS Occasioanl Paper 52, USAF Academy, Colorado, 2004*) ნაშრომში კარგად არის არის წარმოჩენილი იმ პროცესების ანალიზი,

რომელიც შეიქმნა 9/11 ტრაგიკული მოვლენის შედეგად და რამდენად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკის დინამიკა და გახდა უფრო მეტად აქტუალური ახალი განზომილების ე.წ. „აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების“ ფაქტორი ამ პროცესებში. ფაქტობრივად, უკვე ამ მოვლენების შედეგად, ომის და მშვიდობის საკითხები დაისვა განსხვავებულ ფორმატში და საერთაშორისო ურთიერთობები გადავიდა ახალი სახის ფორმაციაში, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა და ახალი იდენტიფიკაცია წარმოჩინდა ე.წ. „გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოების“ ფენომენი. ამავე კონტექსტში ნაშრომი გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა ფორმირებული და ძლიერ შეცვლილი 200 წლიანი ისტორია ახალი ტიპის კონფლიქტების გეოეკონომიკური ომების მიერ, სადაც ახალ აქტორებად გვევლინებიან უკვე არასახელმწიფოებრივი აქტორებიც.

მეთოდოლოგიური საფუძველი: კვლევის დამუშავების დროს გამოყენებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო-თეორიული მიმართულებების სპეციალური კონცეფციებზე აგებული სხვადასხვა სახის მიდგომები. დასამუშავებელი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდოდ გასათვალისწინებელია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლების ის სამეცნიერო პარადიგმები, რომლებიც ეხმიანებიან რელიგიის ფაქტორების მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში. მათგან გამოსაყოფია შემდეგი მიმდინარეობები:

ა) **„ურთიერთდამოკიდებულების თეორია“:** ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოებს შორის გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება ამცირებს ერთმანეთის საპირისპიროდ კონფლიქტში ჩართვის შესაძლებლობას, მისი მომხრეების აზრით, მოდერნიზაცია და გლობალიზაცია წარმოადგენენ ხელშემწყობ პროცესებს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების დონის გაზრდის კუთხით.

ბ) **„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია:** ამ თეორიის მიხედვით ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება, ან თანამშრომლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. თუმცა, ყველზე მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ. სახელმწიფოებს თანამშრომლობისაკენ უბიძგებთ გარკვეული საფრთხეების გლობალიზაცია, რომელთანაც ინდივიდუალურად უძლურნი არიან და ამიტომ აყალიბებენ საერთო კავშირებს;

გ) **„უსაფრთხოებიზაციის თეორია“ (Securization Theory):** ამ თეორიის ფარგლებში გამოკვეთილია ნეორეალისტური ხედვა პოსტ-ინდუსტრიულ

ეპოქაში საფრთხეების იდენტიფიკაციის მნიშვნელობის შესახებ. ამავე თეორიის ფარგლებში უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებად დაფიქსირებულია გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მისი გავლენა გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო საზოგადოების განვითარების საქმეში. ამიტომაც მისი გამოყენება ჩვენს კვლევაში წარმოადგენს აქტუალურ საკითხს და სწორედ გეოეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების წარმოჩენა არის მნიშვნელოვანი გარემოება.

დისკუსია/შედეგები: როგორც ცნობილია და როგორც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს მისი დეტერიტორიზაცია, ანუ სახელმწიფო (ეროვნული) საზღვრების ეტაპობრივად მოშლა წარმოადგენს. შესაბამისად, ძირეულად იცვლება სახელმწიფოს მნიშვნელობა და მისი ფუნქცია. თუ თანამედროვე პერიოდამდე იგი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ფორმა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტობრივად ერთადერთი სუბიექტი იყო, გლობალიზაციის ეპოქაში მისი მნიშვნელობა აშკარად მცირდება. სახელმწიფოს ბევრ ფუნქციას ინაწილებენ საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. გლობალიზაციის ერაში სახელმწიფო ფუნქციების შესახებ ორი სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთის მიხედვით, გლობალიზაციას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე რადიკალური გავლენა არ მოუხდენია და სახელმწიფო კვლავ რჩება მთავარ პოლიტიკურ ორგანიზმად და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად სუბიექტად (ანტიგლობალისტების ანუ სკეპტიკოსების წარმოდგენა). მეორე პოზიციის თანახმად კი, გლობალიზაცია სახელმწიფოს თანდათანობით გაქრობაზე მიანიშნებს, მის წინაშე არსებულ პასუხისმგებლობას სხვა ორგანიზაციები ინაწილებენ და მომავალი ერთიან, სახელმწიფო საზღვრებს გარეშე არსებულ მსოფლიოს ეკუთვნის (გლობალისტური ხედვა). ამავე დროს, სწორედ ეკონომიკური გლობალიზაცია წარმოადგენს გეოეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს და სახელმწიფო, როგორც მთავარი აქტორი ამ კონცეფციის, როგორც მომხმარებელი და უშუალოდ მონაწილე წარმოადგენს მთავარ ობიექტს. გლობალიზაციის პერიოდში გარკვეული ცვლილება განიცადა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკას დაქვემდებარებულმა კონტინგენტმა. თუ ადრინდელი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს პოლიტიკა საკუთარ მოსახლეობაზე იყო გათვლილი, გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად სახელმწიფო თავის ინტერესებს სხვებზეც ავრცელებს და აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად ეროვნულ საზღვრებს უგულებელყოფს. მეორე თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ გლობალიზაციამ ხელი შეუწყო სახელმწიფოთა შორის უფრო ხშირ და ინტენსიურ კონსულტაციებს,

რაც ერთობლივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს. გლობალიზაციასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ფარგლებში დამახასიათებელი მოვლენაა ისიც, რომ გლობალიზაციამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა სახელმწიფოთა შორის ომების შესაძლებლობა. დღევანდელ მსოფლიოში კონფლიქტის ყველაზე გავრცელებულ ფორმად გვევლინება შიდა დაპირისპირება სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და არა ტერიტორიული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის (Keohene, Nye, 1989: 20-22).

მოცემული პოზიციის თანახმად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი ზესახელმწიფოებრივი (სუპრანაციონალური) ორგანიზაცია, როგორც არის ევროკავშირი. მოცემული საერთაშორისო რეგიონული ინსტიტუტი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც წევრი სახელმწიფოები სრულად ინარჩუნებენ სუვერენიტეტს და თავიანთ ინტერესებს ორგანიზაციის რეკომენდაციებსა და დადგენილებებზე მაღლა აყენებენ. ევროკავშირი თავისებური, რეგიონული მასშტაბის გლობალიზაციის მაგალითს წარმოადგენს: ზეეროვნული სტრუქტურები - მათ შორის ევროპარლამენტი, ევროპული საბჭო და ა.შ. ერთიანი თავდაცვის სისტემა, უვიზო მიმოსვლა, საერთო ვალუტა და სხვა მრავალი ატრიბუტი გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ზესახელმწიფოს ჩანასახთან. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ნებაყოფლობით თქვეს უარი სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილზე და ეს ფუნქცია ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებს გადასცეს, ანუ სრულ ეროვნულ სუვერენიტეტზე მაღლა მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა დააყენეს.

ამიტომაც უპრიანი იქნებოდა შემუშავებული ყოფილიყო ახალი ტერმინი, რომელიც ზუსტად გამოხატავდა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გეოეკონომიკურ ასპექტებს. თუმცა მანამდე საინტერესო იქნებოდა უშუალოდ ეკონომიკური უსაფრთხოების ტერმინის განმარტება და შემდეგ უკვე ამის საფუძველზე ახალი სახის ტერმინის დანერგვა. ცნობილი ქართველი უსაფრთხოების კვლევების სპეციალისტი და პროფესორი ბესიკ ალადაშვილის განსაზღვრავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, როგორც: წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ. ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის მიზანმიმართული განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით (ალადაშვილი, 2011: 10). ამიტომაც უკვე გეოეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრისას შეიძლება შევიმუშავოთ

ასეთი სახის დეფინიცია: „გეოეკონომიკური უსაფრთხოება - გლობალური ეკონომიკის პირობებში ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსის საფუძველზე განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სოციალური პროცესების ინტეგრაციის მოდელი, სადაც დომინირებენ მთავარი ეკონომიკური აქტორები და რომელიც განსაზღვრავს მათი გეოპოლიტიკური და მეგა-ეკონომიკური ინტერესების პირობებს და რომელიც თავის მხრივ განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის განვითარებას“. ასეთი განსაზღვრება, რომელიც გვთავაზობს ამ კვლევის ავტორი წარმოადგენს ოპტიმალური ვარიანტს მისი შინაარსობრივი მომენტებიდან გამომდინარე, რომელიც მეტნაკლებად შეესაბამება დღევანდელი საერთაშორისო ეკონომიკური პროცესებს.

ნატო-ს როლი შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკაში და გეოეკონომიკური ფაქტორები

უსაფრთხოება და სტაბილურობა წარმოადგენს წინაპირობას სტაბილური განვითარების, გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში წარმატებული ინტეგრაციის და შავი ზღვის რეგიონში და შავი ზღვის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მდგრადი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ცივი ომის პერიოდში, შავი ზღვა „დაყოფილი“ იყო ერთი მხრივ, თურქეთის რესპუბლიკას, როგორც ნატო-ს წევრს და მეორე მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირს და ვარშავის პაქტიდან მოკავშირეებს - ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. შესაბამისად, შავი ზღვის უსაფრთხოება ეფუძნებოდა ძალთა და ინტერესთა ბალანსს ნატო-ს და საბჭოთა ვარშავის პაქტს შორის (მარგველაშვილი, 2019: 1).

თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად შავი ზღვის რეგიონი ყოველთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი და ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფანი იყო. 21-ე საუკუნეში კი ის ძლიერი ქვეყნების ძალაუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზადაც გადაიქცა და მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა (გვენეტაძე, 2024:1).

შავი ზღვის რეგიონი არის რუსეთისა და დასავლეთის კონკურენციის ცენტრალური ადგილი, რომელიც ევროპის მომავალზეც პოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ჭრილში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. რეგიონი 2014 წელს მოსკოვის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიამდეც კი განიცდიდა კონფლიქტების ორ ათწლეულს. რუსეთმა 2008 წლიდან ოთხჯერ გამოიყენა სამხედრო ძალა რეგიონის ქვეყნების წინააღმდეგ. კრემლი ცდილობს რეგიონის ქვეყნებზე პრივილეგირებული გავლენის სფეროს შექმნას და შეზღუდოს მათი ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში რის გამოც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი მოხდა. რუსეთი ცდილობს გააძლიეროს

თავისი რეჟიმის სტაბილურობა და გააუმჯობესოს სამხედრო შესაძლებლობები თავდაცვის მიმართულებით, მათ შორის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვასა და ახლო აღმოსავლეთში ძალაუფლების უფრო გავრცელების მიმართულებით. ამ პროცესების შემდგომ ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტებში გაზრდილი ყურადღება მიაქციეს შავი ზღვის რეგიონს. 2016 წლის ვარშავის სამიტის კომუნიკე უფრო მკაფიოდ იყო ასახული რუსეთის აგრესიული ქმედებები რეგიონში და ის ხისტი პოლიტიკა რომელიც რეგიონის დესტაბილიზაციისკენ იყო მიმართული. რაც შემდგომ წლებში მისი აგრესიული ქმედებებით კიდევაც გამოჩნდა.

ორი წლის შემდეგ, 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე, ნატოს კომუნიკეში დაიწყო შავ ზღვაში უსაფრთხოების განმტკიცების შემდგომი მიმართულებების გამოკვეთა: მოკავშირეთა საზღვაო პოზიციის გაძლიერების მიმართულებით. ნატოს ყოფნისა და აქტივობის გაზრდა და ალიანსისა და მის პარტნიორებს შორის თანამშრომლობის განვითარება: საქართველოში და უკრაინაში. 2021 წლის ბრიუსელის სამიტმა დაგმო რუსეთი მისი სამხედრო გაძლიერების პოლიტიკა და მოუწოდა უკრაინის პორტებისა და აზოვის ზღვის ბლოკადის მოხსნა. უკრაინასთან შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებში და საქართველოსთან ჰიბრიდული საფრთხეებისადმი მდგრადობის გაზრდის შესახებ განცხადებებთან ერთად, სამიტის კომუნიკემ ნათლად აჩვენა, რომ ალიანსმა გაზარდა თავისი წვლილი სამივე სფეროში ერთგულ წინსვლაში (Horrell & Kuz, 2022: 1).

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრის შედეგად ევროატლანტიკური უსაფრთხოების გარემო ფუნდამენტურად შეიცვალა. დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების არეალს დღეს სწორად შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს (გვენეტაძე, 2024:1). რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გაზარდა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოებისთვის. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის აქტიურობა, ენერგეტიკული შანტაჟი და საზღვაო კავშირგაბმულობის ხაზების ბლოკირება საფრთხეს უქმნის ალიანსს და მის პარტნიორ ქვეყნებს (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო). მიუხედავად იმისა, რომ ნატოს შავ ზღვაში მოქმედების შესაძლებლობა შეზღუდულია მონტრეს კონვენციით, ალიანსს შეუძლია გააძლიეროს შეკავების სანდოობა რეგიონში სამხედრო ყოფნის გაზრდით და პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოებით.

2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტზე მიღებულ იქნა „ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია“, რომელშიც თანამშრომლობითი უსაფრთხოების ფორმატში ასახულია ალიანსის მიდგომა შავი ზღვის რეგიონისადმი სადაც მკაფიოდ წერია, რომ „დასავლეთ ბალკანეთისა და შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ალიანსისთვის. ჩვენ კვლავ დავუჭერთ მხარს ამ რეგიონების დაინტერესებული ქვეყნების

ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ჩვენ გავზრდით ძალისხმევას, რათა გავაძლიეროთ მათი შესაძლებლობები, გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ სხვადასხვა საფრთხეებსა და გამოწვევებს და გავაუმჯობესებთ მათ მდგრადობას მესამე მხარის მხარე ჩარევისა და იძულების მიმართ“ (ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია, 2022:16). სწორედ აღნიშნული ჩანაწერი მოწმობს იმ პოლიტიკას რომელიც გააჩნია ნატოს ამ რეგიონისადმი. რაც რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი და დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონისადმი. შავი ზღვის რეგიონი აღიარებულია, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ზონა, რომელსაც საფრთხე ემუქრება რუსეთის გაფართოებული სამხედრო შესაძლებლობებითა და ჰიბრიდული აქტივობებით. ახალი სტრატეგიის მიხედვით, ალიანსს უფრო მეტად უნდა შეეძლოს წვერი ქვეყნების ტერიტორიის დაცვა აღმოსავლეთ ფლანგზე მყოფი ჯარების საფუძველზე. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, ნატომ დაიწყო ეტაპობრივი საპასუხო გეგმების დასახვა და განხორციელება. ამავე დროს მოკავშირეებმა აღიარეს შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ივლისში ვილნიუსში გამართულ სამიტზე. მათ პირობა დადეს გრძელვადიანი მხარდაჭერის უკრაინის მიმართ, ასევე ასახეს ალიანსში მისი მომავალი გაწევრიანების საგზაო რუკა. მათ ასევე პირობა დადეს, რომ გააგრძელებენ მოწყვლადი პარტნიორების, მოლდოვას რესპუბლიკისა და საქართველოს რეფორმებისა და ადაპტაციების განხორციელებას მათზე მორგებული მხარდაჭერის პაკეტების მეშვეობით, რათა ხელი შეუწყონ მათ მდგრადობასა და ძლიერებას, რადგან ისინი აგრძელებენ გზას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ და შესაბამისად რუსეთის მხრიდან იზრდება საფრთხეების განზომილება.

ყველაზე სერიოზული რისკი შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით არის რუსეთის მიერ სიტუაციის ესკალაცია დასავლეთის უფრო აგრესიული სანქციების, სამხედრო მხარდაჭერის ან სამხედრო მოქმედებების საპასუხოდ. ესკალაციას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა, მათ შორის ევროპაში ენერჯის მიწოდების სრული შეწყვეტა, უფრო სერიოზული კიბერშეტევები, უფრო მკაცრი შეზღუდვები რუსულ და უკრაინულ ექსპორტზე მარცვლეულისა და სხვა საქონლის, როგორცაა სასუქები. თავდასხმები წყალქვეშა მილსადენებზე და სატელეკომუნიკაციო კაბელებზე და უფრო სერიოზული სარაკეტო თავდასხმები უკრაინის ქალაქებზე და სტრატეგიული ინფრასტრუქტურის სამიზნეებზე, ასევე საფრთხეების ჰორიზონტალური ესკალაცია და რაც მთავარია, ბირთვული ან ქიმიური იარაღის გამოყენება (Hooker, 2023:1).

რუსეთის უშუალო მიზანია უკრაინის მოკვეთა შავი ზღვის სანაპიროდან, უზრუნველყოს სახმელეთო კავშირი ყირიმთან და დაამყაროს კონტროლი ოდესაზე. ეს საშუალებას მისცემს რუსეთს დომინირებდეს

საზღვაო ვაჭრობასა და ენერგეტიკულ მარშრუტებზე, შეარყიოს უკრაინის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა და შეამციროს მისი ღირებულება დასავლეთისთვის. ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების შემდეგ რუსეთი ბალტიის ზღვაში თავს შეევიწროებულად გრძნობს და სავარაუდოდ გააორმაგებს თავის პოზიციას შავ ზღვაში ბალტიისპირეთში ზარალის კომპენსაციის მიზნით.

დასკვნა

უკრაინაში რუსეთის შეჭრით, საგრძნობლად გაიზარდა საფრთხე ალიანსის პარტნიორებისთვის შავი ზღვის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი დროებით დასუსტდა, მის მიერ ინიცირებული სამხედრო, კიბერ და ჰიბრიდული საფრთხეები რეგიონში კვლავ აქტუალურია და ის ამ მიმართულებით კვლავ აგრძელებს აგრესიულ პოლიტიკას. გეოეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში რუსეთის მიერ უკრაინული მარცვლეულის ზღვით გადაზიდვის ბლოკადა და მასთან დაკავშირებული პროცესები ქმნის რისკებს, მათ შორის კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურაზე დივერსიამ შეიძლება შეაფერხოს მიწოდების ჯაჭვები რეგიონში, რაც ნეგატიურად აისახება რეგიონის მოთამაშეების პოლიტიკაზე.

დასავლეთმა უნდა გააძლიეროს უკრაინის სამხედრო შესაძლებლობები რუსული აგრესიის მოსაგერიებლად, იმისათვის, რომ შეზღუდოს რუსეთის შესაძლებლობა მიაღწიოს მიზნებს და მოახდინოს დომინირება შავ ზღვაში. გაზრდილი შესაძლებლობები უკრაინას საშუალებას მისცემს კიდევ უფრო შეამციროს რუსული საზღვაო ყოფნა და უზრუნველყოს თავისი პორტები მნიშვნელოვანი ექსპორტისთვის, რაც გეოეკონომიკური მიმართულებით მნიშვნელოვანია. გრძელვადიან პერსპექტივაში უკრაინა შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი რეგიონალური მოთამაშე და შეუცვლელი საყრდენი რუსული ექსპანსიონიზმის შეკავებაში.

რუსეთის ჰიბრიდული ქმედებების წინააღმდეგ რეგიონული პარტნიორების მდგრადობის გასაზრდელად, ნატო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ევროკავშირთან, მის მიზნებს შორის უნდა იყოს მოლდოვას, საქართველოს, უკრაინის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერუსაფრთხოების სფეროში და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შავი ზღვის რეგიონში ნატოს უფრო ფართო ჩართულობა და ყოფნა რეგიონის ქვეყნების ინტერესებშია, რადგან ეს გააძლიერებს მათ უსაფრთხოების განცდას და მოკავშირეთა თავდაცვისა და შეკავების შესაძლებლობებს გაზრდის. ასევე, ნატომ უნდა განიხილოს ინიციატივები და მოახდინოს სხვადასხვა ქმედებები შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების სხვადასხვა რისკების გადასაჭრელად, მათ შორის რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, შეიარაღების კონტროლის მიმართულებით, გარემოს დაბინძურების და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ლელა, ვეშაპიძე შოთა, ზუბიაშვილი თამაზ, „გეოეკონომიკა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2021.
<https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/bakhtadze-geoekonomika-reader.pdf>
2. გვენეტაძე ნათია, „ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და ნატო“, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, თბილისი 2024. <https://infocenter.gov.ge/blog/shavi-zghvis-regionis-usaftrkhoeba-danato/>
3. მარგველაშვილი ზაალ, „უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019. https://di.gov.ge/wp-content/uploads/2021/02/security_black_sea_ge.pdf
4. “Renewable Power Pathways”, Special Bulletin, Department of Energy, Washington, 2000;
5. Akhvlediani, Tamar "Energy-Geopolitics of Syrian Regional War: Global and Regional Aspects", MA Thesis, IBSU, Tbilisi, 2018;
6. Aljazeera” *Why is the Strait of Hormuz so strategically important? Explaining the economic and geopolitical significance of the key waterway out of the Gulf*”, 2019.;
7. Buzan, Barry “*People State and Fear*”, Pearson Education, London, 1991;
8. HAYNES, SUYIN. 2019 JULY 23, . "The Strait of Hormuz Is at the Center of Iran Tensions Again. Here's How the Narrow Waterway Gained Wide Importance." *Times*.
<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/soft-power>. n.d.
9. Hooker Richard, „A security strategy for the Black Sea“, Atlantic Council Task Force on Black Sea Security, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/a-security-strategy-for-the-black-sea/>

10. Horrell Steven, Kuz Ivanna, „NATO — Back in the Black (Sea)?”, Center for European Policy Analysis, 2022. <https://cepa.org/article/nato-back-in-the-black-sea/>
11. Isidore, Chris. “*Why the Strait of Hormuz is so important*”, *CNN Business, Atlanta*, 2019.
12. Kettell, Steven. n.d. *britannica* . <https://www.britannica.com/topic/oil-crisis>.
13. Lack, Simon. n.d. "America's Path To Energy Independence: The Shale Revolution." *Forbes*, 2021.
14. Lahabi, Omid. "Strait of Hormuz: Why does Iran threaten to close it?" *euronews*. 2019.
15. Lasicova, J. "bezpecnost-bezpecnosta agen da sucasnosti". banka bystrica univerzita mateja bela2006..
16. *NATIONAL GEOGRAPHIC*. Feb. 21, 2013.. <https://www.nationalgeographic.org/encyclopedia/non-renewable-energy/>.
17. *National Geographic*. JANUARY 30, 2019.. <https://www.nationalgeographic.com/environment/energy/reference/renewable-energy/>.
18. *Renewable Power Pathways*. national research council. 2000.
19. Robbins, James S. "Closing Strait Of Hormuz Is Fraught With Dangers For Iran." *radio farda*. April 29, 2019.
20. *The Environmental Impact Assessment Regulations* . (Scotland). 1999.
21. Wethe, David. "The Shale Revolution." *bloomberg*. 2019.